ვლადიმირ ნაბოკოვი

გეპატიჟებით სიკვდილით დასჯაზე

Comme un fou se croit
Dieu nous nous croyons mortels.
Delalande. Discours sur les ombres.
„იმ გიჟის დარად, რომელსაც თავი ღმერთი ჰგონია,
ჩვენც გვგონია, რომ მოკვდავნი ვართ“.
დელალანდი, „საუბარი ლანდებზე“(ფრანგ.)

I

კანონის თანახმად, ცინცინატ ც-ს სიკვდილის განაჩენი ჩურჩულით გამოუცხადეს. დარბაზმა ერთმანეთს ღიმილით გადახედა და წამოდგა. ჭაღარა მოსამართლემ პირი ყურთან მიუტანა, ჩაასუნთქა, აცნობა და ისე ნელა გაიწია, თითქოს პირი მიეწება და აძრობსო. ცინცინატი ისევ უკან, ციხესიმაგრეში გააბრუნეს. გზა მისი კლდოვანი ლიბოს გარშემო იხვეოდა და ალაყაფის ქვეშ მიძვრებოდა, როგორც გველი ნაპრალში. მშვიდად იყო. მაინც კი გრძელ დერეფნებში ხელს აშველებდნენ, რამეთუ აცაბაცა მიაბიჯებდა ახლად ფეხადგმული ბავშვივით, ხანაც მოულოდნელად ჩალაყუნდებოდა – როგორც სიზმარში, როდესაც ხედავ, რომ წყალზე მიდიხარ და უცბად დაეჭვდები: ვითომ, ეს შესაძლებელია? მედილეგე როდიონი დიდხანს აღებდა ცინცინატის საკნის კარს – გასაღები ერეოდა და სულ ასე წვალობდა. კარი, როგორც იქნა, დამორჩილდა. იქ, ნარზე, უკვე იცდიდა ვექილი – ყელამდე ფიქრში ჩაფლული იჯდა, უფრაკოდ (სასამართლოს დარბაზში, ვენურ სკამზე მივიწყებოდა, – ცხელი, ლურჯად მოკამკამე დღე იყო) და ტუსაღი რომ შემოიყვანეს, მოუთმენლად ზეზე წამოხტა. ცინცინატს ლაპარაკისთვის არა სცხელოდა. დაე, საჭვრიტინოიან საკანში განმარტოება გახვრეტილ ნავში ჯდომასა ჰგავდა, მაინც განაცხადა, მარტო ყოფნა მინდაო, – ჰოდა, თავი დაუკრეს და ყველა გავიდა.

მოკლედ, ბოლოსკენ მივიწევთ. გადაშლილი რომანის მარჯვენა, ჯერაც შეუსმელი ნაწილი, კითხვაში ტკბილად ჩაფლულები, ხელს რომ ვუთათუნებდით და მექანიკურად ვამოწმებდით, რამდენი დაგვრჩა (მისი მყარი სისქე გულს ახარებდა), უცბად, სულ რომ არ ველოდით, თვალსა და ხელს შუა შემოგვლევია: კიდევ ორიოდე წუთის სულგანაბული კითხვა და... ჰოი, საშინელებავ! ჩვენ წინ, წითელ და წებოვან

მასად ჩაშავებული ალუბლის გროვა უცბად გათითოებულა: აგერ იმას, ნაწიბურიანს, სიდამპლე შეჰპარვია, ეს კი გამომშრალა და კურკას მიხმობია (სულ ბოლო, უეჭველად, მაგარი და მკვახეა). საშინელებაა! ცინცინატმა აბრეშუმის ჟილეტი გაიხადა, ხალათი შემოიცვა და ბოლთის ცემას მოჰყვა, თანაც იატაკზე ფეხებს აბარტყუნებდა, რომ მუხლების კანკალს მორეოდა. მაგიდაზე სუფთა ფურცელი თეთრად ქათქათებდა და ამ სიქათქათეზე მკაფიოდ გამოკვეთილიყო ფანქარი – საოცრად წვერწამახული და გრძელი, როგორც ნებისმიერი კაცის სიცოცხლე, გარდა ცინცინატისა, – თავისი ექვსი, აბანოზის ხეებრ ბზინვარე წახნაგით, – საჩვენებელი თითის განათლებული შთამომავალი. ცინცინატმა დაწერა: „მაინც კი, შედარებით. აკი ასეთ ბოლოს ველოდი. აკი ველოდი“. როდიონი კარს უკან იდგა და ბოცმანის მკაცრი ყურადღებით საჭვრიტინოდან უთვალთვალებდა. ცინცინატს კეფა ცივად ეწვოდა. დაწერილი გადახაზა. ფანქარს ნელა უსვამდა, აშავებდა და რაღაც უცნაური, ხვეული ორნამენტი გამოვიდა, რომელიც გაიზარდა, გაიზარდა და ყოჩის რქასავით მოიგრიხა. საშინელებაა! როდიონი ცისფერი ნახვრეტიდან უყურებდა ჰორიზონტს, რომელიც აღმა-დაღმა ადი-ჩამოდიოდა. გული ვის ერეოდა? ვის და, ცინცინატს. ცივმა ოფლმა დაასხა, თვალთ დაუბნელდა, ყველა თმის ღერი უბჟუოდა. საათმა დარეკა – ოთხჯერ თუ ხუთჯერ და მისი კაზემატური ექოს გაძახილ-გამოძახილი, როგორც ეგებოდა, ისე მოიქცა. ჭერიდან ფეხების სავსავით დაეშვა ობობა[2] – ტუსაღების ოფიციალური მეგობარი. ოღონდ, კედელზე არავინ აკაკუნებდა, რამეთუ ცინცინატი ჯერჯერობით ერთადერთი ტუსაღი გახლდათ (ამხელა ციხესიმაგრეში!).

ცოტა ხნის შემდეგ, მედილეგე როდიონი შემოვიდა და ვალსის ტური შესთავაზა. ცინცინატი დათანხმდა. დატრიალდნენ. როდიონს ტყავის ქამარზე გასაღების ასხმულა უჟღარუნებდა და გლეხკაცის, თამბაქოსა და ნივრის სუნი ასდიოდა, ჟღალ წვერში ქოშინით მღეროდა და ჟანგიანი სახსრები უჭრაჭუნებდა (ვაი, რომ იმ ხნისა აღარ იყო, – შეშუპება, ქოშინი მორეოდა). დერეფანში გაირიყნენ. ცინცინატი თავის კავალერზე გაცილებით მომცრო ტანისა იყო. ცინცინატი ფოთოლივით მსუბუქი იყო. ვალსისგან ამდგარი სიოსგან გრძელი, მაგრამ თხელი ულვაშის ქერა ბოლოები გასწეწოდა და ყველა მფრთხალი მოცეკვავის დარად, დიდსა და მჭვირვალე თვალებს აელმებდა. დიახ, მოწიფული კაცის კვალობაზე იგი ძალიან პატარა იყო. მარფინკა ამბობდა, რომ მისი ფეხსაცმელი უჭერდა. დერეფნის მისაქციელთან მეორე ყარაული იდგა – თოფიანი უსახელო, დოლბანდის ნიღაბზე დახატული ძაღლის დრუნჩით[3], მის წინ წრე მოხაზეს, ისევ საკანში შესრიალდნენ და ცინცინატს დაენანა, რომ გულყრის მეგობრული ჩახუტება ასე ხანმოკლე იყო.

ისევ ბანალურად უღიმღამოდ დარეკა საათმა. დრო არითმეტიკული პროგრესიით გადიოდა: რვა საათი იყო. დაისი მახინჯ სარკმელსაც მისწვდომოდა: მის გასწვრივ, კედელზე, ცეცხლოვანი პარალელოგრამა გაწოლილიყო. საკანში მსუყე მწუხრი ჩამოწვა, რომელიც არაჩვეულებრივ პიგმენტებს შეიცავდა და ვერ გაიგებდი, აი, ის, კარიდან მარჯვნივ, ყოჩაღი ფერმწერის ყალმით ნახატი სურათი იყო თუ მეორე სარკმელი – მოხატულმინიანი, როგორსაც აღარ აკეთებენ (არადა, კედელზე

პერგამენტის ფურცელი ეკიდა, რომელზეც ორ სვეტად ჩამოეწერათ „პატიმრის ქცევის წესი“ და სწორედ მისი აპრეხილი კუთხე, წითელი თავსართი ასოები, აღნიშვნები და ქალაქის უძველესი გერბი – სახელდობრ, ფრთიანი ბრძმედი, საჭირო მასალით ამარაგებდა მიმწუხრის ათინათს). საკანში ავეჯი მაგიდით, სკამითა და ნარით გახლდათ წარმოდგენილი. დიდი ხნის წინ შემოტანილი სადილი (სიკვდილმისჯილებს დირექტორის სარგო კვება ეკუთვნოდათ) თუთიის ლანგარზე ცივდებოდა. სულმთლად ჩამოღამდა. უცბად იქაურობა ოქროსფერმა, კარგად დაღვინებულმა ელექტრონის სინათლემ გაანათა.

ცინცინატმა ნარიდან ფეხები ჩამოუშვა. მის თავში კეგლის ბურთი დაიძრა და კეფიდან საფეთქლისკენ, დიაგონალზე გაგორდა, მერე შედგა და უკან გამოგორდა. ამ დროს კარი გაიღო და ციხის დირექტორი შემოვიდა.

ჩვეულებისამებრ ქურთუკი ეცვა, სამაგალითოდ ბეჭგამართული იყო და მკერდი წინ გამოეგდო, ცალი ხელი ქურთუკის უბეში შეეყო, მეორე კი უკან შემოედო; იდეალური პარიკი – ყორანივით შავი, შუაში ცვილისფერი ხაზით – თავს თანაბრად ეკვროდა. უსიყვარულოდ შერჩეულ მის სახეს, – ყვიციანი მსუქანი ლოყებითა და ნაოჭების, ცოტა არ იყოს, მოძველებული სისტემით, – პირობითად ორი – ორად-ორი, გადმოკარკლული თვალი აცოცხლებდა. შარვლის მილისებრი ტოტების თანაბარი ფართხუნით მივიდა კედლიდან მაგიდამდე, თითქმის ნარს მიაღწია და მიუხედავად ბატონკაცური სისავსისა, გაიცრიცა და არხეინად გაქრა. ერთი წუთის შემდეგ კი კარი ისევ გაიღო – ამჯერად ნაცნობი ღრჭიალით, – და ჩვეულებისამებრ, ქურთუკიანი და მკერდგამოგდებული, ისევ ის შემოვიდა.

– სანდო წყაროდან გავიგე, ბატონო ჩემო, რომ დღეს თქვენი ბედი გადაწყვეტილა, – დაიწყო ბუბუნა ბანით, – თავს ვალდებულად ვრაცხ...

ცინცინატმა თქვა:

– თავაზიანობა. თქვენ. ძალიან (დასალაგებელია.).

– ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, – ყელი ჩაიწმინდა და თქვა ვიღაც დამატებითმა ცინცინატმა.

– შემიწყალეთ! – შესძახა დირექტორმა და ამ სიტყვის უადგილობა ვერ შეამჩნია, – შემიწყალეთ! ჩემი ვალია. მე მუდამაც. ახლა კი, გავბედავ და გკითხავთ: საჭმელს პირი რატომ არ დააკარეთ?

დირექტორმა ჯამს ხუფი მოხადა და გაციებული რაგუ მგრძნობიარე ცხვირთან მიიტანა. კარტოფილს ორი თითით დასწვდა, ღონივრად გაღეჭა და თან მეორე კერძიდან წარბით უკვე რაღაცას არჩევდა.

– არ ვიცი, კიდევ რა საჭმელი გინდათ, – თქვა უკმაყოფილოდ, გახამებული მანჟეტები გაატკაცუნა და სუფრას მიუჯდა, რათა პუდინგი-კაბინეტი უფრო მარჯვედ ეჭამა.

ცინცინატმა თქვა:

– მაინც მინდა ვიცოდე, რამდენ ხანს მომიწევს.

– ჩინებული საბაიონია! მაინც გინდათ იცოდეთ, რამდენ ხანს მოგიწევთ. სამწუხაროდ, ეგ მეც არ ვიცი. მე ყოველთვის ბოლო წუთს მატყობინებენ. ბევრჯერ ვიჩივლე, შემიძლია მთელი მიწერ-მოწერაც გაჩვენოთ, თუ გაინტერესებთ.

– მაშასადამე, იქნებ ხვალ დილასაც კი? – იკითხა ცინცინატმა.

– თუკი ასე გაინტერესებთ, – თქვა დირექტორმა, – არა, მართლა ძალიან გემრიელი და ყუათიანია. ახლა კი, pour la digestion[4], ნება მიბოძეთ, პაპიროსი შემოგთავაზოთ. ნუ გეშინიათ, ეს, სხვა თუ არაფერი, ბოლოს წინა მაინც იქნება, – ენამოსწრებულად დასძინა.

– იმიტომ კი არ გეკითხებით, – თქვა ცინცინატმა, – იმიტომ კი არ გეკითხებით, რომ ცნობისმოყვარე ვარ. მართალია, ლაჩარი მუდამ ცნობისმოყვარეა, მაგრამ დამიჯერეთ... მერე რა, რომ კანკალს ვერაფერს ვუხერხებ და ასე შემდეგ, – ეგ არაფერი. მხედრის ბრალი არ არის, თუკი ცხენს კუნთები უთრთის. მინდა ვიცოდე, როდის და აი, რატომ: სიკვდილის განაჩენის შეღავათი სიკვდილის ზუსტი თარიღის ცოდნაა. ეს დიდი, მაგრამ დამსახურებული ფუფუნებაა. მე კი ისეთ გაუგებრობაში მამყოფებენ, რომლის გაძლებაც მხოლოდ თავისუფალ კაცს შეუძლია. გარდა ამისა, თავში ბევრი დაწყებული და სხვადასხვა დროს შეწყვეტილი სამუშაო მიტრიალებს... თუკი სასჯელი მათი საბოლოოდ ჩამოქნის დროს არ დამიტოვებს, მაშინ ავდგებოდი და ამაზე აღარ ვიფიქრებდი. აი, ამიტომ არის.

– ოჰ, გთხოვთ, ნუ ბუტბუტებთ, – გაღიზიანდა დირექტორი, – ჯერ ერთი, ეს წესი არ არის; მეორეც, რუსულ ენაზე გეუბნებით და გიმეორებთ: არ ვიცი-მეთქი. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ დღე-დღეზე ველოდებით თქვენს დაწინდულს, – როდის ის ჩამოვა, როდის დაისვენებს, როდის ვითარებას შეეჩვევა, როდის ინსტრუმენტს შეამოწმებს, – თუკი, თავისას არ ჩამოიტანს, რაც ფრიად და ფრიად მოსალოდნელია... თუთუნი ცოტა მაგარი ხომ არ არის?

– არა, – დაბნეულად დახედა თავის პაპიროსს და მიუგო ცინცინატმა, – ოღონდ ასე მგონია, რომ კანონით, თქვენ თუ არა, ქალაქის მმართველი მაინც ვალდებულია...

– გვეყო ამაზე ლაპარაკი, – შეაწყვეტინა დირექტორმა, – მე აქ, სიმართლე თუ გინდათ, თქვენი საჩივრის მოსასმენად არ მოვსულვარ, არამედ... – თვალი აახამხამა და ჯერ

ერთ ჯიბეში ჩაიყო ხელი, მერე მეორეში, ბოლოს უბის ჯიბიდან ხაზიანი ფურცელი ამოაძვრინა, რომელიც აშკარად სკოლის რვეულიდან იყო ამოხეული.

– საფერფლე არ არის, – პაპიროსი მიატარ-მოატარა და შენიშნა მან, – კეთილი, მოდით, სოუსის ნარჩენში ჩავახრჩოთ... ასე. სინათლე აქ ცოტა თვალსა ჭრის... იქნებ ოდნავ რომ... თუმცა, რაც არის არის, არა უშავს!

ფურცელი გაშალა, რქის ჩარჩოიანი სათვალე არ გაუკეთებია, მხოლოდ თვალებთან მიიტანა და გარკვევით დაიწყო:

„ტუსაღო! ამ საზეიმო წუთს, როდესაც ყველას მზერა...“ – მგონი, სჯობს, ავდგეთ, – შეწუხებულმა შეაწყვეტინა თავს სიტყვა და სკამიდან წამოდგა.

ცინცინატიც ადგა.

– ტუსაღო! ამ საზეიმო წუთს, როდესაც ყველას მზერა შენკენ არის მოპყრობილი, როდესაც შენი მოსამართლენი ზეიმობენ, შენ კი ემზადები სხეულის უნებლიე მოძრაობისთვის, რომელიც უშუალოდ და განუხრელად სდევს თავის მოკვეთას, მოგმართავ სიტყვით და გმოძღვრავ. მე წილად მხვდა, – და ამას არასდროს დავივიწყებ, – მომეწყო შენი ბინა ციხეში, ყველა იმ მრავალი საშუალებით, რომლის უფლებასაც კანონი მაძლევს. ამიტომ ბედნიერად ვრაცხ თავს, ყურადღებით მოვეკიდო შენგან მადლობის ყველანაირ გამოხატულებას, მაგრამ სასურველია, წერილობით და ფურცლის ერთ გვერდზე.

– აი, – თქვა დირექტორმა და სათვალე დაკეცა, – სულ ეს არის. მე აღარ გაკავებთ. მაცნობეთ, თუ რამე დაგჭირდებათ.

მაგიდას მიუჯდა და გამალებული შეუდგა წერას, რათა ეჩვენებინა, აუდიენცია დამთავრებულიაო. ცინცინატი გამოვიდა.

დერეფანის კედელზე როდიონის ჩრდილი თვლემდა ჩრდილის ტაბურეტზე მოკრუნჩხული, – მხოლოდ გაკვრით, თვალის კუთხეში გაიბწკრიალა ჟღალი თმის რამდენიმე ღერმა. იქით, კედლის მოსახვევთან, მეორე ყარაულს ფორმის ნიღაბი ჩამოეხსნა და სახელოთი სახეს იწმენდდა. ცინცინატმა ფეხი კიბეზე ჩადგა. ვიწრო და სლიპინა ქვის საფეხურებს მოაჯირის სპირალის ხელთუქმნელი ჩრდილი გასდევდა. კიბეზე ჩავიდა და ისევ დერეფნებს გაუყვა. სარკისებურად შებრუნებული წარწერიანი კარი – „კანცელარია“, ღია დაეგდოთ; სამელნეზე მთვარე ციალებდა, მაგიდის ქვეშ კი ნაგვის კალათა აჯაგრულიყო და გამწარებული შრაშუნობდა: ეტყობა, შიგ თაგვი ჩავარდნილიყო. ცინცინატმა კიდევ მრავალი კარი გაიარა, წაბორძიკდა, შეკრთა და პატარა ეზოში აღმოჩნდა, რომელიც დაშლილი მთვარის ნაირ-ნაირ ნაწილებს გაევსო. ამაღამდელი დათქმული სიტყვა იყო დუმილი, –

ალაყაფის კართან მდგარმა ჯარისკაცმაც ცინცინატის დუმილს დუმილითვე უპასუხა, გაატარა და ყველა სხვა კართანაც იგივე ხდებოდა. ცინცინატი, ოდეს ციხესიმაგრის ჰუმანური თვალშეუდგამობა უკან მოიტოვა, სრიალით დაეშვა ნამიან ძეძვნარზე, – ორ კლდეს შუა, ფერფლის ბილიკზე, – გადაკვეთა ორჯერ და სამჯერაც მთავარი გზის მოსახვევები – იმას, მთავარ გზას, ზურგიდან ციხესიმაგრის ბოლო ჩრდილი გადაეგდო და უკვე წელგამართული, უფრო პირდაპირ, უფრო თავისუფლად გაჭიმულიყო, – და დამშრალ მდინარეზე გადებული სახიანი ხიდით ქალაქში შევიდა. ცინცინატი აღმართს აუყვა, მარცხნივ, სადოვაიაზე შეუხვია და აყვავებულ, ჭაღარა ბუჩქნარს ჩაუქროლა. სადღაც განათებული ფანჯარა გაკრთა; რომელიღაც გალავნის გადაღმა ძაღლმა ჯაჭვი აახრაგუნა, მაგრამ არ დაუყეფავს. ნიავი ღონეს არ იშურებდა, რომ გაქცეულისთვის შიშველი ყელ-კისერი გაეგრილებინა. ზოგჯერ მოვარდნილი სურნელი იქითის ბაღების სიახლოვეზე მეტყველებდა. რა კარგად იცნობდა ამ ბაღებს! იქ, ოდეს მარფინკა საცოლე იყო და ბაყაყებისა და მაისის ხოჭოებისა ეშინოდა... იქ, ოდეს ყველაფერი გაუსაძლისი ხდებოდა, შეიძლებოდა, სულ მარტოს, იასამნის დაღეჭილი ყვავილის ფაფით პირგამოტენილსა და ცრემლმორეულს... ამწვანებული, მოჩითული. იქ, იქაურ ბორცვებს, ლიცლიცა ტბორებს, შორეული ორკესტრის ცუმპა-რამპას... მატიუხინზე შეუხვია, ჩაუარა ძველი ფაბრიკის ნანგრევებს – ქალაქის სიამაყეს, მოჩურჩულე ცაცხვებს, მუდამ საქეიფოდ მომართულ ტელეგრაფის მოსამსახურეთა თეთრ აგარაკებს, სადაც სულ ვიღაცის დაბადების დღეს ზეიმობდნენ და ტელეგრაფნაიაზე გამოვიდა. იქიდან ვიწრო ქუჩა ადიოდა და, ისევ დარბაისლურად აშრიალდა ცაცხვები. ორი კაცი ჩაბნელებულ სკვერში, სავარაუდო მერხზე, წყნარად მუსაიფობდა. „არადა, აკი ცდება“, – თქვა ერთმა. მეორემ გაუგებრად უპასუხა და ორივემ თითქოს ამოიხვნეშა და მათი ხვნეშა ბუნებრივად შეერია ფოთლების შრიალს. ცინცინატი მრგვალ მოედანზე გამოვარდა, სადაც მთვარე გუშაგად დადგომოდა პოეტის ნაცნობ ქანდაკს, რომელიც თოვლის დედაკაცს ჰგავდა, – ოთხკუთხა თავი, გაერთიანებული ფეხები, – რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გაირბინა და თავის ქუჩაზე აღმოჩნდა. ხელმარჯვნივ, ერთნაირი სახლების კედლებზე, მთვარე რტოთა განსხვავებულ ჩრდილებს ქარგავდა, ასე რომ, ცინცინატმა თავისი სახლი მხოლოდ ამ ჩრდილების ქარგის მიხედვით, ფანჯრების გასაყართან მათი განლაგების მიხედვით მოიმხრო. ზემო სართულზე, მარფინკასთან ბნელოდა, მაგრამ კარი ღია დაეგდოთ. ეტყობა ბავშვებს კეხიანცხვირიან აივანზე ეძინათ: იქ რაღაც თეთრად მოჩანდა. ცინცინატი პარმაღზე აიჭრა, კარს ხელი ჰკრა და თავის განათებულ საკანში შევიდა. მაშინვე შემოტრიალდა, მაგრამ კარი უკვე ჩაეკეტათ. საშინელებაა! მაგიდაზე ფანქარი ბზინავდა. ობობა ყვითელ კედელზე იჯდა.

– ჩააქრეთ! – დაიყვირა ცინცინატმა.

მზირმა თვალმა სინათლე გამორთო. სიჩუმე და სიბნელე ერთიანდებოდა, მაგრამ საათი ჩაერია და თერთმეტჯერ დარეკა, მერე, დაფიქრდა და კიდევ ერთხელ დარეკა; ცინცინატი კი პირაღმა გაშოტილიყო და ბნელისთვის თვალი მიეციებინა, რომელშიც მბრწყინავი წერტილები უხმოდ იბნეოდა და ნელ-ნელა ქრებოდა. სიბნელე და სიჩუმე

ერთმანეთს სრულად შეერწყა და აი, მაშინ და მხოლოდ მაშინ (ანუ სატუსაღოს ნარზე პირაღმა გაშოტილმა, ნაშუაღამევს, საშინელი, საშინელი დღის შემდეგ, – ისეთი საშინელისა, რომ ვერც კი აგიხსნით), ცინცინატ ც-მ თავიდან ბოლომდე გაისიგრძეგანა, რა დღეშიც იყო.

ჯერ შავ ხავერდზე, რომლითაც ღამღამობით გამოგებულია ხოლმე ქუთუთოები, მედალიონივით გამოჩნდა მარფინკას სახე: თოჯინასავით ატკეცილი ლოყები, ბავშვურად გამოწეული პრიალა შუბლი და თხელი, მაღლა აზიდული წარბების ქვეშ მრგვალი, თაფლისფერი თვალები. მარფინკამ წამწამები დააფახულა და მოიხედა, – ნაღებივით თეთრსა და რბილ ყელს შავი ხავერდი დაკვდომოდა, კაბის ხავერდოვანი დუმილი კი ქვემოთ ფართოვდებოდა და სიბნელეს ერწყმოდა. ასეთი დაინახა იგი დღეს, შეკრებილ საზოგადოებაში, როდესაც ბრალდებულის ახლადშეღებილ სკამთან მიიყვანეს. დაჯდომა ვერ გაბედა, მხოლოდ გვერდით დაუდგა, თუმცა ხელი ზურმუხტით მაინც დაისვარა და ჟურნალისტები ხარბად იღებდნენ მისი თითების ნაკვალევს სკამის ზურგზე. ხედავდა მათ დაძაბულ შუბლებს, ხედავდა კოხტაპრუწა ჭაბუკების ჭყეტელა შარვლებს, კეკელა ქალების ჯიბის სარკეებსა და გარდამავალი ფერებით აელვარებულ შალებს, მაგრამ სახეები ბუნდოვნად მოჩანდა, – ამდენი მაყურებლიდან მხოლოდ ერთი, მრგვალთვალა მარფინკა დაამახსოვრდა. ვექილმა და პროკურორმა – ორივე შეღებილი იყო და ერთმანეთს ძალიან ჰგავდა (კანონი მოითხოვდა, რომ ისინი ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდებოდა და მაშინ გრიმს იკეთებდნენ), – ვირტუოზული სისწრაფით წარმოთქვეს ის ხუთი ათასი სიტყვა, რომლის წარმოთქმაც ერთსაც და მეორესაც ევალებოდა. ისინი რიგრიგობით ლაპარაკობდნენ. მოსამართლე ყურადღებით უსმენდა მათ ელვისებურ რეპლიკებს, თავს ხან მარჯვნივ ატრიალებდა, ხან მარცხნივ და მასთან ერთად ყველა თავი შეთანხმებულად ტრიალდებოდა, – მხოლოდ ერთი, მარფინკა არ იძვროდა, იდგა მისკენ ოდნავ პირშექცეული და გაოცებული ბავშვივით შესცქეროდა ცინცინატს, რომელიც კაშკაშა მწვანედ შეღებილ ბაღის მერხთან იდგა. ვექილმა, კლასიკური დეკაპიტაციის მიმდევარმა, იოლად მოუგო ფხიან პროკურორს და მოსამართლემ საქმე გაასინთეზა.

მათი სიტყვების ნაწყვეტები, რომელშიც, როგორც წყალში ბუშტუკები, ისე ამორბოდა და სკდებოდა სიტყვები „გამჭვირვალე“ და „გაუმტარი“, ცინცინატს ახლაც ყურში ედგა; სისხლის შხუილი მქუხარე ტაშად გარდასახულიყო, მარფინკას მედალიონისებრი სახე კი სულ მის თვალთახედვის არეში რჩებოდა და მაშინღა ჩაქრა, როდესაც მოსამართლემ – მან სახე ისე ახლოს მიუტანა, რომ გაბუშტულ, შავგვრემან ცხვირზე გარკვევით დაუნახა გაფართოებული ფორები, რომელთაგან ერთს პირდაპირ ლულიდან გამოეშვა ეული, მაგრამ გრძელი ბეწვი, – ტენიანი ჩურჩულით უთხრა: „საზოგადოების კეთილი ნებით, წითელ ცილინდრს დაგახურავენ“, – კანონისგან შემუშავებული ნართაული, რომლის ნამდვილი მნიშვნელობა ყველა მოწაფემ იცოდა.

„არადა, ისე მკვიდრად ვარ აგებული, – გაიფიქრა წყვდიადში მტირალმა ცინცინატმა, – ჩემი ხერხემლის მრუდი ისე კარგად, ისე იდუმალად გამოთვლილია, კანჭებში იმდენ კარგად ჩაწნეხილ სტადიონს ვგრძნობ, რომელიც ცხოვრებაში კიდევ შემეძლო გამერბინა, თავი ისე მოხერხებულად მადგას...“

საათმა, არავინ იცის, რისთვის განკუთვნილი, ნახევარი დარეკა.

II

დილის გაზეთები, რომლებიც ნელთბილ შოკოლადთან ერთად შემოუტანა როდიონმა, – ადგილობრივი „დილა მშვიდობისა“ და უფრო სერიოზული გამოშვება – „საზოგადოების ხმა“, – როგორც ყოველთვის, ფერადი სურათებით იყო აჭრელებული. პირველზე მოჩანდა მისი სახლის წინამო, – ბავშვები აივნიდან იყურებოდნენ, სიმამრი – სამზარეულოს ფანჯრიდან, ფოტოგრაფი კი – მარფინკას ფანჯრიდან, ხოლო მეორეზე, – ნაცნობი ხედი ამ ფანჯრიდან – ვაშლისხიანი პატარა ბაღი, ღია ჭიშკრითა და ფოტოგრაფის გამოსახულებით, რომელიც სახლის წინამოს სურათს უღებდა. გარდა ამისა, ცინცინატმა თავისი თავიც იპოვა ორ სურათზე, რომელიც მას თვინიერი ყრმობის ასაკში ასახავდა.

ცინცინატი უცნობი გამვლელისგან ჩაისახა და ბავშვობა სტროპის გაღმა, დიდ საერთო საცხოვრებელში გაატარა (უკვე მესამე ათწლეულს ითვლიდა, როდესაც ჰაიჰარად გაიცნო ჟღურტულა, კაფანდარა და შესახედავად ჯერაც ძალიან ახალგაზრდა ცეცილია ც., რომელმაც მუცლად იღო იგი ტბორებზე, როდესაც სულ ნორჩი გოგონა იყო). ცინცინატმა ყრმობის ადრეული ასაკიდან სასწაულებრივად იგუმანა საფრთხე და ყველა ხერხს ხმარობდა, რათა თავისი ერთგვარი გამორჩეულობა დაემალა. მშვიდ მდგომარეობაში სხვისი სხივისთვის გაუმტარი, ამ ერთმანეთისადმი გამჭვირვალე სულების სამყაროში, იგი ძალიან უცნაურ, რაღაც გაცალკევებული ბნელი წინაღობის შთაბეჭდილებას ახდენდა და ამიტომ ისწავლა გამჭოლად მოეჩვენებინა თავი, რისთვისაც ასე ვთქვათ, ოპტიკურ მოჩვენებათა რთულ სისტემას მიმართავდა. მაგრამ საკმარისი იყო, ფიქრი გაჰქცეოდა, არც ისე გულმოდგინედ ედევნებინა თვალი თავისი სულის ეშმაკურად განათებულ სიბრტყეთა მოსახვევებისთვის, რომ მაშინვე

განგაშის ზარებს არისხებდნენ. გახურებული თამაშისას თანატოლები ისე უცბად გაეცლებოდნენ ხოლმე, თითქოს სუნი იკრეს, რომ მისი ნათელი მზერა და ცისფრად გამჭვირვალე საფეთქლები თვალს ეშმაკურად უბამდა და სინამდვილეში იგი განუჭვრეტელი იყო. ისეც მომხდარა, რომ ჩამოვარდნილი სიჩუმით გაოგნებული მასწავლებელი თვალის გარშემო ყველა ნაოჭს შემოიკრებდა, ცინცინატს დიდხანს დააცქერდებოდა და ბოლოს ეკითხებოდა:

– რა მოგდის, ცინცინატ?

მაშინ ცინცინატს თავი ხელში აჰყავდა, გულში იკრავდა და უსაფრთხო ადგილას გადაჰყავდა.

დროთა განმავლობაში უსაფრთხო ადგილი სულ უფრო და უფრო იშვიათდებოდა და საზოგადოებრივი ზრუნვის ალერსიანი სხივები ყველგან აღწევდა, – კარში სარკმელი ისეთნაირად ამოეჭრათ, რომ მთელ საკანში ერთ კუთხესაც ვერ იპოვიდით, გარედან მეთვალყურის თვალს არ დაელახვრა. ამიტომაც ცინცინატმა აჭრელებულ გაზეთებს ხელი კი არ მოუსვა, გუნდად კი არ შეკრა და მოისროლა – როგორც მოიქცა მისი ლანდი (ლანდი, რომელიც ყველას გვდევს თან – მეც, შენც და აი, იმასაც და ისე იქცევა, როგორც ამა და ამ წუთს გვინდოდა მოვქცეულიყავით, მაგრამ არ შეიძლება...), – ცინცინატმა გაზეთები მშვიდად გადადო გვერდზე და დარჩენილი შოკოლადი დალია. ყავისფერი აპკი, რომელიც შოკოლადის ზედაპირს ფარავდა, ტუჩს ნაოჭიან სამაგლობად მიეკრა. მერე ცინცინატმა შავი ხალათი შემოიცვა, რომელიც ძალიან გრძელი ჰქონდა, ჩაიცვა შავი, ბურთულებიანი ფეხსაცმელი, თავზე შავი „ერმოლკა“ დაიხურა და საკანში ბოლთის ცემას მოჰყვა, როგორც იქცეოდა ყოველ ცისმარე, პატიმრობის პირველივე დღიდან.

ბავშვობამ გარეუბნის მინდვრებზე გაიარა. ბურთაობდნენ, თამაშობდნენ ყაჩაღობანას, გრძელ ვირს, დაჭერობანას... მჩატე და სხარტი იყო, მაგრამ მასთან თამაში არ უყვარდათ. ზამთრობით ქალაქის დაღმართებს თოვლი ფარავდა და არაფერი შეედრებოდა, როდესაც საბუროვის „მინის“ ციგით დაეშვებოდი და ქარივით მიქროდი... ახლა, რა სწრაფად ღამდებოდა, როდესაც ციგაობიდან შინ ბრუნდებოდნენ... რა ვარსკვლავები ენთო, რა ფიქრები, რა სევდა ტრიალებდა იქ, ზემოთ, – ქვემოთ კი არაფერი იცოდნენ. ლითონისებრ ცივ სიბნელეში ფანჯრები გემრიელად ჩახჩახებდა ყვითლად და წითლად; აბრეშუმის კაბებზე წამოცმული მელიის ბეწვის ქურქიანი ქალები ქუჩიდან მოპირდაპირე ქუჩაზე, სახლიდან სახლში გადარბოდნენ; ელექტრონული ვაგონები წამიერად აფორიაქებდა მბრწყინავ ქარბუქს და დაფიფქულ ლიანდაგზე მიქროდა.

ბავშვის ხმა: „არკადი ილიჩ, ცინცინატს შეხედეთ...“

მაბეზღარებზე არა ბრაზობდა, მაგრამ ისინი მრავლდებოდნენ და დაკაცებულები საშიშნი ხდებოდნენ. მათთვის ბნელი, თითქოს ღამის კუბური საჟენისგან გამოჭრილი, განუჭვრეტელი ციცინატი აქეთ-იქით ტრიალებდა, სხივებს იჭერდა, პანიკური ფაცაფუცით ცდილობდა ისე დამდგარიყო, რომ სხივგამტარი გამოჩენილიყო. გარშემომყოფნი პირის გაღებისთანავე უგებდნენ ერთმანეთს, რამეთუ მათ არ ჰქონდათ ისეთი სიტყვები, რომლებიც მოულოდნელად დაბოლოებული რაღაც ანდეზე, გადაიქცეოდნენ შურდულად ან ჩიტად, საკვირველი შედეგით. პატარა მტვრიან მუზეუმში, მეორე ბულვარზე, სადაც მავშვობისას

მიჰყავდათ ხოლმე და სადაც თავადაც დაჰყავდა აღსაზრდელები, იშვიათი, მშვენიერი ნივთები იყო გამოფენილი, – ოღონდ ყველა მათგანი ყველა ქალაქელისთვის, მის გარდა, ისეთივე მომიჯნული და გამჭვირვალე იყო,

როგორც თავად ისინი ერთმანეთისთვის. ის, რასაც სახელი არ ჰქვია, არც არსებობს. სამწუხაროდ, ყველაფერს სახელი ერქვა.

„უსახელო ცხოვრება, უსაგნო არსებობა...“ – წაიკითხა ცინცინატმა კედელზე, სადაც მას გაღებული კარი ეფარებოდა.

„სულ თქვენი დღეობაა, მე თქვენი...“ – ეწერა მეორეგან.

უფრო მარცხნივ, გაკრული, სუფთა ხელითა და უზადო ასოებით გამოეყვანათ: „ყურადღება მიაქციეთ, როდესაც ისინი გელაპარაკებიან...“ – დანარჩენი, სამწუხაროდ, წაშლილი იყო – ხოლო მის გვერდით, ბავშვური აცაბაცა ასოებით: „მწერლებს დავაჯარიმებ“ და ხელმოწერა: „საპატიმროს დირექტორი“.

კიდევ ერთი ძალიან ძველი და იდუმალი სტრიქონის გარჩევა შეიძლებოდა: „გაზომე, სანამ მოკვდება – მერე გვიან იქნება“.

– მე, ყოველ შემთხვევაში, გამზომეს, – თქვა ცინცინატმა, გზა განაგრძო და თან ხელის კვინიხით კედლებზე ნელა აკაკუნებდა, – როგორ არ მინდა სიკვდილი! სულმა თავი ბალიშში წარგო. ოჰ, როგორ არ მინდა! არ მინდა თბილი სხეულიდან გამოძრომა. შემცივდება. არ მინდა, დამაცადეთ, ცოტაც წავუძინო.

თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი. ცინცინატი თხუთმეტი წლისა იყო, როდესაც სათამაშოების

სახელოსნოში დაიწყო მუშაობა, სადაც ჩია ტანის გამო გაამწესეს. საღამოობით კი, პატარა ზვირთების სასიამოვნო შხაპუნში, ტკბებოდა ძველი წიგნებით ექიმ ლურჯთვალას სახელობის მცურავ ბიბლიოთეკაში, ქალაქის მდინარეში სწორედ იმ ადგილას რომ დამხრჩვალიყო. ჯაჭვების ჩუმი ჩხრიალი, შხაპუნი, დერეფნების ფორთოხლისფერი შუქფარები, შხაპუნი, მთვარისგან წებოვანი წყლის ზედაპირი და შორს, მაღალი ხიდის შავ ქსელში გაელვებული სინათლეები. მერე კი ძვირფასი ვოლიუმი ტენისგან ნელ-ნელა გაფუჭდა და ბოლოს და ბოლოს, მოუწიათ მდინარე დაეშროთ და წყალი საგანგებოდ გათხრილი არხით სტროპში გადაეგდოთ.

სახელოსნოში დიდხანს იმტვრევდა თავს ჩახლართულ წვრილმანებზე, აკეთებდა რბილ თოჯინებს მოსწავლე გოგონებისთვის, – ვინ გინდა, რომ იქ არ ყოფილიყო: ბეკეშიანი და თმაგაბუებული პატარა პუშკინი; ვირთხის მსგავსი გოგოლი ყვავილებიან ჟილეტში; ცხვირგაბუშტული, ზიპუნიანი ბერიკაცი ტოლსტოი და მრავალი სხვა, – მაგალითად, ყველა ღილშეკრული დობროლუბოვი, უმინო

სათვალით. ამ მითურ მეცხრამეტე საუკუნეს ხელოვნურად მიბმული ცინცინატი უკვე მზად იყო, ბინდით მოცულ წარსულის უღრანებს ჩასძიებოდა და იქ ეპოვა ცრუ თავშესაფარი, რომ გულისყური სხვაგან გაექცა.

სწორედ იქ, იმ პატარა ფაბრიკაში მუშაობდა მარფინკა, – ტენიანი ბაგე გაეპო და ნემსის ყუნწს ძაფს უმიზნებდა: „გამარჯობა, ცინცინატიკ!“– ჰოდა, დაიწყო ის ნეტარი ხეტიალი ძალიან, ძალიან თვალუწვდენელ (იმდენად, რომ თავისი სიშორისგან ნეტარებაში ჩაძირული ბორცვები კვამლისფრად ბოლავდა) იქითის ბაღებში, სადაც უმიზეზოდ ტირიან მტირალა ტირიფები და სამ ჩანჩქერად გადმოვარდნილი ნაკადული, თავზე სამი პატარა ცისარტყელას დიადემით, ჩქაფუნით ეშვება ტბაში, რომელზეც თავის ანარეკლთან შეტყუპებული გედი დაცურავს. სწორი

მდელოები, როდოდენდრონები, მუხნარი; მუდამ დამალობანას თამაშში გართული მწვანეჩექმიანი, მხიარული მებაღეები; რომელიღაც მღვიმე, რომელიღაც იდილიური მერხი, რომელზეც სამ ოინბაზს სამი აკურატული გროვა დაუტოვებია (ფანდია – ყავისფრად შეღებილი თუნუქის სატყუარაა), რომელიღაც პატარა ირემი, ხეივანში გამომხტარი და მაშინვე თქვენ თვალწინ მზის მთრთოლავ არილებად გარდასახული, – აი, როგორი იყო ის ბაღები! იქ, იქ – მარფინკას ტიტინი, მისი ფეხები გრძელყელიან თეთრ წინდებსა და ხავერდის ფეხსაცმელში, ცივი ძუძუები და ვარდისფერი კოცნა, მარწყვის გემო რომ ჰქონდა. ნეტა ახლა აქედან დაანახვა – თუნდაც ხეთა კენწეროები, თუნდაც შორეული ბორცვების მწკრივი...

ცინცინატმა ხალათი უფრო მჭიდროდ შემოიხვია, – უფრო მაგრად შეიკრა, – ორივე ხელი ჩასჭიდა მაგიდას და გამოსწია აყვირებული და გაავებული: როგორ უძალიანდებოდა, რა ძაგძაგით მოაფხაჭუნებდა ქვის იატაკს; მისი ძაგძაგი ედებოდა ცინცინატის თითებს, სასას, – ცინცინატი უკან-უკან იხევდა, ფანჯრისკენ (ანუ კედლისკენ, რომელშიც მაღლა, ძალიან, ძალიან მაღლა, – გისოსებს მიღმა, – ფანჯრის დამრეცი ღრმული მოჩანდა). ჩამოვარდა რაკუნა კოვზი, ფინჯანი აცეკვდა; დაგორდა ფანქარი, წიგნი წიგნიდან ჩამოცურდა. ცინცინატმა ტლინკია სკამი მაგიდაზე შემოდგა და ბოლოს, თვითონაც შედგა ზედ. რა თქმა უნდა, არაფერი მოჩანდა, – მხოლოდ ჭაღარა ზილფებით წვრილად დასერილი თაკარა ცა – იმ ღრუბლების დანატოვარი, სილურჯე რომ ვერ აეტანა. ცინცინატი ძლივს მისწვდა ცხაურს, რომლის უკან ფანჯრისკენ მიმავალი გვირაბის აღმართი იწყებოდა, ბოლოში მეორე ცხაურითა და მისი სინათლის ორეულით ატკეჩილი კედლის ქვის ფერდზე. იქვე, გვერდით, ისეთივე სუფთა, ამპარტავნული ხელით – წეღან წაკითხული, ნახევრად წაშლილი წინადადებათაგანი, – ეწერა: „არაფერი ჩანს, მეც ვცადე“.

ფეხის წვერებზე შემდგარ ცინცინატს, რომელსაც ძალიან დიდი ფეხსაცმელებიდან ქუსლები ამოსწეოდა და დაძაბულობისგან გათეთრებული პატარა ხელები რკინის შავი გისოსისთვის ჩაეჭიდა, ნახევარ სახეზე მზის ცხაური მისდგომოდა, მარცხენა

ულვაში ოქროსფრად უბრწყინავდა და კრიალა გუგებშიც თითო პაწაწკინტელა, ოქროსფერი ცხაური ენთო.

– ასე ჩამოვარდებით კიდეც, – უთხრა როდიონმა, რომელიც უკვე ნახევარი წუთი იქნებოდა, რაც იქ იდგა და ახლა აქანავებული სკამის ფეხისთვის ხელი მაგრად ჩაევლო, – არა უშავს, არა უშავს, მიჭირავს. შეგვიძლია, ჩამოვძვრეთ.

როდიონს კესანესავით თვალები და საოცრად წითური და გაფანჩული წვერი ჰქონდა. ლამაზი, რუსული სახე ახლა ცინცინატისკენ აეღირა, რომელსაც ზედ შიშველი ფეხი დაედგა, – ანუ მის ლანდს დაედგა, თავად ცინცინატი კი უკვე სკამიდან მაგიდაზე ჩამოსულიყო. როდიონმა იგი ჩვილი ბავშვივით აიტატა და ძირს ფრთხილად ჩამოსვა, – მერე მაგიდა წრიპინ-წრიპინით ისევ თავის ადგილზე მისწია, კიდეზე ჩამოჯდა და ცალი ფეხი – ის, ზემოთ მოქცეული, – გააქნია, ცალით კი იატაკს დაეყრდნო და ყალბად უტიფარი სახე მიიღო, როგორიც ოპერის დარდიმანდებს აქვთ ხოლმე სამიკიტნოს სცენაში[5]. ცინცინატი ხალათის ზონარს აწვალებდა, თვალი დაეხარა და ცდილობდა, არ ატირებულიყო.

როდიონი ბარიტონული ბანით მღეროდა, თვალებს აჟუჟუნებდა და ცარიელ კათხას იქნევდა. ამ თავზეხელაღებულთა სიმღერას წინათ მარფინკაც მღეროდა ხოლმე. ცინცინატს ცრემლი წასკდა. რომელიღაც უმაღლეს ნოტზე როდიონმა კათხა დაახეთქა და მაგიდიდან ჩამოხტა. ამის მერე უკვე გუნდურად მღეროდა, თუმცა, მარტო იყო. უცბად ორივე ხელი მაღლა ასწია და გავიდა.

იატაკზე მჯდარმა ცინცინატმა ცრემლიანი თვალით მაღლა აიხედა, სადაც ცხაურის ანარეკლს ადგილი უკვე მოენაცვლებინა. შეეცადა, – რატომ მეასედ არა, – მაგიდა გამოეწია, მაგრამ ვაი, რომ მისი ფეხები უხსოვარი დროიდან ჩაეხრახნათ. ცინცინატმა ყურძნის მარცვალი შეჭამა და საკანში ისევ წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი. ოცდაორი წლისა, საბავშვო ბაღის ფა რიგის მასწავლებლად გადაიყვანეს და მაშინვე, მარფინკაც შეირთო. ლამის იმავე დღეს, რა დღესაც თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას შეუდგა (რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კოჭლი, კუზიანი და ელამი ბავშვები გაერთო), მავანი მნიშვნელოვანი გვამისგან მასზე მეორე ხარისხის დასმენა შევიდა. ფრთხილად, ვარაუდის სახით, გამოთქმული იყო მოსაზრება ცინცინატის მთავარ არალეგალურობაზე. ამ მემორანდუმთან ერთად ქალაქის მამებმა განიხილეს ძველი საჩივრებიც, რომლებიც დროგამოშვებით შემოდიოდა ხოლმე ცინცინატ ც.-ზე სახელოსნოში მომუშავე, მისი ყველაზე გამჭრიახი ამხანაგებისგან. აღმზრდელობითი საბჭოს თავმჯდომარე და ზოგი თანამდებობის პირი, რიგრიგობით იკეტებოდა მასთან ერთად და კანონით დაშვებულ ცდებს ატარებდა. რამდენიმე დღე-ღამე საშუალებას არ აძლევდნენ დაეძინა, აიძულებდნენ გულის წასვლამდე სწრაფად და უაზროდ ელაქლაქა, წერილი მიეწერა ნაირ-ნაირი საგნისთვის, სხვადასხვა

ბუნებრივი მოვლენისთვის, გაეთამაშებინა ყოფითი სურათები, აგრეთვე მიებაძა სხვადასხვა ცხოველისთვის, ხელობისთვის და სნებისთვის. მან ეს ყველაფერი გააკეთა, ეს ყველაფერი გადაიტანა, რადგან იყო ახალგაზრდა, გამჭრიახი, იყო მხნე და სწყუროდა ცხოვრება, – ეცხოვრა ცოტა ხანს, მარფინკასთან ერთად. უხალისოდ გამოუშვეს, ნება დართეს, გაეგრძელებინა მუშაობა ბოლო გადარჩევისგან მორჩენილ ბავშვებთან, რომლებიც არ დაგენანებოდა, რათა ენახათ, აქედან რა გამოვიდოდა. ციცინატს ისინი წყვილ-წყვილად

დაწყობილი დაჰყავდა სასეირნოდ, უკრავდა პატარა პორტატულ მუსიკალურ ყუთზე, რომელიც ყავის წისქვილსა ჰგავდა და დღესასწაულებზე მათთან ერთად ქანაობდა საქანელაზე: მთელი გუნდი სუნთქვაშეკრული მიქროდა მაღლა და წიოდა, როცა ქვემოთ დაეშვებოდა. ზოგიერთს ცინცინატი კითხვას ასწავლიდა.

მარფინკა კი ქორწინების პირველივე წლიდან ღალატობდა – ვისთანაც მოხვდებოდა და სადაც მოხვდებოდა. როდესაც ცინცინატი, ჩვეულებრივ, შინ ბრუნდებოდა, იგი რაღაცნაირი მაძღარი ღიმილით მრგვალ ნიკაპს ყელზე ისე მიიჭერდა, თითქოს თავს საყვედურობდა, წაბლისფერი წრფელი თვალებით შეხედავდა და დაბალი, მტრედივით ღუღუნა ხმით ეუბნებოდა: მარფინკამ დღეს ეს ისევ გააკეთა. ცინცინატი რამდენიმე წუთს ქალივით ლოყაზე ხელმიდებული შეაცქერდებოდა ხოლმე, მერე კი უხმო ყმუილით გაივლიდა მარფინკას ნათესავებით სავსე ოთახებს, ტუალეტში ჩაიკეტებოდა და ტირილის ხმა რომ ჩაეხშო, ფეხებს აბარტყუნებდა, წყალს ათქრიალებდა და ახველებდა. ხანდახან მარფინკა თავს იმართლებდა და განუმარტავდა, – შენ ხომ იცი, რა კეთილი ვარ: ჩემთვის ეს ისეთი წვრილმანია, კაცებისთვის კი ისეთი შვებაა.

მარფინკა მალე დაფეხმძიმდა – ოღონდ მისგან არა, – და ბიჭი გააჩინა; ისევ დაფეხმძიმდა – ისევ მისგან არა, – და გოგო გააჩინა. ბიჭი კოჭლი და ავი იყო, გოგო – გონებაჩლუნგი, სქელი და თითქმის ბრმა. ამ ხინჯის გამო, ორივე ცინცინატთან მოხვდა, ბაღში და უცნაური სანახავი იყო, როდესაც ტანად, ლოყაწითელ და მარჯვე მარფინკას ეს ქონის კასრი შინ მიჰყავდა. ცინცინატი თანდათან უგულისყურო გახდა, თავს ყურადღებას სულ აღარ აქცევდა და ერთხელაც, ქალაქის პარკში, რომელიღაც ღია კრებაზე, ხალხი შეშფოთდა და ერთმა ხმამაღლა თქვა: მოქალაქენო, ჩვენ შორის არის – ამას მოჰყვა საშინელი, თითქმის დავიწყებული სიტყვა, – და ცინცინატმა

იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ ამდგარიყო და წამოსულიყო. მოდიოდა და გზისპირა ბუჩქებს ფოთლებს აწიწკნიდა. ათი დღის შემდეგ კი დააკავეს.

– ალბათ ხვალ, – თქვა ცინცინატმა, რომელიც საკანში ნელა მიმოდიოდა, – ალბათ ხვალ, – თქვა ცინცინატმა, შუბლი მოისრისა და ნარზე ჩამოჯდა. დაისის სხივი უკვე ნაცნობ ქარგას იმეორებდა. „ალბათ ხვალ, – ამოიოხრა ცინცინატმა, – დღეს მეტისმეტი სიწყნარეა, აი, ხვალ კი, დილაადრიან...“

ერთხანს ყველა ჩუმად იყო: თიხის სურა – ფსკერზე ჩარჩენილი წყლიანად, ქვეყნად ყველა პატიმრის დამარწყულებელი; კედლები – მხარდამხარ მდგარი, კვადრატული საიდუმლოს უჩუმარი ჩურჩულით განმსჯელი ოთხეული; ხავერდოვანი ობობა, რომელიც რაღაცით მარფინკას ჰგავდა; დიდი შავი წიგნები მაგიდაზე...

„წარმოუდგენელია!“ – თქვა ცინცინატმა, უცბად გაიცინა, ზეზე წამოდგა და ხალათი და ფეხსაცმელი გაიძრო, მერე „ერმოლკაც“ მოიხადა, – გაიხადა ტილოს შარვალ-პერანგი, პარიკივით მოიძრო თავი, ღვედებივით მოიხსნა ნეკნები, ჯაჭვის პერანგივით გადაიძრო გულის ფიცარი, მოიძრო თეძოები, ფეხები, მოიძრო და კუთხეში თათმანივით მიყარა ხელები და ბოლოს, იმან, რაც მისგან დარჩა, ჰაერი ოდნავ შეფერაა და დაიცარა. თავიდან, ცინცინატი, უბრალოდ, ტკბებოდა სიგრილით, მერე მთლიანად გადაეშვა თავის საიდუმლო გარემოში, – იგი, მასში, თავისუფლად და მხიარულად. გაიხრაგუნა რკინის ურდულმა და ცინცინატმა მყისვე აისხა ყველაფერი, რაც გაიძრო, – „ერმოლკაც“ კი. მედილეგე როდიონმა მრგვალი კალათით, რომელიც ვაზის ფოთლებით იყო გამოგებული, ერთი დუჟინი ქარვასავით ქლიავი შემოუტანა – დირექტორის მეუღლის ძღვენი.

ცინცინატ, შენმა დანაშაულებრივმა ვარჯიშმა გამოგაცოცხლა.

III

ცინცინატი ხმების ავბედითმა გუგუნმა გამოაღვიძა, რომელიც დერეფანში ძალას იკრებდა.

მართალია, წუხელ ასეთი გამოღვიძებისთვის ემზადებოდა, მაგრამ ვერც სუნთქვასა და ვერც გულს ვერაფერს უხერხებდა. საბნის ყური გულს დააფარა, რომ არ დაენახა, – ჩუ, ეგ არაფერი (ასე ეუბნებიან ხოლმე ბავშვებს, თავსდატეხილი არნახული უბედურების დროს), – გულს რომ მიაფარა, ცინცინატმა წამოიწია და მიაყურადა. სმენადობის სხვადასხვა შრეში ბევრი ნაბიჯის ფრატუნი და ბევრნაირი ხმა ისმოდა – ისიც ბევრნაირ ჭრილში; ერთი ხმა კითხვით მოვარდებოდა და მეორე – უფრო ახლო, უპასუხებდა; ვიღაც შორიდან გამოქანდა და როგორც ყინულზე ქვა, ისე გამოსრიალდა. დირექტორის ბარიტონმა ხმების ყაყანში რამდენიმე სიტყვა დაიბუბუნა – გაურკვევლად, მაგრამ აშკარად მბრძანებლურად. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამ აურზაურში ბავშვის ხმაც ისმოდა, – დირექტორს ქალიშვილი ჰყავდა. ცინცინატმა თავისი ვექილის წუწუნა ტენორიც გაარჩია და როდიონის ბურდღუნიც... აი, ახლაც, ვიღაცამ კითხვა სირბილით ისროლა და პასუხიც ესროლეს. ხვნეშა, ლაწანი, რაკუნი, – თითქოს დახლქვეშ ჯოხს უფხაკუნებდნენ და ეძებდნენ. „ვერ იპოვეთ?“ – გარკვევით იკითხა დირექტორმა. ვიღაცამ გაირბინა – ირბინა, ირბინა და ისევ მოირბინა. გასავათებულმა ცინცინატმა ფეხი ნარიდან იატაკზე ჩამოუშვა. მარფინკასთან პაემანი არ მისცეს... მე ჩავიცვა, თუ თვითონ გამომაწყობენ? ოჰ, კმარა, შემოდით...

მაგრამ ორიოდე წუთი კიდევ აწამეს. უცბად კარი გაიღო და ვექილი სრიალით შემოიჭრა.

გაბურძგნული და გაოფლილი იყო. მარცხენა მანჟეტს აწვალებდა და თვალებს აცეცებდა.

– სამაგრი დავკარგე[6], – წამოიძახა ძაღლივით აქასქასებულმა, – რაღაცას გამოვდე... ალბათ... როდესაც საყვარელ ემოჩკასთან... ყაჩაღანა ყოველთვის კალთაზე... როცა კი შევალ... რაც მთავარია, გავიგონე, რომ ვიღაც... მაგრამ არ მივაქციე... ნახეთ, ძეწკვი აშკარად... ძალიან ვუფრთხილდებოდი... რა გაეწყობა... იქნებ მაინც... ყველა დარაჯს შევპირდი... აფსუსია...

– სულელურად შევცდი, ნამძინარევზე, – ხმადაბლა თქვა ცინცინატმა, – ის ფაციფუცი სხვანაირად ავხსენი. გულისთვის ეს მაწყინარია.

– არა, რას ბრძანებთ... გმადლობთ, არა უშავს, – უგულისყუროდ წაიბუტბუტა ვექილმა და თან საკნის ყველა კუთხე-კუნჭულს თვალითა ჩხრეკდა. ეტყობოდა, რომ ძვირფასი ნივთის დაკარგვა სწყინდა. ეს აშკარად ჩანდა. ძვირფასი ნივთი იყო და გული სწყდებოდა, რომ დაკარგვოდა.

ცინცინატმა ჩუმად ამოიგმინა და ისევ ლოგინში ჩაწვა. ვექილი ფერხთით ჩამოუჯდა.

– აი, თქვენთან მოვდიოდი, – თქვა ვექილმა, – ისე ყოჩაღად, მხიარულად... ამ წვრილმანმა კი გუნება წამიხდინა, – რადგან ბოლოს და ბოლოს, დამეთანხმეთ, რომ ეს წვრილმანია, – ამაზე მნიშვნელოვანი სხვაც ბევრია. აბა, როგორა ხართ?

– განწყობილი გულღია საუბრისთვის, – თვალი მოხუჭა და მიუგო ცინცინატმა, – მინდა, ზოგი ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ. გარშემორტყმული ვარ რაღაც უბადრუკი აჩრდილებით და არა ადამიანებით. ისინი ისე მაწამებენ, როგორც შეიძლება გაგაწამოს მხოლოდ უაზრო ლანდებმა, ცუდმა სიზმარმა, სულელურმა ნაბოდვარმა, უჟმურის ღვარცოფმა, – ყველაფერმა იმან, რასაც

ცხოვრებას ეძახიან. თეორიულად გაღვიძება მსურს. ოღონდ, ვიცი, რომ სხვის დაუხმარებლად ვერ გავიღვიძებ. ამ დახმარებისა კი ჭკუიდან შეშლამდე მეშინია. ეგეც არ იყოს, სულიც გამიზარმაცდა, – მიეჩვია თავის ვიწრო არტახებს. ყველა აჩრდილიდან, რომლებიც გარს მახვევია, თქვენ, რომან ვისარიონოვიჩ, მგონი, ყველაზე უბედრუკი ხართ, მაგრამ მეორეს მხრივ, – ამ ჩვენს გამოგონილ ცხოვრებაში, თქვენი ლოგიკური მდგომარეობით, – თქვენ ერთგვარი მრჩეველივით, მფარველივით ხართ...

– თქვენს განკარგულებაში მიგულეთ, – უთხრა ვექილმა, – გახარებულმა, რომ ცინცინატმა, როგორც იქნა, ენა ამოიდგა.

– ჰოდა, აი, მინდა, გკითხოთ, რა მიზეზია, რომ უარს მეუბნებიან მაცნობონ, როდის დამსჯიან. დაიცათ, ჯერ არ დამიმთავრებია. ის, ეგრეთ წოდებული, დირექტორი პირდაპირ პასუხს თავს არიდებს და იშველიებს, რომ... არა, დამაცადეთ! მინდა ვიცოდე, ჯერ ერთი, ვისზეა დამოკიდებული ამ დღის დანიშვნა და მეორეც, მინდა ვიცოდე, როგორ მივაღწიო, გასაგები პასუხი მივიღო ამ დაწესებულებისგან, ან პირისგან, ან პირთა კრებულისგან...

ვექილი, რომელიც ცოტა ხნის წინ, სიტყვას აწყვეტინებდა, ახლა რატომღაც დუმდა. მისი შეღებილი სახე, ლურჯი წარბები და გრძელი კურდღლის ტუჩი აზროვნებას დიდად არ გამოხატავდა.

– თავი დაანებეთ პერანგის ყოშს და ეცადეთ აზრი მოიკრიბოთ, – უთხრა ცინცინატმა.

რომან ვისარიონოვიჩმა სხეულის მდგომარეობა უცბად შეიცვალა, მოუსვენარი ხელები ერთმანეთს ჩააწნა და აწუწუნდა:

– აი, ამ კილოს გამოა, რომ...

– სიკვდილით დამსჯიან, – თქვა ცინცინატმა, – ვიცი. გისმენთ!

– მოდით სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, გევედრებით, – შესძახა რომან ვისარიონოვიჩმა, – რატომ არ შეგიძლიათ, ახლა მაინც ნებადართულის ფარგლებს არ გასცდეთ? მერწმუნეთ, ეს საშინელებაა, – ეს ჩემს ძალას აღემატება. თქვენთან იმიტომ მოვდიოდი, რომ მეკითხა, რამე კანონიერი სურვილი ხომ არ გაქვთ-მეთქი... მაგალითად (აქ სახე გამოუცოცხლდა), ეგება გსურთ გქონდეთ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები, ნაბეჭდი სახით? ასეთი სურვილი თუ გაქვთ, ვალდებული ხართ, უმოკლეს დროში შეიტანოთ შესაბამისი თხოვნა, რომელსაც მე და თქვენ, აი, ახლავე, ერთად შევადგენდით, – დაწვრილებით მითითებული მოტივირებითურთ, – სიტყვების რამდენი ეგზემპლარი გჭირდებათ და რა მიზნით. სწორედ თავისუფალი ერთი საათი მაქვს. ოჰ, მოდით, მოდით რა, ამას ჩავუჯდეთ, გთხოვთ! ამისთვის სპეციალური კონვერტიც კი გავამზადე.

– მხოლოდ თავის შესაქცევად... – ჩაილაპარაკა ცინცინატმა, – ოღონდ, ჯერ... ნუთუ მართლა ვერ მივაღწევთ, რომ პასუხი გაგვცენ?

– სპეციალური კონვერტი, – აცდუნებდა ვექილი.

– კარგი, მომეცით, – უთხრა ცინცინატმა და სქელგულა კონვერტი ფხრიწინა, ვიწრო და დახვეულ ნაკუწებად აქცია.

– ეგ არ უნდა გექნათ, – ლამის ატირდა ვექილი, – არ უნდა გექნათ. ვერც კი ხვდებით, რა ჩაიდინეთ. შეიძლება იქ შეწყალების ბრძანება იდო. მეორეს ვეღარ მივიღებთ!

ცინცინატმა ნაკუწების გროვა მოხვეტა და შეეცადა ერთი წინადადება მაინც აეწყო, მაგრამ ყველაფერი არეულ-დარეული, დამახინჯებული და დაქუცმაცებული იყო.

– აი, სულ ასე იცით ხოლმე, – ზუზუნებდა ვექილი, რომელსაც საფეთქლებზე ხელი მიეჭირა და საკანში მიდი-მოდიოდა, – იქნებ ხელში თქვენი ხსნა გეჭირათ, თქვენ კი ასე... საშინელებაა! აბა, რა გიყოთ? ახლა ამას აღარაფერი ეშველება... მე კი ისეთი გახარებული... ისე ვცდილობდი, შემემზადებინეთ...

– შეიძლება? – კარი შემოაღო და სიტყვა გაწელა დირექტორმა, – ხელს ხომ არ შეგიშლით?

– გთხოვთ, როდრიგ ივანოვიჩ, გთხოვთ, – უთხრა ვექილმა, – როდრიგ ივანოვიჩ, ძვირფასო, გთხოვთ. ოღონდ, ჩვენთან არცთუ დიდი მხიარულებაა...

– აბა, როგორა გვყავს დღეს ჩვენი სიმპათიური სიკვდილმისჯილი, – იხუმრა ელეგანტურმა დირექტორმა და ცინცინატის პატარა და ცივ ხელს ხორცსავსე მოლურჯო ხელი მოუჭირა, – ხომ არაფერი უჭირს? ხომ არაფერი სტკივა? ლაპარაკობთ და ლაპარაკობთ ჩვენს დაუღალავ რომან

ვისარიონოვიჩთან, არა? ჰო, მართლა, რომან ვისარიონოვიჩ, გენაცვალე... გაგახარებთ, – ეს-ესაა ჩემმა კუდრაჭამ თქვენი სამაგრი კიბეზე იპოვა. La voici[7]. ეს, მგონი, ფრანგული ოქროა, არა? ფრიად ნატიფი რამაა. ქათინაურები არ მიყვარს, მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრათ...

ორივე კუთხეში მიდგა და ისეთი სახე მიიღო, ვითომ იმ მომხიბლავ რაღაცას ათვალიერებდა, – მის წარმომავლობაზე, მის ფასზე მსჯელობდა. ცინცინატმა ამით ისარგებლა, რომ ნარის ქვემოდან გამოეძრო – მძივივით წვრილი რაწკუნით, ბოლოსკენ ნაწყვეტ-ნაწყვეტ...

– დიახ, ძალიან ნატიფია, ძალიან ნატიფია, – იმეორებდა დირექტორი და ვექილთან ხელგამოდებული მოდიოდა, – მაშასადამე, ჯანმრთელად ხართ, ყმაწვილო, – უაზროდ მიმართა ცინცინატს, რომელიც ისევ ლოგინში შემძვრალიყო, – მაგრამ მაინც ნუ გაჭირვეულდებით. საზოგადოებას – და ყველა ჩვენგანს, როგორც საზოგადოების წარმომადგენელს – თქვენთვის სიკეთე სურს და მგონი, ეს აშკარაა. ჩვენ თანახმა ვართ, მარტოობაც კი შეგიმსუბუქოთ. ამ დღეებში ჩვენს ერთ-ერთ ლიტერულ საკანში ახალი ტუსაღი დაბინავდება. გაიცანით, გულს გადააყოლებთ.

– ამ დღეებში? – ჩაეკითხა ცინცინატი, – გამოდის, დღე კიდევ რამდენიმე იქნება?

– ოჰ, რა კაცია! – გაიცინა დირექტორმა, – უნდა, რომ ყველაფერი იცოდეს. ასეა არა, რომან ვისარიონოვიჩ?

– ოჰ, ნუ მკითხავთ! – ამოიოხრა ვექილმა.

– ჰო-ო, – გასაღებები ააჩხრიალა და განაგრძო დირექტორმა, – ცოტა მეტი თვინიერება გმართებთ, ბატონო ჩემო. თორემ სულ ბრაზობთ, უკადრისობთ, ამპარტავნობთ. წუხელ ამათ, მაშასადამე, ქლიავი მოვუტანე, ჰოდა, რა გგონიათ? პირიც არ დააკარა. ვიუკადრისეთ. დიახ-თს. ჰო, ახალ პატიმარზე გეუბნებოდით. რამდენიც გინდათ, იმდენი იყბედეთ მასთან, თორემ, აგე, ცხვირი როგორ ჩამოგიშვიათ. რა, ასე არ არის, რომან ვისარიონოვიჩ?

– ასეა, როდიონ, ასე, – უნებლიეთ გაუღიმა და დაუდასტურა ვექილმა.

როდიონმა წვერზე ხელი ჩამოისვა და განაგრძო:

– ძალიან კი შემბრალდნენ, – შემოვდივარ და რასა ვხედავ: – მაგიდაზე სკამი შემოუდგამთ, ზედ შემდგარან, ფეხის წვერებზე აწეული გაჭიმულან, – ფეფუნებსა და ფაცუნებს ძალას ატანენ, მაიმუნივით ეპოტინებიან, რომ მისწვდნენ. ცა კი ისეთი კამკამა ლურჯია, ნამგალები დაფრინავენ, ღრუბლები მიცურავს, – ღვთის თვალი ტრიალებს, გული ხარობს! ბალღივით ატატებული ჩამომყავს იქიდან, იმ სკამიდან, თვითონ კი ცრემლებს ვაღვარღვარებ, – ამისმა მადლმა, ასე იყო! – ვბღაოდი... გულ-გვამი დამეთუთქა, ისე შემბრალდნენ.

– ზემოთ ხომ არ ამეყვანა? – ყოყმანით თქვა ვექილმა.

– ჰო, ეგ შეიძლება, – გულკეთილად, დარბაისლურად განაგრძო როდიონმა, – ეგ მუდამაც შეიძლება.

– ხალათი შემოიცვით, – უთხრა რომან ვისარიონოვიჩმა ცინცინატს.

ცინცინატმა თქვა:

– გემორჩილებით თქვენ, – აჩრდილებო, მაქციებო, პაროდიებო. გემორჩილებით. მაგრამ მაინც მოვითხოვ, გესმით, მოვითხოვ (მეორე ცინცინატმა ფეხი ისტერიულად დააბაკუნა და ფეხსაცმელი უკუღმა ყარა), მითხრათ, რა ხნის სიცოცხლე დამრჩა... და შემახვედრებენ თუ არა ცოლს.

– ალბათ შეგახვედრებენ, – მიუგო რომან ვისარიონოვიჩმა და როდიონს გადახედა, – ოღონდ ამდენს ნუ ლაპარაკობთ. აბა, წავედით.

– მობრძანდით, – თქვა როდიონმა და გაღებულ კარს მხარი მიჰკრა.

სამივენი გავიდნენ. წინ როდიონი მიდიოდა – უბეჩამოჩაჩული, ფეხმოქცეული, გახუნებული შარვლით, როდიონს ვექილი მიჰყვებოდა – ფრაკში გამოწყობილი,

წვირეს ჩრდილით ცელულოიდის საყელოზე და ვარდისფერი ზოლით კისერზე – იქ, სადაც შავი პარიკი თავდებოდა, სულ ბოლოს კი ცინცინატი მიფრატუნებდა, რომელსაც წარამარა ფეხსაცმელი სძვრებოდა და ხალათის კალთებს ტანზე იხვევდა.

დერეფნის მოსახვევში მეორე გუშაგმა – უსახელომ, ხელი მეგობრულად აუღო. ქვის ცრიატ ფერს ბინდის ნაჭრები ენაცვლებოდა. მიდიოდნენ და მიდიოდნენ, – მოსახვევი, კიდევ მოსახვევი, – რამდენჯერმე ჩაუარეს ერთსა და იმავე კედელს, რომელზეც ნესტის ლაქა ნეკნებამოჩრილ, საშინელ ჯაგლაგსა ჰგავდა. ზოგან ნათურის ანთება დასჭირდათ. მტვრიანი

ნათურა ხან მაღლიდან, ხან კი გვერდიდან, მჭახე ყვითლად ინთებოდა. ნათურა ზოგან მკვდარი იყო და მაშინ სქელ კუნაპეტში მიფრატუნებდნენ. ერთ ადგილას, რომელსაც მოულოდნელად და სრულიად გაუგებრად მზის სხივი ეცემოდა და დაბზარულ ფილაქანზე გადამტყდარი, ციალით ბოლავდა, დირექტორის ქალიშვილი ემოჩკა – პრიალა კუბოკრულკაბიანი და კუბოკრულწინდებიანი, – ჯერაც სულ ღლაპი, მაგრამ პატარა მოცეკვავის მარმარილოს კანჭებით, – ბურთს თამაშობდა; ბურთი კედელს თანაბარი ტყაპუნით ეხლებოდა. გოგონა შემობრუნდა, მეოთხე და მეხუთე თითით ქერა ნაწკები ლოყაზე გასმით მოიშორა სახიდან და მოკლე მსვლელობა თვალით გააცილა. როდიონმა გასაღებები ალერსიანად ააჩხრიალა, ვექილმა დაუდევრად გადაუსვა ხელი ოქროსფერ თმაზე, მაგრამ გოგონა მხოლოდ ცინცინატს უყურებდა, რომელმაც შეშინებულმა გაუღიმა. დერეფნის მომდევნო მისაქციელს რომ მიადგნენ, უკან მოიხედეს. ემოჩკა ისევ უყურებდათ და შავ-წითლად აპრიალებულ ბურთს ხელში ოდნავ ახტუნავებდა.

სიბნელეში კიდევ დიდხანს იარეს და ბოლოს ჩიხს მიადგნენ. ბრანდსპოიტის მოხვეული ნაწლავის თავზე წითელი ნათურა ანათებდა. როდიონმა დაბალი, რკინით შეჭედილი კარი გააღო; კარს მიღმა ვიწროდ დახვეული ქვის კიბე ადიოდა. აქ თანმიმდევრობა ცოტა შეიცვალა: როდიონი რიტმულ „ადგილზე ნაბიჯით იარზე“ გადავიდა, გაატარა ვექილი, მერე – ცინცინატი, მერე კი ფეხი რბილად მოინაცვლა და მსვლელობა ჩაკეტა. ციცაბო კიბეზე ასვლა, რომლის სიგრძის კვალდაკვალ ბინდი ნება-ნება ფერმკრთალდებოდა, იოლი არ იყო; იმდენ ხანს ადიოდნენ, რომ ცინცინატი გულის გადასაყოლებლად, საფეხურების თვლას შეუდგა; სამნიშნა რიცხვამდე დაითვალა, მაგრამ წაიბორძიკა და სათვალავი აერია. ჰაერი ჩუმად ფითრდებოდა. დაღლილი ცინცინატი კიბეზე ბავშვივით ადიოდა – საფეხურს სულ ერთი და იგივე ფეხით

იწყებდა. კიდევ ერთი მოხვევა და უცბად ქარი სახეში დაეძგერათ, ზაფხულის თვალისმომჭრელად კაშკაშა ცამ თვალებში ჩაანათათ და ყურში მერცხლების ჭყივილი მისწვდათ.

ჩვენი მოგზაურები კოშკის განიერ ტერასაზე აღმოჩნდნენ, საიდანაც სუნთქვის შემკვრელი, თვალუწვდენელი ხედი იშლებოდა, რადგან მხოლოდ ვეება კოშკი კი არა, ვეება ციხესიმაგრე გადმოყუდებულიყო ვეება კლდეზე, რომელსაც იგი ალბათ რაღაც საშინელ ქმნილებად ეჩვენებოდა. შორს, ქვემოთ, ლამის ციცაბოზე გაშენებული ვენახები მოჩანდა, ხოლო გზა ნეტარებით იხვეოდა და დამშრალი მდინარის კალაპოტისკენ მიემართებოდა; კუზიან ხიდზე ვიღაც წითლპერანგა ციდა მიდიოდა, წერტილი კი, რომელიც მის წინ მირბოდა, ალბათ ძაღლი იყო.

იქით, მზის გულზე, ქალაქი რკალად გაწოლილიყო: ნაირფერი სახლების რიგი, რომელსაც ხის მრგვალი ვარჯები გასდევდა, ერთ ხაზზე ჩარაზმულიყო, ხან ფერდობზე ცერად დაყუდებულს, ფეხი თავისსავე ჩრდილზე დაედგა. პირველ ბულვარზე მოძრაობის გარჩევაც შეიძლებოდა, განსაკუთრებით კი, ციმციმისა მის ბოლოს, სადაც ცნობილი შადრევანი ცქრიალებდა; უფრო შორს, კვამლისფრად დანაოჭებული გორაკებისკენ, რომლებიც ჰორიზონტს კეტავდა, ჭავლი აეყარა შავად აქოჩრილ მუხნარს; აქა-იქ, პატარა ჯიბის სარკესავით ციალებდა ტბა, ხოლო ნაზ ბურუსში ანთებულ წყლის სხვა პრიალა ოვალებს თავი იქით, დასავლეთისკენ მოეყარა, საიდანაც სტროპის სხივმოიეფე ცხოვრება იწყებოდა. ლოყაზე ხელშემოდებული ცინცინატი წარმოუდგენლად ბუნდოვანი და ნეტარი სასოწარკვეთილებითაც კი, უძრავად გასცქეროდა იქითის ბაღების ნისლსა და ბრწყინვას, – მტრედისფრად დაღვენთილ ბორცვებს მის გადაღმა, – ოჰ, დიდხანს თვალი ვერ მოეწყვიტა...

ხოლო მისგან რამდენიმე ნაბიჯზე, ქვის განიერ მოაჯირზე, ზედ რაღაც ყოჩაღი მარცვლეული რომ მოსდებოდა, იდაყვები დაეყრდნო ვექილს, რომელსაც ზურგი კირით დასვროდა. იგი ჩაფიქრებული გაჰყურებდა შორეთს, ლაქის ფეხსაცმლიანი მარცხენა ფეხი მარჯვენაზე დაებიჯებინა და ლოყები ხელით ისე გაეწია, რომ უპეები ამობრუნებოდა. როდიონს სადღაც ცოცხისთვის მიეგნო და ტერასის ფილებს უხმოდ გვიდა.

– რა მომხიბლავია, – უთხრა ცინცინატმა ბაღებსა და ბორცვებს (ამ სიტყვის – „მომხიბლავიას“, ქარში გამეორება განსაკუთრებით სიამოვნებდა, ბავშვისა არ იყოს, რომელიც ყურებზე ხელს ხან მიიჭერს, ხან გაუშვებს და სამყაროს განახლებული ხმებით ერთობა), – მომხიბლავია! ეს ბორცვები, აი, ასეთი არასდროს მინახავს, ასეთი იდუმალი. ნუთუ მათ ღრანტეებში, მათ ჩრდილიან მინდვრებზე არ შეიძლებოდა, რომ მე... არა, არ ღირს ამაზე ფიქრი.

ცინცინატმა ტერასას შემოუარა. ჩრდილოეთით გადაჭიმულ დაბლობზე ღრუბლების ჩრდილი მიცურავდა. საძოვრებს კალოები მოსდევდა. მთავარი გზის მისაქციელში მოჩანდა ნახევრად აბალახებული აეროდრომი და ნაგებობა, სადაც დაევანა პატივდებულ და მიხრწნილ, ფერად-ფერად საკერებელდადებულ, ჟღალფრთიან თვითმფრინავს, რომელიც შიგადაშიგ ახლაც გამოდიოდა დღესასწაულებზე, –

მეტწილად, ხეიბრების გასართობად. ნივთიერება დაღლილიყო. დროს ტკბილი თვლემა მორეოდა. ქალაქში ერთი კაცი ცხოვრობდა – აფთიაქარი, რომლის პეპერასაც – ასე ამბობდნენ, – ჩანაწერი დაეტოვებინა, როგორ დაფრინავდნენ ვაჭრები ჩინეთში.

ცინცინატმა ტერასას შემოუარა და ისევ სამხრეთის მოაჯირს დაუბრუნდა. მისი თვალები

უაღრესად უკანონოდ დასეირნობდა. ეჩვენებოდა, რომ უკვე იმ გაფეთქილ ბუჩქსაც ხედავდა, იმ ჩიტსაც და იმ ბილიკსაც, რომელიც ფათალოს ფანჩატურის ქვეშ გადიოდა.

– საკმარისია, – გულკეთილად უთხრა დირექტორმა, ცოცხი მიაგდო და ისევ ჩაიცვა თავისი ქურთუკი, – ჰაიდა, შინისკენ!

– ჰო, დროა, – საათზე დაიხედა და გამოეპასუხა ვექილი.

იგივე პატარა მსვლელობა გზას უკან გაუყვა. წინ დირექტორი – როდრიგ ივანოვიჩი მიდიოდა, მერე – ვექილი რომან ვისარიონოვიჩი, სულ ბოლოს კი – ცინცინატი, რომელსაც სუფთა ჰაერისგან ნერვული მთქნარება მორეოდა. დირექტორს ზურგზე ქურთუკი კირისგან დასვროდა.

IV

გოგონამ როდიონის დილის გამოცხადებით ისარგებლა, ლანგრიან ხელებქვეშ გაუძვრა და შემოვიდა.

– აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, – გააფრთხილა როდიონმა შოკოლადის ქარბუქი, უკან გაწვდილი ფეხით კარი რბილად მიხურა და ულვაშებში ჩაიბუზღუნა: დახე, როგორა ცელქობს...

ამასობაში ემოჩკა მაგიდის ქვეშ შეძვრა და ჩაცუცქდა.

– წიგნს კითხულობთ? – როდიონი სიკეთისგან ბრწყინავდა, – კარგი საქმეა.

ცინცინატმა, დასტურის იამბად, წიგნიდან თავაუღებლად ჩაიზმუკუნა, მაგრამ თვალი სტრიქონებს ვეღარ ერეოდა.

როდიონმა თავისი მარტივი ვალი მოიხადა – ჩვარი მოუქნია სხივში მოცეკვავე მტვერს, ობობა გამოკვება და წავიდა.

ემოჩკა, – ისევ ჩაცუცქული, ოღონდ უფრო თავისუფლად – თითქოს რესორებზეაო, ოდნავ ირწეოდა, პუტკუნა ხელები გადაეჯვარედინებინა, ვარდისფერი ბაგე გაეპო, გრძელსა და ქერა, თითქმის, თეთრ წამწამებს აფახულებდა, მაგიდის ქვეშიდან იჭყიტებოდა და მაღლა კარს უყურებდა; უცბად, უკვე ნაცნობი მოძრაობა: თავთუხისფერი თმა საფეთქლიდან ალალბედად,

რომელი თითებიც მოხვდა, იმით გადაიწია და ცერად გახედა ცინცინატს, რომელსაც წიგნი გადაედო და ელოდა, მერე რა მოხდებოდა.

– წავიდა, – უთხრა ცინცინატმა.

გოგონა ადგა, მაგრამ კარს ისევ წელში მოხრილი უყურებდა. დაიმორცხვა და არ იცოდა, რა ექნა. უცბად გაიკრიჭა, ბალერინას კანჭები გააელვა და კარს მივარდა, ცხადია, ჩაკეტილს. უკან გაკრულმა ფარჩის დიდმა ბაფთამ საკანში ჰაერი გამოაცოცხლა.

ცინცინატმა ორი ჩვეულებრივი კითხვა დაუსვა. ემოჩკამ მანჭვით უთხრა, რა ერქვა და თქვა, თორმეტის ვარო.

– გეცოდები? – ჰკითხა ცინცინატმა.

ამაზე პასუხი არ გაუცია. პირთან მიიტანა კუთხეში მდგარი თიხის დოქი. ცარიელი. გუგუნა. ემოჩკამ ჩასძახა და ააგუგუნა, ერთი წუთის შემდეგ კი ისევ განზე გავარდა და კედელს მიეყრდნო, – მხოლოდ ბეჭებითა და იდაყვებით ეყრდნობოდა, ფეხები გაეწვართა, ბტყელლანჩიან ფეხსაცმელს წინ აცურებდა და ისევ სწორდებოდა. ემოჩკამ ჩაიცინა, მერე კი პირქუშად, როგორც დაბალ მზეს, შეხედა ცინცინატს და ისევ დაცურდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ველური, გაუგონარი ბავშვი იყო.

– ნუთუ, არ გეცოდები? – უთხრა ცინცინატმა, – შეუძლებელია, – ვერ დავიჯერებ. მოდი, მოდი ჩემთან, უტვინო შველო და მამცნე, როდის მოვკვდები.

მაგრამ ემოჩკამ არაფერი უპასუხა, იატაკზე წყნარად დაცურდა, კაბის კალთა გადააფარა მოხრილ მუხლებს, ნიკაპით დაეყრდნო ზედ და ქვემოდან გლუვი ბარძაყები გამოაჩინა.

– მითხარი, ემოჩკა, – გეხვეწები... შენ ხომ ყველაფერი იცი, – ვგრძნობ, რომ იცი... მამაშენი იტყოდა სუფრასთან, დედაშენი ილაპარაკებდა სამზარეულოში... ყველანი, ყველანი ლაპარაკობენ. გუშინდელ გაზეთში აკურატულად ამოჭრილი სარკმელი იყო – მაშასადამე, ამაზე მსჯელობენ და მხოლოდ მე, ერთმა...

ემოჩკა, თითქოს ქარმა აიტაცაო, იატაკიდან წამოფრინდა, კარს მივარდა და დააბრახუნა – ხელისგულით კი არა, უფრო ხელის ქუსლით. მისი გაშლილი, ფერგამკრთალი, აბრეშუმივით სრიალა თმა ბოლოში კავებად იყო დახვეული.

„შენ რომ დიდი იყო, – გაიფიქრა ცინცინატმა, – შენ სულს რომ ჩემი ელფერის თუნდაც მისხალი დაჰკრავდეს, შენ, როგორც ძველ პოეტურ დროს – ბნელ ღამეს შეარჩევდი და გუშაგებს დაათრობდი...[8]

– ემოჩკა! – შესძახა მან, – გეხვეწები, მითხარი, არ მოგეშვები, მითხარი, როდის მოვკვდები?

ემოჩკა ფრჩხილების კვნეტით მივიდა მაგიდასთან, რომელზეც წიგნები იყო დაზვინული და ერთი გადაშალა, – ისეთი ტკაცუნით ფურცლავდა, ლამის გვერდები ამოეხია, – მერე დახურა და მეორე აიღო. პირზე ჭავლივით რაღაც გადაურბოდა, ხან ჭორფლიან ცხვირს იჭმუხნიდა, ხან ლოყას ენით შიგნიდან ბერავდა.

კარი ახრაგუნდა და როდიონი, რომელმაც ეტყობა საჭვრიტინოდან შემოიხედა, გვარიანად გაბრაზებული შემოვიდა.

– აცხა, ქალიშვილო! ამისთვის მე მომხვდება.

ემოჩკამ ჭყივილით გაიცინა, როდიონის ნიჩაბივით ხელს დაუსხლტა და ღია კარს მივარდა. იქ, პარმაღზე, უცბად მომხიბლავად გაქვავდა ცეკვის ილეთის ზუსტი დაცვით, ცინცინატს მხარიღლივ გადმოხედა, – ვერ გაიგებდი, ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა თუ დუმილის პირობა მისცა – მერე კი, იმავ რიტმული უცაბედობით, ადგილიდან მოწყდა და გრძელი და მაღალი, უკვე ასაფრენად მზა ნახტომებით გაიქცა.

როდიონი ბუზღუნითა და ჩხარუნ-ჟღარუნით მძიმედ მიჰყვა უკან.

– დაიცადეთ! – შესძახა ციცინატმა, – ყველა წიგნი დავამთავრე. ისევ მომიტანეთ კატალოგი.

– წიგნები... – ბრაზიანად ჩაიცინა როდიონმა და კარი განგებ ხმაურით ჩაკეტა.

რამხელა დარდი გაქვს, ცინცინატ, რამხელა! შენ გაქვს ლოდივით მძიმე დარდი, საათის ულმობელი რეკვა, მსუქანი ობობა, ყვითელი კედლები და შავი შალის საბნის ხისტი შრაშუნი; გაქვს შოკოლადზე მოგდებული აპკი. შუაგულიდან ორი თითით რომ დასწვდე და მთლიანად მოაძრო, ეს უკვე ბრტყელი საფარი კი არა, დანაოჭებული ყავისფერი ქვედატანი იქნება. ქვემოთ ის მხოლოდ ნელთბილი, მოტკბო და მდგრადია. შენ გაქვს კუს ბაკანივით უჯრულად

შელანძული, სამი გახუხული პური და კარაქის ბურთულა დირექტორის ვენზელით. რა აუტანელია, ცინცინატ, რამდენი ნამცეცი ყრია ლოგინში!

იდარდა, ივიშვიშა, ყველა სახსარი გაატკაცუნა, მერე კი ნარიდან წამოდგა, საძულველი ხალათი შემოიცვა და აფრატუნდა. ისევ ჩამოუარა კედლებზე ყველა წარწერას, იმის იმედად, ეგება ახალი აღმოვაჩინოო. კუნძზე შემომჯდარი ყვავის ბახალასავით დიდხანს იდგა სკამზე თავაღერილი და გაქვავებული შესცქეროდა ცის ღატაკ ულუფას. ისევ ჩამოუარა საკანს. ისევ წაიკითხა უკვე დაზუთხული ტუსაღისთვის განკუთვნილი რვა წესი.

1. სატუსაღოს შენობის დატოვება უშეღავათოდ აკრძალულია.

2. თვინიერი ტუსაღი საკნის სამკაულია.

3. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ სიჩუმე ყოველდღე, პირველიდან სამამდე.

4. აკრძალულია ქალების შემოყვანა.

5. ცეკვა, სიმღერა და გუშაგებთან ხუმრობა ნებადართულია, მხოლოდ საერთო თანხმობითა და განსაკუთრებულ დღეებში.

6. სასურველია, პატიმარმა საერთოდ არ ნახოს და თუ ნახავს, მაშინვე აღკვეთოს სიზმარი, რომლის შინაარსიც პატიმრის მდგომარეობასა და წოდებას არ შეეფერება და როგორიც არის: თვალწარმტაცი სანახები, ნაცნობებთან სეირნობა, ოჯახური სადილები, აგრეთვე სქესობრივი

კავშირი იმ მდედრობით ქმნილებებთან, რომლებიც ხსენებულ პირს, რეალურ და ფხიზელ მდგომარეობაში ახლოსაც არ გაიკარებდნენ და ამიტომ კანონისგან იგი განხილული იქნება, როგორც მოძალადე.

7. სარგებლობს რა სატუსაღოს სტუმართმოყვარეობით, ტუსაღი, თავის მხრივ, მონაწილეობას მიიღებს დალაგებასა და საპატიმროს პერსონალის სხვა სამუშაოში – იმ ზომით, რა ზომითაც ასეთ სამუშაოს შესთავაზებენ.

8. დირექცია არავითარ შემთხვევაში პასუხს არ აგებს დაკარგულ ნივთებზე და არც თავად პატიმარზე.

გული გიწუხს, ცინცინატ, გული გიწუხს. ისევ იარე, ცინცინატ, ხალათის კალთა გასდე ხან კედელს, ხან სკამს. გული გიწუხს, ცინცინატ, გული! მაგიდაზე დახორილი წიგნები ყველა წაკითხულია. იცოდა, რომ ყველა წაკითხულ-გადაკითხული ჰქონდა, მაგრამ მაინც გადაჩხრიკა, გადაფურცლა, სქელტანიან ტომში ჩაიხედა... ზეზეულად გადაათვალიერა უკვე ნაცნობი გვერდები.

ეს იყო ტომი ჟურნალებისა, რომელიც ოდესღაც, ლამის უხსოვარ საუკუნეში გამოდიოდა. ციხის ბიბლიოთეკა, წიგნის სიმრავლითა და იშვიათობით ქალაქში მეორე, რამდენიმე ასეთ იშვიათობასაც ინახავდა. ეს იყო შორეული სამყარო, სადაც ყველაზე მარტივი საგნები სიყმაწვილითა და თანდაყოლილი უტიფრობით ბრწყინავდა, – გაპირობებული თაყვანისცემით, რომლითაც მათ შექმნაზე გაწეული შრომა იყო გარემოცული. ეს იყო წლები საყოველთაო

სილბილისა და სინარნარისა: გაპოხილი ლითონი უჩქამოდ ასრულებდა აკრობატულ ილეთებს; ქურთუკის კარგად მორგებული ხაზები ნაკარნახევი იყო არნახულად მოქნილი, დაკუნთული სხეულისგან; ვეებერთელა ფანჯრების ლივლივა მინა სახლის კუთხეებში მრგვალად უხვევდა; ლაპლაპა აუზის თავზე, ჰაერში, მერცხალივით აიჭრებოდა შემოსხლეტილტრიკოიანი ქალწული, – ისე მაღლა, რომ აუზი ლამბაქისოდენაღა მოჩანდა; ათლეტი უჭოკოდ ხტომაში ჰაერში პირაღმა იწვა, დაძაბულობის ისეთ უკიდურეს მიჯნამდე მისული, რომ ლამპასებიანი ნიფხვის ალამივით აფრიალებული ნაკეცები რომ არა, გეგონებოდა, ნებივრობსო და – იყო წყლის უსასრულო ლივლივი, წყლის ვარდნის გრაცია, სააბაზანო ოთახების თვალისმომჭრელი ბზინვა, ოკეანეზე აყრილი ატლასისებრი ჭავლი და მასზე გაწოლილი ორფრთიანი ჩრდილი. ყველაფერი იყო მოგლუსუნებული, მოლივლივე, ყველაფერი საშინლად ელტვოდა რაღაც სრულქმნას, რაც მხოლოდ ხახუნის უგულებელყოფით მიიღწეოდა. ჩაატკბარუნა რა ყველა საცდური, რასაც წრე სთავაზობდა, ცხოვრებას ტრიალისგან თავბრუ ისე დაესხა, რომ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, ფეხი დაუსხლტა, დაეცა და გულისრევისა და ტკბობისგან დასუსტებული... რა ვიცი, გითხრათ?.. თითქოს სხვა განზომილებაში აღმოჩნდა... დიახ, ნივთიერება დაძველდა, დაიღალა. ლეგენდარული დროიდან ცოტაღა შემორჩა – ორიოდე მანქანა, ორიოდე შადრევანი, აღარავის სწყდებოდა გული წარსულზე და თავად ცნება – წარსული, გადასხვანაირებულიყო.

„ან იქნებ – გაიფიქრა ცინცინატმა, – მე განვმარტავ სხვანაირად ამ სურათებს, – ვაკუთვნებ ეპოქას მისი ფოტოსურათების თვისებას. იქნებ ეს ჩრდილთა სიუხვე, სხივების კონა, გარუჯული მხრის ბზინვა, – ეს იშვიათი ანარეკლები, ნარნარი გადასვლა ერთი სტიქიიდან მეორეში, – იქნებ ეს ყველაფერი, ფოტოსურათების გამორჩეული ბუნებაა, სურათმწერლობის, ამ ხელოვნების განსაკუთრებული ფორმის ბუნებაა და სხვა არაფერი, – ხოლო ნამდვილი სამყარო

ასეთი მოქნილი, ტენიანი და სწრაფი სულაც არა ყოფილა, – ზუსტად ჩვენი მარტივი აპარატების მსგავსად, რომლებიც თავისებურად აღბეჭდავს ჩვენს დღევანდელ, სახელდახელოდ შეკოწიწებულ და შეღებილ სამყაროს“.

„ან, იქნებ (გამალებული წერდა ცინცინატი უჯრიან ფურცელზე) მე მცდარად განვმარტავ... ვანიჭებ ეპოქას... ეს სიმდიდრე... ნაკადები... ნარნარი გადასვლები... სამყარო კი სულაც არ... ზუსტად ისე, როგორც ჩვენი... მაგრამ რას აქნევს ჩემი დარდი

ამ წიაღსვლებს? ოჰ, დარდო, დარდო... ან შენ რა გიყო ან თავს რა მოვუხერხო? როგორ ბედავენ და არ მიმხელენ... მე, ვისაც ზემტანჯველი გამოცდა მელის, – მე, რომელმაც ღირსება რომ შევინარჩუნო, – გარეგნულად მაინც (სულერთია, უხმოდ გავფითრდები და ეგ იქნება, მეტი მაინც არაფერი მოხდება, მე გმირი არა ვარ...), – ამ გამოცდის ჟამს, საჭიროა ყველა ჩემს ნიჭს ვეუფლო, მე კი, მე... ნელ-ნელა ვსუსტდები... საშინელებაა, როცა არ იცი, – მითხარით, ბოლოს და ბოლოს... ნურას უკაცრავად, ყოველდღე სული გაიკმინდე... არადა, რომ ვიცოდე, დრო რამდენი დამრჩა, რაღაც-რაღაცებს... მცირე ნაშრომი... გამოცდილი ნააზრევის ჩაწერა... ვინმე ოდესმე წაიკითხავდა და ისე იქნებოდა, როგორც უცხო ქვეყანაში პირველი დღე... ანუ იმის თქმა მინდა, რომ ვაიძულებდი, უცბად, ბედნიერების ცრემლად დაწურულიყო; თვალი გაულხვებოდა და, ამას რომ გამოივლიდა, სამყარო უფრო სუფთა, კრიალა, მკვირცხლი იქნებოდა. აბა, როგორ შევუდგე წერას, როცა ისიც არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა; არადა, გულს სწორედ ის გიკლავს, რომ დღეს ფიქრობ: აი, გუშინ რომ დამეწყო, ხომ მოვასწრებდიო და მერე, ისევ: აი, გუშინაც რომ... ჰოდა, ნაცვლად გააზრებული, ნათელი და გამიზნული მუშაობისა, ნაცვლად იმისა, რომ დილას სული წყნარად, თანდათანობით შეამზადო ასადგომად, ოდეს... ჯალათის სათლს, ოდეს შენ, სულო, ჯალათის სათლს მოგიტანენ განსაბანად... და შენ, ნაცვლად ამისა, უნებლიეთ გაეკიდები ბანალურ,

უაზრო ოცნებას გაქცევაზე, – ვაგლახ, გაქცევაზე... როდესაც დღეს, ფეხის ტყაპუნითა და ხარხარით მოირბინა, ანუ მინდა ვთქვა... არა, მაინც საჭიროა, რამე აღვბეჭდო, დავტოვო. მე უბრალო არა ვარ... მე ის ვარ, რომელიც ცოცხალია, თქვენ შორის... მე არათუ სხვანაირი მაქვს თვალები, სმენა, გემოვნება, არათუ ირმის ყნოსვა და ტახის ალღო მაქვს, არამედ მაქვს ამ ყველაფრის ერთ წერტილში შეკრების ნიჭი... არა, საიდუმლო ჯერ არ გაცხადებულა – ესეც კი, ესეც მხოლოდ კვესია და ცეცხლის შობაზე, თავად ამაზე, ჯერ სიტყვაც არ დამიძრავს. ჩემი ცხოვრება. ოდესღაც დავიკარგე, ბავშვობაში, შორეული სკოლის ლაშქრობისას, სხვებს ჩამოვცილდი – ან იქნებ მესიზმრა, – და შუადღის პაპანაქებაში, ძილმორეულ ქალაქში მოვხვდი, ისეთ ძილმორეულში, რომ კაცი, რომელიც მიწაყრილზე, თეთრად მოქათქათე კედელთან თვლემდა, როდესაც ბოლოს და ბოლოს, წამოიზლაზნა, რათა მოსახვევამდე მივეცილებინე, მისი ლურჯი ჩრდილი კედელზე მაშინვე არ გამოჰყოლია... ოჰ, ვიცი, ვიცი, რომ ეს ჩემი უყურადღებობის ბრალი იყო და ჩრდილი კი არ შეყოვნებულა, არამედ უბრალოდ, ასე ვთქვათ, ხორკლიან კედელს გამოედო... – მაგრამ აი, რა მინდა გამოვხატო კაცის მოძრაობასა და ჩამორჩენილი ჩრდილის მოძრაობას შორის, – ეს წამი, ეს ლურჯგროვა, – აი, იშვიათი სახეობა დროისა, რომელშიც ვცხოვრობ, – პაუზა, შეყოვნება, – როდესაც გული გერმის ბუმბულს ჰგავს... კიდევ, მუდმივ თრთოლვაზე დავწერდი... და იმაზე, რომ ჩემი ფიქრის ნაწილი მუდამ ეტმასნება უხილავ ჭიპლარს, რომელიც აკავშირებს სამყაროს რაღაცასთან... რასთან, ჯერ არ ვიტყვი... არადა, როგორ დაწერ ამაზე, როცა გეშინია, რომ ვერ მოასწრებ და ტყუილუბრალოდ გაუხსნი პირს... როდესაც დღეს მოვარდა, – ჯერ კიდევ ბავშვი, – აი, ამის თქმა მინდა, – ჯერ კიდევ ბავშვი, რაღაც გასაძვრომებით ჩემი ფიქრისთვის, – მე, ძველ

პიიტიკოსთა ლექსების სიტყვებით გავიფიქრე – გუშაგებს დაათრობდი-მეთქი... მიხსნიდი. ასეთ ბავშვად რომ დარჩენილიყო და თანაც, გაზრდილიყო, გაეგო, – დიახ, გამოუვიდოდა: ალეწილი ლოყები,

ბნელი, ქარიანი ღამე, – ხსნა მოვიდოდა, მოვიდოდა... ტყუილად ვიმეორებ, რომ ამქვეყნად თავშესაფარი არსადა მაქვს... მაქვს! მოვძებნი! აყვავებული ველი უდაბნოში! ცოტაოდენი თოვლი კლდის ჩრდილში! არადა, ეს მავნებელია, – რასაც ვჩადივარ, – ისედაც დასუსტებული ვარ, მე კი თავს ვაქეზებ, შემორჩენილ ძალ-ღონეს ვაცლი. რა ვუყო ამ დარდს, რა ვუყო... ჩემთვის ცხადია, რომ ჩემი შიშისთვის სულ ბოლო აპკი არ გამიძვრია“.

დაფიქრდა. მერე ფანქარი დააგდო, ადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. საათმა დარეკა. ნაბიჯებმა საათის რეკვა ბაქანივით გამოიყენა და ზედაპირზე ამოტივტივდა; ბაქანი გასრიალდა, ნაბიჯები დარჩა და საკანში ორნი შემოვიდნენ: როდიონი წვნიანით ხელში და ბატონი ციხის ბიბლიოთეკარი – კატალოგით.

ეს იყო ბრგე, მაგრამ ავადმყოფური სახის კაცი, გაფითრებული და უპეჩაშავებული, მოტვლეპილი კეფის გარშემო მუქი თმის გვირგვინითა და გრძელწელიან ტანზე ჩამოცმული ლურჯი, ალაგ-ალაგ გამოხუნებული მაისურით, რომელსაც იდაყვებზე საკერებლის კუბები ედო. კაცს ხელი სიკვდილივით ვიწრო შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, იღლიის ქვეშ კი შავი ტყავით დაკაზმული დიდი წიგნი ამოეჩარა. ცინცინატს მისი ხილვის ბედნიერება ერთხელ უკვე ჰქონდა.

– კატალოგია, – თქვა ბიბლიოთეკარმა, რომელიც რაღაცნაირი, გამომწვევი ლაკონურობით გამოირჩეოდა.

– კეთილი, დამიტოვეთ, – უთხრა ცინცინატმა, – ამოვირჩევ, – თუ გნებავთ, დაიცადეთ და აგერ, აქ ჩამოჯექით. თუ არ დაიცდით...

– არ დავიცდი, – მიუგო ბიბლიოთეკარმა.

– კეთილი. მაშინ კატალოგს როდიონს გადავცემ. აი, შეგიძლიათ წაიღოთ... ეს ძველი ხალხის ჟურნალები გულისშემძვრელად მშვენიერია... იცით, ამ მძიმე ტომით, მე, ტვირთგამობმულივით, დროის ფსკერზე დავეშვი. მომხიბლავი შეგრძნებაა.

– არა, – თქვა ბიბლიოთეკარმა.

– კიდევ მომიტანეთ, – გამოვიწერ, რა წლებისაც მინდა. რამე რომანიც გამოაყოლეთ, ყველაზე ახალი რომელიც იყოს. უკვე მიდიხართ? ყველა აიღეთ?

მარტო დარჩენილი ცინცინატი წვნიანს ხვრეპდა და თან კატალოგს ფურცლავდა. მისი მთავარი ნაწილი გულმოდგინედ და ლამაზად იყო დაბეჭდილი; ნაბეჭდ

ტექსტში ბევრი ქვესათაური წითელი მელნით, ძალიან წვრილად, მაგრამ გარკვევით, ხელით ჩაეწერათ. არასპეციალისტს კატალოგში გზის გაგნება გაუჭირდებოდა, რადგან წიგნის სათაურები ანბანის მიხედვით კი არ განელაგებინათ, არამედ მათში ფურცლების რაოდენობის მიხედვით, – თანაც იქვე აღნიშნავდნენ, რამდენი (დამთხვევის თავიდან ასაცილებლად) ზედმეტი ფურცელი იყო ჩაწებებული ამა თუ იმ წიგნში. ამიტომაც ცინცინატი ისე ეძებდა, ალალბედზე, თვალში რაც მოუვიდოდა. კატალოგი უზადოდ სუფთად იყო შენახული; მით უფრო საკვირველი იყო, რომ პირველი გვერდის მეორე, სუფთა მხარეზე, ბავშვის ხელს სურათების სერია ჩაემწკრივებინა, რომელიც ცინცინატმა უცბად ვერც კი ამოხსნა.

V

– ნება მომეცით, გულითადად მოგილოცოთ, – კარაქივით რბილი ბანით თქვა დირექტორმა, როდესაც მეორე დილას ცინცინატის საკანში შევიდა.

როდრიგ ივანოვიჩი ჩვეულებრივზე კოხტად გამოიყურებოდა: საგარეო ქურთუკის ზურგი – განიერი და სქლად დაბრტყელებული, მეეტლესავით ჰქონდა დაბამბული, პარიკი ახალივით უბზინავდა, კალაჩივით აფუებულ ღაბაბზე პუდრა შეეფრქვია, ხოლო ღილკილოში, დაწინწკლულხახიანი ცვილის ყვავილი ვარდისფრად უღუოდა. მისი წარმოსადეგი ტანის უკნიდან – იგი საზეიმოდ შედგა კარში, – ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდა ციხის მომსახურე პერსონალი – მასავით საზეიმოდ გამოწყობილი და პომადით თმადატკეპნილი. როდიონს რაღაც ორდენიც კი ჩამოეკიდა.

– მე მზად ვარ. ახლავე ჩავიცვამ. ვიცოდი, რომ დღეს იქნებოდა.

– მომილოცავს, – უთხრა დირექტორმა და ცინცინატის ფაციფუცს ყურადღება არ მიაქცია, – პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ დღეიდან ახალი მეზობელი გყავთ, – დია, დიახ, ეს-ეს არის, შევიდა. ალბათ როგორ ელოდით! ეგ არაფერი, ახლა მესაიდუმლე, გართობისა და სწავლის თანაზიარი ამხანაგი გეყოლებათ და ისე აღარ მოიწყენთ. გარდა ამისა, – ოღონდ ეს, ცხადია, მკაცრად ჩვენს შორის დარჩეს, – გაცნობებთ, რომ მეუღლესთან შეხვედრის ნებართვა მოგივიდათ: demain matin[9].

ცინცინატი ისევ დაეშვა ნარზე და თქვა:

– დიახ, ეს კარგია. მადლობა მომიხსენებია, თოჯინა, მეეტლე, შეღებილო სალახანა... მაპატიეთ, ცოტა არ იყოს...

საკნის კედლები გამოიბურცა და ჩაიზნიქა, როგორც ანარეკლი შერხეულ წყალში. დირექტორმა ჭავლი აიყარა, ნარი ნავად გადაიქცა. ცინცინატი კიდეს ჩაეჭიდა, რომ არ გადავარდნილიყო, მაგრამ ხელში ხის ნაჭერი შერჩა და გაცურდა ჭრელაჭრულა

ყვავილებში ყელამდე ჩაფლული, გაიხლართა და იხრჩობოდა. ხელდაკაპიწებულები ცდილობდნენ ჭოკები, ორთაყვირები და ნიჩბები გამოედოთ და ნაპირზე გამოეყვანათ. გამოიყვანეს.

– პატარა ქალივით ნერვული ვარ, – ღიმილით თქვა ციხის ექიმმა, იგივე როდრიგ ივანოვიჩმა, – თავისუფლად ისუნთქეთ. ყველაფერი გეჭმებათ. ღამღამობით ოფლიანობთ? ასე განაგრძეთ და თუ ძალიან გამგონე იქნებით, იქნებ – იქნებ-მეთქი, – ნება დაგრთოთ, ახალმოსულს ცალი თვალით... ოღონდ იცოდეთ, მხოლოდ ცალი თვალით...

– რამდენ ხანს... ის პაემანი... რამდენს მომცემენ... – ძლივს მოატრიალა ენა ცინცინატმა.

– ახლავე, ახლავე. ასე ნუ ჩქარობთ, ნუ ღელავთ. რადგან შეგპირდით, მაშასადამე, გაჩვენებთ კიდეც. ფეხსაცმელი ჩაიცვით, თმა გაისწორეთ. მე მგონი... – დირექტორმა კითხვის თვალი მიაპყრო როდიონს, იმან თავი დაუქნია... ოღონდ, გთხოვთ, აბსოლუტური სიჩუმე დაიცავით, – მიმართა ცინცინატს, – და ხელს ნურაფერს ახლებთ. აბა, ადექით, ჩემო, ადექით. ეს არ დაგიმსახურებიათ. თქვენ, ჩემო კარგო, ცუდად იქცევით, მაგრამ მაინც ნებას გრთავთ... ახლა კი ჩუმად – ხმა, კრინტი, ჩუმად...

ფეხის წვერებზე და ხელების ქნევით, რათა წონასწორობა დაეცვა, როდრიგ ივანოვიჩი ფრთხილად გავიდა და მას ცინცინატიც მიჰყვა თავისი დიდი ჩლიფინა ფეხსაცმელებით. დერეფნის სიღრმეში, უზარმაზარ ურდულებიან კართან, უკვე იდგა წელში მოხრილი როდიონი, სათვალთვალოს სარქველი გაეწია და იჭვრიტებოდა. ნახვრეტისთვის თვალი არ მოუცილებია, ხელით ანიშნა, უფრო ჩუმად ყოფილიყვნენ და შეუმჩნევლად შეცვალა სხვა – მიპატიჟების ნიშნით. დირექტორი კიდევ უფრო აიწია თითის წვერებზე, უკან მიიხედა და მრისხანედ შეყარა წარბი, მაგრამ ცინცინატს არ შეეძლო, ცოტა არ ეფრატუნა. აქა-იქ, გადასასვლელების ბინდბუნდში, თავს იყრიდა, მხრებში იხრებოდა და შუბლთან ხელი ისე მიჰქონდათ, თითქოს შორს რაღაცის გარჩევას ლამობსო, ციხის მომსახურე პერსონალის ბუნდოვანი ფიგურები. ლაბორანტმა როდიონმა როდრიგ ივანოვიჩი გაწეულ საჭვრიტინოსთან მიუშვა. როდრიგ ივანოვიჩმა ზურგი ააჭრაჭუნა და მიეწება... ამასობაში ბუნდოვანი ფიგურები უხმოდ გადარბოდნენ რუხ სიბნელეში, უხმოდ უხმობდნენ ერთმანეთს, ირაზმებოდნენ და მათი რბილი ფეხები, ლილვებივით ადგილზე ამოძრავებული, გასასვლელად ემზადებოდა. დირექტორი, ბოლოს და ბოლოს, ნელა მოსცილდა კარს, სახელოზე მოსწია ცინცინატს და ისე მიიწვია, როგორც პროფესორმა ახალი პრეპარატის სანახავად შემოვლილი არიფი; ცინცინატი მორჩილად მისწვდა ნათელ რგოლს. თავიდან მხოლოდ მზის ბუშტუკები და ზოლები დაინახა, მერე კი – ნარი, ისეთივე, როგორიც მის საკანში იყო, ხოლო მის გვერდით – ორი მკვიდრად ნაკეთი

ჩემოდანი, აალებული ჭიკარტებითა და დიდი, წაგრძელებული ბუდე, მგონი, ტრომბონისა...

– აბა, ხედავთ რამეს? – დაიხარა მისკენ და წასჩურჩულა დირექტორმა, რომელიც ისეთ სურნელს აფრქვევდა, როგორც შროშანები თავახდილი კუბოდან.

ცინცინატმა თავი დაუქნია, თუმცა მთავარს ჯერ ვერ ხედავდა. მერე თვალი მარცხნივ გაადევნა და მაშინ კი მართლა დაინახა.

სკამზე, მაგიდასთან გვერდულად, უძრავად იჯდა, თითქოს შაქრისააო, უწვერულვაშო, ოცდაათიოდე წლის ჩაკურატებული კაცი, ძველმოდურ, მაგრამ სუფთა და გატკიცინებულ ტუსაღის პიჟამოში გამოწყობილი – თავიდან ბოლომდე ზოლიანი, ზოლიანი წინდებითა და ტარსიკონის ახალი ფეხსაცმელებით, – ფეხი ფეხზე გადაედო, პუტკუნა ხელები მუხლზე შემოეჭდო და შეურყვნელ ლანჩას ამზეურებდა; ნეკა თითზე გამჭვირვალე აქვამარინი უციალებდა, თაფლისფერი თმა საოცრად მრგვალ თავზე ორად ჰქონდა გაყოფილი, გრძელი წამწამები ქერუბიმის ლოყას უჩრდილავდა, მარწყვივით ტუჩებში კი საოცრად სწორი, ქათქათა კბილების ზოლი უელავდა. კაცს თითქოს ოდნავ მბზინავი აპკი გადაკვროდა და გეგონებოდა, მაღლიდან ჩქერად ჩამოღვრილ მზის სხივებში ნელ-ნელა დნებაო. მაგიდაზე მხოლოდ ტყავის ბუდეში ჩასმული მოდური სამგზავრო საათი იდო.

– გეკოფა, – ღიმილით წასჩურჩულა დირექტორმა, – მეც ქო გინდა, – და ისევ მიაცივდა.

როდიონმა ცინცინატს ანიშნა, ჰაიდა, დროაო. მოსამსახურეთა ჩაწალიკებული, ბუნდოვანი ფიგურები მოწიწებით ახლოვდებოდა: დირექტორის ზურგს უკან შეჭვრეტის მსურველთა გრძელი კუდი გაჭიმულიყო; ზოგს უფროსი ვაჟებიც წამოეყვანა.

– ძალიან განებივრებთ, – ჩაიბუზღუნა როდიონმა და ისევ დიდხანს ვერ გააღო ცინცინატის საკნის კარი. ბოლოს მაგარი რუსული სიტყვით შეამკო და ამან გაჭრა.

ყველაფერი მიჩუმდა. ყველაფერი ძველებურად იყო.

– არა, ყველაფერი არა.

– შენ ხვალ მოხვალ, – ხმამაღლა თქვა ცინცინატმა, რომელსაც გულყრის მერე, ჯერაც აკანკალებდა.

„რას გეტყვი მე? – ისევ ფიქრობდა, ბუტბუტებდა, კრთოდა ცინცინატი, – შენ რას მეტყვი? მიუხედავად ყველაფრისა, მიყვარდი და მეყვარები – დაჩოქილს, უკან გაკრული ხელებით, ქონდაქარისთვის[10] ქუსლებმიშვერილსა და ბატივით

კისერგაწვდილს, – სულერთია, მაშინაც კი და მერეც – იქნებ მერე, ყველაზე მეტადაც მეყვარები. ოდესმე შედგება ჭეშმარიტი, ამომწურავი ახსნა-განმარტება ჩვენ შორის და მაშინ მე და შენ რამენაირად შევდგებით, ერთმანეთს მივეყუდებით და თავსატეხს ამოვხსნით: გავავლებთ ამა და ამ წერტილიდან აქამდე... რომ აღარასდროს... ანდა ფანქარაუღებლად... ან სხვანაირად... შევაერთებთ, გავავლებთ და შედგება შენგან და ჩემგან ის ერთადერთი ჩვენი ქარგა, რომლის ნატრულიცა ვარ. ყოველ დილას თუ ასე მომექცნენ, ისე გამწვრთნიან, სულ გავხევდები...“

ცინცინატს მთქნარება აუტყდა, თვალებიდან ცრემლი ცვიოდა, ხახაში ბორცვი ისევ და ისევ ამოდიოდა. ნერვების ბრალი იყო, არ ეძინებოდა. ხვალამდე თავი რამენაირად უნდა შეექცია. ახალი წიგნები ჯერ არ მოეტანათ, კატალოგი არ დაებრუნებინა... ჰო, ნახატები! მაგრამ ახლა, ხვალინდელი პაემნის ფონზე...

ბავშვის ხელს, – უეჭველია, ემოჩკასას, – სურათების წყება დაეხატა, რომელიც (გუშინ ასე ეჩვენა) თანმიმდევრული ამბავი, დაპირება, ოცნების ნიმუში იყო. ჯერ: ჰორიზონტალური ხაზი, ანუ ეს ქვის იატაკი, ზედ – ელემენტარული სკამი – მწერივით, მაღლა კი – ცხაური, ექვსუჯრედიანი. იგივე სურათი, ოღონდ ბადრი მთვარის მონაწილეობით, უკმაყოფილოდ დაშვებული ტუჩის კილოები, ცხაურიდან. შემდეგ: სამი ხაზით აღნიშნულ ტაბურეტზე უთვალებო მედილეგეა – მაშასადამე, მძინარი, ხოლო იატაკზე რგოლია, ექვსი გასაღებით; იგივე ექვსგასაღებიანი რგოლი, ოღონდ უფრო გადიდებული და მისკენ გაწვდილი ხელი – ფრიად ხუთთითიანი და მოკლე სახელოიანი. აი, ეს უკვე საინტერესოა: სანახევროდ გაღებულ კარში ჩიტის ფეხივით რაღაც მოჩანს: ის, რაც საკნიდან გალალული ტუსაღისგან დარჩენილა. თვითონ ცინცინატი, კულულების ნაცვლად, მძიმეებით თავდახუნძლული, მოკლე, მუქი ხალათით, ტოლფერდა სამკუთხედად ძლივს გამოსახული, გოგონას მიჰყავს: ჩანგალივით ფეხები, ტალღოვანი ქვედატანი, თმის პარალელური ხაზები. მერე ისევ იგივე, ოღონდ გეგმის სახით, კერძოდ კი: საკნის კვადრატი, დერეფნის მრუდი – მარშრუტის აღმნიშვნელი პუნქტირებითა და გარმონივით კიბით ბოლოში. ეს კი უკვე ეპილოგია: ჩაბნელებული კოშკი და მის თავზე კმაყოფილი მთვარე – ტუჩის კილოები აპრეხილია.

არა, თავს ვიტყუებ, სისულელეა. ბავშვმა რაღაც დაჩხაპნა, უაზროდ... სათაურები ამოვიწეროთ და კატალოგი გადავდოთ. ჰო, ბავშვმა... მარჯვენა ლოყას ენით აწვება, დამაშვრალ ფანქარს ხელს ისე უჭერს, რომ თითები გათეთრებია... მერე კი უკან გადაიწევა და მარჯვედ გავლებული ჩამკეტი ხაზის შემდეგ, თავს ხან აქეთ გადააგდებს, ხან იქით, ბეჭებს ათამაშებს, ისევ იხრება ქაღალდზე, ენა ახლა მარცხნივ გადააქვს და... ისე გულმოდგინედ... სისულელეა, ამაზე ნუღარ ვიფიქრებთ...

აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ გამოეცოცხლებინა ზლაზნია დრო და გადაწყვიტა, ხვალინდელი მარფინკასთვის თავი მოეწესრიგებინა. როდიონი დათანხმდა, ისევ მოეთრია ისეთივე აბაზანა, როგორშიც სასამართლოზე წარდგენის წინა დღეს

განიბანა. წყლის მოლოდინში, ცინცინატი მაგიდას მიუჯდა, – მაგიდა დღეს ცოტა ირყეოდა.

„ეს პაემანი, – წერდა ცინცინატი, – ეს პაემანი, ეტყობა, იმის ნიშანია, რომ საშინელი დილა მალე გამითენდება. ზეგ, აი, ამ დროს, ჩემი საკანი ცარიელი იქნება. მაინც ბედნიერი ვარ, რომ გნახავ. სახელოსნოში ორი სხვადასხვა კიბით ავდიოდით: ქალები ერთი კიბით, კაცები – მეორეთი, მაგრამ ბოლოს წინა პარმაღზე ერთმანეთს ვხვდებოდით ხოლმე. მე უკვე ვეღარ შევძლებ მარფინკა იმ სახით ავაწყო, როგორითაც პირველად დავინახე, მაგრამ მახსოვს, მაშინვე შევამჩნიე, რომ სანამ გაიცინებდა, ერთი წამის წინ, პირზე ხელს მიიფარებდა ხოლმე, რომ ჰქონდა წაბლისფერი, მრგვალი თვალები და მარჯნის საყურეები. ოჰ, როგორ მინდა, აი, ახლა, თვალწინ ისეთივე დავიყენო – სულ ახალთახალი, მკვრივი და მერე, ნელ-ნელა შემოპარული სილბილითა და იმ ნაკეცით ლოყასა და ყელს შორის, როდესაც თავს ჩემკენ მოაბრუნებდა – უკვე გამთბარი, თითქმის ცოცხალი. მისი სამყარო. მისი სამყარო ერთმანეთთან მარტივად დაკავშირებული მარტივი ნაწილებისგან შედგება. სამზარეულო წიგნის უმარტივესი რეცეპტიც კი უფრო რთულია, ვიდრე ის სამყარო, რომელსაც იგი ღიღინ-ღიღინით აცხობს, – ყოველდღე, თავისთვის, ჩემთვის, ყველასთვის. მაგრამ საიდან აქვს, – იმთავითვე, პირველი დღიდანვე, – საიდან აქვს ის სიავე და უჯიათობა, რომელიც უცბად... თბილი, რბილი, სასაცილო და უცბად... ჯერ მეგონა, ასე განგებ იქცევა, რომ მაჩვენოს, სხვა რომ ყოფილიყო, როგორ გაარჯლდებოდა, როგორ გაავდებოდა-მეთქი და როგორ გამიკვირდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ თავად იყო ასეთი! რაღაც სულელური წვრილმანის გამო, – ჩემი სულელი გოგო! რა პატარა თავი აქვს, იმ

სქელი, ჟღალი ტევრის მიღმა, რომელსაც უმანკოდ გლუვი, კეფასთან ქალწულებრივად მოლივლივე სახე შეუძლია მისცეს... „თქვენი დედაკაცი, გეგონება, ბუზს არ ააფრენსო, მაგრამ ისეთი კბენიაა“, – მითხრა მისმა პირველმა, დაუვიწყარმა საყვარელმა, – თანაც, ყველაზე დიდი მუხთლობა ის იყო, რომ ეპიტეთს გადატანითი მნიშვნელობა არ ჰქონდა... მარფინკა გამორჩეულ წუთებში... ერთ-ერთი იმ მოგონებათგანია, რომელიც თავიდან მაშინვე თუ არ ამოიგდე, მოგერევა, დაგაბეჩავებს. „დღეს, მარფინკამ ისევ...“ ერთხელ კი თვითონ დავინახე – თვითონ, თვითონ დავინახე აივნიდან, – ჰოდა, მას შემდეგ, ოთახში ისე არ შევიდოდი, შორიდანვე არ მეცნობებინა ჩახველებით, უაზრო წამოძახილით. რა საშინელება იყო ყველა იმ მოძრაობის, სულმოუთქმელი ფაცაფუცის, – ყველაფერ იმის დანახვა, რაც იქითის ბაღების იდუმალ, დაჩრდილულ სანახებში ჩემი იყო, მერე კი – ჩემგანვე დაკარგული. დათვლა იმისა, რამდენი ჰყავდა... გამუდმებული სატანჯველი: სადილობისას მის ამა თუ იმ საყვარელთან მუსაიფი, თავის მომხიარულება, თხილის კნატაკნუტი და თავზარდამცემი შიში, რომ თუ დაიხრები, მაგიდის ქვეშ ურჩხულის საშინელ ქვედატანს დაინახავ, რომლის ზედატანიც ეკუთვნის სრულიად კეთილად აღნაგ ახალგაზრდა ქალსა და ახალგაზრდა კაცს, მშვიდად მოსადილესა და მოსაუბრეს, რომლებიც მაგიდასთან წელამდე ჩანან, – მათი ტანის ქვედა ნაწილი კი –

ეს ოთხფეხა ურჩხული, გადახლართული და გაცოფებული... დავარდნილი ხელსახოცისთვის ჯოჯოხეთში ჩავედი. მარფინკა მერე თავის თავზე ამბობდა (ისევ მრავლობით რიცხვში): „ძალიან გვრცხვენია, რომ დაგვინახეს“, – და ტუჩებს ბუტავდა. მაინც მიყვარხარ. უსაშველოდ, უიმედოდ, მომაკვდინებლად... სანამ იმ ბაღებში მუხები დგას, მე შენ... როდესაც თვალნათლივ დაგისაბუთეს, რომ არ ვუნდივარ, რომ მერიდებიან, – შენ გაგიკვირდა, თვითონ როგორ ვერ შეამჩნიე, – არადა, შენს მოტყუებას რა უნდოდა! მახსოვს, როგორ მევედრებოდი, გამოვსწორებულიყავი, თუმცა, ისიც კი არ იცოდი, გამოსასწორებელი რა მჭირდა ან ეს როგორა

ხდება და აქამდეც ვერაფერი გაგიგია და არც დაფიქრებულხარ, მიხვდი თუ ვერა, ხოლო, თუ გიკვირს, ლამის მყუდროდ გიკვირს. თუმცა, როდესაც სასამართლოს აღმასრულებელმა საზოგადოებას ქუდით ჩამოუარა, შენ შენი ქაღალდი მაინც ჩააგდე“.

ნავსადგურთან მოქანავე აბაზანის თავზე სრულიად უდანაშაულო, მხიარული, მაცდუნებელი ორთქლი იხვეოდა. ცინცინატმა უცბად – ორი სწრაფი ამოსუნთქვით – ამოიოხრა, ნაწერი ფურცლები გადადო და თავისი სადა სკივრიდან სუფთა პირსახოცი ამოიღო. ცინცინატი ისეთი პატარა და თხელი იყო, რომ აბაზანაში მთლიანად ეტეოდა. იჯდა, როგორც სამხუთროში და წყნარად მიცურავდა. ორთქლში არეული მიმწუხრის მოწითალო სხივი ნაირფერად ათრთოლებდა ქვის საკნის პატარა სამყაროს. ნაპირს რომ მიადგა, ცინცინატი ადგა და ხმელეთზე გადმოვიდა. იმშრალებდა და თან თავბრუსხვევას, მონატრებას ებრძოდა. ძალიან გამხდარი იყო და ახლა, დაისის შუქზე, რომელიც ნეკნების ჩრდილს გამოკვეთდა, მისი გულისფიცარის აგებულებაც მიმიკრიის მიღწევას ჰგავდა, რამეთუ მისი გარემოს, მისი სატუსაღოს ცხაურიან არსს გამოხატავდა. ჩემო საბრალო ცინცინატ. ტანს იმშრალებდა, თან კი, თავის შესაქცევად, ყველა ძარღვს ითვალიერებდა და უნებლიეთ ფიქრობდა იმაზე, რომ მალე საცობს ამოაძრობდნენ და ეს ყველაფერი დაიღვრებოდა. ძვლები მსუბუქი ჰქონდა, წვრილი: ჩვილის გულისყურიანი მზერით, მოლოდინით, ქვემოდან ზემოთ, შემოსცქეროდა თვინიერი ფეხის ფრჩხილები (თქვენ ხომ საყვარლები ხართ, თქვენ ხომ არაფერი დაგიშავებიათ) – და როდესაც ასე იჯდა ნარზე სულმთლად შიშველი და გაჩხიკულზურგმიქცეული – კუდუსუნიდან კისრის მალებამდე, – კარს უკანიდან მოდარიალეთათვის (იქიდან ჩურჩული ისმოდა, რაღაცას განსჯიდნენ, აშრაშუნებდნენ, – მაგრამ დაე, ეგ არაფერი, ეგ იქით იყოს), – ცინცინატი შეიძლება ავადმყოფური აგებულების მოზარდად მოგჩვენებოდათ, მისი კეფაც კი,

კისერთან გრძელი ღრმულითა და სველი თმის კუდით, ბიჭური იყო და საოცრად მარჯვედ მორგებული. ცინცინატმა იმავე სკივრიდან ამოიღო პატარა სარკე და ქილა თმის სურნელოვანი ამომგდებით, – მუდამ იმ საოცრად სქელბეწვა ხალს აგონებდა,

მარფინკას ფერდზე რომ ჰქონდა, – ფრთხილად აუარა გვერდი ულვაშს და ჩხვლეტია ლოყებში შეიზილა.

ახლა კრიალა იყო, ახლა თავს კარგადა გრძნობდა. ამოიხვნეშა და გრილი, სუფთა ღამის პერანგი გადაიცვა, რომელსაც ჯერაც შინ გარეცხილი სარეცხის სურნელი ჰქონდა.

დაღამდა. ცინცინატი იწვა და ისევ მიცურავდა. როდიონმა დადგენილ დროს სინათლე აანთო და სათლი და აბაზანა გაიტანა. ობობა ქსელს ჩამოჰყვა და თითზე დააჯდა, რომელსაც როდიონი ბუსუსიან მხეცს გაუშვერდა ხოლმე და კენარივით ელაპარაკებოდა. დერეფანში გამავალი კარი ოდნავ შემოღებული იყო, – იქ რაღაც გაკრთა... ღიობში წამიერად ჩამოეკიდა ფერგამკრთალი დალალები და გაუჩინარდა, როდესაც როდიონი, რომელიც თავაღერილი შესცქეროდა ცირკის გუმბათისკენ მიმავალ ციცქნა აკრობატს, დაიძრა. კარი მეოთხედით ისევ შემოღებული იყო. მკვიდრად ჩადგმული, ტყავის ფეშტამალიანი, ჟღალ და ხუჭუჭწვერა როდიონი საკანში მძიმედ მიდი-მოდიოდა და როდესაც საათი (ახლა, ორმხრივი კავშირის გამო, რომ მოახლოებულიყო) აღრიტინდა, სანამ ჩამოჰკრავდა, საიდანღაც ქამრიდან დააძრო ხახვის თავისოდენა ჯიბის საათი და შეამოწმა. მერე, რადგან ეგონა, რომ ცინცინატს ეძინა, ცოცხს ალებარდივით დაეყრდნო და საკმაოდ დიდხანს დასცქეროდა ტუსაღს. კაცმა არ იცის, რა გადაწყვეტილებამდე მივიდა, მაგრამ ისევ შეინძრა... ამ დროს კარში უხმოდ და არცთუ სწრაფად ლურჯ-წითელი რეზინის ბურთი შემოვარდა, გაგორდა კათეტზე, პირდაპირ ნარქვეშ მიიმალა, წამიერად იქ რაღაცაზე გაწკარუნდა, გამოგორდა მეორე კათეტზე, ანუ როდიონის

მიმართულებით, რომელმაც ისევ ვერ შეამჩნია, შემთხვევით ფეხი გაჰკრა, გადააბიჯა და მაშინ, ჰიპოტენუზაზე, ბურთი ისევ იმ კარის ღიობში გაგორდა, საიდანაც შემოგორდა. როდიონმა ცოცხი მხარზე გაიდო და საკნიდან გავიდა. სინათლე ჩაქრა.

ცინცინატს არ ეძინა, არ ეძინა, – არა, ეძინა, მაგრამ კვნესით დაუძვრა და აი, ისევ არ ეძინა, ეძინა, არ ეძინა, – ყველაფერი აირია, მარფინკა, ეშაფოტი, ხავერდი, – მერედა, ეს როგორ იქნებოდა? – რა? ეშაფოტი თუ პაემანი? ყველაფერი საბოლოოდ შეერწყა ერთმანეთს, მაგრამ წამიერად ისევ შეფხიზლდა, რადგან სინათლე აინთო, – ფეხაკრეფით შემოვიდა როდიონი, მაგიდიდან შავი კატალოგი აიღო, გავიდა, ჩაქრა.

VI

რა იყო ეს – ყველა იმ საშინელის, ღამეულის, სიტლანქის მიღმა, – ეს რა იყო? იმ რაღაცამ სულ ბოლომ გაიწია, ძილის ვეებერთელა ზვინებს უხალისოდ დაუთმო გზა

და მაშინვე პირველი შემოაფრინდა, – ისეთი, ისეთი საამური, – მზარდი, სხივმოიეფე, გულის გამთბობი: დღეს მარფინკა მოვა!

ამ დროს, როდიონმა, როგორც თეატრშია ხოლმე, ლანგარზე დადებული ლილისფერი ბარათი შემოუტანა. საწოლზე წამომჯდარმა ცინცინატმა წაიკითხა: „მილიონი ბოდიში! მიუტევებელი შეცდომა მოხდა! კანონის მუხლს რომ ჩავხედეთ, აღმოჩნდა, რომ პაემანი სასამართლოდან ერთი კვირის შემდეგ გეკუთვნით. მოკლედ, ხვალისთვის გადავდოთ. კარგად გვეყოლეთ, მოგვიკითხეთ, ჩვენთან ყველაფერი ძველებურადაა, საქმეს ვერ ავუდივართ; საღებავი, რომელიც ჯიხურებისთვის გამოგვიგზავნეს, უვარგისი აღმოჩნდა, რაზეც უკვე მივწერე კიდეც, მაგრამ უშედეგოდ“.

როდიონი ცდილობდა ციცინატისთვის არ შეეხედა და მაგიდიდან წუხანდელ ჭურჭელს ალაგებდა. ეტყობა, ღრუბლიანი ამინდი იდგა: ზემოდან ნაცრისფერი სინათლე ჩამოდიოდა და გულშემატკივარი როდიონის რუხი ტყავის სამოსი ნოტიო და მომჩვარული მოჩანდა.

– რა გაეწყობა, – თქვა ცინცინატმა, – კი ბატონო, კი ბატონო... მე მაინც ვერაფერს გავაწყობ (მეორე ცინცინატი, მომცრო, მოკუნტული ტიროდა). ხვალ იყოს. ოღონდ გთხოვთ, დაუძახოთ...

– ახლავე, – წამოისროლა როდიონმა, თითქოს მხოლოდ ამას ელოდაო და კარს მივარდა, მაგრამ მის უკან მდგარი დირექტორი, რომელსაც მოთმინება დალეოდა, სულ ერთი ბეწოთი ადრე გამოჩნდა, ასე რომ, კარში ერთმანეთს შეეჩეხნენ.

როდრიგ ივანოვიჩს ხელში კედლის კალენდარი ეჭირა და არ იცოდა, სად დაედო.

– მილიონი ბოდიში, – შესძახა მან, – მიუტევებელი შეცდომა მოხდა! კანონის მუხლს რომ ჩავხედეთ... სიტყვასიტყვით გაიმეორა თავისი წერილი როდრიგ ივანოვიჩმა, ცინცინატს ფერხთით ჩამოუჯდა და სწრაფად დასძინა:

– ყოველ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ საჩივარი შეიტანოთ, მაგრამ თავს მოვალედ ვრაცხ გაგაფრთხილოთ, რომ უახლოესი სესია შემოდგომაზე გაიმართება, მანამდე კი ბევრი წყალი ჩაივლის. გასაგებია?

– ჩივილს არ ვაპირებ, – თქვა ცინცინატმა, – მაგრამ მინდა, გკითხოთ: არის კი მოჩვენებითი საგნების მოჩვენებით ბუნებაში, რომელთაგანაც ეს მოჩვენებითი სამყაროა შექმნილი, თუნდაც ერთი თავდები, რომ თქვენს დანაპირებს შეასრულებთ?

– დანაპირებს? – გაიკვირვა დირექტორმა და კალენდრის მუყაოს ნაწილით (ციხესიმაგრე, აკვარელი) განიავება შეწყვიტა, – რა დანაპირებს?

– ჩემი ცოლის ხვალინდელ მონახულებაზე. დაე, მოცემულ შემთხვევაში, ნუ შემპირდებით,

მაგრამ საკითხს უფრო განვავრცობ: არის კი ზოგადად, შეიძლება კი იყოს ამ სამყაროში, რამე უზრუნველყოფილი, გარანტირებული, ან იქნებ თავად თავდების იდეა აქ უცნობია?

პაუზა.

– ოჰ, გაიგეთ, ჩვენს საბრალო რომან ვისარიონოვიჩზე? – თქვა დირექტორმა, – ჩაწვა. გაციებულია და როგორც ეტყობა, სერიოზულად...

– ვატყობ, ცოცხალი თავით არ მიპასუხებთ; ეს ლოგიკურია, რადგან ბოლოს და ბოლოს, უპასუხისმგებლობაც შობს თავის ლოგიკას. მე ოცდაათი წელი გავატარე ხელშესახებად მკვრივ მოჩვენებათა შორის და ოცდაათი წელი ვმალავდი, რომ ცოცხალი და ნამდვილი ვიყავი, მაგრამ ახლა, რაკი ჩავვარდი, აღარ მოგერიდებით. სხვა თუ არაფერი, ჩემს თავზე გამოვცდი, რამდენად არარსებულია მოცემული სამყარო.

დირექტორმა ჩაახველა და ვითომც არაფერი, განაგრძო:

– იმდენად სერიოზულად, რომ მე, როგორც ექიმი, ვერ გეტყვით, დაესწრება თუ არა, ანუ გამოჯანმრთელდება თუ არა იმ დროისთვის, – bref[11], შეძლებს კი დასწრებას თქვენს ბენეფისზე...

– წადით, – გაჭირვებით მოატრიალა ენა ცინცინატმა.

– გული არ გაიტეხოთ, – განაგრძო დირექტორმა, – ხვალ, ხვალ ასრულდება, რაზეც ოცნებობთ...

ლამაზი კალენდარია, არა? ხელოვნებაა. არა, ეს თქვენთვის არ მომიტანია.

ცინცინატმა თვალი დახუჭა. ისევ რომ გაახილა, დირექტორი შუა საკანში, მისკენ ზურგშექცეული იდგა. სკამზე ისევ ეგდო ტყავის ფეშტამალი და ჟღალი წვერი, რომელიც ეტყობა, როდიონს დაეტოვებინა.

– ჰოდა, აი, მოგვიწევს დავალაგოთ თქვენი სავანე, – არ მოუხედავს, ისე თქვა მან, – ხვალინდელი შეხვედრისთვის რომ ყველაფერი რიგიანად იყოს...

ცინცინატმა ისევ მოხუჭა თვალი. ხმა დადაბლდა და განაგრძო:

– თქვენ გთხოვთ, დერეფანში გაბრძანდეთ. დიდხანს არ გასტანს. ღონეს არ დავიშურებთ, რათა ხვალისთვის, როგორც წესი და რიგია, ყველაფერი ისე სუფთად, საზეიმოდ...

– წადით! – შეჰყვირა ცინცინატმა და აკანკალებულმა წამოიწია.

– ეგ არაფრით შეგვიძლია, – დინჯად მიუგო როდიონმა, რომელიც ფეშტამალის თასმას უტრიალებდა, – მოგვიწევს აქ, ისა... წავიმუშაოთ. აგე, რამდენი მტვერია... თვითონ მადლობელი დაგვირჩებით.

როდიონმა ჯიბის სარკეში ჩაიხედა, ლოყებზე წვერი აიფუა, ბოლოს, როგორც იქნა, ნართან მივიდა და ცინცინატს სამოსი მიაწოდა. ფეხსაცმელში თადარიგიანად ჩაეტენათ ცოტაოდენი მოჭმუჭნული ქაღალდი, ხალათის კალთები კი აკურატულად შემოეკეცათ და სარჭებით

დაემაგრებინათ. ცინცინატმა ბარბაცით ჩაიცვა, როდიონის ხელს მსუბუქად დაეყრდნო და დერეფანში გავიდა. იქ სკამზე დაჯდა და ხელები სნეულივით შეიყო სახელოებში. როდიონმა პალატის კარი ყურთამდე გააღო და დალაგებას შეუდგა. სკამი მაგიდაზე შესკუპდა; ნარი ზეწარს გამოეთხოვა; გაიჩხაკუნა სათლის სახელურმა; გამჭოლმა ქარმა მაგიდაზე ფურცლები გადათვალა და ერთი მათგანი იატაკზე ფარფატით დაეშვა.

– რა ცხვირი ჩამოგიშვიათ? – ხმამაღლა გამოსძახა როდიონმა, რომ ჭყაპუნი, ტყაპუნი და კაკუნი გადაეფარა, – წასულიყავით, ცოტა გაგესეირნათ დერეფნებში... ნუ გეშინიათ, მე აქა ვარ, თქვენ მხოლოდ დამიძახეთ და მაშინვე...

ცინცინატი მორჩილად ადგა ტაბურეტიდან, მაგრამ გაუყვა თუ არა ცივ კედელს, – აშკარად იმ კლდის ჯილაგისას, რომელზეც ციხესიმაგრე იდგა, – გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, – თანაც, რა ნაბიჯი! – უილაჯო, უნიათო და მორჩილი, – როგორც კი გარდაქმნა უკუპერსპექტივად როდიონის, გაღებული კარისა და სათლების ადგილმდებარეობა, – უმალ თავისუფლების ჭავლმა დაჰკრა და ის ჭავლი, კუთხეში რომ მოუხვია, ნაკადად იქცა. ცარიელ-ტარიელ კედლებს, ბზარებისა და ოფლის ლაქების გარდა, არაფერი აცოცხლებდა და მხოლოდ ერთგან, მღებავის თავისუფლად მოსმულ ფუნჯს ჟანგმიწით გამოეყვანა: ფუნჯი გამოვცადე, ფუნჯი გამოვ... – და მერე, უშნო ნადღაბნი მოდიოდა. მარტო სიარულს გადაჩვეულ ცინცინატს კუნთები მოუდუნდა და ფერდში ჭვალი გაუდგა.

შედგა და ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს ამ ქვის უღრანეთში პირველად მოხვედრილიყო. ნებისყოფა მოიკრიბა, მთელი ცხოვრება გაისიგრძეგანა და შეეცადა, თავისი მდგომარეობა

ზედმიწევნით ზუსტად დაედგინა. იგი ბრალდებული იყო უსაზარლეს ავკაცობაში – გნოსეოლოგიურ[12] უხამსობაში, – იმდენად იშვიათ და სათქმელად საჩოთირო დანაშაულში, რომ ლაპარაკი ძალაუნებურად, მსგავსი ნართაულებით გიწევდა: გაუმტარი, გაუმჭვირვალი, წინაღობა; მას ამ ავკაცობისთვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს; ციხესიმაგრეში იჯდა და სიკვდილის დასჯის უცნობ, მაგრამ ახლო და გარდუვალ დღეს ელოდა (რომელსაც უმცდარად გრძნობდა, როგორც ღრძილში მტკივანი კბილის შემოტრიალებას, ამოგლეჯასა და ხრაშუნს და ამასთან, მისი ტანი მთლიანად ანთებიანი ღრძილი იყო, ხოლო მისი თავი ის კბილი); ახლა, როდესაც სატუსაღოს დერეფანში იდგა სუნთქვაშეკრული, – ჯერაც ცოცხალი, ჯერაც თავმოუხდელი, ჯერაც ცინცინატური, – ცინცინატ ც. თავისუფლების დაუძლეველმა წყურვილმა აიტანა და მაშინვე თვალწინ დაუყენა – ისე ცხადად, თითქოს ეს მისი არსის მოლივლივე, გვირგვინისებრი გამოსხივება ყოფილიყო, ქალაქი დამშრალი მდინარის გაღმა, – ქალაქი, რომლის ყველა წერტილიდან მოჩანდა – ხან ასე, ხან ისე, – ხან უფრო ცხადად, ხან უფრო ლურჯად, – კლდეზე მდგარი, უზარმაზარი ციხესიმაგრე, სადაც ახლა იმყოფებოდა. თავისუფლების ტალღა იმდენად ძლიერი და ტკბილი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი უკეთ მოაჩვენა, ვიდრე მართლა იყო: მისი მედილეგეები – კაცმა რომ თქვას, ყველანი მისი მედილეგენი იყვნენ, – თითქოს უფრო ლმობიერნი ეჩვენა... გონი ცხოვრების ვიწრო სანახებში ხელჩასაჭიდს ეძებდა... თვალს რაღაც ოცნება სჭრიდა... როგორც სპილენძის ბურთზე მოციალე არილის ირგვლივ მროკავი, ცისარტყელას ფერებად ანთებული მზის მწველი ისრები... სატუსაღოს დერეფანში მდგომმა, ყური მიუგდო საათის ომახიან გუგუნს, რომელმაც დინჯად დაიწყო ათვლა და წარმოიდგინა ქალაქის ცხოვრება, – ისეთი, დილის საათებში რომ იყო ხოლმე: მარფინკას კალათის ყურში ხელი გაუყრია და თვალდახრილი მიაბიჯებს ცისფერ ქვაფენილზე, უკან კი შავულვაშიანი მუსუსი ადევნებია; ბულვარზე ერთიმეორის მიყოლებით

მისრიალებს გედისა და ნავის ფორმის პატარა ელექტროვაგონები, რომლებშიც ისე ზიხარ, როგორც კარუსელის სარწეველაში; ავეჯის საწყობებიდან გასამზეურებლად გამოაქვთ რბილი ტახტები, სავარძლები, რომლებზეც სკოლაში მიმავალი მოსწავლე გოგო-ბიჭები უცბად სხდებიან და დგებიან; პატარა მორიგე საერთო რვეულებითა და წიგნებით სავსე ურიკას მიაგორებს და ზრდასრული ამქრის წევრივით იწმენდს ოფლიან შუბლს; ახლადმორწყულ ქვაფენილზე მითუხთუხებს ორადგილიანი დასაქოქი „მაღვიძარები“, როგორც აქ ეძახიან, პროვინციაში (არადა, ისინი ხომ წარსულის მანქანების გადაჯიშებული შთამომავლები არიან, იმ დიდებული ლაქის ნიჟარებისა... რამ გამახსენა? რამ და – სურათებმა, ჟურნალში); მარფინკა ხილს არჩევს; საზარელი ჯაგლაგი ცხენები, რომლებსაც დიდი ხანია აღარ უკვირთ ჯოჯოხეთის ღირსშესანიშნაობანი, ფაბრიკებიდან გამოტანილი საქონლით ამარაგებენ ქალაქს; თეთრხალათიანი და ოქროსფერ პირისკანიანი ქუჩის გამყიდველები პურ-ფუნთუშეულს დაატარებენ, ღრიალებენ, ფუნთუშებს ათამაშებენ, მაღლა ისვრიან, იჭერენ და ისევ აბზრიალებენ; გლიცინიებით დაბურულ ფანჯარასთან ოთხი მხიარული ტელეგრაფისტი სვამს – ორთომელებს უჭახუნებს,

მაღლა სწევს და გამვლელ-გამომვლელს ადღეგრძელებს; ზმის ცნობილი ოსტატი, აქოჩრილთმიანი ღორმუცელა ბერიკაცი, რომელსაც წითელი შალის შარვალი აცვია, პატარა ტბორის პავილიონში დამჯდარა და პირს ცხელი ხავიწით ითუთქავს; ღრუბელი გაიხა, ლაქებიანი მზე გამოხტა, სასულე ორკესტრის ხმაზე დაეშვა დაღმართზე და მოსახვევებში შეიჭყიტა; გამვლელები სწრაფად მიაბიჯებენ, ცაცხვის, კარბურინისა და სველი მტვრის სუნი დგას; კაპიტან მძინარას მავზოლეუმთან მარადიულ შადრევანს მხარი განივრად გაუშლია, ქვის კაპიტანს გულუხვად რწყავს, კვარცხლბეკზე იღვრება და კაპიტნის სპილოსებრ ფერხთით, ვარდებს არხევს. მარფინკა თვალდახრილი ბრუნდება შინ, სავსე კალათით, მის უკან კი, ორ ნაბიჯზე, ქერა პეწენიკი მოიწმაწნება... ასე უყურებდა და უსმენდა ცინცინატი

კედლებიდან ქალაქს, ვიდრე საათი გუგუნებდა და თუმც ამ ქალაქში ყველაფერი, მის იდუმალ ცხოვრებასთან და დანაშაულებრივ ცეცხლთან შედარებით, მუდამ ჩამკვდარი იყო, თუმც ეს მტკიცედ იცოდა და ისიც, რომ იმედი არ იყო, მაინც კი, იმწამს, ძალიან მოუნდა, ნაცნობ ჭრელა-ჭრელა ქუჩებში მოხვედრილიყო... მაგრამ აი, საათმა ბოლოჯერ დაიგუგუნა, ფიქრისმიერი ცა მიიმალა და სატუსაღომ ძალა ისევ მოიცა.

ცინცინატმა სუნთქვა შეიკრა, მერე დაიძრა, ისევ შედგა და მიაყურადა: სადღაც წინ, მოშორებით, რაღაც კაკუნი შემოესმა.

კაკუნი თანაბარი და დახშული იყო. ცინცინატს უმალ ყველა ფოთოლი აუთრთოლდა, რადგან მასში მიპატიჟების სუნი იკრა. გულისყურიანი, მსუბუქი ნაბიჯით განაგრძო გზა და როდესაც ვინ იცის, მერამდენედ მოუხვია, კაკუნი შეწყდა, მერე კი, თითქოს უფრო ახლოს გადმოფრინდაო და უხილავი კოდალასავით –კაკ-კუკ, კაკ-კუკ... ცინცინატმა ფეხს აუჩქარა. ბნელი დერეფანი ისევ გამრუდდა. უცბად სინათლემ მოიმატა, ოღონდ დღისით რომ იცის, ისე არა და კაკუნიც თავდაჯერებულად გამოიკვეთა. მის პირდაპირ ცუდად განათებული ემოჩკა კედელს ბურთს ურტყამდა.

ამ ადგილას დერეფანი განივრდებოდა და თავიდან ცინცინატს მოეჩვენა, რომ მარცხენა კედელზე ვეებერთელა ფანჯარა გამოეჭრათ, საიდანაც ის უცნაური, დამატებითი სინათლე იღვრებოდა. ემოჩკა დაიხარა, რომ ბურთი აეღო და წინდაც გაესწორებინა და ქვემოდან ეშმაკური სახით, მორცხვად გამოხედა, – შიშველ მკლავებსა და კანჭებზე ქერა ბეწვები ყალყზე დადგომოდა, ქერეჭა წამწამებში თვალები უბრწყინავდა. გოგონა წელში გაიმართა და იმავე ხელით, რომლითაც ბურთი ეჭირა, სახიდან სელისებრი კულულები გადაიწია.

– აქ სიარული არ შეიძლება, – უთხრა ცინცინატს და პირში რაღაც გაუწკარუნდა, კბილებს მიეჯახა.

– რას წუწნი? – ჰკითხა ცინცინატმა.

ემოჩკამ ენა გამოყო, რომლის დამოუკიდებელ, ცოცხალ წვერზე კოწახურის კაშკაშა შაქარყინული იდო.

– კიდევ მაქვს, გინდათ?

ცინცინატმა თავი გააქნია.

– აქ სიარული არ შეიძლება, – გაუმეორა ემოჩკამ.

– რატომ? – ჰკითხა ცინცინატმა.

გოგონამ მხრები აიჩეჩა, კანჭები დაძაბა და მკლავქვეშ ამოდებული ბურთით, მანჭვა-გრეხით მივიდა იქ, სადაც ცინცინატს ნიშაში გამოჭრილი ფანჯარა ეგულებოდა და უცბად ფეხებდაგრძელებული, რაფასავით გამოწეულ ქვაზე მოკალათდა.

არა, ის მხოლოდ ფანჯარასავით იყო, უფრო სწორად, ვიტრინა იყო, მის უკან კი, – ჰო, იცნო, როგორ არ იცნო! – იქითის ბაღების ხედი მოჩანდა. ეს ლანდშაფტი, სხვადასხვა მხრიდან მღვრიე მწვანედ დახატული და ფარული ნათურებით განათებული, ტერარიუმს ან თეატრალურ მაკეტს

ნაკლებად ჰგავდა და უფრო იმ უკანა ხედს მოგაგონებდათ, რომლის ფონზეც სასულე ორკესტრი იღვწის ხოლმე. დაჯგუფებისა და პერსპექტივის თვალსაზრისით, ყველაფერი საკმაოდ ზუსტად იყო გადმოცემული და რომ არა უსიცოცხლო ფერები, უძრავი ხის კენწეროები და უნიჭო განათება, თვალმოჭუტულს შეიძლება წარმოგედგინა, რომ კოშკის სარკმლიდან – აი, ამ სატუსაღოდან – მართლა იმ ბაღებს გაჰყურებდი. ლმობიერი თვალი იცნობდა ამ გზებს – მწვანედ აქოჩრილ ჭალებს, პატარა ნავმისადგომს, ხელმარჯვნივ, – იცნობდა განცალკევებით მდგარ მდგარ ჭადრებსაც და იმ თეთრ ლაქასაც კი, არცთუ დამაჯერებელი ლურჯი ტბის ზედაპირზე, რომელიც ალბათ გედი იყო. სიღრმეში კი, პირობით ნისლში, ამოზიდულიყო ბორცვები, ხოლო მათ თავზე, მუქ იისფერ, მოშავო ცაზე, რომლის ქვეშაც ცხოვრობენ და კვდებიან პირმოთნენი, გაქვავებულიყო ღრუბლის ქულები და ეს ყველაფერი იყო რაღაცნაირად ამძაღებული, დაძველებულ-დამტვერილი და მინასაც, რომელშიც ცინცინატი იყურებოდა, ლაქები აჩნდა, – ზოგისგან ბავშვის ხელის ნაკვალევის აღდგენა შეიძლებოდა.

– და მაინც, გამიყვანე იქ, – წაიჩურჩულა ცინცინატმა, – გევედრები.

ემოჩკას გვერდით იჯდა, კლდის შვერილზე. ორივე, მინის მიღმა, ხელოვნურ შორეთს მიშტერებოდა. ემოჩკა იდუმალი სახით აყოლებდა თითს დაკლაკნილ ბილიკებს და მის თმებს ვანილის სუნი ასდიოდა.

– მამიკო მოდის, – გვერდზე გაიხედა და სწრაფად, ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა ემოჩკამ, შვერილიდან ჩამოხტა და მიიმალა.

მართლაც, იმის საპირისპირო მხრიდან, საიდანაც ცინცინატი მოვიდა (თავიდან ისიც კი ეგონა, სარკეაო), როდიონი გასაღებების ჩხარუნით უახლოვდებოდა.

– შინ დაბრუნება ინებეთ, – გაეხუმრა.

ვიტრინაში სინათლე ჩაქრა და ცინცინატმა ნაბიჯი გადადგა, რომ იმავე გზით დაბრუნებულიყო, საიდანაც მოვიდა.

– საით, საით? – დაუყვირა როდიონმა, – პირდაპირ წადით, ასე უფრო ახლოა.

ცინცინატმა მხოლოდ ახლა მოისაზრა, რომ დერეფნის მოსახვევებს არსაით მიჰყავდა და ისინი მხოლოდ განიერი მრავალკუთხედი იყო, რადგან ახლა, როდესაც კუთხეში მოუხვია, თავისი კარი დაინახა და სანამ იქამდე მიაღწევდა, იმ საკანს ჩაუარა, სადაც ახალი ტუსაღი ჩაესვათ. საკნის კარი ყურთამდე მოეფრიალებინათ და იქ უკვე ნანახი, ზოლიან პიჟამოში გამოწყობილი, სიმპათიური ჩიკორა სკამზე შემდგარიყო და კედელზე კალენდარს აჭედებდა: კაკ-კუკ, კაკ-კუკ, – კოდალასავით.

– ნუ მიაშტერდით, მზეთუნახავო, – გულკეთილად უთხრა როდიონმა, – შინისკენ, შინისკენ. აბა, როგორია? ახლა სტუმრებიც შეგვიძლია მივიღოთ.

ეტყობა, განსაკუთრებით ეამაყებოდა, რომ ობობა კრიალა, უზადოდ სწორ და აი, ახლახან, ცინცხლად შექმნილ აბლაბუდაზე იჯდა.

VII

რა მომხიბლავი დილა იყო! სინათლე წინანდელივით გაჭირვებით კი არ აღწევდა, თავისუფლად იღვრებოდა როდიონისგან წუხელ გაწმენდილ, ცხაურიან სარკმელში. წებოვანი ყვითელი კედლებიდან ახალმოსახლეობის სუნი ქროდა, მაგიდას სუფთა, ჯერაც ჰაერგამოყოლილი, გატკიცინებული სუფრა ეფარა, გულუხვად მორწყული ქვის იატაკი შადრევნის სიგრილით ფშვინავდა.

ცინცინატი საუკეთესო სამოსში გამოეწყო, რაც კი თან ჰქონდა და სანამ აბრეშუმის გრძელყელიან, თეთრ წინდებს იცვამდა, რომლის ტარების უფლებაც მას, როგორც პედაგოგს, გალა-წარმოდგენებზე ჰქონდა, როდიონმა ბროლის სველ ლარნაკში ჩადგმული, დირექტორის ბაღის ბუთქუნა პიონები შემოიტანა და მაგიდის შუაში დადგა, – არა, მთლად შუაშიც არა, – უკუსვლით გავიდა, ერთი წუთის შემდეგ კი უკან შემობრუნდა, ტაბურეტი შემოიტანა, ერთი სკამიც დაამატა და ავეჯი ჰაიჰარად კი არა, აზრიანად და გემოვნებით განალაგა. როდიონი რამდენჯერმე კიდევ გავიდა და შემოვიდა, მაგრამ ცინცინატმა ვერ გაბედა, ეკითხა: „მალე?“ – და როგორც ხდება

ხოლმე, – იმ გამორჩეულად უქმ საათს, როდესაც საზეიმოდ გამოწკეპილი, სტუმრებს ელოდები და თითქოს არ შეიძლება, რამე ისაქმო, – ცინცინატი უაზროდ მიმოდიოდა, უადგილო ადგილას – კუთხე-კუთხე ჯდებოდა, ხან კი ლარნაკში ყვავილს გაასწორებდა და ბოლოს და ბოლოს, როდიონს შებრალდა და უკვე მალეო, უთხრა.

უცბად, ზუსტად ათზე, გამოცხადდა როდრიგ ივანოვიჩი – საუკეთესო, მონუმენტურ ქურთუკში გამოწყობილი, გაფუფუნებული, შეუვალი და თავდაჭერილად აგზნებული, დადგა მაგიდაზე მძიმე საფერფლე და ყველაფერი დაათვალიერა (ერთადერთი, ცინცინატის გარდა, – ისე იქცეოდა, როგორც თავის საქმეში ჩაფლული მაჟორდომი, რომლის ყურადღებაც მხოლოდ უსულო ინვენტარის განლაგებაზეა გაფაციცებული, ცოცხალს კი ნებას რთავს, თავად გალამაზდეს). როდრიგ ივანოვიჩი გავიდა, შემოვიდა, რეზინის ბურთიანი მწვანე ფლაკონი შემოიტანა, ღონივრად დაუქშუტუნა, ირგვლივ ნაძვის სურნელი მოაფრქვია და საკმაოდ უდიერად გასწია განზე ციცინატი, რომელიც ფეხებში მოებლანდა. როდრიგ ივანოვიჩმა, როდიონის დადგმული სკამები გადააადგილა და თვალებდაჭყეტილი დიდხანს უყურებდა მათ ზურგს: ორივეს სხვადასხვანაირი ზურგი ჰქონდა, – ერთს ჩანგის ფორმისა, მეორეს – ოთხკუთხა. როდრიგ ივანოვიჩმა ლოყები გამობერა, ჰაერი სტვენით გამოუშვა, ცინცინატს მიუტრიალდა და ჰკითხა:

– თქვენ მზადა ხართ? ყველაფერი გქონდათ? აბზინდები მთელია? ეს მოჭმუჭნილივით რატომ გაქვთ? თქვენ რა გითხარით... ხელისგულები მაჩვენეთ. Bon[13]. ახლა ეცადეთ, არ დაისვაროთ. მგონი, უკვე მალე იქნება.

გავიდა და მისი ხავერდოვანი, მბრძანებლური ბანი ახლა დერეფანში აგორდა. როდიონმა

საკნის კარი გააღო, დაამაგრა, რომ არ მიხურულიყო და ზოლიანი ფეხსაწმენდი ზღურბლზე გარდიგარდმო დააგო.

– მოდიან, – როდიონმა ცინცინატს თვალი ჩაუპაჭუნა და ისევ მიიმალა.

საკეტმა სადღაც სამჯერ მკვახედ გაიჩხაკუნა, ხმები ერთმანეთში აირია, სიომ დაქროლა და ცინცინატს თმა შეურხია...

აღელვებისგან ტუჩები უკანკალებდა, რომელიც თანდათან ღიმილს ემსგავსებოდა.

– აქეთ, აქეთ, აი, მოვედით კიდეც, – აბუბუნდა დირექტორის ბანი და მალე თავადაც გამოჩნდა. როდრიგ ივანოვიჩს ხელკავი გამოედო და თავაზიანად მოჰყავდა ზოლიანი, ჩიკორა პატიმარი, რომელიც ვიდრე შემოვიდოდა, ფეხსაწმენდზე შედგა, ტარსიკონის ფეხსაცმელი უხმაუროდ შეატყუპა და ცინცინატს მისალმების ნიშნად თავი კოხტად დაუკრა.

– ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ მ-სიო პიერი, – აღფრთოვანებულმა მიმართა ცინცინატს დირექტორმა, – მობრძანდით, მობრძანდით, მ-სიო პიერ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, აქ როგორ გელოდნენ... იცნობდეთ, ბატონებო... ნანატრი შეხვედრაა... ჭკუის სასწავლებელი სანახაობაა... მ-სიო პიერ, გვიკადრეთ და ნუ განგვსჯით...

თავადაც არ იცოდა, რას ამბობდა, – ჭყლოპინებდა, ცმუკავდა, ხელებს მორცხვად იფშვნეტდა და ნეტარებისგან ლამის დამდნარიყო.

მ-სიო პიერი, ძალიან მშვიდი და თავდაჭერილი, ცინცინატს მიუახლოვდა, ისევ თავის დაკვრით მიესალმა და იმანაც უნებლიეთ ხელი ჩამოართვა; ამასთან, მ-სიო პიერმა ცინცინატის ხელი, რომელიც დასხლტომას ცდილობდა, მოსალოდნელზე ნახევარი წამით მეტხანს გაიჩერა პატარა, ფუნჩულა ხელში – ხანშიშესული, ალერსიანი ექიმივით რბილად, გემრიელად, – და მერეღა გაუშვა.

მ-სიო პიერმა წვრილი ხმით, წამღერებით თქვა:

– მეც ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. იმედს გამოვთქვამ, უფრო დავახლოვდებით.

– სწორედაც, სწორედაც, – გადაიხარხარა დირექტორმა, – უჰ! აი, დაბრძანდით... ისე იყავით, როგორც საკუთარ სახლში... კოლეგა იმდენად ბედნიერია, რომ სიტყვა ვერ უპოვია.

მ-სიო პიერი დაჯდა და თუმცა აღმოჩნდა, რომ იატაკს ფეხს ვერ უწვდენდა, ამან მის სიდარბაისლესა და გრაციოზულობას, რითაც ბუნება აჯილდოებს ხოლმე ზოგიერთ გვარიანად

ჩატუკნულს, ვერაფერი დააკლო. იგი ნათელი, მომინანქრებული თვალებით თავაზიანად უყურებდა ცინცინატს, ხოლო როდრიგ ივანოვიჩის – ისიც მაგიდას მისჯდომოდა, – მოლიზღარი, წამქეზებლური და სიამოვნებისგან მთვრალი თვალი ერთიდან მეორეზე გადარბოდა და სტუმრის ყველა სიტყვის შემდეგ, ხარბად აკვირდებოდა ცინცინატს, – აბა, რა შთაბეჭდილება მოახდინაო.

მ-სიო პიერმა თქვა:

– თქვენ საოცრად ჰგავხართ დედათქვენს. მართალია, თავად დედათქვენი არასდროს მინახავს, მაგრამ როდრიგ ივანოვიჩმა თავაზიანობა გამოიჩინა და დამპირდა, რომ მის სურათს მაჩვენებდა.

– გასაგებია, – თქვა დირექტორმა, – ვიშოვით.

მ-სიო პიერმა კი განაგრძო:

– ეგეც არ იყოს, არ დაგიმალავთ და, ფოტოგრაფია ყრმობიდან მიტაცებს. მე ახლა ოცდაათი წლისა ვარ, – თქვენ?

– ზუსტად ოცდაათისა ვართ, – მიუგო დირექტორმა.

– აი, ხომ ხედავთ, სწორად გამომიცნია. რადგან თქვენც გაინტერესებთ, ახლავე გაჩვენებთ...

მ-სიო პიერმა პიჟამოს უბის ჯიბიდან ჩვეული სიმარჯვით ამოიღო გაბერილი საფულე, იქიდან კი ძალიან პატარა ზომის სამოყვარულო ფოტოსურათების სქელი დასტა, საიდანაც ბანქოს ქაღალდივით სათითაოდ აძრობდა და მაგიდაზე დებდა სურათებს, რომლებსაც როდრიგ ივანოვიჩი აღტაცებული შეძახილებით დააცხრებოდა, დიდხანს ათვალიერებდა და მერე, თვალის გაყოლებითა და დანანებით, ანდა უკვე ახლისკენ ხელგაწვდილი, იქით გადასცემდა, მაგრამ იქით უძრაობა და დუმილი სუფევდა. ყველა სურათზე მ-სიო პიერი იყო გამოსახული,– მ-სიო პიერი სხვადასხვა მდგომარეობაში – ხან ბაღში, პრემირებული გოლიათი პომიდვრით ხელში, ხან რომელიღაც მოაჯირზე ცალი დუნდულით ჩამომჯდარი (პროფილით, პირში ყალიონით), ხან სარწეველა სავარძელში მჯდარი, გვერდით მოდგმული ჭიქითა და შიგ ჩალის ღეროთი...

– ჩინებულია, შესანიშნავია, – თავს აქნევდა, იშმუშნებოდა და ბურტყუნებდა როდრიგ ივანოვიჩი, რომელსაც ხან ხელში ორი სურათი ერთად დაეჭირა, თვალი ერთიდან მეორეზე გადაურბოდა და ვერც ერთს შელეოდა, – უჰ, უჰ, ეს რა კუნთები გქონიათ! თქვენი დახვეწილი

კომპლექციის შემხედვარე, ვინ იფიქრებდა! გადასარევია! ვაჰ, რა მომხიბლავია, – ჩიტს ელაპარაკებით!

– მოშინაურებულია, – მიუგო მ-სიო პიერმა.

– საოცარია! აბა, უყურე... ეს რაღაა – აქ, მგონი, საზამთროს მიირთმევთ!

– დიახ, გეახლებით, – თქვა მ-სიო პიერმა, – ეს უკვე ნახეთ. აი, ეს ინებეთ.

– არ დაგიმალავთ და შესანიშნავია. აბა, ეგენი აქ მომეცით, ამას ჯერ არ უნახავს...

– სამი ვაშლით ვჟონგლიორობ, – თქვა მ-სიო პიერმა.

– ბარაქალა! – ენაც კი გაატკაცუნა დირექტორმა.

– აქ დილის ჩაის ვსვამთ, – თქვა მ-სიო პიერმა, – ეს მე ვარ, ეს კი განსვენებული მამაჩემია.

– დიახ, დიახ, ვიცანი... ეს უკეთილშობილესი ნაოჭები!

– აქ სტროპის პირას ვარ, ყოფილხართ? – მიმართა ცინცინატს.

– მგონი, არა, – მიუგო დირექტორმა, – აქ სადა ხართ? რა ელეგანტური პალტო გაცვიათ! რომ იცოდეთ, აქ თქვენს ასაკზე უფროსსა ჰგავხათ. დაიცათ, კიდევ მინდა დავხედო, – იმას, სარწყავი რომ გიჭირავთ...

– აი, სულ ეს არის, რაც თანა მაქვს. რომ მცოდნოდა, ასე დაგაინტერესებდათ, კიდევ წამოვიღებდი. ათიოდე ალბომი მაინც მექნება.

– საოცარია! მშვენიერია! – იმეორებდა როდრიგ ივანოვიჩი და ამდენი ხითხითის, ამდენი ბედნიერი უჰ-ისა და ვაჰ-ისგან მოგვრილ ცრემლებს იასამნისფერი ცხვირსახოცით იწმენდდა.

მ-სიო პიერმა საფულე დაკეცა და მის ხელში უცბად ბანქოს დასტა გაჩნდა.

– ჩაიფიქრეთ ნებისმიერი, – შესთავაზა მ-სიო პიერმა და მაგიდაზე ქაღალდის გაშლას შეუდგა, იდაყვით გასწია საფერფლე და გაშლა განაგრძო.

– ჩავიფიქრეთ, – მკვირცხლად მიუგო დირექტორმა.

მ-სიო პიერმა ცოტა ცუღლუტურად მიიდო თითი შუბლზე, მერე ქაღალდი სწრაფად მოაგროვა, ყოჩაღად გაატკაცუნა და ყვავის სამიანი დააგდო.

– საკვირველია! – შესძახა დირექტორმა, – საოცრებაა!

ბანქო ისევე შეუმჩნევლად გაქრა, როგორც გამოჩნდა. მ-სიო პიერმა უშფოთველი სახე მიიღო და დაიწყო:

– ექიმთან დედაბერი მიდის და ეუბნება: მე, ბატონო ექიმო, ისეთი რაღაც შემეყარა, ისეთი, რომ ძალიან მეშინია, ვაითუ, მოვკვდე... – რა სიმპტომები გაქვთ? – თავი მირაცრაცებს, ბატონო ექიმო, – აქ მ-სიო პიერი დედაბერივით აჩიფჩიფდა და თავი დააკანტურა.

როდრიგ ივანოვიჩი გიჟივით ახარხარდა, მაგიდას მუშტები დაუშინა, ჩაბჟირდა, ხველა აუტყდა, სული ძლივს მოითქვა და როგორც იქნა, დამშვიდდა.

– მ-სიო პიერ, თქვენ საზოგადოების თვალისჩინი ხართ, – ცრემლისღვრით თქვა მან, – თვალისჩინი! ასეთი სასაცილო ანეკდოტი სიცოცხლეში არ მომისმენია.

– რა სევდიანი ვართ, რა ნაზი, – მიუბრუნდა მ-სიო პიერი ცინცინატს და ტუჩები ისე წამოიშვირა, თითქოს გაბუტული ბავშვის გაცინება სურსო, – სულ ჩუმად ვართ, კრინტსაც არა ვძრავთ, ულვაშები კი გვითრთის, კისერზე კი ძარღვი გვიფეთქავს, თვალი კი ამღვრეული გვაქვს...

– ეგ სულ სიხარულის ბრალია, – სწრაფად მიუგო დირექტორმა, – N'y faites pas attention[14].

– მართლაც, მხიარული, ლამაზი დღეა, – განაცხადა მ-სიო პიერმა, – თავადაც ისეთი აფორიაქებული ვარ, გული ისე მიცემს... თავის ქებით არ ვიტყვი, კოლეგა, მაგრამ თქვენ ჩემში იპოვით გარეგნული მხიარულებისა და შინაგანი დელიკატურობის იშვიათ შეხამებას, ენაწყლიანობასა და დუმილის უნარს, – ოხუნჯობისა და სერიოზულობის მონაცვლეობას... ვინ ანუგეშებს გულამოსკვნილ ბავშვს, ვინ დაუწებებს გატეხილ სათამაშოს? – მ-სიო პიერი. ვინ გამოესარჩლება ქვრივ დედაკაცს? – მ-სიო პიერი. ვინ მისცემს საღ რჩევას, ვინ მიასწავლის წამალს, ვინ მიუტანს სასიხარულო ამბავს? ვინ? ვინ? – მ-სიო პიერი. მუდამ მ-სიო პიერი, ყველგან და ყოველთვის...

– ჩინებულია! ნამდვილი ტალანტია! – ისე შესძახა დირექტორმა, თითქოს ლექსი მოისმინაო, თანაც, ცინცინატს წარბაწეული გადახედავდა ხოლმე.

– დიახ, მეც ასე მგონია, – განაგრძო მ-სიო პიერმა, – ჰო, მართლა, – შეაწყვეტინა საკუთარ თავს, – ბინით კმაყოფილი ხართ? ღამე ხომ არ გცივათ? მაძღრისად გკვებავენ?

– იგივეს იღებს, რასაც მე, – მიუგო როდრიგ ივანოვიჩმა, – საუკეთესოდ იკვებება.

– საუკეთესოდ იკვებება კაკლის ხისნაირ მაგიდაზე, – გაიხუმრა მ-სიო პიერმა.

დირექტორი აპირებდა ისევ არეხრეხებულიყო, მაგრამ ამ დროს, კარი გაიღო და შემოვიდა აყლაყუდა ბიბლიოთეკარი – პირქუში, იღლიაში ამოდებული წიგნების დასტითა და ყელზე შემოხვეული შალის ყელსახვევით. იგი არავის მისალმებია, მაგიდასთან მივიდა და წიგნები დაყარა. ჰაერში მყისიერად ავარდა მათი სტერეომეტრული, მტვრისგან შედგენილი ლანდები, ერთხანს ჰაერში შედგა, მერე შეირხა და დაიცარა.

– მოითმინეთ, – თქვა როდრიგ ივანოვიჩმა, – მგონი, თქვენ ერთმანეთს არ იცნობთ.

ბიბლიოთეკარმა მ-სიო პიერს თავი ისე დაუკრა, არ შეუხედავს, თავაზიანმა მ-სიო პიერმა კი სკამიდან წამოიწია.

– მ-სიო პიერ, გევედრებით, – გულზე მიიდო ხელი და შეეხვეწა დირექტორი, – აჩვენეთ თქვენი ოინი, გთხოვთ!

– ოჰ, არ ღირს, ალბათ... ისეთი მარტივია... – მოისაწყლა თავი მ-სიო პიერმა, მაგრამ დირექტორი არ ეშვებოდა.

– სასწაულია! წითელი მაგიაა! ყველანი გევედრებით! გთხოვთ, შეგვისრულეთ... მოიცადეთ, მოიცადეთ, – დაუყვირა ბიბლიოთეკარს, რომელმაც კარისკენ დაადო თავი, – მ-სიო პიერი ახლა რაღაცას გვაჩვენებს. გთხოვთ! გთხოვთ! არა, ნუ მიდიხართ-მეთქი...

– ჩაიფიქრეთ ამ დასტიდან ერთი, – კომიკური სერიოზულობით განაცხადა მ-სიო პიერმა, ქაღალდი აურია და მაგიდაზე ყვავის ხუთიანი დააგდო.

– არა, – თქვა ბიბლიოთეკარმა და გავიდა.

მ-სიო პიერმა მრგვალი მხრები აიჩეჩა.

– ახლავე მოვალ, – ჩაიბურტყუნა დირექტორმა და ისიც გავიდა.

ცინცინატი და მისი სტუმარი მარტონი დარჩნენ. ცინცინატმა წიგნი გადაშალა და კითხვაში ჩაეფლო ანუ პირველ წინადადებას კითხულობდა და კითხულობდა. მ-სიო პიერი გულკეთილი ღიმილით უყურებდა, მაგიდაზე თათი ნერბით ამობრუნებული დაედო, თითქოს ცინცინატს ზავს სთავაზობსო. დირექტორი დაბრუნდა. მუჭში შალის ყელსახვევი ჩაებღუჯა.

– იქნებ თქვენ გამოგადგეთ, მ-სიო პიერ, – თქვა და ყელსახვევი გაუწოდა, მერე დაჯდა, ცხენივით ამოიქშინა და ცერა თითს დააცქერდა, რომელზეც ნახევრად მომძვრალი ფრჩხილი ნამგალივით ამოშვეროდა.

– ჰო, რას ვამბობდით? – წარმტაცი ტაქტით, ვითომც არაფერი, წამოიძახა მ-სიო პიერმა, – ჰო, ფოტოსურათებზე ვლაპარაკობდით. როგორმე აპარატს მოვიტან და გადაგიღებთ. ძალიან გავერთობით. რას კითხულობთ, შეიძლება დავხედო?

– წიგნი მაინც გადაგედოთ, – დირექტორს ხმა უწყდებოდა, – თქვენ ხომ სტუმარი გყავთ.

– თავი დაანებეთ, – გაიღიმა მ-სიო პიერმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– უკვე გვიანია, – საათს დახედა და ყრუდ ჩაილაპარაკა დირექტორმა.

– დიახ, ახლავე წავალთ... ფიე, რა ბუტიაა!.. შეხედეთ, შეხედეთ, – ტუჩები უკრთის... სადაცაა მზე გამოანათებს... ბუტია, ბუტია!

– წავედით, – თქვა დირექტორმა და წამოდგა.

– ახლავე... აქ ყოფნა ისე მსიამოვნებს, რომ ფეხი უკანა მრჩება... ასეა თუ ისე, ჩემო კეთილო მეზობელო, თქვენის ნებართვით, ხშირ-ხშირად მოგინახულებთ ხოლმე, – ცხადია, თუკი ასეთ ნებართვას მომცემთ, – მაგრამ თქვენ ხომ მაძლევთ, ხომ მაძლევთ?.. ასე რომ, ნახვამდის! ნახვამდის! ნახვამდის!

მ-სიო პიერმა ვიღაცას მიჰბაძა და სასაცილოდ გამოეთხოვა. დირექტორმა ვნებიანი, უხამსი კრუსუნით ისევ გამოსდო ხელკავი და ორივე გავიდა. ბოლო წუთს კი მოისმა: მომიტევეთ, რაღაც დამავიწყდა. ახლავე დაგეწევით... – დირექტორი საკანში შემობრუნდა, ცინცინატს მიეჭრა და იისფერი სახიდან ღიმილი ჩამოირეცხა.

– თქვენ ნაცვლად, მე შემრცხვა, – გამოსცრა კბილებში, – თქვენ ნაცვლად, მე შემრცხვა. ისე იქცეოდით, როგორც... მოვდივარ, მოვდივარ, – გასძახა და სახე ისევ გაუნათდა. მერე, პიონებიან ლარნაკს ხელი დაავლო და კარისკენ გაემართა, – მიდიოდა და გზადაგზა წყალი ეღვრებოდა.

ცინცინატს წიგნიდან თავი არ აუღია. გადაშლილ გვერდზე წვეთი დაეცა და რამდენიმე ასო მის ქვეშ ისე გამოიკვეთა, თითქოს გამადიდებელი მინა დაედოთ და პეტიტიდან ციცეროდ ქცეულიყო.

VIII

ზოგი ფანქარს თავისკენ თლის – კარტოფილივით, ზოგიც ჯოხივით – პირიქით... როდიონი ამ უკანასკნელთ მიეკუთვნებოდა. როდიონს ძველი ჯაყვა ჰქონდა, რამდენიმე პირითა და საცობის საძრობელათი (საცობის საძრობელა გარედან განისვენებდა).

„დღეს მერვე დღეა (წერდა თითქმის მესამედით დამოკლებული ფანქრით ცინცინატი), მე კი არათუ ისევ ცოცხალი ვარ, ანუ ვარ ჩემით ღრუბელშემოსაზღვრული და დაბნელებული, არამედ ყველა მოკვდავის დარად, ჩემი კვდომის მიჯნა არ ვიცი და ჩემს თავსაც ყველასთვის საერთო ფორმულა შემიძლია მივუსადაგო: მომავლის ალბათობა უკუდამოკიდებულია და კლებულობს იმისდა მიხედვით, რამდენად შორს სწვდება მას ჩვენი გონება. თუმცა, როდესაც საქმე ჩემზეა, სიფრთხილე მკარნახობს, ძალზე პატარა ციფრები გამოვიყენო, – მაგრამ არა უშავს, არა უშავს, მე ცოცხალი ვარ. ამაღამ – და ეს პირველად არა ხდება, – განსაკუთრებული რამ მომეფინა: გარსს გარსზე ვიცლი და ბოლოს... არც კი ვიცი, როგორ აღვწერო, მაგრამ აი, რა ვიცი: ვიფცქვნები თანდათანობით მაგარ, განუყოფელ და

გასხივოსნებულ ბოლო წერტილამდე, რომელიც ამბობს: მე ვარ! – როგორც მარგალიტის ბეჭედი ზვიგენის სისხლიან ცხიმში, – ოჰ, ჩემო ერთგულო, ჩემო მარადიულო... ჰოდა, ჩემთვის საკმარისია ეს ბოლო წერტილი, – კაცმა რომ თქვას, სხვა არც არაფერი მინდა. იქნებ მომავალი ასწლეულის მოქალაქემ, მოჩქარე

სტუმარმა (დიასახლისი ჯერ არც კი ამდგარა), იქნებ ისე, უბრალოდ, ბაზრობის მონსტრმა, ამ მოდარიალე, უსაშველოდ უქმ სამყაროში... მე ტანჯული ცხოვრება გამოვიარე და ამ ტანჯვის, ამ ტანჯვის გადმოცემა მსურს, – ოღონდ სულ მეშინია, რომ ვერ მოვასწრებ. რაც თავი მახსოვს, – მახსოვს კი უკანონო სიცხადით, – თავისივე თავის თანამზრახველი, რომელმაც მეტისმეტად ბევრი რამ იცის თავის თავზე და ამიტომაც სახიფათოა, ამიტომაც... მე ამოვდივარ ისეთი მჭახე უკუნიდან, ვბზრიალებ ციბრუტივით, ისეთი ძლიერი ბიძგით, ისეთი ცეცხლით, რომ აქამდე ვგრძნობ (ხან სიზმრად, ხან ძალიან ცხელ წყალში მწოლი) იმ პირველქმნილ თრთოლვას, პირველ დამწვრობას, ზამბარას ჩემი მეობისას, – როგორ გამოვხტი – გალიპული, ტიტლიკანა! – დიახ, საუფლოდან, სხვისთვის აკრძალულიდან, მიუწვდომელიდან, – დიახ, მე რაღაც ვიცი, დიახ... მაგრამ ახლაც კი, როდესაც სულერთია, გათავებულია, – ახლაც კი – მეშინია, ვინმე ვაცდუნო? ან იქნებ არაფერი გამოვა იქიდან, რისი მოყოლაც მინდა და დარჩება მხოლოდ მოშთობილი სიტყვების შავი გვამები, სარჩობელას კერძებივით... საღამოს მიმოხილვა, ჭილყვავები... ასე მგონია, თოკს ვამჯობინებდი, რადგანაც დანამდვილებით და განუხრელად ვიცი, ნაჯახი იქნება; დროის მოგება, – ეს ახლა ჩემთვის იმდენად ძვირფასია, რომ ვაფასებ ყველა ამოსუთქვას, გადავადებას... ფიქრის დროს ვგულისხმობ, – შვებულებას, რომელსაც ვაძლევ ჩემს ფიქრებს უფასო მოგზაურობისთვის ფაქტიდან ფანტაზიამდე და უკან... კიდევ ბევრს ვგულისხმობ, მაგრამ წერა არ ვიცი, დრო არ მაცლის, ვღელავ, სუსტად ვარ... მე რაღაც ვიცი. მე რაღაც ვიცი. მაგრამ მისი გამოხატვა ისე ძნელია! არა, არ შემიძლია... მინდა, თავი

დავანებო, – არადა, ისეთი გრძნობა გაქვს, რომ დუღხარ, რძესავით ამოდიხარ და თუკი რამენაირად არ გადმოეცი, ღიტინისგან გაგიჟდები. ოჰ, არა, მე ჩემს თავზე ტუჩს არ ვილოკავ, საკუთარ სულს გამწარებული არ ვეძიძგილავები ბნელ ოთახში; მე არაფერი მსურს, არაფერი! – მხოლოდ ის, რომ ყველაფერი ვთქვა საყოველთაო, საქვეყნო სიმუნჯის ჯიბრზე. როგორ მეშინია. როგორ მერევა გული. მაგრამ ჩემს თავს ვერავინ წამართმევს. როგორ მეშინია! ჰოდა, აი, ვკარგავ რომელიღაც ძაფს, რომელიც ახლახან აშკარად ხელში მეჭირა. სად წავიდა? ხელი გამეშვა! ფურცელზე დახრილს მაკანკალებს, ფანქარს გრაფიტამდე ვღრღნი, ვცდილობ კუზით დავემალო კარს, საიდანაც გამჭოლი მზერა კეფას მიხვრეტს, და მეჩვენება, რომ აი, ახლა ყველაფერს დავჭმუჭნი, დავხევ... მე აქ შეცდომით მოვხვდი, – მაინცდამაინც საკანში კი არა, ზოგადად, ამ საზარელ, ზოლიან სამყაროში, – რიგიან-პირიანი მაგალითი ხელოსნური ხელოვნებისა, არსებითად კი უბედურება, უჟმური, სიგიჟე და შეცდომა, – ჰოდა, დამკრა თავისი ხის ურო ხისგან გამოთლილმა გოლიათმა დათვმა. არადა, მე ხომ ყრმობიდანვე სიზმრებს ვხედავდი... ჩემს სიზმრებში სამყარო იყო

გაკეთილშობილებული, გასულიერებული; იქ ისინი, ვისიც ცხადში ასე მეშინოდა, გარდასახვის მიჯნაზე მდგარი ცახცახებდა, გარეშემოვლებული და გაჟღენთილი იმგვარი მთრთოლავი ჰაერი, რომელიც ხვატისგან ავარდნილ ალმურში თითქოს სიცოცხლეს თავად საგანთა მოხაზულობას ანიჭებსო; მათი ხმა, მათი სიარული, გამომეტყველება, – ტანისამოსისაც კი, – ამაღელვებელ მნიშვნელობას იძენდა; მოკლედ, ჩემს სიზმრებში სამყარო ცოცხლდებოდა და იმდენად თვალწარმტაცად მნიშვნელოვანი,

თავისუფალი და ჰაეროვანი ხდებოდა, რომ დახატული ცხოვრების ნეშტი სუნთქვას მიკრავდა. თანაც, დიდი ხანია, შევეგუე იმ აზრს, რომ სიზმრად წოდებული, ნახევრად სინამდვილეა, ნამდვილის დაპირებაა, მისი წინკარი და მონაბერია, ანუ შეიცავს – ძალიან ბუნდოვანსა და გაზავებულ მდგომარეობაში, – მეტ ჭეშმარიტ სინამდვილეს, ვიდრე ჩვენი ნაქები ცხადი, რომელიც თავის მხრივ, სანახევროდ სიზმარია, – უჟმურია, რომელშიც ჩვენი აზროვნების პერიფერიიდან იჭრება ნამდვილი სამყაროს ხმები და ხატები უცნაურად და საშინლად შეცვლილი, – როგორც ხდება, როდესაც სიზმარში იმიტომ ისმენ მაცდუნებელ და მრისხანე ამბავს, რომ ფანჯრის მინას რტო ეხახუნება, ანდა თოვლში იმიტომ ეფლობი, რომ საბანი გადაგხდია. არადა, რომ იცოდეთ, როგორ ვუფრთხი გაღვიძებას! როგორ მეშინია იმ წამის, უფრო სწორად, წამის ნახევრის, – უკვე მოჭრილი რომ იქნება, როდესაც ის ხეთქების ხმას გამოსცემს. ეჰ, რისა მეშინია? ჩემთვის ხომ ეს უკვე ნაჯახის ლანდი იქნება და დარტყმის ჯახსაც სააქაო ყურით ვეღარ გავიგონებ. მაინც მეშინია! ასე იოლად ვერ მოისვრი. თანაც არ ვარგა, რომ ჩემს ფიქრებს სულ მომავლის ხვრელი ისრუტავს; მინდა სხვა რამეზე დავწერო, სხვა განვმარტო... მაგრამ გაუგებრად და უსახურად ვწერ, როგორც პუშკინის პოეტური დუელანტი[15]. ეტყობა, მალე მესამე თვალი ამეხილება – უკან, კისერზე, მყიფე მალებშუა, – შეშლილი თვალი, ფართოდ გახელილი, მსუნთქავი ჩინითა და ვარდისფერი ძარღვებით მბზინავ კაკალზე. ხელი არ ახლო! – უფრო ხმამაღლა, ხრინწიანად, – ხელი არ ახლო! ყველაფერს წინასწარ ვგრძნობ! ყურში ხშირად მიდგას ჩემი მომავალი ხროტინი და საშინელი ბუყბუყა

ხველა, რომელიც ახლად თავმოკვეთილს ამომდის. მაინც კი ეს ყველაფერი ის არ არის და არც ჩემი მსჯელობა ცხადსა და სიზმარზე არის ის... სდექ! აი, ისევ ვგრძნობ, რომ ახლა მართლა ვიტყვი, რაც მინდა, – სიტყვას მოვინადირებ. ვაგლახ, რომ არავის უსწავლებია მათზე ნადირობა და დიდი ხანია, მივიწყებულია უძველესი, თანდაყოლილი ხელოვნება წერისა, როდესაც მას სკოლა არა სჭირდებოდა, ხანძარივით აბრიალდებოდა და ყველაფერს მოედებოდა, – ახლა, ეს ისე წარმოუდგენლად გვეჩვენება, როგორც მუსიკა, ოდესღაც რომ გამოსცემდა უზარმაზარი როიალი, მკვირცხლად რომ რაკრაკებდა, ანდა უეცრად, ვეებერთელა, მოელვარე ნაჭრებად აპობდა სამყაროს. ეს ყველაფერი მე ისე ცხადად წარმომიდგენია, მაგრამ მე თქვენ არა ვარ და ამას არაფერი ეშველება. მე, რომელმაც წერა არ ვიცი, მაგრამ დანაშაულებრივი ალღოთი ვხვდები, როგორ იქმნება სიტყვა, რა არის საჭირო, რათა ჩვეულებრივი სიტყვა გაცოცხლდეს, დაესესხოს თავის მეზობელს

ბრწინვალებას, ცეცხლსა და ჩრდილს, აისახოს მის წიაღში და ისიც იმგვარად განაახლოს, რომ მთელი სტრიქონი ათასფერად ელავდეს; ვხვდები ამ თანაზიარობას, მაგრამ ამას ვერ ვაღწევ, არადა, უეჭველად მჭირდება, ოღონდ არა დღევანდელი და სააქაო ამოცანის გადასაჭრელად. არა სააქაოსი! ჩლუნგი „სა-აქა-ო“, – წყვილი „ანით“ გვერდგამაგრებული და ჩაკეტილი ბნელი დილეგი, რომელშიც უაზროდ აყმუვლებული ზაფრა გამოუმწყვდევიათ, – მიჭერს და მაწვება. არადა, როგორ გამოანათებს ხოლმე ღამღამობით, როგორ... ის არის, – ჩემი სიზმრისეული სამყარო არის, – შეუძლებელია, არ იყოს, რადგან ხომ უნდა იყოს ნიმუში, რაკი მისი დამახინჯებული ასლი არსებობს. ლურჯი, რულმორეული და

გამობურცული, ნელა ტრიალდება ჩემკენ. აი, ისე, ღრუბლიან დღეს თვალდახუჭული პირაღმა რომ გაშოტილხარ და უცბად ქუთუთოებში სიბნელე დაიძვრება, რომელიც ნება-ნება ღიმილში გადადის, მერე კი ბედნიერების ცხელი ტალღა გაწყდება და იცი: ღრუბლებიდან მზემ გამოანათა. აი, ასეთი შეგრძნებით იწყება ჩემი სამყარო: კვამლისფერი ჰაერი თანდათან იწმინდება და ისეთ გასხივოსნებულ, მთრთოლავ სიკეთედ იღვრება, ჩემი სული მშობლიურ გარემოში წელში ისე იმართება... ჰო, მაგრამ მერე, – მერე? – დიახ, ეს ის მიჯნაა, რომლის იქითაც მე ხელი აღარ მიმიწვდება... ზედაპირზე ამოგდებული სიტყვა ჰაერში სკდება, როგორც სკდებიან ხოლმე ბადეში მოხვედრილი ბურთისებრი თევზები, რომლებსაც მხოლოდ ძალიან დიდ სიმკვრივესა და სიღრმეში შეუძლიათ სუნთქვა და ბრწყინვა. საბოლოოდ ვატან თავს ძალას და აი, მგონი, მოვინადირე, – ოჰ, ნანადირევის წამიერი ხატია მხოლოდ! იქ ადამიანის თვალი ენით უთქმელი გონიერებით ბრწყინავს; იქ თავისუფლად დასეირნობენ სააქაოს სვეგამწარებული ახირებულები; იქ დრო სურვილისამებრ იკეცება, – სახიანი ფიანდაზივით, რომელსაც თუ გინდა, ისე დაკეცავ, რომ ნებისმიერ ორ ქარგას ერთმანეთს დაამთხვევ, – მერე კი ფიანდაზს ისევ გაშლი და ცხოვრებას განაგრძობ, – ანდა მომავლის სურათს წარსულს დაადებ და ასე უსასრულოდ, უსასრულოდ, – იმ ქალის დარად, აუჩქარებლად, ზანტი გულისყურით რომ ირჩევს კაბისთვის ბაბთიან სარტყელს, – და აი, იგი ჩემკენ მოემართება, – ნარნარით მოდის და მუხლით ხავერდს მწყობრად ეხლება, – ყველაფრის გამგები და ჩემთვის გასაგები; იქ, იქ არის ბაღების დედანი, სადაც დავეხეტებოდით, ვიმალებოდით; იქ ყველაფერი გაოცებს

მომხიბლავი სიაშკარავით, სრულქმნილი მადლის უბრალოებით; იქ ყველაფერი ამშვიდებს სულს, ყველაფერი ბავშვური გართობით სუნთქავს და იქ ელავს სარკე, საიდანაც ასხლეტილი არილი ზოგჯერ აქ, სააქაოს შემოხტება... თუმცა კი, ყველაფერი მთლად ასე არ არის, მთლად ასე არ არის... ჰოდა, ვიბნევი, ერთ ადგილს ვტკეპნი, უნებლიეთ ვიტყუები, არადა, რაც უფრო ვშორდები, რაც უფრო ღრმად ვაფათურებ წყალში ხელს, რათა სილიან ფსკერზე გამკრთალი არილი ვიპოვო, მით უფრო იმღვრევა წყალი, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ვიპოვი, დავიჭერ. არა, ჯერ არაფერი მითქვამს, ან ის ვთქვი, რაც წიგნებშია... და, ბოლოს და ბოლოს, ალბათ თავი უნდა მიმენებებინა და მივანებებდი კიდეც, რომ ვინმე აი, ახლა

არსებულისთვის ვიღვწოდე, მაგრამ ვინაიდან ჩემს ენაზე მეტყველი კაცი ამქვეყნად არ მეგულება, – ან უფრო მოკლედ: მეტყველი კაცი არ მეგულება ან კიდევ, უფრო მოკლედ: კაცი არ მეგულება, – ზრუნვაც მხოლოდ ჩემს თავზე მიწევს, – იმ ძალაზე, რომელიც არ მასვენებს და მაიძულებს, ვიმეტყველო. მცივა, დავსუსტდი, მეშინია, კეფა მიფეთქავს და თვალმოჭუტული, ჩაციებით, ისევ შეშლილი თვალით იყურება, – და მაინც, – მე, ამ მაგიდასთან, როგორც კათხა შადრევნთან, ჯაჭვით ვარ მიბმული, – არ ავდგები, ვიდრე არ გამოვთქვამ.... ვიმეორებ (გამეორებული შელოცვის რიტმზე, ისევ ვიკრებ ძალას გასაქცევად), ვიმეორებ: მე რაღაც ვიცი, რაღაც ვიცი, რაღაც... მე, ჯერაც ბავშვმა, ჯერაც ბინადარმა იადონივით ყვითელი, ცივი სახლისა, სადაც მზრდიდნენ მეც და ასეულობით ჩემნაირ ბავშვს, უზრუნველყოფილ და უსიცოცხლო ჯირკებად, – რადაც ყველა ჩემი თანატოლი გადაიქცა კიდეც იოლად და უმტკივნეულოდ, – ჯერ კიდევ მაშინ, იმ წყეულ

დროს, – მოქცეულმა დაფლეთილ წიგნებსა, კაშკაშა ფერებით მოხატულ დამხმარე სახელმძღვანელობსა და სულში ჩამწვდომ, გამჭოლ ქარებს შორის, – ვიცოდი უცოდინრად, ვიცოდი გაუკვირვებლად, ვიცოდი საკუთარი თავივით, ვიცოდი ის, რისი ცოდნაც შეუძლებელია, – ვიცოდი იმაზე უფრო ნათლადაც, ვიდრე ახლა, რამეთუ ცხოვრებამ გამქელა: მუდმივი მოლოდინი, ცოდნის დაფარვა, თვალთმაქცობა, შიში, მტკივნეულად დაძაბული ყველა ძარღვი – არ გავტყდე, არ გავამხილო... მე ახლაც მტკივა მეხსიერების ის ნაწილი, სადაც ამ ძალისხმევის სულ პირველი საწყისი აღიბეჭდა, ანუ როდესაც პირველად მივხვდი, რომ ის, რაც მე ჩვეულებრივი მეგონა, თურმე აკრძალულია, შეუძლებელია და ამაზე ფიქრიც კი დანაშაულია. რა კარგად მახსოვს ის დღე! მაშინ, ეტყობა, სულ ახალი ნასწავლი მქონდა ასოების გამოყვანა, რადგან ვხედავ, რომ ნეკზე თითბერის რგოლი მიკეთია, რომელსაც იმ ბავშვებს წამოაცვამდნენ ხოლმე, რომლებსაც უკვე შეეძლოთ, გადმოეწერათ სიტყვები ჩვენი სკოლის ბაღის დასურათებული ყვავილნარიდან, სადაც პეტუნიები, ფლოკსები და ხავერდულები გრძელ გამონათქვამებს ადგენდნენ. მე მუხლმოკეცილი და გარდიგარდმო ვიჯექი ღია ფანჯრის დაბალ რაფაზე და ზემოდან დავყურებდი, როგორ უვლიდნენ გარს ბაბთებშებმულ ბოძს, ბაღის გაზონზე, ხელიხელჩაკიდებული ჩემი თანატოლები, რომლებსაც ჩემსავით ფართხუნა ვარდისფერი პერანგები ეცვათ. დასჯილი ხომ არ ვიყავი? არა. ეტყობა, ბავშვები არ მათამაშებდნენ. თავად მეც ისე მესიკვდილებოდა, მრცხვენოდა და მეჩოთირებოდა მათთან ყოფნა, რომ გამოღებული დარაბის ჩრდილით მკვეთრად გამოყოფილი ჩემი რაფის თეთრი

კუთხე მერჩივნა. ჩემამდე აღწევდა შეძახილები, რომლებსაც თამაშის წესი მოითხოვდა, მესმოდა წითური როკაპის მბრძანებლურად მოწკრიალე ხმა, ვხედავდი მის კულულებსა და სათვალეს და ზიზღნარევი შიშით, რომელიც არასდროს მტოვებდა, ვაკვირდებოდი, როგორ წაკრავდა ხოლმე ხელს ყველაზე პატარებს, რათა უფრო ბეჯითად ებზრიალათ. მასწავლებელი, ზოლიანი ბოძი და თეთრი ღრუბლები, საიდანაც ცაზე მსრბოლავი მზე ისე უცბად გადმოღვრიდა მჩქეფარე, რაღაცის

მაძიებელ ნათელს, აბრდღვიალდებოდა გამოღებულ ფანჯრის მინაზე... მოკლედ, იმდენად შეშინებული ვიყავი, იმდენად ნაღვლიანი, რომ ვცდილობდი, ჩემივე თავში ჩავძირულიყავი, იქ მივმალულიყავი, თითქოს იმიტომ, რომ შემეკავებინა, დავსხლტომოდი უაზრო ცხოვრებას, რომელიც სადღაც მიმაქანებდა. ამ დროს, იმ ქვის დერეფნის ბოლოს, სადაც ვიყავი, ყველაზე უხნესი აღმზრდელი გამოჩნდა, – სახელი არ მახსოვს, – სქელი, შავად გაბანჯგვლული მკერდით, ოფლიანი, – საბანაოდ მიდიოდა. მან შორიდანვე, აკუსტიკისგან გაძლიერებული ხმით დამიტია, რომ ბაღში ჩავსულიყავი, სწრაფად მომიახლოვდა და პირსახოცი მომიქნია. დადარდიანებულმა და დაბნეულმა, – უნებლიეთ და უზრახველად, – ნაცვლად იმისა, რომ ბაღში კიბით ჩავსულიყავი (დერეფანი მესამე სართულზე იყო), დაუფიქრებლად, მაგრამ გამგონედ, მორჩილადაც კი, რაფიდან ფეხი პირდაპირ ფუმფულა ჰაერში ვიშვირე – განსაკუთრებული არაფერი მიგრძნია, გარდა იმისა, რომ მომეჩვენა, თითქოს ფეხშიშველა ვიყავი (თუმცა კი მეცვა). ისევ ფიქრში წასული, აუჩქარებლად, ძალიან ბუნებრივად მივაბიჯებდი – უგულისყუროდ დავყურებდი და ვიწუწნიდი თითს, რომელშიც

დილას ხიჭვი შემერჭო – რომ... უცბად, უჩვეულო, გამაყრუებელმა სიჩუმემ გამომაფხიზლა. დავინახე, როგორ შემომცქეროდა გაქვავებული ბავშვების თეთრი ზიზილასავით გაფითრებული სახეები და როკაპი, რომელიც მგონი, გულწასული ძირს ეცემოდა; დავინახე მრგვალად შეკრეჭილი ბუჩქებიც და გადმოგდებული პირსახოციც, რომელსაც ჯერ გაზონამდე ვერ ჩამოეღწია და – ჩემი თავიც – ჰაერში ზეზეულად გაშეშებული, ვარდისფერპერანგიანი ბიჭი, უკან პირმიქცეულმა კი სამ საჰაერო ნაბიჯზე, ჩემგან მიტოვებული ფანჯრიდან გადმოწვდილი, ბანჯგვლიანი ხელი და ავბედითად გაკვირვებული სახე...

(ამ დროს, საკანში, სამწუხაროდ, სინათლე ჩაქრა. როდიონი სინათლეს ზუსტად ათზე აქრობდა).

IX

დღე ისევ ხმების გუგუნმა შემოაღო. როდიონი პირქუშად იძლეოდა განკარგულებებს. მას კიდევ სამი თანამშრომელი ეხმარებოდა. პაემანზე მარფინკას მთელი ოჯახი ავეჯიანად გამოცხადებულიყო, – ისე არა, როგორც დიდი ხნის ნანატრი პაემანი წარმოგვედგინა... როგორ შემოვარდნენ! მარფინკას ბებერი მამა – უზარმაზარი, მოტვლეპილი თავით, პარკუჭებიანი უპეებითა და შავი ხელჯოხის კაუჩუკის ბოლოს ბაგუნით; მარფინკას ძმები – ტყუპები, სულმთლად ერთნაირები, ოღონდ ერთი ოქროსულვაშიანი, მეორე კი გიშერივით შავიანი; მარფინკას ბებია და პაპა, დედის მხრიდან – ისეთი მოხუცები, რომ სინათლე გასდიოდათ; სამი ყოჩაღი ბიძაშვილი, – ოღონდ ბოლო წუთს რატომღაც არ შემოეშვათ; მარფინკას შვილები – კოჭლი დიომედონი და ავადმყოფურად სქელი პოლინა. ბოლოს კი თავად მარფინკა, შავი საგარეო კაბით, თეთრსა და ცივ ყელზე შებმული ხავერდის ნაჭრითა და სარკით

ხელში. მარფინკას გვერდიდან არ შორდებოდა ძალიან კორექტული, უნაკლო პროფილიანი ყმაწვილი კაცი.

სიმამრმა ხელჯოხი დაიბჯინა და ტყავის სავარძელში ჩაეშვა, რომელიც თან მოეტანა, პატარა სკამზე ფეხი გაჭირვებით შემოდო, გაბოროტებულმა დაიქნია თავი და დაბღვერილი მიაშტერდა ცინცინატს. სიმამრის ბრანდებურგებმა, რომლებიც მის თბილ ქურთუკს

ამშვენებდა, ტუჩის კუთხეში ჩაკეცილმა, თითქოს მუდმივი ზიზის გამომხატველმა ღარებმა, მეწამულმა ლაქამ ძარღვიან საფეთქელზე და ამ ძარღვზე დამჯდარმა მსხვილმა, მარცვალივით ამობერილმა, ცინცინატს უმალ ნაცნობი გულისრევა მოჰგვარა.

ბებია და პაპა (პაპა გაქუცულ-აკანკალებული, საკერებელდადებული შარვლით, ბებია – მოკლედ თმაშეკრეჭილი, თახვის თეთრსაყელოიანი და ისეთი გამხდარი, რომ ქოლგის აბრეშუმის შალითა ჩამოეტეოდა) ერთმანეთის გვერდიგვერდ, ორ ერთნაირ, მაღალზურგიან სკამზე მოეწყვნენ; პაპა ბალნიანი პატარა ხელიდან არ უშვებდა ვარაყიან ჩარჩოში ჩასმულ, უზარმაზარ სურათს, რომელზეც დედამისს – ბუნდოვან ახალგაზრდა ქალს ხელში, თავის მხრივ, რაღაც სურათი ეჭირა.

ამასობაში შემოჰქონდათ და შემოჰქონდათ ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, – კედლის ცალკეული ნაჭრებიც კი; შემოიტანეს მაღალი, განიერი კარადა, პრიალა სარკიანი, რომელსაც ხელს თავისი კუთვნილი ანარეკლიც გამოეყოლებინა (კერძოდ, ცოლ-ქმრის საძინებლის კუთხე – მზის ზოლი იატაკზე, ძირს დავარდნილი ხელთათმანი, გაღებული კარი სიღრმეში); შემოაგორეს მოწყენილი, პატარა ველოსიპედი, თავისი ორთოპედიული ფანდებით; მაგიდაზე, ინსტრუქციასთან ერთად იდო – უკვე ათი წელია, – ბრტყელი ძოწის ფლაკონი და სარჭი. მარფინკა თავის შავ ვარდებამოქარგულ ტახტზე დაჯდა.

– ვაგლახ, ჩვენ, ვაგლახ! – შესძახა სიმამრმა და ხელჯოხი იატაკს დასცხო.

მოხუცები დაფრთხნენ და გაიღიმეს.

– არ გინდათ, მამიკო, ამაზე უკვე ათასჯერ ვილაპარაკეთ, – წყნარად თქვა მარფინკამ და მხარი ისე შეარხია, თითქოს შესცივდაო.

მისმა ახალგაზრდა კაცმა ფოჩებიანი შალი მიაწოდა, მაგრამ მარფინკამ თხელი ტუჩის კილოებით ნაზად გაუღიმა და მისი მგრძნობიარე ხელი (პირველ ყოვლისა, კაცს ხელებზე ვუყურებ) გასწია. ყმაწვილკაცს ტელეგრაფის მოსამსახურის დიდრაჯული შავი ფორმა ეცვა და იის სურნელი ასდიოდა.

– ვაგლახ! – ომახიანად გაიმეორა სიმამრმა და სიძეს ხმამაღლა და გულიანად შეუკურთხა. ცინცინატს თვალი პოლინას მწვანეკოპლებიანი, თეთრი კაბისკენ გაექცა. წითურთმიანი, ელამი და სათვალიანი პოლინა ამ კოპლებიანი კაბით, მორგვივით ფეხებით, ყავისფერი შალის წინდებითა და ღილიანი ჩექმით სიცილს კი არა, სევდას აღძრავდა; იგი მძიმე ნაბიჯით სათითაოდ მიდიოდა ყველასთან და თითქოს სწავლობსო, ცხვირის ძგიდესთან მიყრილი შავი, ჭრუტა თვალებით უხმოდ აშტერდებოდა. საწყალს კისერთან ხელსახოცი ჰქონდა გაკრული, – ეტყობა, საუზმის მერე მოხსნა დავიწყებოდათ.

სიმამრმა სული მოითქვა, იატაკს ისევ დასცხო ხელჯოხი და მაშინ ცინცინატმა თქვა:

– დიახ, გისმენთ!

– ჩუმად, შე ხეპრე! – დაუყვირა მან, – უფლება მაქვს, დღეს მაინც, როდესაც სიკვდილის პირას დგახარ, შენგან ცოტაოდენ თავაზიანობას ველოდე. მოხერხება არ გინდა, რომ ეშაფოტზე მოხვდე... კეთილი ინებე და ამიხსენი, როგორ შეგეძლო, როგორ გაბედე...

მარფინკამ ხმადაბლა რაღაც ჰკითხა თავის ყმაწვილკაცს, რომელიც ფრთხილად ფათურობდა და თავის გარშემო და ტახტქვეშ რაღაცას ეძებდა.

– არა, არა, არაფერია, – ხმადაბლა მიუგო იმანაც, – ეტყობა, გზაში... არაფერია, მოინახება... მითხარით, თქვენ, ეტყობა, არ გცივათ, არა?

მარფინკამ უარის ნიშნად თავი გააქნია და რბილი ხელისგული მაჯაზე დაადო, მაგრამ მაშინვე აიღო, მუხლებზე კაბა გაისწორა და სისინით მოუხმო ვაჟიშვილს, რომელიც ბიძებს მისდგომოდა, ისინი კი ხელის კვრით იშორებდნენ, რადგან მოსმენას უშლიდა. ნაცრისფერხალათიანმა, თეძოზე რეზინშემოჭერილმა დიომედონმა რიტმული კლაკვნით,

მაგრამ მაინც საკმაოდ მარჯვედ დაფარა მანძილი ბიძებიდან დედამისამდე. მარცხენა ფეხი საღი და ვარდისფერი ჰქონდა, მარჯვენა კი, თოფივით, ლულითა და ღვედით აღჭურვილი. ბიჭს მრგვალი, წაბლისფერი თვალები და თხელი წარბები დედისგან გამოჰყოლოდა, მაგრამ სახის ქვედა ნაწილი და ბულდოგივით დრუნჩი აშკარად სხვისი იყო.

– აქ დაჯექი, – ხმადაბლა უთხრა მარფინკამ და ტახტიდან დაცურებული ჯიბის სარკე ხელის ერთი დაკვრით დაიჭირა.

– არა, მიპასუხე, – განაგრძობდა სიმამრი, – როგორ გაბედე, შენ, ბედნიერმა ოჯახის მამამ, – მშვენივრად გაწყობილი ბინა, ჩინებული შვილები, მოყვარული ცოლი, – როგორ გაბედე და არ გაითვალისწინე!.. ჭკუას რატომ არ მოუხმე, შე ლირფო, შენა?

ხან მგონია, რომ ერთი გამოშტერებული ბერიკაცი ვარ და არაფერი გამეგება იმიტომ, რომ ასეთი უკიდეგანო უხამსობა ვერ დამიჯერებია... ჩუმად! – დაიბრდღვინა და მოხუცები ისევ შეკრთნენ და გაიღიმეს.

შავმა კატამ გაიზმორა, უკანა თათები გაწვართა, ცინცინტს ფეხზე ფერდი გაუგლასუნა და ბუფეტზე აღმოჩნდა, მერე კი უხმოდ ისკუპა – ბუფეტმა თვალი გააყოლა, – მხარზე მოექცა ვექილს, რომელიც საკანში ფეხაკრეფით შემოვიდა და პლუშის პუფზე დაჯდა. ძალიან გაციებული იყო, ცხვირზე გამოსაყენებლად გამზადებული ცხვირსახოცი მიედო და მის

ზემოდან ათვალიერებდა იქ მყოფთ და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნებს, რომლებსაც საკანი აუქციონისთვის დაემსგავსებინა. ვექილს შეეშინდა და კატა იატაკზე მოისროლა.

სიმამრი ბრდღვინავდა, ლანძღვა-გინებას ამრავლებდა და უკვე ხმა ეხლიჩებოდა. მარფინკამ თვალზე ხელი მიიფარა; მისი ყმაწვილი კაცი უყურებდა და ყბის კუნთებს ათამაშებდა. მარფინკას ძმები გამობერილზურგიან დივანზე ისხდნენ: შავგვრემანი – თავით ფეხამდე ყვითლად გამოწყობილი, საკინძეგაღეღილი, ხელში მილივით დახვეული ნოტების ფურცლით, ოღონდ ჯერ უნოტოდ – ქალაქის პირველი მომღერალთაგანი იყო; მის ტყუპისცალ ძმას, ლაჟვარდისფერ შარვლიანს, პეწენიკსა და ხუმარას, რომელსაც სიძისთვის საჩუქრად სანთლის ხილიანი ჭყეტელა ლარნაკი მოეტანა, მკლავზე სამგლოვიარო ბაბთა შეება და ახლა ცდილობდა, ცინცინატის მზერა დაეჭირა და ბაბთაზე უთითებდა.

მრისხანე მჭევრმეტყველების მწვერვალზე ასულ სიმამრს უცბად სუნთქვა შეეკრა და სავარძელი ისეთი ძალით გასწია, რომ მის გვერდით მდგარი ჩუმი პოლინა, რომელიც პირში შესცქეროდა, გადაყირავდა, სავარძლის უკან შეგორდა და იქვე დარჩა, იმის იმედად, რომ ვერავინ შეამჩნევდა. სიმამრმა პაპიროსის კოლოფი ტკაცუნით გახსნა. ხმას არავინ იღებდა.

ხმაჩაწყვეტილები ნელ-ნელა გათამამდნენ. მარფინკას ძმამ – იმან, შავგვრემანმა – ყელი

ჩაიწმინდა, წაიმღერა: „Mali e trano t’amesti...“[16] და შემცბარმა გადახედა ძმას, რომელმაც თვალი დაუბრიალა. ვექილმა რაღაცას გაუღიმა და ისევ ცხვირსახოცი მოიმარჯვა. მარფინკა ტახტზე მიწოლილი ეჩურჩულებოდა თავის ტრფიალს, რომელიც ეხვეწებოდა, შალი მოისხიო. ციხეში ჰაერი ცოტა ტენიანი იყო. ისინი ერთმანეთს თქვენობით მიმართავდნენ, მაგრამ ეს „თქვენ“, მათი ძლივს გასაგონი საუბრის ჰორიზონტზე, ისეთი სინაზით სავსე მიცურავდა... საშინლად აცახცახებული მოხუცი პაპა სკამიდან ადგა, სურათი დედაბერს გადაულოცა, მასავით

აცახცახებულ კვესის ალს ხელი მოაფარა და თავის სიძესთან და ცინცინატის სიმამრთან მივიდა, რათა... მაგრამ ალი ჩაქრა და სიძე უკმაყოფილოდ მოიღუშა.

– გული ნუ გამიწყალეთ, მაგ თქვენი კვესით, – თქვა პირქუშად, თუმცა აღარ ბრაზობდა. ჰაერი საბოლოოდ გამოცოცხლდა და მაშინვე ყველა ალაპარაკდა.

– Mali e trano t'amesti... – ხმამაღლა ჩაარაკრაკა მარფინკას ძმამ.

– დიომედონ, ახლავე გაუშვი კატა, – უთხრა ბიჭს მარფინკამ, – გუშინწინ ერთი უკვე დაახრჩე, ყოველდღე ხომ არ შეიძლება... წაართვით, გთხოვთ, ვიქტორ, საყვარელო...

პოლინამ საყოველთაო გამოცოცხლებით ისარგებლა, სავარძლის უკნიდან გამოფორთხდა და ჩუმად წამოდგა. ვექილი ცინცინატის სიმამრთან მივიდა და მოუკიდა.

– აბა, თქვი: იხაჯან და უკუღმა წაიკითხე, – ეუბნებოდა ცინცინატს ოხუნჯი ქვისლი, – ჰა, როგორია? ხომ სასაცილოა? ჰო, ძმაო, მაგარ შარში გაები. ისე, ჩვენში დარჩეს და, რას ფიქრობდი?

ამასობაში, კარი შეუმჩნევლად გაიღო და მის ზღურბლზე გამოჩნდნენ უკან ერთნაირად ხელშემოწყობილი მ-სიო პიერი და დირექტორი, რომლებმაც დელიკატურად, მხოლოდ თვალის შემოტარებით შეათვალიერეს საზოგადოება და სანამ წავიდოდნენ, ერთი წუთი მაინც უყურეს.

– იცი, რა, – ცხლად ასუნთქებდა და ეუბნებოდა ქვისლი, – დაუჯერე ბრძენ მეგობარს. მოინანიე, ცინცინატ. მიდი, ჩვენი ხათრით... რა იცი, იქნებ გაპატიონ? ჰა? დაფიქრდი, რა უსიამოვნოა, როდესაც გოგრასა გჭრიან. რა გენაღვლება? მიდი, მოინანიე, ნუ სულელობ!

– მოგესალმებით, მოგესალმებით, მოგესალმებით, – მიუახლოვდა და უთხრა ვექილმა, – არ მაკოცოთ, ჯერ კიდევ ძალიან გაციებული ვარ. რაზე ლაპარაკობთ? რით შემიძლია გემსახუროთ?

– გამატარეთ... – წაიჩურჩულა ცინცინატმა, – მინდა ცოლს ორი სიტყვა...

– ახლა კი, ჩემო კეთილო, მატერიალური საკითხიც განვიხილოთ, – თქვა გამოცოცხლებულმა სიმამრმა და საქაღალდე ისე უცბად გაუწოდა, რომ ცინცინატი ზედ მიეხალა, – გაჩერდი, გაჩერდი-მეთქი, შენ გეუბნები!

ცინცინატმა გზა განაგრძო. ტახტზე მიწოლილ მარფინკამდე რომ მიეღწია, ჯერ გვერდი ათ კაცზე გაშლილი სუფრისთვის უნდა აექცია და შირმასა და კარადას შუა გამძვრალიყო. ყმაწვილ არშიყს მარფინკასთვის ფეხებზე შალი მიეფარებინა.

ცინცინატმა ტახტს თითქმის მიაღწია, რომ დიომედონის გაანჩხლებული ჭყივილი გაისმა. ცინცინატმა მოიხედა და ემოჩკა დაინახა, რომელიც არავინ იცის, აქ როგორ მოხვედრილიყო და ახლა ბიჭის გამოჯავრებით ერთობოდა: ცალი ფეხით კოჭლობდა და საშინლად იმანჭებოდა. ცინცინატმა შიშველ მხარში ჩაავლო ხელი, მაგრამ ემოჩკა დაუსხლტა და გაიქცა. ცნობისმოყვარეობის ექსტაზმორეული პოლინა ბაჯბაჯით მიჰყვა უკან.

მარფინკა ცინცინატისკენ შემობრუნდა. ახალგაზრდა კორექტულად წამოდგა ზეზე.

– მარფინკა, გევედრები, ორიოდე სიტყვა მაქვს შენთან, – სწრაფად უთხრა ცინცინატმა, ფეხი იატაკზე დაგდებულ ბალიშს წამოსდო, ტახტის კუთხეში ჩამოჯდა და ფერფლით დასვრილი ხალათი შემოიხვია.

– ცოტა შაკიკი აწუხებს, – თქვა ახალგაზრდამ, – გასაკვირიც არაფერია. მისთვის ასეთი აღელვება მაწყინარია.

– მართალი ხართ, – მიუგო ცინცინატმა, – დიახ, მართალი ხართ. თქვენთან სათხოვარი მაქვს... მინდა, რომ მარტო...

– ნება მომეცით, ბატონო, – გაისმა მის გვერდით როდიონის ხმა.

ცინცინატი ადგა. როდიონმა და მეორე მოსამსახურემ ერთმანეთს თვალი გაუსწორეს, ხელი ჩაავლეს ტახტს, რომელზეც მარფინკა მიწოლილიყო, ამოიქშინეს, ასწიეს და გასასვლელისკენ წაიღეს.

– ნახვამდის, ნახვამდის, – ბავშვივით ტიტინებდა მარფინკა და მტვირთავების ნაბიჯების თანახმად ირწეოდა, მაგრამ უცბად თვალები მოჭუტა და სახე დამალა. მის არშიყს იატაკზე დავარდნილი მარფინკას შალი, მისი თაიგული, თავისი ქუდი და მხოლოდ ერთი ხელთათმანი მიჰქონდა და უკან შეწუხებული მიჰყვებოდა. ყველა აფუსფუსდა: ძმები სკივრში ჭურჭელს აწყობდნენ, მათი მამა ასთმიანივით ქოშინებდა და მრავალნაჭრიან შირმას უმკლავდებოდა. ვექილი ყველას სთავაზობდა გასახვევი ქაღალდის დიდ ნაჭერს, რომელიც კაცმა არ იცის, სად

ეშოვა და ამაოდ ცდილობდა ქაღალდში მღვრიეწყლიანი როფი გაეხვია, რომელშიც ბაცი ფორთოხლისფერი თევზი დაცურავდა. განიერ კარადას თავისი კერძო ანარეკლიანი, სარკიანი წიაღი ფეხმძიმე ქალივით სათუთად დაეჭირა და ამ ალიაქოთს არიდებდა, რომ არავინ დაჯახებოდა. კარადა უკან გადახარეს და ისე გაიტანეს. ცინცინატთან მიდიოდნენ და ემშვიდობებოდნენ.

– აბა, ცუდად ნუ მომიგონებ, – უთხრა სიმამრმა და სუსხიანი თავაზიანობით აკოცა ხელზე, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვდა; ქერა ძმას მხრებზე შავგვრემანი შეესვა, ისინი ასე გამოემშვიდობნენ ცინცინატს და ცოცხალი მთასავით გავიდნენ

საკნიდან; ბებია და პაპა კრთებოდნენ, თავს უკრავდნენ და ბუნდოვან სურათს ხელს არ უშვებდნენ. ციხის მოსამსახურეებს ისევ გაჰქონდათ ავეჯი. მოვიდნენ ბავშვები: პოლინას სერიოზული სახე მაღლა აეღო, დიომედონი კი, პირიქით, იატაკს დაჰყურებდა. ვექილმა იმათ, ორივეს, ხელი ჩაჰკიდა და გაიყვანა. სულ ბოლოს, ემოჩკა დაეძგერა: გაფითრებული, ნამტირალევი, გაწითლებული ცხვირითა და აკანკალებული სველი ტუჩებით. ხმას არ იღებდა, მაგრამ უცბად ფეხის წვერებზე შედგა, ცხელი მკლავებით კისერზე ჩამოეკიდა და ხმამაღლა ამოისლუკუნა. როდიონმა მაჯაში ჩაავლო ხელი. მისი ბურტყუნი მოწმობდა, რომ დიდი ხანია, ეძახდა და ახლა გადაჭრით მიაწიალებდა გასასვლელისკენ. უკან გადახრილსა და ცინცინატისკენ პირმიქცეულ ემოჩკას კულულები ჩამოღვროდა, ნერბშებრუნებული ხელი ბალეტის მოცეკვავესავით, მაგრამ

გულწრფელი სასოწარკვეთილებით მისკენ გამოეშვირა და როდიონს უძალიანდებოდა, რომელიც მას კარისკენ მიათრევდა. ემოჩკა თვალებს ატრიალებდა, სამხრე ჩამოსცურებოდა, მაგრამ როდიონმა, როგორც წყალი სათლიდან, ისე მოიქნია იგი დერეფანში, მერე ბურტყუნ-ბურტყუნით შემობრუნდა საკანში და პატარა ნიჩაბი შემოიტანა კატის მძორის ასაღებად, რომელიც ბრტყლად ეგდო სკამის ქვეშ. კარი გაჯახუნდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ ახლახან, ამ საკანში...

X

– როდესაც მგლის ლეკვი უკეთ გაეცნობა ჩემს თვალსაზრისს, მომეჩვევა. თუმცა, რაღაცას უკვე მივაღწიეთ და გულწრფელად მოხარული ვარ, – ამბობდა მ-სიო პიერი, რომელიც თავისი ჩვეულებისამებრ, გვერდულად მისჯდომოდა მაგიდას, სქელი ბარძაყები ერთმანეთზე გადაედო და მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე უხმო აკორდებს კრეფდა. თავქვეშ ხელამოდებული ცინცინატი ნარზე იწვა.

– ჩვენ ახლა მარტონი ვართ, გარეთ კი წვიმს, – განაგრძობდა მ-სიო პიერი, – ასეთი ამინდი ხელს უწყობს გულახდილ ტუტუნს. მოდით, ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თქვენ გაკვირვებული ხართ და ვიტყოდი, შეცბუნებულიც კი, იმით, როგორც ჩვენი ხელმძღვანელობა მეპყრობა; ისე გამოდის, თითქოს მე გამორჩეული მდგომარეობა მქონდეს. არა, არა, ნუ უარობთ! რადგან საქმე ასეა, მოდით, ნურაფერს დავმალავთ. ნება მომეცით, ორი რამ გითხრათ. თქვენ იცნობთ ჩვენს დირექტორს (სხვათა შორის, მგლის ლეკვი მას მთლად სამართლიანად არ აფასებს, მაგრამ ამაზე მერე...), თქვენ იცით, რა სწრაფად ხვდება გულზე ყველაფერი, რა ფიცხია, როგორ გაიტაცებს ხოლმე ყველანაირი სიახლე. მე მგონია, რომ თავიდან თქვენითაც იყო გატაცებული. მოკლედ, ნუ გეწყინებათ, თუ გული ახლა ჩემზე შემოუვარდა. მოდით, ნუ ვიეჭვიანებთ, მეგობარო. ჯერ ერთი, საკვირველი

კია, მაგრამ ეტყობა, თქვენ არ იცით, რატომ მოვხვდი ციხეში და აი, როდესაც გეტყვით, ბევრ რამეს მიხვდებით. მაპატიეთ, რა გაქვთ კისერზე? აი, აქ, აქ, – აი, აქ-მეთქი?

– სად? – უნებლიეთ ჰკითხა ცინცინატმა და კისრის მალები მოისინჯა.

მ-სიო პიერი მივიდა და ნარზე ჩამოუჯდა.

– აი, აქ, – თქვა მან, – თუმცა, არა, – უბრალოდ, ჩრდილი გადგათ. მომეჩვენა, თითქოს პატარა სიმსივნესავით იყო. თავს რაღაც უხერხულად ამოძრავებთ. გტკივათ? გაგიცივდათ?

– ოჰ, თავი დამანებეთ, გთხოვთ... – ნაღვლიანად უთხრა ცინცინატმა.

– არა, დაიცათ, ხელები სუფთა მაქვს, – ნება მომეცით მოვსინჯო. თითქოს მაინც რაღაც... აი, აქ გტკივათ? აქ?

პატარა, მაგრამ ძარღვიანი ხელით კისერს სწრაფად უსინჯავდა, ყურადღებით აკვირდებოდა და ცოტა ქსიტინით სუნთქავდა.

– არა, არაფერია. ყველაფერი გამართულია, – თქვა ბოლოს, გაიწია და პაციენტს კისერზე ხელი

მოუტყაპუნა, – ოღონდ, საშინლად წვრილი გაქვთ. ისე, ყველაფერი ნორმალურადაა, თორემ ხან ხდება ხოლმე... ენა მაჩვენეთ. ენა კუჭის სარკეა. დაიფარეთ, დაიფარეთ, აქ გრილა. რაზე ვლაპარაკობდით? არ გამახსენებთ?

– თქვენ რომ ჩემთვის სიკეთე გინდოდეთ, წახვიდოდით და მარტო დამტოვებდით. წადით, გთხოვთ...

– ნუთუ არ გინდათ, მომისმინოთ, – ღიმილით შეეპასუხა მ-სიო პიერი, – ნუთუ ასე ჯიუტად გჯერათ, რომ თქვენი დასკვნები – სხვათა შორის, ჩემთვის უცნობი, – ყურადღება მიაქციეთ, უცნობი, – შეუმცდარია?

დადარდიანებული ცინცინატი ხმას არ იღებდა.

– ასე რომ, ნება მომეცით გითხრათ, – ერთგვარი ზარ-ზეიმით განაგრძობდა მ-სიო პიერი, – რა სახის დანაშაული ჩავიდინე. მე ბრალად დამდეს, – სამართლიანად თუ უსამართლოდ, ეგ სხვა საქმეა, – მე ბრალად დამდეს... აბა, თუ მიხვდებით, რა?

– მიდით, თქვით, – უნდილი ღიმილით მიუგო ცინცინატმა.

– მე ბრალად თქვენი აქედან გაქცევის ხელშეწყობის მცდელობა დამდეს.

– მართალა? – იკითხა ცინცინატმა.

– მე არასდროს ვცრუობ, – დაბეჯითებით მიუგო მ-სიო პიერმა, – ზოგჯერ ტყუილი საჭიროა და ეგ სხვა საქმეა. იქნებ ასეთი სამართლიანობის მოთხოვნილება სისულელეა და ბოლოს და ბოლოს, სრულიად უსარგებლოც, დავუშვათ, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალ: მე არასდროს ვიტყუები. მე, ჩემო კარგო, აქ თქვენი გულისთვის მოვხვდი. ღამე ამიყვანეს... სად? ვთქვათ, ალუბლიგრადში. დიახ, მე ალუბლიგრადელი ვარ – მზიანეთი, ხეხილის ბაღები... ოდესმე ალუბლიგრადში თუ მომინახულებთ, ჩვენებური ალუბლით გაგიმასპინძლდებით. ამ კალამბურზე პასუხს არ ვაგებ, ასეა ჩვენი ქალაქის გერბზე. იქ – გერბზე კი არა, წინასწარი დაკავების ოთახში, – თქვენი მონა-მორჩილი სამი დღე იჯდა. ამას მოჰყვა სასწრაფო სასამართლო. მერე კი აქ გადმომიყვანეს.

– მაშასადამე, თქვენ გინდოდათ მომშველებოდით... – ფიქრმორეულმა ჩაილაპარაკა ცინცინატმა.

– მინდოდა თუ არ მინდოდა, ეგ, ჩემო ძმაო და მეგობარო, ჩემი საქმეა. ყოველ შემთხვევაში,

ბრალად ეს წამიყენეს. ხომ იცით, დამსმენები სულ ახალგაზრდა პუბლიკაა – გულფიცხი. ჰოდა, აი: „მე თქვენ წინ ვდგავარ, ნეტარებით გულმოწურული...“ გახსოვთ ეს რომანსი? მთავარი სამხილი იყო ამ ციხესიმაგრის რაღაც გეგმა, ვითომდა, ჩემი მონიშნულებით. მე, ვითომდა, სულ წვრილად დავგეგმე თქვენი, პატარა ხოჭოს გაქცევა.

– ვითომდა, თუ მართლა? – ჰკითხა ცინცინატმა.

– რა გულუბრყვილო, მომხიბლავი არსებაა! – გაიღრიჭა მ-სიო პიერი და უამრავი კბილი გამოაჩინა. რა მარტივია მისთვის ყველაფერი! ვაი, რომ ცხოვრებაში ასე არასდროს არის!

– მაინც კარგი იყო, მცოდნოდა, – თქვა ცინცინატმა.

– რა? მართლები იყვნენ თუ არა ჩემი მოსამართლენი? მართლა ვაპირებდი თუ არა თქვენს გადარჩენას? ეჰ, თქვენ რა გითხარით...

მ-სიო პიერი ადგა და საკანში გაიარ-გამოიარა.

– ეგ იქით იყოს, – ამოიოხრა მ-სიო პიერმა, – ეგ, ჩემო ეჭვიანო ძმაო, თვითონ გადაწყვიტეთ. ასე

იყო თუ ისე, მე აქ თქვენ გამო მოვხვდი. მეტსაც გეტყვით: მე და თქვენ ეშაფოტზეც ერთად ავალთ.

იგი საკანში უხმოდ, მოქნილი ნაბიჯით მიმოდიოდა და საჯარო დაწესებულების სამოსში გამოკრული ტანის რბილ ნაწილებს ახტუნავებდა. ცინცინატი უნიათო ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩიკორა კაცის ყველა ნაბიჯს.

– კეთილი, დავიჯერებ... გასართობად, – თქვა ბოლოს, – ვნახოთ, რა გამოვა? მე თქვენი მჯერა. მეტიც, სიმართლეს უფრო რომ დაემსგავსოს, მადლობასაც გიხდით.

– ოჰ, რა საჭიროა, – ეგ უკვე ზედმეტია, – ჩაილაპარაკა მ-სიო პიერმა და ისევ მიუჯდა მაგიდას, – უბრალოდ, მინდოდა, საქმის კურსში ყოფილიყავით... ჰოდა, ძალიან კარგი... ახლა ჩვენ, ორივეს, გულზე უფრო მოგვეშვა, ხომ მართალია? თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მეტირება. ეს კი კარგი გრძნობაა. იტირეთ, ნუ შეიკავებთ ჯანსაღ ცრემლებს.

– რა საშინელია აქაურობა, – ფრთხილად თქვა ცინცინატმა.

– სულაც არ არის საშინელი. ჰო, მართლა! დიდი ხანია მინდა, აქაურ ყოფაზე თქვენი

დამოკიდებულების გამო დაგტუქსოთ. არა, არა, ყურს ნუ აუქცევთ, ნება მომეცით, მეგობრის უფლებით... თქვენ უსამართლო ხართ ჩვენი კეთილი როდიონისადმი და მით უმეტეს, ბატონი დირექტორისადმი. დაე, ჭკუით დიდად არ გამოირჩევა, – ცოტა გაფუყული, ცოტა თავქარიანი და ლაპარაკის მოყვარულია, – დიახ, მართლაც ასეა, – ხან მისი თავი მეც არა მაქვს ხოლმე, – და ცხადია, ჩემს გულისნადებს მას არ გავუზიარებ, როგორც თქვენ გიზიარებთ, – მით უმეტეს, როცა გულზე, უკაცრავად ვიქნები და, ლოდი გაწევს. დიახ, მაგრამ რაგინდ ნაკლიც ჰქონდეს, იგი ალალი, პატიოსანი და კეთილი კაცია. დიახ, საოცრად კეთილია, – ნუ მეკამათებით, რომ არ ვიცოდე, არ ვიტყოდი, – მე ჰაიჰარად არაფერს ვამბობ, ცხოვრებასაც თქვენზე უკეთ ვიცნობ და თქვენზე გამოცდილიც ვარ. ამიტომაც გული მტკივა, როდესაც ვხედავ, რა სასტიკად, რა გულცივად, რა ქედმაღლურად ჰკრავთ ხელს როდრიგ ივანოვიჩს. ზოგჯერ მის თვალებში ისეთ ტანჯვასა ვხედავ... ახლა როდიონი? თქვენ, ასეთმა ჭკვიანმა კაცმა, როგორ ვერ განჭვრიტეთ, აფარებული უხეშობის იქით, ამ დიდი ბავშვის გულისმომწყვლელი მადლი. ოჰ, მესმის, რომ ღელავთ, რომ უქალოდ გაძლება გიჭირთ... და მაინც, ცინცინატ, მომიტევეთ, მაგრამ ცუდია, ცუდი... და ისედაც, თქვენ ადამიანებს გულს სტკენთ... თითქმის არ აკარებთ პირს ჩინებულ სადილს, რომელსაც აქ ვიღებთ. კეთილი, ვთქვათ და, არ მოგწონთ, – მერწმუნეთ, მეც რაღაც გამეგება გასტრონომიაში, – მაგრამ თქვენ მათ აბუჩად იგდებთ, – არადა, ის ხომ ვიღაცამ მოამზადა, ვიღაც ცდილობდა... გასაგებია, რომ აქ ხან ისეთი მოწყენილობაა, რომ მოგინდება გაინავარდო, წაიცელქო, – მაგრამ რატომ ფიქრობთ მხოლოდ საკუთარ თავზე, მხოლოდ

საკუთარ მინდაზე? რატომ ერთხელ მაინც არ გაიღიმებთ ჩვენი კეთილი, გულჩვილი როდრიგ ივანოვიჩის გულმოდგინე ოხუნჯობაზე?.. იქნებ იმას მერე ღამეები არ სძინავს, როდესაც თქვენს რეაგირებას იხსენებს...

– ყოველ შემთხვევაში, დაცვა ჭკუამახვილურია, – თქვა ცინცინატმა, – მაგრამ მე თოჯინებში კარგად ვერკვევი და არ დავთმობ.

– სულ ტყუილად, – განაწყენდა მ-სიო პიერი, – ეგ ახალგაზრდობით მოგდით, – დასძინა დუმილის შემდეგ, – არა, არ შეიძლება ასეთი უსამართლო იყო, არ შეიძლება...

– ერთი ეს მითხარით,– თქვენც არაფერს გეუბნებიან? ბედისწერის მორბედი ჯერ არ გწვევიათ? ხვალვე არ გადაგვბელავენ?

– ჯობდა, ასეთი სიტყვები არ გეხმარათ, – კონფიდენციალურად შენიშნა მ-სიო პიერმა, – მით უფრო, ასეთი კილოთი... ამაში არის რაღაც ვულგარული, – რაღაც ისეთი, რაც წესიერ კაცს არ ეკადრება. არ მესმის, როგორ შეგიძლიათ... თქვენი გამკვირვებია...

– და მაინც, როდის? – ჰკითხა ცინცინატმა.

– როცა დრო მოვა, – თავი აარიდა პირდაპირ პასუხს მ-სიო პიერმა, – რა სულელური ცნობისმოყვარეობაა? და ისედაც... არა, თქვენ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ სასწავლი. არა, ასე არ შეიძლება... ასეთი ამპარტავნება, მიკერძოება...

– როგორ ჭიმავენ... – ძილმორეული ხმით თქვა ცინცინატმა, – ეჩვევი, ცხადია... სული ყოველ ცისმარე მზად გაქვს, არადა, თავს მოულოდნელად დაგატყდებიან. ათი დღე ასე გავიდა და ჭკუიდან არ შევცდი. რაღაც იმედიც გაქვს... გაურკვეველი, წყალზე დაწერილი, მაგრამ მით უფრო მიმზიდველი. თქვენ გაქცევაზე ლაპარაკობთ... მე მგონია, ვხვდები, რომ ამაზე კიდევ ვიღაც ზრუნავს... იყო რაღაც ნართაულები... მაგრამ ვაი და, ტყუილია, – მატერიის ნაოჭია, რომელიც ადამიანის სახედ გეჩვენება...

ცინცინატი გაჩუმდა და ამოიოხრა.

– ჰო, ეს უკვე საინტერესოა, – თქვა მ-სიო პიერმა, – რა იმედიო, ის მხსნელი ვინ არის?

– წარმოსახვა, – მიუგო ცინცინატმა, – თქვენ არ გინდათ, გაიქცეთ?

– რას ჰქვია, გავიქცე? სად? – გაუკვირდა მ-სიო პიერს.

ცინცინატმა ისევ ამოიოხრა:

– რა მნიშვნელობა აქვს, სად? მე და თქვენ ერთად რომ ... ოღონდ, შეძლებთ კი თქვენი აღნაგობის პატრონი სწრაფად სირბილს? თქვენი ფეხები...

– აი, ეგ კი, უკვე ძალიან გადაამლაშეთ, – შეწრიალდა სკამზე მ-სიო პიერი, – ციხიდან იმ ზღაპრებში გარბიან, ბავშვებს რომ უყვებიან ხოლმე. შენიშვნა კი ჩემს აღნაგობაზე თქვენთვის დაიტოვეთ.

– მეძინება, – თქვა ცინცინატმა.

მ-სიო პიერმა მარჯვენა სახელო დაიმკლავა. გაკრთა სვირინგი. საოცრად თეთრ კანქვეშ კუნთი სქელი, მრგვალი ცხოველივით დაგორავდა. მ-სიო პიერი მუხლმაგრად დადგა, ცალი ხელით სკამი ააყირავა და ნელ-ნელა ასწია. დაძაბულობისგან ირხეოდა, სკამი თავს ზემოთ, მაღლა ასწია და ნელა დაუშვა. ეს მხოლოდ შესავალი იყო. იგი შეუმჩნევლად სუნთქავდა და დიდხანს, გულმოდგინედ იწმენდდა ხელებს წითელი ცხვირსახოცით. ობობა კი, ამასობაში, როგორც უმრწემესი ცირკულ ოჯახში, აბლაბუდაზე იოლ ფანდს ასრულებდა.

მ-სიო პიერმა მას ცხვირსახოცი ესროლა, ფრანგულად შესძახა და ყირა გაჭიმა. მრგვალი თავი ნელა იღებებოდა ლამაზი ვარდისფერი სისხლით, მარცხენა შარვლის ტოტი ჩამოეწია და კანჭი გაუშიშვლა; ამოტრიალებული თვალები – როგორც ყველას ასეთ პოზაში, – რვაფეხას მიუგავდა.

– ჰა, როგორია? – ჰკითხა ცინცინატს ისევ ფეხზე დამდგარმა მ-სიო პიერმა და თავი მოიწესრიგა.

დერეფნიდან ტაშის გრიალი მოისმა და მერე ცალკე, გზადაგზა, არეულ-დარეულად, ტაკიმასხარამაც დასცხო ტაში, მაგრამ ბარიერს მიაწყდა.

– აბა, როგორია? – გაიმეორა მ-სიო პიერმა, – ვართ თუ არა ჯანიანები, ყოჩაღები? ან იქნებ თქვენთვის ესეც არ კმარა.

მ-სიო პიერი ფეხის ერთი დაკვრით ახტა მაგიდაზე, ყირა გაჭიმა და სკამის ზურგს კბილებით ჩააფრინდა. მუსიკა შეწყდა. მ-სიო პიერს სკამი კბილებით ჩაებღუჯა და მაღლა სწევდა, – დაჭიმული კუნთები უკრთოდა, ყბა უღრჭიალებდა.

კარი ყურთამდე უხმოდ გაიღო და ფეხზე ბოტფორით, ხელში შოლტით, გაპუდრული და დამაბრმავებელ, მჭახე სილურჯემდე განათებული ცირკის დირექტორი შემოვიდა.

– ეს სენსაციაა! მსოფლიო ნომერია! – წაიჩურჩულა მან, ცილინდრი მოიხადა და ცინცინატის გვერდით დაჯდა.

რაღაც გახრაშუნდა და მ-სიო პიერმა სკამს პირი უშვა, გადმოყირავდა და ისევ იატაკზე დადგა. ოღონდ ეტყობოდა, ყველაფერი მთლად რიგზე ვერ ჰქონდა. პირზე მაშინვე ცხვირსახოცი მიიფარა, სწრაფად შეიხედა მაგიდის ქვეშ, მერე სკამს შეხედა, უცბად დაინახა, ყრუდ შეიკურთხა და შეეცადა სკამის ზურგიდან ხელოვნური კბილები ამოეძრო. ზამბარიანი ყბა კბილებს აკრიალებდა და სკამს ცოცხალი თავით არ ელეოდა. მ-სიო პიერი არ დაიბნა, სკამს ხელი შემოხვია და საკნიდან მასთან ერთად გავიდა.

როდრიგ ივანოვიჩი, რომელმაც ვერაფერი დაინახა, გაშმაგებული უკრავდა ტაშს. არენაზე არავინ გამოჩენილა. დირექტორმა ეჭვიანი თვალი შეავლო ცინცინატს, ტაში ერთი-ორჯერ უხალისოდ კიდევ შემოჰკრა და ლოჟიდან შეწუხებული გავიდა.

ამით წარმოდგენა დამთავრდა.

XI

ახლა საკანში გაზეთები აღარ შემოჰქონდათ: დაინახა, რომ იქიდან ყველაფერს ჭრიდნენ, თუ რამ ეგზეკუციაზე შეიძლებოდა ყოფილიყო და თვითონ თქვა უარი. დილის საუზმე გამარტივდა: ნაცვლად შოკოლადისა – დაე, წყალწყალასი, – ჩაის მარცვლების ფლოტილიით სავსე, მღვრიე სითხეს აძლევდნენ. გახუხული პურის გაკვნეტაც შეუძლებელი იყო. როდიონი არ მალავდა, რომ სიტყვაძუნწი და წუნია ტუსაღის მომსახურება მობეზრებოდა.

ამასთან, როდიონი, თითქოს განგებო, სულ უფრო და უფრო დიდხანს დაფათურობდა საკანში. მისი ცეცხლივით წითელი და ნიჩაბივით განიერი წვერი, უაზრო ლურჯი თვალები, ტყავის ფეშტამალი და მარწუხივით ხელები ისეთ დამთრგუნველ, უსახურ შთაბეჭდილებად ნივთდებოდა, რომ სანამ საკანი დალაგდებოდა, ცინცინატი პირს კედლისკენ მიიქცევდა ხოლმე.

ახლაც იგივე ხდებოდა და მხოლოდ ბულდოგივით კბილების ღრმა ნაკვალევს დაბრუნებული სკამის ზურგზე, სხვანაირად დაედაღა ამ დღის დასაწყისი. სკამთან ერთად როდიონმა მ-სიო პიერის წერილიც მოიტანა – კრაველივით ჩახუჭუჭებული ხელი, მწყაზარი სასვენი ნიშნები, ჭიგოს ჩახვეული ვაზივით ხელრთვა. მეზობელი ალერსიანი და სახუმარო კილოთი მადლობას უხდიდა ცინცინატს წუხანდელი მეგობრული მუსაიფისთვის და იმედოვნებდა, რომ მალე ისევ გაიმეორებდნენ.

„ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, – ასე ბოლოვდებოდა წერილი, – რომ ფიზიკურად მე ძალიან და ძალიან ძლიერი ვარ (ქვეშ სახაზავით ორჯერ იყო ხაზგასმული) და თუ ჯერ კიდევ ვერ დაგარწმუნეთ, პატივი მექნება, როგორმე გაჩვენოთ სიმარჯვისა და

საოცრად განვითარებული კუნთოვანი ქსოვილის ზოგიერთი საინტერესო (ხაზგასმული იყო) მაგალითი“.

ამის შემდეგ ცინცინატი ზედიზედ სამ საათს, სევდიანი გამოთაყვანების შეუმჩნეველი ჩავარდნებით, ხან ულვაშის წიწკნით, ხან წიგნის ფურცვლით მიმოდიოდა საკანში. ცინცინატს ის უკვე ძირფესვიანად შეესწავლა, გაცილებით უკეთ იცნობდა, ვიდრე თუნდაც იმ ოთახს, სადაც მრავალი წელი იცხოვრა.

კედლის საქმე ასე გახლდათ: კედელი უცვლელად ოთხი იყო. ოთხივე, თავიდან ბოლომდე, ყვითლად შეღებილი, მაგრამ ვინაიდან სულ ჩრდილი ადგა, უფრო მუქი, სრიალა და მოგლუსუნებულიც კი მოჩანდა, იმ გარდამავალ ადგილთან შედარებით, სადაც სარკმლის კაშკაშა ოქროსფერი ანარეკლი დაყუდებულიყო: აქ, სინათლეზე, სქელი და ყვითელი საღებავის ყველა ბუშტუკი და ხორკლი მკაფიოდ გამოკვეთილიყო – ფუნჯის ბეწვების შეხმატკბილებულად გავლებული ხნულის ტალღისებრი მოხვევაც და ის ნაცნობი ნაკაწრიც კი, რომელსაც სინათლის ეს ძვირფასი პარალელოგრამა დილის ათ საათზე მიადგებოდა ხოლმე.

შიშველი ქვის იატაკიდან სუსხიანი სიცივე მოცოცავდა და ქუსლებზე იკბინებოდა; ოდნავ ჩაზნექილი ჭერის რომელიღაც ნაწილში უდღეური, პატარა და ავი ექო ბუდობდა; ჭერის ცენტრში ნათურა (ცხაურით დაცული) იყო, თუმცა, არა, მთლად ცენტრში არა: უთანაბრობა თვალს მტკივნეულად აღიზიანებდა, – ამ მხრივ, არანაკლებ შემაწუხებელი იყო რკინის კარის შეღებვის ამაო მცდელობაც.

ავეჯის სამი წარმომადგენლიდან – ნარი, მაგიდა, სკამი, – მხოლოდ ბოლო გადაადგილდებოდა. გადაადგილდებოდა ობობაც, – იქ, მაღლა, სადაც ფანჯრის დამრეცი უბე იწყებოდა. ამ პატარა, შავ და ნასუქ მხეცს პირველი კლასის აბლაბუდისთვის საყრდენი წერტილების საპოვნელად ისეთივე გამჭრიახობა გამოეჩინა, როგორსაც მარფინკა გამოიჩენდა ხოლმე, როდესაც თითქოს ყოვლად გამოუსადეგარ კუთხეებში თავისი თეთრეულის გასაშრობ ადგილს პოულობდა. ობობას ფეხები წინ იმგვარად დაეწყო, რომ აქეთ-იქიდან ბუსუსიანი სახსრები ამოსჩროდა. იგი წაბლისფერ, მრგვალ თვალებს არ აცილებდა ფანქრიან ხელს, რომელიც მისკენ მიიწევდა და უკან-უკან იხევდა. სამაგიეროდ, როდიონის ვეება ხელიდან დიდი ხალისით აიღებდა ხოლმე ბუზს ან ფარვანას. აი, ახლაც, აბლაბუდის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე, ობლად ეკიდა პეპლის ფრთა – ვარდისფერი, აბრეშუმივით პრიალა, დაკბილულ კიდეებზე შემოვლებული პაწია ლურჯი რომბებით და გამჭოლ სიოზე ოდნავ, სულ ოდნავ ირხეოდა.

კედელზე გაკეთებული წარწერები გადაეღებათ. აღარც წესების სია ჩანდა. წაეღოთ კლასიკური დოქიც – ან იქნებ გატეხილიყო – რაკრაკა მუცელში ჩარჩენილი მღვიმის მრუმე წყლიანად. ცარიელი, მრისხანე და ცივი იყო სადგომი, სადაც „სატუსაღოს“ ბუნება მოსაცდელი ოთახის გულგრილობას დაეთრგუნა – კანცელარიის,

საავადმყოფოსი ანდა რომელიმე სხვა მოსაცდელი ოთახისას, როდესაც უკვე მოსაღამოვებულა და მხოლოდ ზუზუნი გიდგას ყურში... თანაც, ეს შემზარავი მოლოდინი რაღაცნაირად ჭერის შეცდომით მიგნებულ ცენტრს ებმოდა.

მაგიდაზე, რომელზეც ერთი ხანია უჯრულა მუშამბა გადაეფარებინათ, ხარაზულად შავად დაკაზმული წიგნები იდო. ფანქარი, სულერთიანად დაკბენილი და აღარც წერწეტი, ნაჩქარევად ჩამოფქვილ ფურცლების წისქვილზე იდო. იქვე ეგდო მარფინკასთვის მიწერილი და წუხელვე, ანუ იმდღევანდელი პაემნის შემდეგ, დამთავრებული წერილი, რომლის გაგზავნაც ვერ გადაეწყვიტა და მაგიდაზე თითქოს იმიტომ დაეტოვებინა, რომ საგანი თავად მომწიფებულიყო, რისთვისაც უნებო აზრს, რომელსაც სხვა ჰავა სჭირდებოდა, ვერა და ვერ მიეღწია.

ახლა ჩვენ ვილაპარაკებთ ცინცინატის საუნჯეზე, მის ხორციელ ნაკლულობაზე; ვილაპარაკებთ იმაზე, რომ მისი მთავარი ნაწილი სულ სხვაგან იყო, აქ კი დაბნეული დაბორიალებდა მხოლოდ მისი კნინი ნაჭერი – ცინცინატი ბეჩავი, ბუნდოვანი, ცინცინატი შედარებით სულელი – როგორც სიზმარში ხარ ხოლმე ბრყვილი, უღონო და სულელი. მაგრამ სიზმარშიც – სულერთია, სულერთია – მისი ნამდვილი ცხოვრება მეტისმეტად გამოსჭვიოდა.

ცინცინატის გამტკნარებული, გამჭვირვალე სახე, ჩაცვენილ ლოყებზე მოდებული ღინღლითა და ულვაშის ღერის ისეთი ნაზი სუბსტანციით, თითქოს ტუჩზე სხივი გასწეწიაო – პატარა და ჯერაც ახალგაზრდა სახე ცინცინატისა, მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, ცეცელა, ცვალებადი ელფერისა და თითქოს ცოტა იმქვეყნიური თვალებისა, – თავისი გამომეტყველებით, სრულიად მიუღებელი იყო ჩვენთან, მით უმეტეს ახლა, როდესაც თავს აღარ მალავდა. პერანგის ღია საყელო, გახსნილი შავი ხალათი, ვიწრო ფეხზე წამოცმული ძალიან დიდი ფეხსაცმელი, კეფაზე მოგდებული ფილოსოფიური „ერმოლკა“ და საფეთქლებთან სიფრიფანა თმების ოდნავი რხევა (საიდანღაც მაინც უბერავდა!) ავსებდა სახეს, რომლის უზნეობაც სიტყვით ძნელად ითქმოდა – იგი შედგებოდა ათასი ერთმანეთის გადამკვეთი, ძლივს შესამჩნევი წვრილმანებისგან, ტუჩის ნათელი, თითქოს დაუმთავრებელი, მაგრამ დიდოსტატისგან ხელდასხმული ნახატისგან, ჯერაც გამოუკვეთავი, ფარფატა ცარიელი ხელებისა და გაბნეული და ისევ თავმოყრილი სხივებისგან მსუნთქავ თვალებში... მაგრამ ვერც ასეთი დაშლითა და დათვალიერებით შეიცნობოდა ცინცინატი: ეს ისე ხდებოდა, თითქოს თავისი არსების ცალი მხრით იგი განუხრელად გადადიოდა სხვა სიბრტყეში, როგორც გადადის ხოლმე ხის ფოთლების რთული შემადგენლობა ჩრდილიდან ლაპლაპში ისე, რომ ვერაფრით მიხვდები, საიდან იწყება სხვა სტიქიის თრთოლვაში ჩაძირვა. თითქოს, ცოტაც და, რის ვაივაგლახით მოგონილი საკნის შემოზღუდულ სივრცეში მოსიარულე ცინცინატი ნაბიჯს ისეთნაირად გადადგამდა, რომ სულ იოლად და ჩვეულებრივად გაძვრებოდა ჰაერის კულისებში – რომელიღაც ჰაეროვან სინათლის

ღრიჭოში და ისე თავისუფლად გასრიალდებოდა იქით, როგორც მოტრიალე სარკიდან ასხლეტილი ათინათი გადაირბენს ყველა საგანზე და უეცრად, თითქოს ჰაერის მიღმა, სხვა სიღრმეში ჩაიკარგება. თანაც ცინცინატში ყველაფერი ფაქიზი და რულმორეული, მაგრამ არსებითად, საოცრად ძლიერი, ცხოველი და თვითმყოფადი ცხოვრებით სუნთქავდა: მართლა ცისფერი ძარღვები ცისფრად ფეთქავდა; ბაგეს ბროლივით კრიალა ნერწყვი ასველებდა; თრთოდა კანი ლოყებზე, შუბლზე, გაზავებული სინათლით მოჩარჩოებული... ეს ყველაფერი კი ისე გაქეზებდა, რომ სურვილი გერეოდა იქვე გაგეგლიჯა, დაგენაკუწებინა, გაგენადგურებინა ხორცი, რომელიც უტიფრად გისხლტებოდა იმ ყველაფრიანად, რასაც ის გულისხმობდა, რასაც გაურკვევლად გამოხატავდა – ყველაფერ შეუძლებელს, თავისუფალს, თვალისმომჭრელს. კმარა, კმარა, ნუღარ დადიხარ, ცინცინატ! ნარზე ისე დაწექი, რომ არავინ აღაგზნო, გააღიზიანო, – და მართლაც, კარს იქიდან მტაცებლურ მზერას იგრძნობდა თუ არა, ცინცინატი წვებოდა ანდა მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე და წიგნს გადაშლიდა.

მაგიდაზე შავად ეწყო აი, რა წიგნები: ჯერ ერთი, თანამედროვე რომანი, რომლის წაკითხვაზეც ცინცინატს, ოდეს თავისუფალი იყო, თავი არ შეუდია; მეორეც – ერთი იმ სახელმძღვანელოთაგანი, რომელიც გაუთავებლად გამოიცემა ხოლმე და რომელშიც ძველი ლიტერატურიდან შემოკლებულ-გადაკეთებული ნაწყვეტებია თავმოყრილი; მესამეც – ძველი ჟურნალის აკინძული ნომრები; მეოთხეც – რამდენიმე გაცვეთილი ტომი სქელტანიანი ნაშრომისა გაუგებარ ენაზე, რომელიც შეცდომით შემოუტანეს – ეს წიგნი მას არ შეუკვეთავს.

რომანი ცნობილი „Quercus“-ი[17] გახლდათ და ცინცინატს მისი მესამედი – ათას გვერდამდე, უკვე წაეკითხა. რომანის გმირი მუხა იყო. რომანი მუხის ბიოგრაფია იყო. იქ, სადაც ცინცინატი გაჩერდა, მუხა მესამე ასწლეულს ითვლიდა – მარტივი გამოანგარიშებით ცხადი იყო, რომ წიგნის ბოლოს, სულ ცოტა, ექვსასი წლისა მაინც იქნებოდა.

რომანის იდეა თანამედროვე აზროვნების მწვერვალად მიაჩნდათ. ავტორი ხის თანდათანობითი განვითარებით სარგებლობდა (განმარტოებით, ღონივრად ტოტებგაშლილი დასდგომოდა თავზე ხეობას, სადაც მუდამ შხუოდა წყლები) და რიგრიგობით აღწერდა ყველა იმ ისტორიულ მოვლენას ანდა მის ლანდს, რომელსაც შეიძლებოდა მუხა შესწრებოდა. ეს იყო ხან ორი მეომრის დიალოგი, იზაბელას ჯიშის სისვი ცხენებიდან რომ ჩამომხდარიყო და კეთილშობილი ხის მაცოცხლებელ ჩრდილქვეშ ისვენებდა, ხან ამბავი მის ტოტებქვეშ დაბანაკებული ყაჩაღებისა და გამოქცეული, თმაგაშლილი ქალწულის სიმღერისა; ხან ღამეულ ცაზე ცისფრად გაკლაკნილი ელვისგან გამოკვეთილ გზაზე დამდგარი დიდებულისა, რომელიც ცხენს მიაგელვებდა და ხელმწიფის რისხვას გაურბოდა; ხან ეს იყო ლაბადაზე დასვენებული ცხედარი, რომელიც ფოთლების ჩრდილისგან თითქოს ისევ თრთოდა,

ხანაც სოფლელთა ხანმოკლე დრამა, რომელიც მის ტოტებქვეშ თამაშდებოდა. წიგნში ერთი ფურცელნახევრიანი პარაგრაფი იყო, რომელშიც, ყველა სიტყვა ს-თი იწყებოდა.

თითქოს ავტორი, თავის აპარატიანად, სადღაც მაღლა, Quercus[18]-ზე იჯდა, მსხვერპლს უთვალთვალებდა და ნადირობდა. ჭრელი წუთისოფელი მიდი-მოდიოდა და წუთიერად ჩაიმუხლებდა ხოლმე მწვანე ათინათის ქვეშ. უქმად ყოფნის ბუნებრივ შუალედს კი ავსებდა თავად აღწერა მუხის მეცნიერულად – დენდროლოგიური, ორნიტოლოგიური, კოლეოპტეროლოგიური და მითოლოგიური თვალსაზრისით, ანდა პოპულარული ენითა და ხალხური იუმორით შეზავებული. სხვათა შორის, წარმოდგენილი იყო წვრილი სია მის ტანზე ამოჭრილი ვენზელებისა, თავის ახსნა-განმარტებიანად, ბოლოს კი, საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა წყლის მუსიკას, აისის ფერთამეტყველებასა და დარ-ავდრის ზნეს.

ცინცინატი კითხულობდა, მერე გადადო. ეს ნაწარმოები უდავოდ საუკეთესო იყო, რაც კი მის დროს შეექმნა, თუმცა გვერდებს გულდამძიმებული ერკინებოდა და თხრობას განუწყვეტლივ თავისი ფიქრის ზვირთებში ახრჩობდა: რად მარგია ეს შორეული, ცრუ, მკვდარი, – მე, რომელიც სიკვდილისთვის ვემზადები? ანდა წარმოიდგენდა, რომ ავტორი, ჯერაც ახალგაზრდა კაცი, რომელიც, მგონი, სადღაც ჩრდილოეთის ზღვის კუნძულზე ცხოვრობდა[19], თვითონაც მოკვდებოდა და ეს რაღაცნაირად სასაცილო იყო – ის, რომ აი, ავტორი ოდესმე უეჭველად მოკვდებოდა, – სასაცილო კი იმიტომ იყო, რომ აქ ერთადერთი ცხადი და რეალურად უეჭველი მხოლოდ სიკვდილი იყო, – გარდუვალობა ავტორის ფიზიკური სიკვდილისა.

კედელზე სინათლე ინაცვლებდა. შემოდიოდა როდიონი, როგორც თვითონ ეძახდა, ფრიშტიკით[20]. ხელში ისევ პეპლის ფრთა უფართქალებდა, რომელიც თითებზე ყვავილის მტვერს უტოვებდა.

– ნუთუ ჯერაც არ ჩამოსულა? – უკვე მერამდენედ იკითხა ცინცინატმა, მაგრამ ეს კითხვა როდიონს ძალიან აგულისებდა და პასუხი არც ახლა გაუცია.

– პაემანს აღარ მომცემენ? – ჰკითხა ცინცინატმა.

ჩვეული გულძმარვის მოლოდინში ნარზე წამოწვა, კედლისკენ გადაბრუნდა და დიდხანს, დიდხანს ეხმარებოდა მასზე სურათების წარმოქმნას, რომლებსაც მორჩილად თხზავდა საღებავის მბზინავი კოშტები და მათი მრგვალი ჩრდილი; მაგალითად, მიაგნებდა ხოლმე ციცქნა პროფილს, რომელსაც თაგვის დიდი ყური ჰქონდა, მაგრამ მერე ეკარგებოდა და ვეღარაფრით აღადგენდა; ამ ჟანგმიწიდან საფლავის სუნთქვა მოდიოდა, ის მუწუკიანი და საშინელი იყო, მაგრამ დანატრული თვალი მაინც ეძებდა ადამიანის თუნდაც მქრქალად მოხაზულ ნაკვთებს და საჭირო ხორკლებს აკოწიწებდა. ბოლოს გადმობრუნდა, პირაღმა დაწვა და ჩვეული გულისყურით დააკვირდა ჭერზე გაჩენილ ჩრდილებსა და ბზარებს.

„არადა, მგონი, ბოლო მომიღეს, – გაიფიქრა ცინცინატმა, – ისე მოვთონთლოვდი, ამის გაკეთება ხილის დანითაც შეიძლება“.

ერთხანს, ბეჭებში მოხრილი იჯდა ნარზე და ხელები მუხლებშუა ჩაეწყო. აკანკალებული ხმით ამოიოხრა და ისევ წაეხეტა. საინტერესოა, მაინც რა ენაზეა? წვრილი და ჩუქურთმიანი წყობა, ნამგალა ასოებში ჩართული წერტილები და კლაკნილები, ალბათ აღმოსავლური იყო, – მუზეუმის სატევრებზე რომ წარწერებია, რაღაცით იმას მოგაგონებდათ. ძალიან ძველი ტომები იყო, გვერდებჩაჟამებული... ზოგან ყვითლად დალაქული...

საათმა შვიდი დარეკა და მალე როდიონიც გამოჩნდა სადილიანად.

– ალბათ ჯერაც არ ჩამოსულა, არა? – ჰკითხა ცინცინატმა.

როდიონი გასვლას აპირებდა, მაგრამ კარიდან მოტრიალდა.

– გრცხვენოდეთ! – გულამოხვინჩით დაამუნათა, – დაგიჟინიათ და აღარ ათავებთ... ასმევ, აჭმევ, ელოლიავები, თავად ფეხზე ვერ დგები, ესენი კი უაზრო კითხვებით მოგდგებიან. ფუჰ, ნამუსგარეცხილები...

დრო თანაბარი ზუზუნით გადიოდა. საკანში ჰაერი დაიბინდა და როდესაც სულმთლად დაბრმავდა და მოითენთა, ნათურა საქმიანად აინთო ჭერის ცენტრში, – თუმცა, არა, – გულისმომკვლელი გახსენება, – საქმეც ის იყო, რომ ცენტრში – არა. ცინცინატმა გაიხადა და Quercus-იანად დაწვა. ავტორი უკვე ცივილიზებულ ეპოქას უახლოვდებოდა, – თუ იმის მიხედვით განვსჯიდით, რასაც ლაპარაკობდა სამი მხიარული მგზავრი – ტიტე, ფუთი და მარადი ურია, საღამოხანის შავი მუხის ქვეშ, გრილ ხავსზე რომ წამოგორებულიყო და მათარიდან ღვინოს წრუპავდა.

– ნუთუ არავინ მიხსნის? – უცბად ხმამაღლა იკითხა ცინცინატმა და ლოგინზე წამოჯდა (ღატაკის ხელები, რომელიც აჩვენებს, რომ არაფერი აქვს).

– ნუთუ არავინ? – გაიმეორა ცინცინატმა, რომელსაც ცარიელი ხელები ისევ ისე ეჭირა და კედლის ულმობელ სიყვითლეს უყურებდა.

გამჭოლი ქარი მუხნარის შრიალად იქცა. დაეცა, ახტა და საბანზე გაგორდა, ზემოდან, ლანდების გაბარდული უღრანიდან ჩამოვარდნილი, დიდი, ნამდვილზე ორჯერ უფრო დიდი, ბზინვარე მოყვითალოდ ოსტატურად შეღებილ-გაპრიალებული და საცობის ფინჯანში კვერცხივით მკვიდრად ჩამჯდარი ბუტაფორული რკო.

XII

რაღაც ყრუ კაკუნმა, ღრიტინის ხმამ გამოაღვიძა. სადღაც რაღაც ჩამოშვავდა. ასე ხდება ხოლმე, საღამოს საღსალამათად დაძინებულს, შუაღამისას სიცხიანს რომ გაგეღვიძება. საკმაოდ დიდხანს უგდებდა ყურს ამ ხმებს – ღრიტ-ღრიტ, ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, ისე, რომ მნიშვნელობა არ მიუცია. იმიტომ უგდებდა, რომ ამ ხმამ გამოაღვიძა და კიდევ, – ყურს სხვა გზა არ ჰქონდა. ტუკ-ტუკი, კაკუნი, ფხაკუნი, შხრ-შხრ-შხრ. საიდან? მარჯვნიდან? მარცხნიდან? ცინცინატმა წამოიწია.

მიაყურადა – თავი მთლიანად ყურად იქცა, ტანი – გაკმენდილ გულად; უსმენდა და უკვე აზრიანად ერკვეოდა ზოგიერთ ნიშანში: საკნის წყალყალა სიბნელე... ბნელი ფსკერზე დალექილა... სარკმლის ცხაურის მიღმა ნაცრისფერი სინათლეა. მაშასადამე, სამი ან ოთხის ნახევარია... გათოშილ გუშაგებს სძინავთ... ხმაური საიდანღაც ქვემოდან ისმის, – არა, ზემოდან, – არა, მაინც ქვემოდან, – თითქოს ზურგს უკან, იატაკის დონეზე, დიდი თაგვი რკინის ბრჭყალებით აფხაჭუნებსო.

ყველაზე მეტად ცინცინატი ხმების იმ გულისყურიანმა თავდაჯერებამ, დაჟინებულმა სერიოზულობამ ააფორიაქა, როგორითაც იგი, ღამეულ ციხესიმაგრეში, ჯერ იქნებ შორეულ,

მაგრამ უდავოდ მიღწევად მიზანს მისდევდა. სუნთქვაშეკრული, ლანდივით უჩუმრად, პაპიროსის ქაღალდივით მსუბუქად ჩამოსრიალდა და... ფეხაკრეფით, წებოვანზე, ხორკლიანზე... იმ კუთხისკენ, საიდანაც თითქოსდა... თითქოსდა... მაგრამ როცა მივიდა, მიხვდა, რომ ცდებოდა – კაკუნი უფრო მარჯვნიდან და ზემოდან მოდიოდა; იქით წავიდა და ისევ სმენის შეცდომაზე წამოეგო, ხმამ თავი გამჭოლ გაიარა და იმ ყურმა არ დაიჭირა.

ცინცინატმა ფეხი უხერხულად მოინაცვლა და ლანგარს წამოედო, რომელიც იატაკზე იდო კედელთან: „ცინცინატ!“ – დამუნათებით უთხრა ლანგარმა. კაკუნი უცბად, გადაჭრით შეწყდა და ამით მსმენელისთვის ფრიად სასიხარულო აზრი გამოიკვეთა. კედელთან გაქვავებულმა ცინცინატმა ფეხის ცერა თითით კოვზი ლანგარზე დააკავა, გახვრეტილ-გამოფულეროებული თავი დახარა და იგრძნო, რომ უცნობი მთხრელიც მასავით გაისუსა და აყურადებდა.

ნახევარი წუთის შემდეგ, უფრო ჩუმად, უფრო თავდაჭერილად, მაგრამ უფრო შთამბეჭდავად, უფრო ჭკვიანურად, ხმა განახლდა. ცინცინატმა თუთიას ტერფი ფრთხილად მოაშორა, შემოტრიალდა და ისევ შეეცადა გაერკვია, საიდან მოდიოდა: მარჯვნიდან, თუ კარისკენ პირშექცეული დადგებოდი, – ჰო, მარჯვნიდან, – ოღონდ, სულერთია, ჯერ შორია... აი, სულ ეს იყო, რაც ამდენი ხნის მიყურადების შემდეგ დაასკვნა. ისევ ნარისკენ გაემართა, რომ ფეხზე ჩაეცვა – ფეხშიშველა ვეღარ ძლებდა, – ბინდბუნდში ფეხწიოკა სკამი დააფრთხო, რომელიც

ღამეს ერთ ადგილას არასდროს ათევდა და ხმა ისევ შეწყდა, – ამჯერად, საბოლოოდ, ანუ იქნებ კიდეც გაგრძელებულიყო, მცირე შესვენების შემდეგ, მაგრამ დილა უკვე ძალას იკრებდა და ცინცინატი ხედავდა, – წარმოსახვას ჩვეული თვალით, – როგორ აღებდა ალისფერ პირს და იზმორებოდა დერეფანში, თავის ტაბურეტზე, სინესტისგან ოხშივარავარდნილი როდიონი.

ცინცინატი მთელი დილა აყურადებდა და ვარაუდობდა, რანაირად და რითი გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ხმებისადმი, თუკი ისევ გამეორდებოდა. ეზოში მარტივად, მაგრამ გემოვნებით დადგმული ზაფხულის ჭექა-ქუხილი ბობოქრობდა.საკანში საღამოხანივით ჩამობნელებულიყო. ისმოდა გრუხუნი – ხან ბრგე და მრგვალი, ხან მჭახე და ეკლიანი და ელვა ყოვლად მოულოდნელ ადგილებში ცხაურის ანარეკლს ბეჭდავდა. შუადღისას, როდრიგ ივანოვიჩი მობრძანდა.

– თქვენთან არიან, – თქვა მან, – მაგრამ ჯერ მინდა ვიცოდე...

– ვინ? – იკითხა ცინცინატმა და თან გაიფიქრა: ოღონდ ახლა არა... (ანუ ოღონდაც, ხმა ახლა არ განახლდესო)

– იცით, საქმე ასეა, – თქვა დირექტორმა, – დარწმუნებული არა ვარ, გინდათ თუ არა... საქმე ის არის, რომ ეს დედათქვენია, – votre mere, parait-il[21].

– დედაჩემი? – კითხვა შეუბრუნა ცინცინატმა.

– დიახ, დედა, დედილო, დედიკო... მოკლედ, ქალი, ვინც გაგაჩინათ. მივიღოთ? მალე გადაწყვიტეთ.

– ... მხოლოდ ერთხელ ვნახე, ჩემს სიცოცხლეში, – თქვა ცინცინატმა, – და მართალი გითხრათ, ვერაფერი ვიგრძენი... არა, არა, არ ღირს, – არ გინდათ, საჭირო არ არის.

– როგორც გენებოთ, – მიუგო დირექტორმა და გავიდა.

ერთი წუთის შემდეგ კი, თავაზიანი კურკურით, შავლაბადიანი და ტანმორჩილი ცეცილია ც. შემოიყვანა.

– მარტო დაგტოვებთ, – დასძინა გულთბილად, – მართალია, წესის წინააღმდეგ მივდივართ, მაგრამ ზოგჯერ... გამონაკლისის სახით... დედა-შვილობა... ქედს ვიხრი...

Exit[22] უკუსვლით, კარისკაცივით.

ცეცილია ც., რომელსაც პრიალა, შავი მაკინტოში ეცვა და თავზეც წყალგაუმტარი,

ფარფლებდაშვებული ქუდი ეხურა (რაღაცნაირ შტორმულ-მეთევზის იერს აძლევდა), ისევ შუა ოთახში იდგა და შვილს ნათელი თვალით უმზერდა. მერე საწვიმარი გაიხსნა, ნერწყვი ხმაურიანად შეისრუტა და მისთვის ჩვეული, სწრაფი და დაკეპილი კილოთი თქვა:

– დელგმა და ლაფია. მეგონა, ვერასდროს მოვაღწევდი. გზაზე ნიაღვარი მოდიოდა, ღვარცოფი ...

– დაჯექით, – უთხრა ცინცინატმა, – ასე ნუ დგახართ.

– აქ, თქვენთან, რაღაც სიჩუმეა, – განაგრძობდა ცეცილია ც. ჰაერს ყნოსავდა და თითს სახეხივით ისე მაგრად ისვამდა ცხვირქვეშ, რომ მისი ვარდისფერი წვერი შეწუხებული იწმაწნებოდა, – ერთი კია, აქაურობა წყნარი და საკმაოდ სუფთაა. სხვათა შორის, ჩვენთან, თავშესაფარში, ამხელა ცალკე საძინებლები არა გვაქვს. ოჰ, საყვარელო, ლოგინი... რა დღეში გაქვთ ლოგინი!

ცეცილია ც.-მ პროფესიული ხელჩანთა დააგდო, პატარა და სწრაფი ხელიდან მარჯვედ გაიძრო შავი ძაფის თათმანი, ნარზე ისე წაიხარა, ლამის ზედ დაეგო და ლოგინი თავიდან გაასწორა. სელაპივით შავად მბზინავი ზურგი, ქამარი, დაკემსილი წინდები...

– აი, ასე უკეთესია, – თქვა და წელში გაიმართა, – მერე კი, წამიერად დოინჯშემოყრილმა, მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს ცერად გახედა.

ცეცილია ც.-ს ახალგაზრდული იერი ჰქონდა და მისი ყველა ნაკვთი მაგალითს აძლევდა ცინცინატისას, რომელიც თავისებურად მისდევდა მას; თავად ცინცინატიც ამ მსგავსებას ბუნდოვნად გრძნობდა, როდესაც მის ცხვირწაწვეტებულ, პატარა სახესა და უკან გადაქნეულ, გამჭვირვალე თვალების ლივლივს უყურებდა. მოღიავებული გულისპირის შუაში, წვეტით ქვემოთ, ჭორფლიანი ნამზეური წითელ სამკუთხედად დამჩნეოდა. ისე კი, ზოგადად, კანი, საიდანაც ოდესღაც ცინცინატზე წასული ნაჭერი ამოეჭრათ, ისევ ისეთი ჰქონდა – თხელი, ფერმკრთალი და ცისფერი ძარღვებით დაქსელილი.

– აჰ-აჰ, ასე არ შეიძლება... – წაიტიტინა, წიგნებს მიდგა და სწრაფად, როგორც ყველაფერს აკეთებდა, წყება-წყებად აწყობდა. გზად მისი ყურადღება გადაშლილ ჟურნალში დაბეჭდილმა სურათმა მიიპყრო, ლაბადის ჯიბიდან ლობიოსებრი სათვალის ბუდე ამოიღო, ტუჩის კილოები ქვემოთ დაუშვა და ცხვირზე პენსნე მოირგო, – ოცდაექვსი წელი, – ჩაიცინა მან, – რა ძველია, ვერც კი დამიჯერებია.

(...ორი ფოტოსურათი: ერთზე თეთრკბილება პრეზიდენტი მანჩესტერის სადგურზე ხელს

ართმევდა უკანასკნელი გამომგონებლის წლებით დამძიმებულ შვილთაშვილს, მეორეზე კი დუნაისპირა სოფელში დაბადებული ორთავა ხბო გამოესახათ...)

ცეცილია ც.-მ უმიზეზოდ ამოიოხრა, წიგნი გასწია, ფანქარს უბიძგა, დაჭერა ვერ მოასწრო და წამოიძახა: აუჰ!

– თავი დაანებეთ, – უთხრა ცინცინატმა, – აქ ვერაფერს აურევ, აქ მხოლოდ თუ გადააადგილებ.

– აი, ეს მოგიტანეთ (პალტოს ჯიბიდან ამოაძრო ერთფუნტიანი ტომსიკა და სარჩულიც თან ამოაყოლა,). აი, კანფეტებია. წუწნეთ, ღმერთმა შეგარგოთ.

მერე დაჯდა და ლოყები გამობერა.

– ვიცოცე, ამოვცოცდი და დავიღალე, – განგებ ხვნეშით თქვა, გაქვავდა და შეფარული ნატვრით ახედა აბლაბუდას.

– რატომ მოხვედით? – საკანში ბოლთის ცემით ჰკითხა ცინცინატმა, – ეს არც თქვენ გჭირდებათ და არც მე. რატომ? ეს არც კარგია და არც საინტერესო. აშკარად ვხედავ, რომ თქვენც ისეთივე

პაროდია ხართ, როგორც ყველაფერი, როგორც ყველაფერი. ჰოდა, თუკი დედაზე ასეთ ოსტატურ პაროდიას მთავაზობენ... ახლა წარმოიდგინეთ, რომ ვთქვათ, რაღაც შორეული ხმა მეიმედება და მისი როგორღა ვიწამო, თუ თქვენც კი ტყუილი ხართ. ბარემ ძღვენიო, გეთქვათ. ანდა რატომ გაქვთ ლაბადა სველი, ფეხსაცმელი კი მშრალი, – ეს ხომ უყურადღებობაა. გადაეცით მებუტაფორეს.

მან კი სწრაფად და დამნაშავედ:

– მე ხომ კალოში მეცვა, – ქვემოთ, კანცელარიაში დავტოვე, პატიოსნებას გეფიცებით....

– ოჰ, კმარა, კმარა. ოღონდ ახსნა-განმარტებას ნუ მოჰყვებით... შეასრულეთ თქვენი როლი, – რაც შეიძლება, ბევრი იტიტინეთ, რაც შეიძლება უდარდელი იყავით და ეგ არის, გამოდგება.

– იმიტომ მოვედი, რომ დედათქვენი ვარ, – ხმადაბლა თქვა მან და, ცინცინატმა გაიცინა.

– არა, არა, ფარსზე ნუ გადახვალთ. გახსოვდეთ, რომ აქ დრამაა. სასაცილო სასაცილოდ, მაგრამ სადგურს ძალიანაც ნუ დაშორდებით: შეიძლება დრამამ გაგასწროთ. გიჯობთ... ჰო, აი, გამიმეორეთ, თუ შეიძლება, თქმულება მამაჩემზე.

ნუთუ, მართლა ღამის სიბნელეში გაქრა და მისი ვერც ვინაობა გაიგეთ და ვერც სადაურობა, – ეს უცნაურია...

– მხოლოდ ხმა, სახე არ დამინახავს, – ისევ ისე ჩუმად მიუგო მან.

– ჰო, ასე, ასე, ამიბით მხარი თამაშში. მოდით, ვაქციოთ მგზავრად ან გამოქცეულ მეზღვაურად, – გულდამძიმებული, თითების ტკაცუნითა და ბოლთის ცემით განაგრძობდა ცინცინატი, – ანდა ტყეში გავარდნილ და პარკში გასტროლებზე ჩამოსულ ავაზაკად, გნებავთ, ქეიფს გადაყოლილ ხელოსნად, ხუროდ... აბა, სწრაფად, რამე მოიფიქრეთ.

– თქვენ არ გესმით, – შესძახა ცეცილიამ (აღელვებული წამოდგა და მაშინვე დაჯდა), – არ ვიცი, ვინ იყო, – მაწანწალა, გამოქცეული, დიახ, ეგ ყველაფერი შეიძლება... მაგრამ როგორ არ გესმით... დიახ, დღესასწაული იყო, პარკში ბნელოდა, მე კი ახლად შეღერებული გოგო ვიყავი, მაგრამ მთავარი ეს არ არის. აბა, როგორ შეცდები! თუ კაცს ცეცხლი უკიდია და ცოცხლად იწვის, იმან ალბათ იცის, რომ ჩვენს სტროპში არა ბანაობს. ანუ მინდა ვთქვა: ვერა, ვერ შეცდები, ვერაფრით... ოჰ, როგორ არ გესმით!

– რა არ მესმის?

– ოჰ, ცინცინატ, ისიც...

– რა ისიც?

– ისიც თქვენსავით იყო, ცინცინატ...

თავი ჩაქინდრა, პენსნე პეშვში ჩაუვარდა.

პაუზა.

– თქვენ რა იცით, – მოიღუშა ცინცინატი, – ამას ასე უცბად ვერ შეამჩნევდით...

– მეტს არაფერს გეტყვით, – თავი არ აუღია, ისე უთხრა.

ცინცინატი ნარზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. დედამისმა ცხვირი ისეთი ხმაურით მოიწმინდა, თითქოს სპილენძის ბუკს ჩაბერესო, რაც მოულოდნელი იყო ასეთი პატარა ქალისგან და სარკმლის ნიშას ახედა. ცა, ეტყობა, მოწმენდილიყო, – ლაჟვარდის სიახლოვე იგრძნობოდა, – მზეს კედელზე ხაზი გაევლო, რომელიც ხან მიინავლებოდა, ხან ისევ აენთებოდა.

– ახლა ჭვავის ყანას ღიღილო გაერია, – სწრაფად ალაპარაკდა ცეცილია ც., – ჰოდა, ყველაფერი ისეთი საოცარია. ქარი ღრუბლებს მიერეკება და ყველაფერი ისეთი

მოუსვენარი და ნათელია. მე აქედან შორს, ექიმის დასახლებაში ვცხოვრობ და როდესაც თქვენთან, ქალაქში ჩამოვდივარ,

როდესაც მინდორ-მინდორ მოვდივარ ძველი შარაბანით და ვხედავ, როგორ ლაპლაპებს სტროპი, ვხედავ ამ გორაკს, რომელზეც ციხესიმაგრე დგას და ამ ყველაფერს, სულ მგონია, რომ მეორდება და მეორდება რაღაც შესანიშნავი ამბავი, რომლის გაგებაც ვერ მომისწია ან არ შემიძლია. არადა, ვიღაც მაინც მიმეორებს და მიმეორებს ისეთი მოთმინებით! მე მთელი დღე ვმუშაობ ჩვენს თავშესაფარში, ჩემთვის ყველაფერი სულერთია, მე საყვარლები მყავს და ჭკუას ვკარგავ ყინულივით ცივ ლიმონათზე, მაგრამ აღარ ვეწევი, რადგან აორტის გაგანიერება მაქვს. არადა, ახლა თქვენთან ვზივარ, – თქვენთან ვზივარ და არ ვიცი, რატომ ვზივარ, ან რა მატირებს, ან ამას რატომ გიყვებით. უკან რომ ჩავცოცდები, პალტოსა და შალის კაბაში დამცხება, – მზე, ასეთი ჭექა-ქუხილის შემდეგ, უღმერთოდ დააჭერს...

– არა, თქვენ მაინც მხოლოდ პაროდია ხართ, – წაიჩურჩულა ცინცინატმა.

ცეცილიამ გაკვირვებულმა გაუღიმა.

– როგორც ეს ობობა, ეს ცხაური, საათის გონგი...

– აი, თურმე რა, – თქვა ცეცილია ც.-მ და ცხვირი ისევ ხმაურიანად მოიწმინდა.

– აი, თურმე, რა ყოფილა, – გაიმეორა.

ორივე ჩუმად იყო და ერთმანეთისკენ არ იხედებოდა, საათი კი ამასობაში უაზრო გუგუნით წუთებს ითვლიდა.

– აქედან რომ გახვალთ, – უთხრა ცინცინატმა, – ყურადღება მიაქციეთ საათს, დერეფანში. ცრუ ციფერბლატია, მაგრამ სამაგიეროდ, ყარაული ყოველ ნახევარ საათში ერთხელ წინანდელ ისარს ჩამოწმენდს ხოლმე და ახალს მიახატავს, – აი, ასე ცხოვრობ შეღებილი დროის მიხედვით, – გუგუნით კი, გუშაგი გუგუნებს და გუშაგიც იმიტომ ჰქვია.

– თქვენ არა ხუმრობთ, – თქვა ცეცილია ც.-მ, – ისე კი, რა საოცარი ფანდი აღარ არსებობს. აი, მახსოვს: ბავშვი რომ ვიყავი, მოდაში იყო, – მხოლოდ ბავშვებში კი არა, უფროსებშიც, – „არარისები“, რომელსაც თან, მაშასადამე, საგანგებო სარკე მოჰყვებოდა, რომელიც ყველაფერს არათუ დაბრეცილად, ისე არეულ-დარეულად, დანაწევრებულად და ალუფხულად აჩვენებდა, ვერაფერს გაარჩევდი. ოღონდ სარკე ტყუილად კი არა ბრეცდა, პირიქით, საგანგებოდ იყო მისადაგებული... უფრო სწორად, დაბრეცილთან ისეთნაირად იყო მისადაგებული... არა, დაიცათ, ცუდად ავხსენი. მოკლედ, თქვენ გქონდათ ცოფიანი სარკე და ნაირ-ნაირი „არარისების“ კოლექცია, ანუ აბსოლუტურად უაზრო საგნები – უფორმო, ჭრელი, დახვრეტილი,

ლაქებიანი, დაკენკილი და კოპებიანი რამე-რუმე, – გადაშენებული ნამარხის მსგავსი, – მაგრამ როდესაც თქვენი სარკე, რომელიც ჩვეულებრივ საგნებს არნახულად

ამახინჯებდა, როდესაც ის, მაშასადამე, თავის ნამდვილ საკვებს მიიღებდა ანუ გაუგებარ და მახინჯ საგანს თუ ისე დადებდით, რომ უცნაურ და მახინჯ სარკეში ასახულიყო, საოცრება ხდებოდა: არაზე არა იძლეოდა ჰოს, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა, ყველაფერი კარგად გამოდიოდა და სარკეში ამ უფორმო ხარახურისგან მშვენიერი, თანმიმდევრულად აკინძული ხატი აისახებოდა: ყვავილები, გემი, ვიღაცის გამოსახულება, რომელიღაც პეიზაჟი. შეიძლებოდა საკუთარი სურათიც დაგეკვეთათ, – ანუ გაძლევდნენ რაღაც კოშმარულ დომხალს და ეს თქვენ იყავით, – ოღონდ გასაღები სარკესა ჰქონდა. ოჰ, მახსოვს, როგორ ვერთობოდით და თან ცოტა გვეშინოდა კიდეც, – ვაი და, არ გამოსულიყო! – აი, ასეთი გაუგებარი, ახალი „არარისის“ ხელში აღება, მისი სარკესთან მიტანა და დანახვა, როგორ იხრწნებოდა შენი ხელი მთლიანად და, სამაგიეროდ, როგორ გადაიქცეოდა უაზრო „არარისი“ უმშვენიერეს და ნათელ, ნათელ სურათად...

– რატომ მიყვებით ამას? – ჰკითხა ცინცინატმა.

ცეცილია ც. დუმდა.

– რა საჭირო იყო? ნუთუ არ იცით, რომ ამ დღეებში, ვინ იცის, ხვალაც...

უცბად, ცეცილია ც.-ს მზერა შეამჩნია, – ოჰ, წამიერად, წამიერად, – მაგრამ რაღაც გაკრთა თითქოს, – რაღაც ნამდვილი და უეჭველი (სამყაროში, სადაც ყველაფერი საეჭვო იყო), თითქოს, ამ საშინელი ცხოვრების კალთის ბოლომ ოდნავ გადაიწია და სარჩულმა გაიელვაო. დედამისის მზერაში ცინცინატმა მოულოდნელად დაიჭირა ის საბოლოო, ნაღდი, ყველაფრის ამხსნელი და ყველაფრისგან დამცველი წერტილი, რომელსაც თავის თავშიც მოიხელთებდა ხოლმე. ახლა ეს წერტილი რაზე ღაღადებდა? ოჰ, მნიშვნელობა არა ჰქონდა: დაე, საშინელებაზე, სიბრალულზე... მაგრამ უმჯობესია ვთქვათ: თავად იმ წერტილს ჭეშმარიტების ისეთი გრიგალი ამოეგდო, რომ ცინცინატის სულს არ შეეძლო არ აჰყოლოდა. წუთიერი დაფერდდა და ჩაიქროლა. ცეცილია ც. ზეზე ადგა და ხელით წარმოუდგენლად ერთი ბეწო რაღაც აჩვენა, – კერძოდ, ორივე ხელის საჩვენებელი თითი ისე გამოსწია, თითქოს ზომას, სიგრძეს უჩვენებდა, ვთქვათ, ჩვილისას ... მერე დაფაცურდა, ტაქსასფეხიან, სქელ და შავ საკვოიაჟს დასწვდა, იატაკიდან აიღო და ჯიბის სარქველი გაუსწორა.

– ესეც ასე, – თქვა უწინდელი ტიტინა კილოთი, – მოგინახულე და ახლა წავალ. მიირთვით ჩემი კანფეტები. შემოვრჩი. წავალ, ჩემი წასვლის დროა.

– დიახაც, დროა! – მხიარული რისხვით დასჭექა როდრიგ ივანოვიჩმა და კარი ყურთამდე გამოაღო.

ცეცილია ც.-მ თავი დახარა და კარში გაძვრა. აცახცახებულმა ცინცინატმაც ნაბიჯი წარსდგა, რომ...

– ნუ წუხდებით, – თქვა დირექტორმა და ხელი ასწია, – ეს ბებიაქალი ჩვენთვის საშიში არ არის. უკან!

– მაგრამ მე მაინც... – დაიწყო ცინცინატმა.

– არიერ! – დაიღრიალა როდრიგ ივანოვიჩმა.

ამასობაში, დერეფნის ბოლოდან, მ-სიო პიერის ზოლიანი, სრული ფიგურა გამოჩნდა. მოდიოდა და შორიდანვე საამურად იღიმებოდა – თუმცა, ცოტა არ იყოს, ფეხი უკან რჩებოდა, ცოტა არ იყოს, თვალს აცეცებდა აი, იმ კაცივით, შარში რომ გაბმულა, მაგრამ არ სურს, ამას ხაზი გაუსვას. მ-სიო პიერს იღლიში „პოლიშინელი“ ამოედო, იდაყვში მოხრილი ხელით კი შაშის დაფა, პატარა კოლოფი და კიდევ რაღაც მოჰქონდა...

– სტუმრები გყავდათ? – თავაზიანად ჰკითხა ცინცინატს, როდესაც დირექტორმა საკანში მარტონი დატოვა, – დედათქვენი იყო? ჰმ, დიახ-ს, დიახ-ს. აი, ახლა კი მე მოვედი, საწყალი,

უილაჯო მ-სიო პიერი, რათა თქვენც გაგართოთ და თვითონაც გაერთოს. აი, ნახეთ, როგორ გიყურებთ. მიესალმე ძიას. დიდი სასაცილოა ვინმეა, არა? აბა, სწორად დაჯექი, სეხნი. მე ბევრი სხვა გასართობიც მოგიტანეთ. გინდათ, ჯერ ჭადრაკი ვითამაშოთ? ან იქნებ ბანქო? ღუზობანა იცით? ცნობილი თამაშია! მოდი, გასწავლით!

XIII

ელოდა, ელოდა და აი, ღამის ყველაზე მკვდრულ დროს, ხმა ისევ ამოძრავდა. ცინცინატმა სიბნელეში მარტომ გაიღიმა. კი ბატონო, შემიძლია ვივარაუდო, რომ ესეც ტყუილია, მაგრამ ახლა მისი ისე ძალიან მჯერა, რომ ჭეშმარიტების სახეს ვანიჭებ.

ხმა ახლა წუხანდელზე გამოკვეთილი და ზუსტი იყო, – ბრმად არ აჩაკუნებდა. როგორ შეჰპარვოდა ეჭვი მის მოძალებულ მოახლოებაზე? მის სიფრთხილეზე? მის ჭკუაზე? იდუმალ და გონივრულ დაჟინებაზე? არ იცოდა ჩვეულებრივი წერაქვით თუ რაიმე უცნაური იარაღით (ამალგამისგან – ამ ყოვლად უვარგისი ნივთიერებისგან და კაცის ყოვლისშემძლე ნებით), მაგრამ ვიღაც, რაღაცნაირად, – ეს აშკარა იყო, – გზას მოიკვლევდა.

ცივი ღამე იყო. მთვარის ნაცრისფრად მბზინავი, ქონიანი ანარეკლი სარკმლის ფოსოს შიდა კედელზე უჯრა-უჯრად დაყოფილი გაწოლილიყო; მთელი ციხესიმაგრე, რომელიც თითქოს შიგნიდან წყვდიადს ამოევსო, ხოლო გარედან მთვარეს მოეგლასუნებინა, დატეხილ შავ ჩრდილებად მიცოცავდა წარაფებზე და უფსკრულში უხმოდ ინთქმებოდა; დიახ, უვნებო, გაქვავებული ღამე იყო, მაგრამ მასში, მის მიყრუებულ წიაღში, ძალ-ღონეს აცლიდა და გზას მოიკვლევდა რაღაც სრულიად უცხო მისი ბუნებისა და წყობისთვის. ან იქნებ ეს ყავლგასული, რომანტიკული აბდაუდაა, ცინცინატ?

მორჩილი სკამი აიღო და მაგრად დასცხო იატაკს, მერე რამდენჯერმე კედელს მიარტყა – შეეცადა, რიტმის მეშვეობით მაინც, აზრი მიეცა კაკუნისთვის. გაამართლა: ის, ვინც ღამეში მოიწევდა, ჯერ შედგა, თითქოს ფიქრობსო, მტრული იყო თუ არა საპასუხო კაკუნი და უცბად, მუშაობა ისეთი აღფრთოვანებული, გახარებული კაკუნით განაგრძო, რომელიც ცინცინატს უდასტურებდა, რომ მისი გამოხმაურება გაიგეს.

დარწმუნდა, – დიაღაც, მასთან მოდიოდნენ, მისი ხსნა სურდათ და როდესაც ქვაზე, მის ყველაზე მოწყვლად ადგილებზე კაკუნს განაგრძობდა, ამით იგი გამოიწვევდა – სხვა დიაპაზონსა და წყაროში, მაგრამ უფრო სავსედ, უფრო რთულად და ტკბილად – იმ მარტივი რიტმების გამეორებას, რომლებსაც თვითონ სთავაზობდა.

უკვე იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეგვარებინა ანბანის საქმე, როდესაც შეამჩნია, რომ ბნელი მთვარეს კი არა, სხვა, დაუპატიჟებელ სინათლეს გაეზავებინა, – ეს შეამჩნია და ხმაც ჩაერთო. სულ ბოლოს, საკმაოდ დიდხანს, რაღაც შვავდებოდა, მაგრამ ესეც თანდათან მიწყნარდა და უცნაურადაც კი მოეჩვენა, რომ ცოტა ხნის წინ, ღამის მყუდროებას არღვევდა ხარბი, მჩქეფარე და გაქნილი ცხოვრება, – ახლოდან მყნოსი, მარწუხივით ჩაბღაუჭებული და გააფთრებით მთხრელი ძაღლივით, რომელიც მაჩვისკენ მიიწევს.

ძილ-ღვიძილში ხედავდა, როგორ შემოვიდა და გავიდა როდიონი და როდესაც საბოლოოდ გამოეღვიძა, უკვე შუადღე გადასულიყო და როგორც მუდამ, პირველ ყოვლისა, გაიფიქრა, რომ დღევანდელი დღე ბოლო არ იქნებოდა, არადა, შეიძლებოდა ყოფილიყო ისევე, როგორც ხვალინდელი, მაგრამ ხვალ ჯერ შორს იყო.

მთელი დღე ყურში გამდგარ გუგუნს უსმენდა, ხელებს ისრესდა, თავს ჩუმად ესალმებოდა და გარს უვლიდა მაგიდას, რომელზეც თეთრად ქათქათებდა გაუგზავნელი წერილი, ან ისევ წარმოიდგენდა წუხანდელი სტუმრის უეცარ, სუნთქვის შემკვრელ – როგორც შესვენებას სააქაო ცხოვრებაში, – მზერას, ანდა ემოჩკას შრაშუნს აყურადებდა. რა გაეწყობა, დალიე იმედის მთხლე, – ეს მღვრიე, ტკბილი წუმპე. იმედი არ ამიხდა. არადა, აკი მეგონა, რომ ახლა მაინც, აქ მაინც, სადაც მარტოობა ასეთი პატივდებულია, ის მხოლოდ ორად გაიყოფოდა – ჩემად და შენად

და არ იბარტყებდა, როგორც იბარტყა – აურზაურით, უღირსად, უაზროდ, – ვერც კი მოგიახლოვდი, – საშინელმა მამაშენმა თავისი კომბლით კინაღამ ფეხები მომამტვრია და ამიტომაც გწერ – ეს ბოლო ცდაა, აგიხსნა, რა ხდება. მარფინკა, თავს ძალა ძალიან დაატანე და გაიგე, – დაე, ბუნდოვნად და ტვინის ერთი კუნჭულით, მაგრამ გაიგე, – რაც ხდება. მარფინკა, გაიგე, რომ მომკლავენ. ნუთუ, ამის გაგება ასე ძნელია? არ გთხოვ, დიდხანს მიგლოვო, სამგლოვიარო შროშანები მომიტანო, მაგრამ გევედრები, ისე მჭირდება, – აი, ახლა, დღეს ბავშვივით შეგეშინდეს, რომ მე საშინელებას მიპირებენ, საზიზღრობას, რისგანაც გულს

გაზიდებს და შუაღამისას ისე ღრიალებ, რომ მაშინაც კი, როდესაც გადიას ფეხის ხმა გესმის – „ჩუ, ჩუმად, ჩუმად“, – ღრიალს არა წყვეტ. აი, ასე უნდა გეშინოდეს, მარფინკა, – თუნდაც, დიდად არ გიყვარდე, მაინც მიხვდი, სულ ერთი წუთით მიხვდი და მერე, თუ გინდა, ისევ მიიძინე. როგორ გამოგაცოცხლო? ოჰ, ჩვენი ერთად ცხოვრება შემზარავი იყო, შემზარავი. ამით მე შენ ვერ გამოგაცოცხლებ. თავიდან ძალიან ვცდილობდი, მაგრამ რომ იცოდე, ჩვენ ტემპი სხვადასხვა გვქონდა და მე მაშინვე ჩამოვრჩი. მითხარი, რამდენი ხელი სრესდა თბილსა და რბილს, რომელიც ასე გულუხვად შემოჰკვრია შენს მტკიცე, ამაყ, მწარე და მოკლე სულს? დიახ, აჩრდილივით ვუბრუნდები, ისევ და ისევ, შენს პირველ ღალატს – ღალატებს და მათ შორის, ბორკილების ხრაგუნით, ყმუილით მივქრი. კოცნა, რომელსაც თვალი შევასწარი. თქვენი კოცნა, რომელიც უფრო რაღაც კვებასა ჰგავდა – გულდასმულს, უწესოსა და ხმაურიანს. ანდა, როდესაც თვალმოჭუტული ნთქავდი მწიფე ატამს, რომელსაც წვენი გასდიოდა და მერე, როდესაც გაათავებდი, მაგრამ ჯერ არ გადაგეყლაპა, ჯერაც სავსე პირით, – შე კანიბალო, – თითებს პარჭყავდი, გამოთაყვანებულ თვალებს აცეცებდი, გახურებული ტუჩები გიპრიალებდა, ნიკაპი გითრთოდა, – ზედ მღვრიე წვენის წვეთები გაჯდა და შენი მოშიშვლებულ მკერდისკენ მიცოცავდა, – ამასობაში კი ის, ვინც შენ გკვებავდა, უცბად, გაშმაგებული ლანძღვა-გინებით, წელში მოხრილი მობრუნდებოდა ჩემკენ – უდროო დროს, ოთახში შემოსულისკენ. „მარფინკასთვის ყველანაირი ხილი სასარგებლოა“, – ამბობდი რაღაცნაირი ყელში გამჯდარი, სველი ღრუტუნით, ერთ ნოტიო, ტკბილ და წყეულ ნაოჭად მოკეცილი, – და თუ ამ ყველაფერს

ისევ ვუბრუნდები, მხოლოდ იმიტომ რომ, გამოვეყო, – ჩემგან გამოვყო, – განვიწმინდო, – კიდევ, იმიტომ რომ, მინდა იცოდე... რა? ალბათ მე, მაინც, ვიღაც სხვა მგონიხარ, რადგან მგონია, რომ მიმიხვდები, – ისე, როგორც ჭკუიდან შეშლილს ჰგონია ხოლმე მის სანახავად მოსული ნათესავები ვარსკვლავები, ლოგარითმები, უკანალჩამოთრეული აფთრები, – მაგრამ არიან კიდევ შეშლილები, – იმათთან ვერაფერს გააწყობ! – რომლებიც აღიარებენ, რომ შეშლილები არიან და აქ უკვე წრე იკვრება. მარფინკა, მე და შენ რომელიღაც ასეთ წრეში ვწრიალებთ, – ოჰ, წუთით მაინც რომ დაიხსნა თავი, – მერე ისევ დაბრუნდები, გპირდები, – ბევრი არაფერი მოგეთხოვება, მაგრამ წუთით დაუსხლტი და შეიგნე, რომ მკლავენ, რომ გარს თოჯინები გვახვევია და შენც თოჯინა ხარ. არ ვიცი, ასე რატომ ვიტანჯებოდი, რომ

მღალატობდი, – უფრო სწორად, მე კი ვიცი, რატომაც, მაგრამ არ ვიცი, სად ვიპოვო სიტყვები, რომლებიც მიგახვედრებს, ასე რატომაც ვიტანჯებოდი. ასეთი სიტყვები არ მოიძევება იმ მწირ სიტყვარში, რომელსაც შენ შენი ყოველდღიური საჭიროებისთვის იყენებ. სულერთია, მე მაინც ვეცდები: მკლავენ! – ახლა კი ყველამ ერთხმად: „მკლავენ!“ – კიდევ ერთხელ: „...მკლავენ!“ – მინდა ისე დავწერო, რომ ყური დაიცო, – შენი თხელკანიანი, მაიმუნის პატარა ყურები, რომლებსაც ქალის მშვენიერ ზილფებში მალავ, – მაგრამ მე ვიცნობ მათ, მე მათ ვხედავ, ხელს ვახებ, ვჩქმეტ, ჩემი მოუსვენარი თითებით ვსრეს, რომ გავათბო, გავაცოცხლო, გავაადამიანურო, რათა ჩემი სიტყვები შევასმინო. მარფინკა, მინდა, დაჟინებით მოითხოვო ახალი პაემანი, ოღონდ ცხადია: მარტო მოდი, მარტო მოდი! ეგრეთ წოდებული ცხოვრება დამთავრდა, ჩემ წინ მხოლოდ

გალიპული ეშაფოტია. ჩემმა მედილეგეებმა მოახერხეს და ისეთ დღეში ჩამაგდეს, რომ – ამას შენც ხედავ – მთვრალივით ვწერ, მაგრამ ეგ არაფერი, მარფინკა, ისეთი მუსაიფისთვის, რომელიც არასდროს გვქონია, ძალა მაინც მეყოფა, ამიტომაც აუცილებელია, რომ ერთხელ კიდევ მოხვიდე და ნუ გეგონება, რომ ეს ცრუ წერილია. ამას მე, ცინცინატი გწერ, ეს მე ვტირი, ცინცინატი, რომელიც, სიმართლე გითხრათ, მაგიდას გარშემო უვლიდა და მერე, როდესაც როდიონმა სადილი შემოუტანა, თქვა:

– აი, წერილი. გთხოვთ, ეს წერილი... აქ მისამართია...

– ნეტა კი, სხვებივით, თქვენც ქსოვა გესწავლათ და ჩემთვის ყელსახვევი მოგექსოვათ, – ჩაიბუზღუნა როდიონმა, – მწერალს დამიხედეთ! ახლახან არ იყო, რომ შეხვდით, – თქვენს ცოლიკოზე გეუბნებით.

– მაინც ვცდი და გკითხავთ, – უთხრა ცინცინატმა, – არიან თუ არა აქ, ჩემსა და საკმაოდ მომაბეზრებელი მ-სიო პიერს გარდა, სხვა პატიმრებიც?

– როდიონი გაჭარხლდა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა.

– ის კაცი ჯერ არ ჩამოსულა? – ჰკითხა ცინცინატმა.

გაშმაგებული როდიონი უკვე აპირებდა აწივლებული კარი გაეჯახუნებინა, რომ წუხანდელივით, – ტარსიკონის ფეხსაცმელების წებოვანი წკაპა-წკუპით, ზოლიანში გამოკრული ხორცის თამაშით, ხელში ჭადრაკით, ბანქოს დასტითა და ბილბოკეთი...

– სიმპათიურ როდიონს ჩემი უმდაბლესი, – წვრილი ხმით თქვა მ-სიო პიერმა და ფეხშეუნელებლად, ტყაპუნ-წკაპუნით შევიდა საკანში.

– ვხედავ, – დაჯდა და თქვა მან, – სიმპათიურმა თქვენგან წერილი წაიღო. ეტყობა ის, რომელიც წუხელ აქ, მაგიდაზე იდო. მეუღლეს მისწერეთ? არა, არა, – მარტივი დედუქციაა, – მე სხვის წერილებს არ ვკითხულობ, თუმცა, ძალზე თვალში საცემად

იყო გამოდებული, როდესაც ჩვენ ღუზობანას ვთამაშობდით. გინდათ, დღეს ჭადრაკი ვითამაშოთ?

მ-სიო პიერმა შალის დაფა გაშალა და ნეკგაშვერილი ფუნჩულა ხელით ფიგურები დაალაგა, რომლებიც ძველი პატიმრული ტრადიციისამებრ, პურის გულისგან ისე მკვიდრად იყო ნაკეთი, რომ ქვას შეშურდებოდა.

– თავად მე უცოლო ვარ, მაგრამ ცხადია, მესმის... დავიწყოთ. მე ამას სწრაფად... კარგი მოთამაშე ბევრს არასდროს ფიქრობს. დავიწყოთ. თქვენი მეუღლე შორიდან დავინახე – ჯიშიანი

დედაკაცია, ვერაფერს იტყვი, – ლამაზი ყელი აქვს, – მიყვარს ასეთები... ჰეი, დაიცათ! არა, აქ შემეშალა. ნება მომეცით, უკან წავიღო. ასე უფრო სამართლიანი იქნება. მე ქალების დიდი მოყვარული ვარ და იმათაც, იმ ცუღლუტებს, ისე ვუყვარვარ, რომ არც დამიჯერებთ. აი, თქვენ, თქვენს მეუღლეს, იმის თვალებზე, იმის ტუჩებზე სწერდით. იცით, ამას წინათ, – რატომ ვერა ვკლავ? ოჰ, აი, თურმე რა!.. ჰო, არ გამოგეპარათ. კარგი, – გაგერიდეთ. ამას წინათ ხორციელი კავშირი მქონდა გამორჩეულად ჯანმრთელ და დიდებულ ქალთან. რა სასიამოვნოა, როდესაც ტანადი, შავგვრემანი... ეს, რა არის? ერიჰა-ა! რა წესია, უნდა გაგეფრთხილებინეთ!.. მოდით, სხვანაირად ვითამაშებ. ასე-ე... დიახ, დიდებული, ვნებიანი ქალი იყო – ისე, მართალი გითხრათ, მეც კარგი ჩიტი ვარ, ისეთი ზამბარიანის პატრონი ვარ, რომ აუჰ! ზოგადად, უნდა გითხრათ, რომ ცხოვრების მრავალრიცხოვან საცთურთაგან, რომელთა გაცნობას თქვენთვის თანდათანობით და ვითომ თამაშ-თამაშით, მაგრამ სერიოზულად ვაპირებ, სიყვარულის საცთური... – არა, დაიცათ, ჯერ არ გადამიწყვეტია, აქეთ წავალ თუ არა. ჰო, წავალ. რა შამათი? რატომ შამათი? აქეთ არ შემიძლია, აქეთ არ შემიძლია, აქეთ... ვერა, ვერც აქეთ... მოითმინეთ, მოითმინეთ, ეს სად იდგა? არა, უფრო წინათ? ჰო, აი, ეს უკვე სხვა საქმეა. ამთქნარებს. აი, ასე წავიდეთ. დიახ, კბილებში წითელი ვარდი, შავი აჟურული წინდები იმ ადგილამდე და მორჩა, სხვა ა-რა-ფე-რი, – აი, ეს მესმის, ეს უმაღლესია... ახლა კი, სიყვარულის თავდავიწყების ნაცვლად, ნოტიო ქვა, ჟანგიანი რკინა, წინ კი... წინ რაც იქნება, თავადაც იცით. ვერ შევამჩნიე. ასე რომ იყოს? ასე სჯობს. სულერთია, პარტია ჩემია... თქვენ შეცდომას შეცდომაზე უშვებთ. კი

ბატონო, გღალატობდათ, მაგრამ თქვენც ხომ გყავდათ გულში ჩაკრული. როდესაც რჩევას მეკითხებიან ხოლმე, მუდამ ვეუბნები: ბატონებო, მეტ წარმოსახვას მოუხმეთ. იმაზე საამური არაფერია, მაგალითად, გარშემო სარკეები შემოირიგო და უყურო, რა თავგამოდებით იღვწიან იქ, – მშვენიერია! აი, ეს კი სულაც არ არის მშვენიერი. პატიოსნებას გეფიცებით, მეგონა, ასე კი არა, აი, ასე ვიარე. მოკლედ, თქვენ ვერ... უკან წაიღეთ, თუ შეიძლება. მე ამ დროს, მიყვარს, რომ თან ვეწეოდე და თან უმნიშვნელო რამეებზე ვლაპარაკობდე და ისიც რომ ლაპარაკობდეს. რა გაეწყობა, გარყვნილებაა... ჰო, ძნელია, საშინელებაა, სამწუხაროა, ამ ყველაფერს „მშვიდობით“ უთხრა და ფიქრობდე, რომ სხვები, თქვენსავით ჭაბუკები და ქორფები, იღვაწებენ და

იღვაწებენ... ეჰ! თქვენი არ ვიცი და, მე ალერსიდან იმას ვაღერთებ, რასაც ჩვენ – ფალავნები, მაკარონს ვუწოდებთ: ტყაპ კისერზე და რაც უფრო მკვრივია ხორცი... ჯერ ერთი, თუ მინდა შევჭამ, მეორეც, – თუ მინდა, ავდგები და წავალ; აი, ასე. დაიცათ, დაიცათ, ჯერ მაინც ვიფიქრებ. ბოლო სვლა რა იყო? უკან დადეთ და მაცადეთ, დავფიქრდე. სისულელეა, არავითარი შამათი არ არის. თქვენ, მგონი, აქ ცოტა ითაღლითეთ. აი, ეს აქ ან აქ იყო და არა აქ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. აბა, დადეთ, დადეთ...

მ-სიო პიერმა რამდენიმე ფიგურა ვითომ შემთხვევით გადააყირავა, მერე ვეღარ მოითმინა, დაიგმინა და სხვებიც აურია. ცინცინატს ცალი ხელი ლოყაზე შემოედო, ცალით კი ჩაფიქრებული ციცქნიდა ცხენს, რომელიც კისრის არეში, ეტყობა, წინააღმდეგი არ იყო, ისევ დაბრუნებოდა პურის სტიქიას, საიდანაც გამოსულიყო[23].

– სხვა რამე ვითამაშოთ, სხვა რამე, ჭადრაკისა არაფერი გაგეგებათ, – შესძახა აწრიალებულმა მ-სიო პიერმა და ჭყეტელა წითელ-ყვითლად შეღებილი, „ბატობანას“ სათამაშო დაფა გაშალა.

მ-სიო პიერმა კამათელი აყარა და სამიდან მაშინვე ოცდაშვიდზე ახტა, მაგრამ მერე ისევ ჩამოქვეითდა. სამაგიეროდ, ცინცინატი ოცდაშვიდიდან, უცბად, ორმოცდაორზე ავარდა. თამაში დიდხანს გრძელდებოდა. მ-სიო პიერს ფერფური უვლიდა, ფეხებს აბაკუნებდა, ბრაზობდა, კამათლებისთვის მაგიდის ქვეშ მიძვრებოდა, იქიდან გამომძვრალს კი კამათლები ხელისგულზე ედო და იფიცებოდა, იატაკზე ზუსტად ასე იჯდაო.

– ასეთი სუნი რატომ აგდით? – ამოოხვრით ჰკითხა ცინცინატმა.

მ-სიო პიერს მსუქანი სახე ნაძალადევმა ღიმილმა დაუღმიჭა.

– ეს ოჯახურია, – განუმარტა ღირსეულად, – ფეხი ცოტა მიოფლიანდება. შაბითაც ვცადე, მაგრამ არაფერი შველის. მართალი გითხრათ, – თუმცა, ამით ბავშვობიდან ვიტანჯები და თუმცა, მიღებულია, რომ ყველანაირ ტანჯვას პატივი ვცეთ, – ჯერ არავის ასე უტაქტოდ...

– ვეღარ ვსუნთქავ, – მიუგო ცინცინატმა.

XIV

ის სულ უფრო ახლოვდებოდა და ახლა უკვე ისე ჩქარობდა, ცოდვა იყო, კითხვების კაკუნით მოგეცდინა. ეგ კი არა, წუხანდელზე გვიანობამდეც კი გაგრძელდა. ცინცინატი მზედაკრულივით პირქვე მოცელილი და ფილებზე ჯვარცმულივით

გაწოლილი, გრძნობათა გარდასახვას აქეზებდა, სმენითა ჭვრეტდა საიდუმლო გასასვლელს, რომელსაც ყველა ახალი ხრაგუნი აგრძელებდა და როდესაც გრძნობდა, როგორ ირყეოდა ქვები, თითქოს გულში გამდგარი ტკივილი უმსუბუქდებოდა და უკვე იმაზე მკითხაობდა, კედელს ბზარი სად გაუჩნდებოდა და გრიალით პირს სად დააბჩენდა.

ჯერაც რაღაც ტკაცუნობდა და შრაშუნობდა, როდესაც როდიონი შემოვიდა. მის ზურგს უკან, შიშველ ფეხზე საბალეტო ფეხსაცმელებსა და შოტლანდიურ უჯრულა შალის კაბაში გამოწყობილი ემოჩკა მოიპარებოდა. იგი, როგორც ერთხელ უკვე მოიქცა, მაგიდის ქვეშ შეიმალა და ისე მოიკრუნჩხა, ბოლოში კავებად დახვეულმა სელივით თმამ სახე, მუხლები და კანჭებიც კი დაუფარა. გავიდა თუ არა როდიონი, ემოჩკა გამოხტა, ნარზე მჯდარ ცინცინატს მიახტა, გადააყირავა და ზედ შეაცოცდა. შიშველი და ცხელი მკლავების ცივი ხელებით ჩააფრინდა ცინცინატს და კბილები დაკრიჭა, – წინა კბილებზე მწვანე ფოთოლის ნაგლეჯი მიჰკვროდა.

– წყნარად იჯექი, – უთხრა ცინცინატმა, – დავიღალე, მთელი ღამე ხუჭი არ მომითვალავს, – წყნარად იჯექი და მომიყევი...

ემოჩკამ ცქმუტვა-ცქმუტვით შუბლი მკერდზე მიაბჯინა; აქეთ-იქით გადაყრილმა კავებად დახვეულმა თმამ ზურგამოჭრილ კაბაში ბეჭი გაუშიშვლა, რომლის ფრთებშუა ჩაღრმავებაც გოგონას მოძრაობის მიხედვით იცვლებოდა და თანაბრად დაეფარა მოთეთრო, თითქოს სიმეტრიულად დავარცხნილ ბუსუსებს.

ცინცინატმა თბილ თავზე ხელი გადაუსვა და შეეცადა თავი აეწევინებინა. ემოჩკამ ხელში ხელი ჩაავლო, მოუჭირა და გაფაციცებულ ტუჩებზე მალიმალ იკრავდა.

– რა ალერსიანი ხარ, – ძილმორეული ხმით თქვა ცინცინატმა, – კარგი, კარგი, გეყოფა. ერთი ეს მითხარი...

მაგრამ ემოჩკას ბავშვური ცელქობა მორეოდა. დაკუნთული გოგონა ცინცინატს ლეკვივით ჯმუჯნიდა.

– გეყოფა! – დაუყვირა ცინცინატმა, – გრცხვენოდეს!

– ხვალ, – თქვა უცბად ემოჩკამ, ხელი მოუჭირა და წარბის გასაყართან მიაშტერდა.

– ხვალ მოვკვდები? – ჰკითხა ცინცინატმა.

– არა, გადაგარჩენ, – ჩაფიქრებულმა ჩაიბუტბუტაა (ცინცინატზე იყო გადამჯდარი).

– ჰო, აი, ეგ კარგია, – თქვა ცინცინატმა, – რამდენი მხსნელი გამომიჩნდა! კიდევ კარგი, თორემ გავგიჟდებოდი. ჩამოდი თუ შეიძლება, მძიმე ხარ, მცხელა.

– გავიქცევით და ცოლად შემირთავთ.

– შეიძლება, – როდესაც გაიზრდები. ოღონდ, მე ცოლი უკვე მყავს.

– სქელი და ბებერი, – თქვა ემოჩკამ.

ლოგინიდან ჩამოხტა და საკანს შემოურბინა, როგორც დარბიან მოცეკვავეები – დიდ-დიდი ნაბიჯებით, კულულების რხევით, მერე კი ახტა, თითქოს აფრინდაო და ბოლოს, ერთ ადგილზე დაბზრიალდა მრავალმკლავგაშლილი.

– მალე ისევ სკოლა დამეწყება, – თქვა ემოჩკამ, თვალის დახამხამებაში შეასკუპდა ცინცინატს მუხლებზე, მაშინვე ყველაფერი მიივიწა და ახალ საქმიანობაში ჩაეფლო: მბზინავ კვირისთავზე მოგრძო შავი ფუფხი აციცქნა; ნახევარი ფუფხი უკვე აეძრო და ნაზი ვარდისფერი ნაიარევი მოჩანდა.

თვალმოჭუტული ცინცინატი მის თავდახრილ, ფაფუკი სინათლით ჩარჩომოვლებულ პროფილს უყურებდა და რული თავს ართმევდა.

– ეჰ, ემოჩკა, იცოდე, არ დაგავიწყდეს, არ დაგავიწყდეს, რომ დამპირდი. ხვალ! მითხარი, როგორ მოახერხებ?

– ყური მოწიე.

ემოჩკამ ცალი ხელი კისერზე შემოხვია და ყურში ცხლად, ტენიანად და სრულიად გაურკვევლად ჩაუბუბუნა.

– ერთი სიტყვაც ვერ გავიგონე, – უთხრა ცინცინატმა.

ემოჩკამ მოუთმენლად გადაიყარა სახიდან თმა და ისევ მიეკრა:

– ბუ... ბუ... ბუ... – ისევ აბურტყუნდა, მერე უკან გახტა, მაღლა აიჭრა და აი, უკვე, შეტყუპული ფეხები ხმალივით გაეწვართა და ოდნავ მოქანავე ტრაპეციაზე ისვენებდა.

– მაინც კი ამის დიდი იმედი მაქვს, – ჩაილაპარაკა სულმთლად მითვლემილმა ცინცინატმა და მოგუგუნე, დაორთქლილი ყური ბალიშზე ნელა დაუშვა.

ძილბურანში იგრძნო, როგორ გადააფოფხდა ემოჩკა ზედ და მერე, თითქოს ბუნდოვნად ხედავდა, რომ ემოჩკა, თუ ვიღაც სხვა, გაუთავებლად კეცავდა რაღაც მბრწყინავ ქსოვილს – კიდეებში ხელს ჩაჰკიდებდა, გადაკეცავდა, ხელისგულით გაასწორებდა, ისევ გადაკეცავდა ხოლმე. მერე კი უცბად, ერთი წამით, ემოჩკას ჭყივილმა გამოაღვიძა, რომელსაც როდიონი მიათრევდა.

ამის შემდეგ მოეჩვენა, რომ ნანატრი ხმა იქ, კედლის მიღმა, ფრთხილად განახლდა... ძალიან საშიშია! ახლა, ამ გაგანია დღეს... მაგრამ ხმა თავს ვერ იკავებდა, ნელ-ნელა მისკენ მოიწევდა და ცინცინატი, შეშინებული, რომ გუშაგები გაიგონებდნენ, საკანში დარბოდა, ფეხებს აბარტყუნებდა, ახველებდა, მღეროდა და როდესაც გულამოვარდნილი მაგიდას მიუჯდა, ხმა აღარ ისმოდა.

საღამოხანისკენ კი, – ახალი წესისამებრ, – ფარჩის ტუბიტეიკიანი მ-სიო პიერი გამოცხადდა, ცინცინატის ნარზე შინაურულად, მხარ-თეძოზე წამოგორდა და ხის გრძელი ყალიონი, რომელზეც პერის მსგავსი ფიგურა იყო ამოკვეთილი, გემრიელად გააბოლა. ცინცინატი მაგიდასთან იჯდა და საუზმეს ამთავრებდა, ყავისფერი წვენიდან შავქლიავს იღებდა და ღეჭავდა.

– დღეს მივიფრქვიე, – რიხიანად განაცხადა მ-სიო პიერმა, – ასე რომ, გთხოვთ, წუწუნი და შენიშვნები არ იყოს. მოდით, წუხანდელი მუსაიფი განვაგრძოთ. სიამოვნებაზე ვლაპარაკობდით.

– სიყვარულისგან გამოწვეული სიამოვნება, – თქვა მ-სიო პიერმა, – მიიღწევა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და სასარგებლო ფიზიკური ვარჯიშით, რაც კი ზოგადად ცნობილია. მე სიტყვა „მიღწევა“ ვახსენე, მაგრამ შეიძლება სიტყვა „მოპოვება „ ანდა „მონადირება“ უფროც შეეფერებოდეს, რამეთუ, დიაღაც, ლაპარაკია სიამოვნების გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ მონადირებაზე, იმ არსების წიაღში რომ ძევს, ვისაც ვამუშავებთ. მოცალეობის ჟამს სიყვარულის მუშაკი დამკვირვებელს უმალ აოცებს თვალთა ქორებულ მზერით, მხიარული გუნებითა და კარგი პირისკანით; ყურადღება მიაქციეთ, აგრეთვე, ჩემს თანაბარ ნაბიჯს. ასე და ამგვარად, ჩვენს წინაა ერთგვარი მოვლენა ანდა მოვლენათა წყება, რომელიც შეგვიძლია გავაერთიანოთ ერთი ტერმინით – სასიყვარულო ანდა ეროტიკული სიამოვნება.

ამ დროს ფეხაკრეფითა და ხელის სავსავით, რომ მისთვის ყურადღება არ მიექციათ, შემოვიდა დირექტორი და თავისივე მოტანილ ტაბურეტზე დაჯდა.

მ-სიო პიერის მისკენ მიმართული მზერა კეთილგანწყობით ბრწყინავდა.

– განაგრძეთ, განაგრძეთ, – აჩურჩულდა როდრიგ ივანოვიჩი, – მოვედი, რომ მოგისმინოთ. Pardon[24], სულ ერთი წუთით, მხოლოდ ისე დავდგამ, რომ კედელს მივეყრდნო. Voila[25]. მაინც კი ძალიან დავიღალე. თქვენ?

– ეგ მიუჩვევლობის ბრალია, – მიუგო მ-სიო პიერმა, – ნება მომეცით, განვაგრძო. ჩვენ აქ, როდრიგ ივანოვიჩ, ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე ვბაასობდით და ეროსს ზოგადად განვიხილავდით.

– გასაგებია, – თქვა დირექტორმა.

– მე შემდეგი პუნქტები მოვნიშნე... მომიტევეთ, კოლეგა, რომ ვიმეორებ, მაგრამ მინდა, როდრიგ ივანოვიჩისთვისაც საინტერესო იყოს. მე, როდრიგ ივანოვიჩ, აღვნიშნე, რომ მამაკაცს, რომელსაც სიკვდილი აქვს მისჯილი, ყველაზე მეტად ქალის – მისი სასურველი, გემრიელი სხეულის შელევა უჭირს.

– და კიდევ მთვარიანი ღამეების ლირიკისა, – დაურთო, თავის მხრივ, როდრიგ ივანოვიჩმა და ცინცინატს მკაცრად გადახედა.

– არა, მოდით, თემის გაშლაში ხელს ნუ შემიშლით, – უთხრა მ-სიო პიერმა, – თუ რამის თქმა მოგინდებათ, მერე ბრძანეთ. ასე რომ, ვაგრძელებ. გარდა სიყვარულით ტკბობისა, ბევრი სხვაც არის და ჩვენ ახლა მათ განვიხილავთ. ალბათ არაერთხელ გიგრძნიათ, რა ნეტარებით გივსებთ გულს გაზაფხულის მშვენიერი დღე, როდესაც კვირტები იბერება, ფრთოსანი მომღერლები გალობით იკლებენ წებოვანი, ლორთქო ფოთლებით შემოსილ ჭალებს[26]. პირველი მოკრძალებული ყვავილები, თითქოს ბუნების თავგადაკლული ტრფიალის შეტყუება სურთო, კეკლუცად იჭყიტებიან ბალახებიდან, და შიშნარევად ჩურჩულებენ: ოჰ, არა, ნუ მოგვწყვეტ, ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა. ასეთ დღეს, როდესაც ჩიტები გალობენ და ხეები ქორფა ფოთლებით იმოსება, როდესაც გული საგულეში აღარ გეტევა და ხარბად ყლაპავ ჰაერს. ყველაფერი ხარობს, ყველაფერი ზეიმობს.

– აპრილის თვის ოსტატური აღწერაა, – თქვა დირექტორმა და ლოყები შეადანდალა.

– მე მგონი, ეს ყველას განუცდია, – განაგრძო მ-სიო პიერმა, – და ახლა, როდესაც დღეს ან ხვალ ჩვენ ყველანი ავალთ ეშაფოტზე, ასეთი გაზაფხულის დღის დაუვიწყარი მოგონებები

გაიძულებს შესძახო: ოჰ, დამიბრუნდი, დამიბრუნდი, ერთხელ კიდევ განმაცდევინე ეს გრძნობა... ეს გრძნობა, – გაიმეორა მან და საკმაოდ დაურიდებლად ჩახედა წვრილად ნაწერ გრაგნილს, რომელიც ხელში ეჭირა.

– ახლა სულიერ სიამოვნებათა სახეობაზე გადავიდეთ, – განაცხადა მ-სიო პიერმა, – გაიხსენეთ, თვალუწვდენელ სურათების გალერეაში ან მუზეუმში როგორ ჩერდებოდით უცბად და თვალს ვერა სწყვეტდით რომელიმე ნატიფ ტორსს, – ვაგლახ, რომ ბრინჯაოსას ანდა მარმარილოსას! ამას შეიძლება ხელოვნებით ტკბობა ვუწოდოთ და მას ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს.

– დიდი და ეგეთი, – ჩაიდუდღუნა როდრიგ ივანოვიჩმა და ცინცინატს შეხედა.

– ახლა გასტრონომიული სიამოვნება, – განაგრძობდა მ-სიო პიერი, – შეხედეთ: ხეხილი საუკეთესო ხარისხის ხილს დაუზვინავს; ყასაბი და მისი თანაშემწე ღორს მოათრევენ, რომელიც ისე ჭყვიტინებს, გეგონება, ყელსა სჭრიანო; წითელ თეფშზე

ლორის მოზრდილი, თეთრი ნაჭერი დევს; იქით სუფრის ღვინოა, აქეთ ალუბლის ნაყენი; აი, თევზიც, – სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ნაფოტას დიდი მოყვარული ვარ.

– გეთანხმებით, – დაიბუბუნა როდრიგ ივანოვიჩმა.

– შენ ამ საოცარი ლხინის დატოვება გიწევს. მოგიწევს კიდევ ბევრს შეელიო: საზეიმო მუსიკას; საყვარელ საგნებს – ფოტოაპარატის ან ყალიონის დარს; მეგობრულ საუბარს; ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისგან მოგვრილ სიამოვნებას, რომელსაც ზოგნი სიყვარულისგან მოგვრილს უთანაბრებენ; სადილის მერე წაძინებას; მოწევას... კიდევ რას? საყვარელ ნივთებს, ჰო, ეს უკვე იყო (ისევ გამოჩნდა ფურცელი); სიამოვნებას... ესეც იყო. მოკლედ, ყველა სხვა წვრილმანს...

– შეიძლება რაღაც დავამატო? – შეფრფინვით ჰკითხა დირექტორმა, მაგრამ მ-სიო პიერმა თავი გაუქნია.

– არა, სავსებით საკმარისია. ვგონებ, რომ ჩემი კოლეგის გონების თვალსაწიერს გრძნობათა სამეფოს ისეთი სანახები გადავუშალე...

– მე მხოლოდ საჭმელზე, – ხმადაბლა შენიშნა დირექტორმა, – მე მგონი, აქ ერთგვარი კონკრეტიკა დასაშვებია. მაგალითად, en fait de potage...[27] გავჩუმდი, გავჩუმდი, – შეშინებულმა დააბოლოვა, როდესაც მ-სიო პიერის მზერას შეეფეთა.

– კეთილი, – მიმართა მ-სიო პიერმა ცინცინატს, – აბა, რას იტყვით ამაზე?

– მართლაცდა, რა ვთქვა? – ჩაილაპარაკა ცინცინატმა, – ძილის მომგვრელი, აკვიატებული აბდაუბდაა.

– გამოუსწორებელია! – შესძახა როდრიგ ივანოვიჩმა.

– მაგას ეგ განგებ ამბობს, – ფაიფურისებრი ღიმილით, მრისხანედ თქვა მ-სიო პიერმა, – დამიჯერეთ, საკმაო დოზით გრძნობს ჩემს მიერ აღწერილი მოვლენების ხიბლს.

– მაგრამ რაღაც მაინც არ ესმის, – კრძალვით ჩაერია როდრიგ ივნოვიჩი, – არ ესმის, რომ ახლა პატიოსნად თუ აღიარებდა თავის ახირებას, პატიოსნად თუ აღიარებდა, რომ იგივე უყვარს, რაც მე და თქვენ, მაგალითად, პირველ კერძად კუს წვნიანი, – ამბობენ, სტიქიურად გემრიელიაო, – ანუ იმის თქმა მინდა, პატიოსნად რომ ეღიარებინა და მოენანიებინა, – დიახ, მოენანიებინა, – ეს ჩემი აზრია, – მაშინ რაღაც შორეული, – არ მინდა ვთქვა, იმედი-მეთქი, მაგრამ მაინც...

– ტანვარჯიშის თაობაზე გამომიტოვებია, – თავის ფურცელს ათვალიერებდა და ტუტუნებდა მ-სიო პიერი, – რა აფსუსია!

– არა, არა, შესანიშნავად თქვით, შესანიშნავად, – ამოიხვნეშა როდრიგ ივანოვიჩმა, – უკეთესად

არ შეიძლებოდა. ჩემში ათეული წლით მითვლემილმა სურვილებმა გამოიღვიძა. თქვენ აქ კიდევ დარჩებით, თუ მოდიხართ?

– მოვდივარ. დღეს, უბრალოდ, ავ გუნებაზეა. არც კი მიყურებს. სამეფოს აძლევ, ის კი იბუტება. არადა, სულ ცოტა მინდა – ერთი სიტყვა, თავის დაქნევა. კარგი, რა გაეწყობა. წავედით, როდრიგო.

მათი წასვლის შემდეგ სინათლე მალევე ჩაქრა. ცინცინატმა ნარზე სიბნელეში გადაინაცვლა (სხვისი ფერფლი უსიამოვნოა, მაგრამ სხვაგან ვერსად დაწვები), ყველა მალიდან და ხრტილიდან გამოახტუნა გრძელი ფიცარი, გაიწვართა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და წუთის ჩარექი გააჩერა. იქნებ სულაც ქვისმთლელები არიან. ეს არის და ეს. იქნებ რაღაცას აკეთებენ. იქნებ მომეყურა: შეიძლება ყველაფერი ძალიან, ძალიან შორიდანაც ისმოდეს (ამოისუნთქა). პირაღმა იწვა, საბნიდან ტერფები გამოეყო, ფეხის თითებს ათამაშებდა და პირს ხან შეუძლებელი მხსნელისკენ მიიქცევდა, ხან გარდუვალი სასჯელისკენ. სინათლემ ისევ იფეთქა.

როდიონი ტაბურეტის წასაღებად გამოცხადდა. ხალათის გულისპირში ხელი შეეყო და წითურ მკერდს იფხანდა. საჭირო საგანი რომ დაინახა, დიდხანს არ უფიქრია, დაჯდა, მძიმედ ამოიხვნეშა, ვეება ხელისგულით ძირს დახრილი სახე მოისრისა და ეტყობა ხვრინვის ამოშვება აპირებდა.

– ჯერ არ ჩამოსულა? – ჰკითხა ცინცინატმა.

როდიონი მაშინვე ადგა და ტაბურეტიანად გავიდა.

სიბნელე-მიბნელე.

იქნებ იმიტომ, რომ მისი გასამართლების დღიდან რაღაც მრგვალი თარიღი შესრულებულიყო: ორი კვირა ანდა მხსნელი ხმების მოახლოება ბედ-იღბლის ცვლილებას ჰპირდებოდა, მაგრამ ცინცინატი, იმ ღამეს, ციხეში გატარებულ საათებს ჩხრეკდა. უნებლიეთ დაჰყოლოდა განვითარების ლოგიკას და შეუგნებლად კრავდა ერთ ჯაჭვად (ფრთხილად, ცინცინატ) იმას, რაც სავსებით უსაფრთხო იყო – არავინ იცის, საით მიმართული ცალკეული რგოლების სახით, – აზრი მიენიჭებინა უაზროსთვის, სიცოცხლე – უსიცოცხლოსთვის და ყოველდღიურ მნახველთა ყველა განათებული ფიგურისთვის ნება დაერთო, ბნელი ქვის ფონზე გამოსცხადებოდა... ეს პირველად იყო, პირველად იყო, რომ მის წარმოსახვას მოწყალე თვალით შეეხედა მათთვის. გამოეცხადა აბეზარი მეზობელი ტუსაღი, პუტკუნა ლოყებითა და იმ ცვილის ვაშლივით პრიალა სახით, ამას წინათ, ლაზღანდარა ქვისლმა რომ მოუტანა;

გამოეცხადა ადვოკატი, – მკვირცხლი, ხმელ-ხმელი, ფრაკის სახელოდან პერანგის ყოშის გამოწევით გართული; გამოეცხადა პირქუში ბიბლიოთეკარი და კიდევ, დონდლო როდრიგ ივანოვიჩი, გულდაგულ

დატკეპნილი შავი პარიკით; გამოეცხადა ემოჩკა, აგრეთვე – მარფინკას მთელი ოჯახი, როდიონი და სხვებიც – ბუნდოვანი გუშაგები და ჯარისკაცები და ამ გამოხმობით, ცინცინატი – დაე, მათი არსებობისა არ სჯეროდა, მაგრამ მაინც გამოიხმობდა, – სიცოცხლის უფლებას აძლევდა მათ, ინახავდა და კვებავდა თავისი თავით. ამ ყველაფერს კი თან სდევდა ყოველწამიერი მოლოდინი ამაღელვებელი კაკუნის დაბრუნებისა, რომელიც ისე მოქმედებდა, როგორც მუსიკის მოლოდინში საკრავების შემოწმება. ასე რომ, ცინცინატი უცნაურ, დაძაბულ და სახიფათო მდგომარეობაში იყო. ამ დროს რაღაცნაირი მზარდი საზეიმო ხმით აგუგუნდა შორეული საათი და აი, სიბნელიდან გამოვიდა და წრეს გაუყვა ხელიხელჩაკიდებული განათებული ფიგურები, რომლებმაც ცოტა მიწოლით, ცოტა გვერდზე გადაქანებულმა დაიწყო წრეზე ტრიალი – ჯერ ბორძიკით, მერე კი, თანდათანობით, თანაბრად, მსუბუქად, სწრაფად – აგერ, წავიდა, წავიდა, – და მათი მხრისა და თავის უსაშველო ჩრდილები გარბოდა, მეორდებოდა, სულ უფრო სწრაფად უვლიდა ქვის თაღებს, – იყო აუცილებელი ხუმარაც, რომელიც ფერხულში ჩაბმული, ფეხებს პლაკავს და სხვებს აცინებს – უფრო თავდაჭერილებს და მისი ვეებერთელა მახინჯი მუხლების შავი ჩრდილი კედლებზე გადარბის.

XV

დილა წყნარად მიილია, სამაგიეროდ, ნაშუადღევის ხუთი საათისთვის საშინელი ლაწანი გაისმა: ის, ვინც მუშაობდა, ძალიან ჩქარობდა და უსირცხვილოდ გრუხუნებდა, თუმცა, გუშინდლიდან დიდად არ მოახლოებულიყო.

უცბად რაღაც განსაკუთრებული მოხდა: თითქოს შიგნითა წინაღობა ჩამოიქცაო, ხმა გამოიკვერა, გაძლიერდა (მყისიერად გადავიდა ერთი სცენიდან მეორეში – პირდაპირ რამპასთან) და ცხადი გახდა: უკვე აქ იყო, აი, იმ კედლის მიღმა, რომელიც ყინულივით დნებოდა და აი, ახლა, ახლა გამოვარდებოდა.

ტუსაღმაც გადაწყვიტა, რომ მოქმედების დრო დამდგარიყო. აცახცახებული, საშინლად აფაციფუცდა, მაგრამ მაინც ცდილობდა თავი არ დაეკარგა. გამოიღო და ჩაიცვა ის რეზინის ფეხსაცმელები, ის ტილოს შარვალი და ის ქურთუკი, მაშინ რომ ეცვა, როდესაც დააკავეს; იპოვა ცხვირსახოცი – ერთი ცხვირსახოცი, ორი ცხვირსახოცი, სამი ცხვირსახოცი (ჰაიჰარად გარდასახული ზეწრებად, რომლებსაც გადააბამდნენ ხოლმე); ყოველი შემთხვევისთვის ჩაიდო ჯიბეში რაღაც თოკი, რომელზეც პაკეტის სატარებლად ხის რაღაც მიებათ (არ ჩადიოდა, კუდი უჩანდა); ლოგინს მივარდა, რათა აეფუებინა ბალიში, საბანი გადაეფარებინა და მძინარე კაცის

ფიტული გამოსულიყო, მაგრამ ეს არ უქნია და ნაცვლად ამისა, ნაწერის ასაღებად მაგიდისკენ გაემართა, თუმცა კი აქაც შუა გზიდან მობრუნდა, რადგან გამარჯვებული, შმაგი კაკუნი თავგზას უბნევდა... ისარივით გამართული იდგა და მკლავები ფერდებზე მიეკრა, როდესაც მისი ოცნება უნაკლოდ განხორციელდა და ყვითელ კედელზე, იატაკიდან ერთ არშინზე, ბზარი ელვისებურად გაიკლაკნა, მიღმა ბიძგებისგან უმალ დაიშალა და გრუხუნით დააღო პირი.

შავი ხვრელიდან გამოძვრა ხელწერაქვიანი, წვრილი ნამსხვრევების კორიანტელში გახვეული და ერთიანად გადათეთრებული, მტვერში მოფართხალე სქელი თევზივით ასხმარტალებული და სიცილისგან ათახთახებული მ-სიო პიერი, რომელსაც მაშინვე უკან მოჰყვა, ოღონდ კიბოსავით უკუსვლით, სქელუკანალიანი როდრიგ ივანოვიჩი – ისიც სიცილისგან ჩაბჟირებული, – საჯდომზე გახეული შარვლიდან მორუხო ბამბის ნაგლეჯი გამოსჩროდა – და როდესაც ხვრელიდან გამოფორთხდა, ორივენი იატაკზე დასხდნენ და უკვე თავშეუკავებლად ათახთახდნენ როხროხა ოხო-ხო-დან ჰიყ-ჰიყ-ჰიყ ჩაბჟირებამდე და მერე ისევ, თავიდან, ქანცგაცლილი წამოკნავლებით, ხრჩობა-ხველებით, ფეხების ბრახუნითა და ერთმანეთზე მიწყდომით...

– ჩვენ... ჩვენ... ჩვენა ვართ, – როგორც იქნა, ამოთქვა მ-სიო პიერმა და ცინცინატისკენ ცარცივით სახე მიიბრუნა, ამასთან, მისი ყვითელი პარიკი კომიკური სტვენით აიწია და ჩაიფუკა.

– ჩვენა ვართ, – მისთვის მოულოდნელი ფალცეტით წამოიკნავლა როდრიგ ივანოვიჩმა, ისევ არობრობდა და ექსცენტრიკოსის წარმოუდგენელი გეტრებით შემოსილი სქელი ფეხები აპლაკა.

– უჰ! – ამოთქვა მ-სიო პიერმა და უცბად დაწყნარდა. ადგა ხელისგულები გადააჯვარედინა და ხვრელს გახედა, – მაგრად კი ვიმუშავეთ, როდრიგ ივანოვიჩ! ადექით, გენაცვალე, საკმარისია. რა ნამუშევარია! აბა, უკვე შეგვიძლია ეს შესანიშნავი გვირაბი გამოვიყენოთ... ნება მომეცით, მიგიწვიოთ, კეთილო მეზობელო, ჩემთან, ჭიქა ჩაიზე.

– თუ მომეკარებით... –წაიჩურჩულა ცინცინატმა, რადგან ერთ მხრეს გადათეთრებული და ოფლიანი მ-სიო პიერი მზად იყო ჩახვეოდა და ჩაეჯმუჯნა, ხოლო მეორე მხარეს, მხრებმოშიშვლებულ და გულისპირმოღეღილ როდრიგ ივანოვიჩს გაეშალა მკლავები და ერთიცა და მეორეც ისე ირწეოდა, თითქოს აპირებდა თავს დასხმოდა. ცინცინატმა ერთადერთი შესაძლებელი გზა აირჩია, კერძოდ კი ის, საითკენაც მიუთითებდნენ. მ-სიო პიერი ზურგში მსუბუქად უბიძგებდა და ხვრელში შეძრომაში ეხმარებოდა.

– შემოგვიერთდით, – მიიპატიჟა მ-სიო პიერმა როდრიგ ივანოვიჩიც, მაგრამ იმან მოუწესრიგებელი ტუალეტი მოიმიზეზა და უარი უთხრა.

ცინცინატი თვალმოჭუტული ოთხზე მიფორთხავდა, უკან მ-სიო პიერი მოძვრებოდა. ყოველი მხრიდან ხრაშუნა ნაშალით სავსე წყვდიადი მოიწევდა, აწვებოდა ხერხემალზე, ჩხვლეტდა ხელისგულებზე, მუხლებზე... ცინცინატი რამდენჯერმე მიადგა ჩიხს და მაშინ მ-სიო პიერი კანჭებზე ეწეოდა და აიძულებდა, ჩიხიდან უკუსვლით გამომძვრალიყო. ცინცინატი წამდაუწუმ კედლის წიბოსა თუ რაღაც გაუგებარს მტკივნეულად ახლიდა თავს და ისეთი შემზარავი, ავბედითი სევდა შემოსწოლოდა, მ-სიო პიერი რომ არა, რომელიც უკან ქსუტუნ-ქსუტუნითა და მუჯლუგუნით მოსდევდა, იქვე დაწვებოდა და მოკვდებოდა. მაგრამ აი, ნახშირივით შავ წყვდიადში (ერთ ადგილას, გვერდიდან, წითელმა ფარანმა მქრქალად ააბზინა კუნაპეტი) დიდი ხნის ფორთხვის შემდეგ – ვიწროობის, უჰაერობის, უხილვადობის შემდეგ – შორს ცრიატი სინათლე გამოჩნდა, რომელიც თანდათან მრგვალდებოდა. ეს მოსახვევი იყო და, როგორც იქნა, გამოსასვლელი; ცინცინატი უხერხულად და მორჩილად გადმოვარდა ქვის იატაკზე, მ-სიო პიერის მზით გაჩახჩახებულ კამერაში.

– გთხოვთ, პატივი დაგვდოთ, – უთხრა მასპინძელმა, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვა, მაშინვე ტანსაცმლის ჯაგრისი აიღო და მარჯვედ მიჰყო ხელი თვალახამხამებული ცინცინატის წმენდას, თან კი დელიკატურად ფრთხილობდა იმ ადგილებში, რომლებიც შეიძლებოდა მგრძნობიარე ყოფილიყო, თანაც იხრებოდა და გარს ისე უვლიდა ცინცინატს, თითქოს კოჭავსო. ცინცინატი სრულიად გაუნძრევლად იდგა, ერთი უაღრესად მარტივი ფიქრით დალახვრული, უფრო სწორად, თავად ფიქრით კი არა, არამედ იმით, რომ აქამდე როგორ ვერ მოისაზრა!

– მე კი, თქვენის ნებართვით, ასე მოვიქცევი, – მ-სიო პიერმა მტვრიანი მაისური გაიძრო, ხელი წამით დაჭიმა, ცერად გახედა ფირუზისფერ-მოთეთრო ორთავა კუნთს და მისთვის ჩვეული მყრალი სუნი დააყენა. მარცხენა ძუძუს თავთან მახვილგონივრული სვირინგი ჰქონდა – ორი პატარა მწვანე ფოთოლი – იმნაირად, რომ თავად ძუძუსთავი ვარდის კოკორსა ჰგავდა (მარციპანითა და ცუკატით).

– დაბრძანდით, გთხოვთ, – უთხრა და ფერადზოლიანი ხალათი შემოიცვა, – ყველი და პური, კეთილი გული. ჩემი ნომერი თქვენისგან, როგორც ხედავთ, დიდად არ განსხვავდება. უბრალოდ, სისუფთავეს ვიცავ და ვალამაზებ... ვრთავ, რაზეც ხელი მიმიწვდება (სუნთქვა ცოტა გაუჭირდა, თითქოს აღელდაო).

ვალამაზებ. აკურატულად გამოეფინა ჟოლოსფერი ციფრი კედლის კალენდარს, რომელზეც აკვარელით შესრულებული ციხესიმაგრე იყო გამოსახული მზის ჩასვლისას. ნარზე ნაირფერი რომბებისგან შეკერილი საბანი ეფარა. თავთით, კედელზე, ჭიკარტით მიკრული გასართობი ჟანრის სურათები და მ-სიო პიერის კაბინეტური ფოტოსურათი ეკიდა, რომლის ჩარჩოს უკანიდან ქაღალდის მარაოს

გოფრირებული კუთხე მოჩანდა. მაგიდაზე ნიანგის ტყავის ალბომი იდო, სამგზავრო საათის ციფერბლატი ოქროსფრად ციალებდა, გერმანულპეიზაჟიანი ფაიფურის ჭიქის ვარაყიანი პირიდან კი სხვადასხვა მხარეს იყურებოდა ექვსიოდე ხავერდოვანი

იასამფერა. საკნის კუთხეში, კედელთან, დიდი ბუდე მიეყუდებინათ, რომლის შიგთავსიც, ეტყობა, მუსიკალური ინსტრუმენტი იყო.

– ძალიან გამახარეთ, რომ მეწვიეთ, – ამბობდა მ-სიო პიერი ბოლთის ცემით და ყოველ გავლა-გამოვლაზე მზის დამრეც სხივს ჰკვეთდა, რომელშიც ჯერაც ირეოდა კირის ნაწილაკები, – მე რომ მკითხოთ, ამ კვირის მანძილზე მე და თქვენ ძალიან დავმეგობრდით და მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგად, რაღაცნაირად ტკბილად დავუახლოვდით. ვხედავ, გაინტერესებთ, შიგ რა დევს? აი, სიტყვა (სული მოითქვა), სიტყვა დამამთავრებინეთ და გაჩვენებთ...

– ჩვენი მეგობრობა, – მსუბუქი ქოშინით მიდი-მოდიოდა და განაგრძობდა მ-სიო პიერი, – ჩვენი მეგობრობა სატუსაღოს სათბურისებრ გარემოში გაიფურჩქნა, სადაც მე და თქვენ ერთნაირი შიშითა და იმედით ვიკვებებოდით. ვფიქრობ, მე უფრო კარგად გიცნობთ ახლა, ვიდრე ამქვეყნად ვინმე და ცხადია, იმაზე ინტიმურადაც, ვიდრე თქვენი ცოლი გიცნობდათ. ამიტომაც განსაკუთრებით მტკივა გული, როდესაც გაბოროტებას აჰყვებით ხოლმე ანდა ხალხისადმი უყურადღებობას გამოიჩენთ... აი, თუნდაც ახლა, როდესაც ჩვენ ისე მხიარულად გამოგეცხადეთ, თქვენ კი როდრიგ ივანოვიჩი შეურაცხყავით თქვენი მოჩვენებითი გულგრილობით სიურპრიზისადმი, რომლის მოწყობაშიც იგი ასე გულისამაჩუყებლად, ენერგიულად მონაწილეობდა, – არადა, ახალგაზრდაც აღარ ეთქმის და არც თავისი საზრუნავი

აკლია. არა, ახლა ამაზე არ მინდა... ჩემთვის მთავარია დავადგინო, რომ თქვენი სულიერი მდგომარეობის ერთი ელფერიც არ მეპარება და ამიტომაც პირადად მე, არცთუ სამართლიანად მეჩვენება ცნობილი ბრალდება... ჩემთვის თქვენ ისეთივე გამჭვირვალე ხართ, როგორც – ნატიფი შედარება მომიტევეთ, – როგორც გაწითლებული პატარძალი გამოცდილი საქმროს თვალისთვის. რატომღაც ცოტა სუნთქვა მიჭირს, მაპატიეთ, ახლავე გამივლის. მაგრამ თუკი მე ასე ახლოს გაგიცანით და რა დასამალია, შეგიყვარეთ, ძალიან შეგიყვარეთ, მაშასადამე, თქვენც გამიცანით და შემეჩვიეთ, – მეტიც, ჩემი არ იყოს, მომეჯაჭვეთ. მიმეღწია ამგვარი მეგობრობისთვის, ასეთი გახლდათ ჩემი პირველი ამოცანა და როგორც ეტყობა, წარმატებულადაც გადავჭერი. წარმატებულად. ახლა კი ჩაი დავლიოთ. არ მესმის, რატომ არ მოაქვთ.

მ-სიო პიერმა გულზე ხელი იტაცა და მაგიდასთან ცინცინატის პირისპირ დაჯდა, მაგრამ მაშინვე ისევ წამოხტა, ბალიშის ქვემოდან ტყავის ქისა გამოაძვრინა, ქისიდან – ნატის ნაჭერი, ნაჭრიდან – გასაღები და კუთხეში მიყუდებული საკრავის დიდი ბუდისკენ გაემართა.

– ვხედავ, შემრული ხართ ჩემი აკურატულობით, – თქვა და ფრთხილად დაუშვა იატაკზე ბუდე, რომელიც ძალიან დიდი და მოუხერხებელი აღმოჩნდა, – საქმე ის არის, რომ აკურატულობა ალამაზებს მარტოხელა ადამიანის ცხოვრებას, რომელიც ამით თავს უმტკიცებს...

თავახდილ ბუდეში, შავ ხავერდზე, განიერი ნაჯახი ლაპლაპებდა.

– ... თავს უმტკიცებს, რომ მასაც აქვს ბუდე... ბუდე, – განაგრძო მ-სიო პიერმა, ინსტრუმენტის ბუდე ისევ დაკეტა, კედელზე მიაყუდა და თვითონაც მიეყუდა, – ბუდე, რომელიც მან დაიმსახურა, გაიკეთა, თავისი სხეულით გაათბო... ეს საერთოდ დიდი ფილოსოფიური თემაა, მაგრამ მე და თქვენ, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ახლა თემებისთვის არა გვცალია. იცით, რას გეტყვით? რჩევას მოგცემთ. ჩაი მერე დავლიოთ, ახლა კი თქვენს საკანში დაბრუნდით და მიწექით. წადით. ჩვენ, ორივენი, ახალგაზრდები ვართ და არ ივარგებს, აქ დიდხანს დაჰყოთ. ხვალ აგიხსნიან, ახლა კი წადით. მეც აგზნებული ვარ, მეც თავს ვერ ვიკავებ, ეს უნდა გაიგოთ...

ცინცინატი წყნარად აწვალებდა კარის საკეტს.

– არა, არა, – ჩვენი გვირაბით. ტყუილად ხომ არ გვიწვალია. ფორთხვით, ფორთხვით. ხვრელს ჩამოვაფარებ, თორემ უშნოა. გთხოვთ...

– მე თვითონ, – თქვა ცინცინატმა.

შავ ხვრელში შეძვრა, ოთხზე დადგა და დაჩეჩქვილი მუხლებით გაფორთხდა. უფრო და უფრო

ღრმად მიიწევდა ვიწრო კუნაპეტში. მ-სიო პიერმა სწრაფად გამოსძახა რაღაც ჩაიზე და ეტყობა, კრეტსაბმელი მოიშველია, რადგან ცინცინატმა მაშინვე მოკვეთილად იგრძნო თავი ნათელი საკნიდან, სადაც ახლახან იყო.

ხრეშიან ჰაერში სუნთქვა უჭირდა, წარამარა აწყდებოდა წიბოებს და სულ ელოდა, – თუმცა გული დიდად არ უსკდებოდა, – რომ გვირაბი ჩამოინგრეოდა; ბრმად მიიწევდა მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, ქვის ტომრებში მოხვედრილი, თვინიერი ცხოველივით იხევდა უკან და გზას რომ მოზმანავდა, ისევ მიფორთხავდა. ერთი სული ჰქონდა, რაიმე რბილზე დაწოლილიყო, თუნდაც თავის ნარზე, თავზე წაეფარებინა და არაფერზე ეფიქრა. დასაბრუნებელი გზა ძალიან გაჭიმულიყო და თუმცა მხრები გადაიყვლიფა, მაინც აჩქარდა, რამდენადაც გამუდმებული წინათგრძნობა, რომ ისევ ჩიხში შედიოდა, ამის ნებას აძლევდა. ჩახუთული ჰაერი გონებას ბინდავდა. გადაწყვიტა გაქვავებულიყო, წარმოედგინა, ვითომ ლოგინში იწვა, რომ ეგება ამ ფიქრით ჩასძინებოდა, მაგრამ უცბად, ფსკერი, რომელზეც მიფორთხავდა ფრიად შესამჩნევად დაფერდდა, მოწითალოდ იელვა ნაპრალმა და

ისეთმა შმორის სუნმა დაბერა, თითქოს ციხესიმაგრის კედლებიდან თავი ბუნებრივ ქვაბულში ამოეყო, რომლის დაბალ თაღებზე, თავიანთი გამოსვლის მოლოდინში, ჩირივით დაკიდებულიყვნენ ბწკალზე თავდაყირა ჩაწალიკებული ღამურები. ნაპრალმა უცბად გაიწია, საღამოს სუფთა ჰაერმა დაუბერა და ცინცინატი ნაპრალიდან კლდეზე გამოძვრა – ციხეს თავი დააღწია.

იგი, ერთ-ერთ, იმ მრავალ კარკატოვან ქარაფზე აღმოჩნდა, რომელიც სალ კლდესა და ციხესიმაგრის კიბე-კიბე აღმავალ კედლებს შორის, სხვადასხვა სიმაღლეზე, მუქმწვანე წვეტიან ტალღებად აღმართულიყო. პირველ წუთებში თავისუფლებამ, სიმაღლემ და სივრცემ თავბრუ ისე დაასხა, რომ ნოტიო ძეძვს ჩაეჭიდა და დანახვითაც, მხოლოდ ის დაინახა, რა საღამოსებურად ჭყიოდნენ მერცხლები, რომლებიც შავი მაკრატლებით კრეჭდნენ შეღებილ ჰაერს, რომ დაფიონი ლამის ნახევარ ცაზე გაბატონებულიყო, მისი კეფის უკან კი, საშინელი სისწრაფით, სულ ზევით და ზევით მირბოდა ციხესიმაგრის ქვის კედელი, საიდანაც იგი წვეთივით გამოწურულიყო, ხოლო მის ფერხთით, ქვემოთ, სამყურათი აბოლებული ნისლი და ბოდვამორეული უფსკრულები გაწოლილიყო. სული რომ მოითქვა, აჭრელებული თვალი, აკანკალებული ტანი და ექოდ შორს წასული ნების ვაი-ვიში რომ დაიოკა, ზურგით კლდეს აეკრა და ნისლში მბოლავ მიდამოს მოავლო თვალი. შორს, ქვემოთ, ყველაფერს უკვე ბინდი დასწოლოდა და ჭავლებად ასულ ნისლში ძლივს მოჩანდა ხიდის ქარგიანი კუზი, იქით კი, გაღმა, კვამლისფერი, ლურჯი ქალაქი, ნაღვერდალივით გავარვარებული ფანჯრებით, – ვერ გაიგებდი, დაფიონს დასესხებოდა სინათლეს თუ უკვე თავის ხარჯზე განათებულიყო, – და იმის გარჩევაც შეიძლებოდა, როგორ ნათდებოდა თანდათან, კრუტოის გასწვრივ, მძივად ჩარიკრიკებული ქუჩის ფარნები და უჩვეულოდ გამოკვეთილი წვრილი თაღი ზემოთ, სულ ბოლოში. ქალაქგარეთ ყველაფერი ბინდისფრად ჩანაცრულ-ჩაფერფლილიყო, გაცრეცილიყო; უხილავი ბაღების თავზე, ვარდისფერი ცის სიღრმეში, მოჩანდა ცეცხლოვანი, გამჭვირვალე

ღრუბლების რაზმი, ხოლო მის ქვემოთ – გრძლად გაწოლილი ლურჯი ღრუბელი, წითლად გავარვარებული ნაფლეთებით კიდეზე. და სანამ ცინცინატი მათი ყურებით იყო გართული, იქ, დაბლა, შორს, ვენეციური სიფიცხით აბრიალდა მუხნარით დაფარული ბორცვი და ნელა მიინავლა.

თრობამორეული და დასუსტებული, ხელების ქნევით – წონასწორობის დასაცავად, ჩასრიალდა ხეშეშ ძეძვნარზე და მაშინვე კედლის შვერილის უკანიდან, სადაც გამაფრთხილებლად შრიალებდა მგლოვიარე მაყვლოვანი, გამოხტა ემოჩკა, დაისისგან გავარდისფრებული პირისახითა და კანჭებით, მაგრად ჩასჭიდა ხელი და თან გაიყოლა. ემოჩკას ყველა მოძრაობას აღტკინებული სიჩქარე ეტყობოდა.

– სად მივდივართ? ქვემოთ? – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეკითხებოდა ცინცინატი და მოუთმენლობისგან იცინოდა.

ემოჩკა სწრაფად გაუყვა კედელს. კედელში პატარა, მწვანე კარი გაიღო. ქვემოთ ჩამავალი კიბე ფეხქვეშ შეუმჩნევლად დაილია. კარი ისევ აჭრიალდა: გამოჩნდა ჩაბნელებული დერეფანი, სადაც სკივრები, ტანსაცმლის კარადა და ნავთის სუნი იდგა; კედელზე ანკესი მიეყუდებინათ. ამ დროს გაირკვა, რომ ისინი უკანა კარით შესულიყვნენ დირექტორის ბინაში, რამეთუ ემოჩკამ

– უკვე ისე აღარ ჩაბღაუჭებოდა მის ხელს, ლამის უგულისყუროდ გაეშვა, – იგი სასადილო ოთახში შეიყვანა, სადაც ყველანი განათებულ ოვალურ მაგიდას შემოსხდომოდნენ და ჩაის სვამდნენ. როდრიგ ივანოვიჩს ხელსახოცი მთელ მკერდს უფარავდა; მისი ცოლი – ჭორფლიანი, გამხდარი, თეთრწამწამა, ბლითებს აწოდებდა მ-სიო პიერს, რომელსაც მამლაყინწიანი, ირიბსაყელოანი ხალათი ჩაეცვა; სამოვართან, კალათაში, მატყლის ფერადი მორგვები და მინის ბრჭყვიალა ჩხირები იდო. სუფრის ბოლოს მოკლე შავტალმიანი და შუბლწაკრული, ცხვირწაწვეტებული დედაბერი აქოჩრილიყო.

ცინცინატის დანახვაზე დირექტორმა პირი დააღო და ტუჩის კუთხიდან რაღაც ჩამოეღვარა.

– ფუი, შე ონავარო! – დირექტორის მეუღლეს ცოტა გერმანული კილო დაჰკრავდა.

მ-სიო პიერმა ჩაის მოურია და თვალი მორცხვად დახარა.

– მართლაცდა, ეს რასა ჰგავს? – ნესვის წვენიდან ამოთქვა როდრიგ ივანოვიჩმა, – აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყველა წესსა და კანონს არღვევს!

– თავი დაანებეთ, – ისევ თვალდახრილმა თქვა მ-სიო პიერმა, – ორივენი ბავშვები არიან.

– არდადეგების ბოლოა, ჰოდა, ცელქობს, – სწრაფად ჩაილაპარაკა დირექტორის მეუღლემ.

ემოჩკა სკამის განგებ ხრაგუნით, წრიალითა და ტუჩების ტლეკით მიუჯდა სუფრას და მიივიწყა რა სამუდამოდ ცინცინატი, ნესვის ხრაშუნა ნაჭერს მოაყარა შაქარი, რომელიც უმალ გაფორთოხლისფრდა, ბოლოებში ჩავლებული და განზე იდაყვგაწეული ხელებით პირთან მიიტანა, – ლამის ყურებამდე უწია, – კბილები ჩაასო და თან იდაყვით მეზობელს ეხლებოდა. მეზობელმა, რომელიც ჩაის ხვრეპას განაგრძობდა და მეორე და მესამე თითით ფინჯნიდან ამოშვერილ კოვზს აკავებდა, მარცხენა ხელი მაგიდის ქვეშ შეუმჩნევლად ჩააცურა.

– ვაი! – თითქოს მოუღიტინესო, შეხტა ემოჩკა, თუმცა ნესვისთვის ხელი არ გაუშვია.

– ჯერჯერობით იქ დაჯექით, – ხილის დანით მიუთითა დირექტორმა მწვანე სავარძელზე, რომელიც განცალკევებით იდგა კრეტსაბმელების ნაკეცების ბოცისფერ ბინდბუნდში, – როდესაც გავათავებთ, აქაურობას მოგაშორებთ. დაჯექით-მეთქი, თქვენ გეუბნებიან. რა გემართებათ? რა ემართება? რა შეუსმენელია!

მ-სიო პიერი როდრიგ ივანოვიჩისკენ გადაიხარა, ცოტა წამოწითლდა და რაღაც უთხრა.

როდრიგ ივანოვიჩი აბუყბუყდა.

– მომილოცავს, მომილოცავს, – დირექტორი ხმას ძლივს აკავებდა, – მიხარია!.. დიდი ხანია, დროა... ჩვენ, ყველანი... – მან ცინცინატს შეხედა და ის იყო, აპირებდა, ზარ-ზეიმით...

– არა, მეგობარო, ჯერ ადრეა, უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ, – სახელოზე ხელი შეახო და წასჩურჩულა მ-სიო პიერმა.

– ყოველ შემთხვევაში, იმედია, მეორე ფინჯან ჩაიზე უარს არ იტყვით, – ეშმაკურად თქვა როდრიგ ივანოვიჩმა, მერე დაფიქრდა, პირი გააწკლაპუნა და ცინცინატს მიმართა:

– ჰეი, თქვენ, მანდ, – შეგიძლიათ ალბომი აიღოთ. ბავშვო, მიეცი ალბომი. ჩვენმა ძვირფასმა სტუმარმა ამას (დანა ემოჩკასკენ) სკოლაში დაბრუნების აღსანიშნავად გაუკეთა... გაუკეთა... მაპატიეთ, პიოტრ პეტროვიჩ, როგორა თქვით, რა ჰქვიაო?

– ფოტოჰოროსკოპი, – თავმდაბლად მიუგო მ-სიო პიერმა.

– ლიმონი დავტოვო? – ჰკითხა დირექტორის მეუღლემ.

ჭერიდან დაშვებული ნავთის ლამპა, რომლის შუქიც მთელ ოთახს ვერ სწვდებოდა (ოთახის

სიღრმეში საათის ქანქარა თუ გაიელვებდა, რომელიც საათს წუთებად ამტვრევდა), მყუდროდ გაწყობილ ჩაის სუფრას ჩინ-მაჩინის წკრიალით შეზავებულ, ოჯახურ სინათლეს ჰფენდა.

XVI

მშვიდად. ობობამ თეთრბუსუსებიანი პატარა პეპელა და ოთახის სამი ბუზი გამოწუწნა, თუმცა, ბოლომდე ვერ დანაყრდა და თვალი კარისკენ ეჭირა. მშვიდად.

ცინცინატი თავით ფეხამდე დაბეჟილ-დალურჯებული იყო. მშვიდად, არაფერი მომხდარა. წუხელ, როდესაც თავის საკანში დააბრუნეს, ციხის ორი მოსამსახურე იმ ადგილის ლესვას ამთავრებდა, სადაც ამას წინათ ხვრელს პირი დაეღო. ახლა ის ადგილი იმით გამოირჩეოდა, რომ საღებავი წრიულად და რაც შეიძლება, სქლად წაესვათ. ხელახლა დაბრმავებულ-დაყრუებული, გასქელებული კედლის ყურება სუნთქვას გიკრავდა.

წუხანდელი დღის ნაშთი იყო ნიანგის ტყავის, მუქი ვერცხლის, სქელმონოგრამიანი ალბომიც, რომელიც თვინიერად დაბნეულს გამოჰყოლოდა: განსაკუთრებული ალბომი, – კერძოდ, ფოტოჰოროსკოპი, – შედგენილი ნიჭიერი მ-სიო პიერისგან[28], ანუ წყება ფოტოსურათებისა, რომელიც ბუნებრივი თანმიმდევრობით წარმოადგენდა მოცემული პერსონის შემდგომ ცხოვრებას. რანაირად? რანაირად და, ამნაირად: დღევანდელი ემოჩკას ძალზე გადაკეთებულ სახეს ემატებოდა სხვისი სურათებიდან ამოღებული ნაწილები – ტუალეტი, მოწყობილობა, ლანდშაფტი, მოკლედ, მისი მომავალი ცხოვრების მთელი ბუტაფორია, – ქვასავით მაგარ, კიდევარაყიან მუყაოს მრავალკუთხა სარკმელში თანმიმდევრობით ჩასმული სურათები,

რომლებსაც წვრილად ნაწერი თარიღი ერთვოდა. ეს, ერთი თვალის შევლებით, ნამდვილი სურათები წარმოადგენდა ემოჩკას ჯერ ისეთს, როგორიც დღეს იყო, მერე – სკოლის დამთავრების ანუ სამი წლის შემდეგ, მოკრძალებულ გოგონად, ბალერინას ჩემოდნით ხელში, მერე თექვსმეტი წლისას, ბალერინას „პაჩკიან“ და გაზის ფრთებიან ქალიშვილად, რომელსაც ორთომელი აეწია და არხეინად იჯდა მაგიდაზე, გაფითრებულ მოქიფეთა შორის, შემდეგ – თვრამეტი წლისას, ფატალურ ძაძებში, მოაჯირზე გადახრილს, ჩანჩქერთან და... ოჰ, კიდევ მრავალნაირი სახითა და პოზით, სულ ბოლო – გაშოტილიანად.

რეტუშითა და სხვა ფოტოფანდებით თითქოს მიღწეული იყო ემოჩკას თანმიმდევრული სახეცვლილება (თვალთმაქცი, სხვათა შორის, ემოჩკას დედის ფოტოსურათებს იყენებდა), მაგრამ ახლოდან დახედავდით თუ არა, დროის პაროდიის ეს ჭყეტელა უმსგავსობა მაშინვე თვალში გეცემოდათ. თეატრიდან გამოსულ, ბეწვეულში გახვეულ ემოჩკას, რომელიც გულზე თაიგულს იკრავდა, ფეხები მოცეკვავისას არაფრით მიუგავდა; მეორე სურათზე საქორწინო ფატით პირდაბურულ ემოჩკას გვერდით მოდგომოდა მაღალი და ტანადი საქმრო, ოღონდ მ-სიო პიერის მრგვალი ფიზიონომიით. ოცდაათი წლის ემოჩკას უკვე პირობითი ნაოჭები გასჩენოდა, რომლებიც მისთვის უაზროდ, უადგილოდ და უსიცოცხლოდ, მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობის უცოდინრად გაევლოთ, თუმცა მცოდნეს, ზემიწევნით საცნაურს ეუბნებოდა, – ასე ხდება, როდესაც რტოს უნებლიე რხევა ჟესტების ენას დაემთხვევა და ყრუ-მუნჯის გასაგები

გახდება ხოლმე. ორმოცი წლის ემოჩკა უკვე მომკვდარიყო, – აქ კი, ნება მომეცით, უკუშედეგი მოგილოცოთ – სიკვდილის სარეცელზე მწოლ ემოჩკას მიცვალებულისას არაფერი უგავდა!

როდიონმა, პატარა ქალბატონი მიემგზავრებაო, ჩაიბურტყუნა და ალბომი წაიღო, უკან მობრუნებულმა კი, რატომღაც საჭიროდ მიიჩნია, შეეტყობინებინა: პატარა ქალბატონი გაემგზავრაო.

(ამოიხვნეშებს.) „გაემგზავრნენ!..“ (მიმართავს ობობას) მოისვენე (უჩვენებს ცარიელ ხელებს), არაფერი მაქვს (მიმართავს ისევ ცინცინატს). მოგვეწყინება, ოხ, რა ძალიან მოგვეწყინება უქალიშვილოდ; ახლა როგორ დაფრინავდა, როგორ მღეროდა ჩვენი ნებიერი, ჩვენი ოქროს ყვავილი (პაუზის შემდეგ, სხვა კილოზე). თქვენ აქ, ბატონო ჩემო, დღეს რაღაც ჩაკირკიტებულ კითხვებს აღარ იძლევით? ჰა?

– ჰო, ასე, ასე, – როდიონმა მრავლისმეტყველად ჩაუქნია თავი თავის თავს და საკანი ღირსეულად დატოვა.

ნასადილევს, უკვე სრულიად არაოფიციალურად, უკვე არა ტუსაღის ფორმაში, არამედ ხავერდის ქურთუკსა და მაღალქუსლიან, შემპარავად ჭრაჭუნა, ზიმზიმაყელიან ჩექმებში

(რაღაცით რომ ოპერის მეტყევეს[29] ამსგავსებდა) გამოწყობილი, არტისტულბაფთიანი მ-სიო პიერი შემოვიდა, რომელსაც უკან მოჰყვებოდა და თავაზიანად უთმობდა გზასაც, სიტყვასაც და ყველაფერს, როდრიგ ივანოვიჩი. შემოვიდა, პორტფელიანი ვექილიც და ყველანი მაგიდასთან, დაწნულ სავარძლებში (მისაღები ოთახიდან) ჩასხდნენ, ცინცინატი კი, რომელსაც სამარცხვინო შიშთან ორთაბრძოლა გაემართა, თავიდან საკანში ბოლთასა სცემდა, მაგრამ მერე, ისიც დაჯდა.

ადვოკატმა, რომელიც ხელს არცთუ მოხერხებულად (ოღონდ მოუხერხებლობა ჩვეული და ნაცადი იყო) აფათურებდა პორტფელში, – ნაწილობრივ მუხლებზე დაედო, ნაწილობრივ კი მაგიდისთვის მიეყუდებინა – მის შავ ყბაში ხელის ტრიალის შემდეგ – დიდი წიგნაკი ამოაძვრინა, მერე ჩაკეტა – უფრო სწორად, დაკეტა მეტისმეტად დამყოლი და ამიტომ მაშინვე კბილის საკეტის ვერ მიმგნები პორტფელი, დააპირა ისევ მაგიდაზე დაედო, მაგრამ გადაიფიქრა, ქეჩოთი დაითრია, იატაკზე დაუშვა და თავისი სავარძლის ფეხს მჯდომარე მთვრალის პოზაში მიაყუდა; უცბად, გეგონება ღილკილოდანო, მინანქრის ფანქარი დააძრო, წიგნაკი მაგიდაზე დადო და გადაჭრით გადაშალა; თანაბარად ავსებდა მოსახევ გვერდებს, ყურადღებას არაფერს აქცევდა, მაგრამ ეს უყურადღებობა გარემოსადმი, დიაღაც, ყველაზე უფრო გამოკვეთდა კავშირს ფანქრით ნაწერსა და იმ სხდომას შორის, რომელზეც შეკრებილიყვნენ.

როდრიგ ივანოვიჩი სავარძლის საზურგეს სქელი ზურგით მისწოლოდა და ალაწლაწებდა. ცალი მოლურჯო ტორი სახელურზე დაედო, მეორე ქურთუკის ბორტზე ჩამოედო და დონდლო ლოყებსა და რაქათ-ლუქუმივით შეპუდრულ ნიკაპს დროდადრო ისე ასწევდა ხოლმე, თითქოს რაღაც წებოვანი გარემოდან აძრობს, რომელიც იწოვსო.

შუაში მჯდარმა მ-სიო პიერმა გრაფინიდან წყალი დაისხა, მერე ძალიან, ძალიან ფრთხილად დაასვენა მაგიდაზე თითებჩაწნული ხელის მტევნები (ნეკა თითზე ყალბი აქვამარინი უციალებდა), გრძელი წამწამები დახარა და ათიოდე წამი მოწიწებით ფიქრობდა, როგორ დაიწყებდა სიტყვას.

– მოწყალეო ბატონებო, – თვალაუწევლად, წვრილი ხმით თქვა ბოლოს მ-სიო პიერმა, – პირველ ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა, ნება მომეცით, ორიოდე მარჯვე მონასმით დაგიხატოთ ის, რაც უკვე შევასრულე.

– გთხოვთ, – დაიბუბუნა დირექტორმა და მკაცრად ააჭრიალა სავარძელი.

– ბატონებო, ცხადია, თქვენთვის ცნობილია მიზეზი იმ საინტერესო მისტიფიკაციისა, რომელსაც ჩვენი ხელოვნების ტრადიცია მოითხოვს. მართლაცდა, რაოდენ სანახავი იქნებოდა,

მე რომ ჰაიჰარად გამემხილა თავი და ცინცინატ ც.-სთვის ჩემი მეგობრობა შემეთავაზებინა? ბატონებო, ეს ხომ იმის საწინდარი იქნებოდა, რომ იმთავითვე გამენაპირებინა, დამეფრთხო, სამტროდ განმეწყო – ერთი სიტყვით, საბედისწერო შეცდომა დამეშვა.

მომხსენებელმა წყალი მოსვა და ფრთხილად დადგა ჭიქა.

– არაფერს ვიტყვი იმაზე, – წამწამები დააფახულა და განაგრძო მან, – რაოდენ ძვირფასია საერთო საქმისთვის თბილი ამხანაგური სიახლოვის ატმოსფერო, რომელიც თანდათანობით, მოთმინებითა და ალერსით დამყარდება ხოლმე მისჯილსა და სასჯელის აღმსრულებელს შორის. ძნელია, შეუძლებელიც კია, არ შეგზაროს დიდი ხნის წინ გარდასულმა, ბარბაროსულ დღეთა მოგონებამ, როდესაც ეს ორნი, რომლებსაც ერთმანეთზე არაფერი სმენოდათ, მაგრამ ულმობელ კანონს ერთმანეთთან მიება, პირისპირ მხოლოდ ბოლო წუთს, ზედ საიდუმლო ქმედების წინ შეიყრებოდნენ ხოლმე. ეს ყველაფერი შეიცვალა, როგორც შეიცვალა საუკუნეთა მანძილზე უძველესი, ველური ქორწინება, რომელიც უფრო მსხვერპლად შეწირვას ჰგავდა, როდესაც მორჩილ ქალწულს მშობლები კარავში შეუგდებდნენ ხოლმე უცხო მამაკაცს.

(ცინცინატმა ჯიბეში შოკოლადის ვერცხლის ქაღალდს მიაგნო და იმას ჭმუჭნიდა).

– ჰოდა, აი, ბატონებო, რათა დამემყარებინა სიკვდილმისჯილთან საუკეთესო მეგობრული ურთიერთობა, პირქუშ საკანში დავიდე ბინა, როგორც მასავით – ან უფრო მეტადაც კი, ტუსაღმა. ჩემს უვნებელ სიცრუეს შეუძლებელი იყო, არ გაემართლებინა და ამიტომ საკვირველი იქნებოდა, რაიმე სინდისის ქენჯნას რომ ვგრძნობდე, მაგრამ არ მინდა, ჩვენი მეგობრობის ფსკერზე თუნდაც ბალღამის ერთი წვეთი დაილექოს. მიუხედავად თვითმხილველებისა და ჩემი კონკრეტული სიმართლის შეგნებისა, მე თქვენ (მან ცინცინატს ხელი გაუწოდა) პატიებას გთხოვთ.

– დიახ, ეს ნამდვილი ტაქტია, – ხმას დაუწია დირექტორმა და ჩაწითლებული ბაყაყის თვალები მოუწყლიანდა; დაკეცილი ცხვირსახოცი ამოიღო და აპარპალებული ქუთუთოებისკენ წაიღო, მაგრამ გადაიფიქრა და, ნაცვლად ამისა, ცინცინატს ბრაზიანი მოლოდინით მიაშტერდა. ვექილმაც შეხედა, მაგრამ გაკვრით და თანაც ტუჩების უხმო ცმაცუნით, ანუ მისი ფანქრისა არ იყოს, ფურცელს მოცილებული, კავშირს არ წყვეტდა სტრიქონთან და აი, უკვე მზად იყო, გაეგრძელებინა ფურცელზე სრბოლა.

– ხელი გაუწოდე! – დაუყვირა გაჭარხლებულმა დირექტორმა და მაგიდას მუშტი ისე დაჰკრა, რომ ხელი ეტკინა.

– არა, თუ არ უნდა, ნუ დააძალებთ,– წყნარად თქვა მ-სიო პიერმა, – ეს ხომ მხოლოდ პროფორმაა. განვაგრძოთ.

– სათნოა! – დაიგუგუნა როდრიგ ივანოვიჩმა და ჩამოქუფრული წარბებიდან მ-სიო პიერს ამბორივით სველი მზერა ესროლა.

– განვაგრძოთ, – თქვა მ-სიო პიერმა, – მე ამ ხნის მანძილზე მოვახერხე, ახლოს გამეცნო ჩემი მეზობელი. ჩვენ ერთად ვატარებდით...

ცინცინატმა მაგიდის ქვეშ შეიხედა. მ-სიო პიერი რატომღაც შეცბა, აწრიალდა და თვალი ქვემოთ გაექცა. დირექტორმა მუშამბის კიდე ასწია, იმანაც შეიხედა და მერე ცინცინატს ეჭვიანი თვალი მიარჭო. ვექილმაც ჩაყვინთა, მერე ყველას თვალი მოავლო და ისევ შეუდგა წერას. ცინცინატი გასწორდა (განსაკუთრებლი არაფერი მომხდარა – ვერცხლის ქაღალდის ბურთულა დაუვარდა).

– ჩვენ ერთად ვატარებდით, – განაგრძობდა მ-სიო პიერი ნაწყენი ხმით, – გრძელ საღამოებს: ვლაპარაკობდით, ვთამაშობდით, ყველანაირად ვერთობოდით. ჩვენ ბავშვებივით ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვინ უფრო ღონიერი იყო. მე – საწყალი, სუსტი მ-სიო პიერი, ცხადია, მუდამ უკან ვიხევდი ძალღონიერ თანატოლთან. ყველაფერზე ვმსჯელობდით –

ეროტიკაზეც და სხვა ამაღლებულ მატერიებზეც და საათი წუთივით გარბოდა და წუთი საათივით. ხან კი წყნარად, უხმოდ...

ამ დროს, როდრიგ ივანოვიჩი უცბად არეხროხდა:

– Impayable ce[30], ცხადია, – წაიბუტბუტა და ცოტა ნაგვიანევად მიხვდა ხუმრობას.

– ზოგჯერ წყნარად ვისხედით სიჩუმეში, გვერდიგვერდ, ლამის ჩახუტებულები, ვბინდდებოდით, ჩვენ ჩვენს საფიქრალს ვფიქრობდით და პირს გავაღებდით თუ არა, მდინარესავით ვერთვოდით ერთურთს. მე მას ჩემი სიყვარულის გამოცდილებას ვუზიარებდი, ვასწავლიდი ჭადრაკის თამაშს, ვამხიარულებდი ენამოსწრებული ანეკდოტით. ასე გადიოდა დღეები. შედეგი თვალწინაა. ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი და ცინცინატის სულიერი მდგომარეობა ისეთივე ნაცნობია ჩემთვის, როგორც მისი კისრის მალებისა. ამგვარად, არა ვიღაც უცხო, საშინელი ძია, არამედ მოყვარული მეგობარი აიყვანს წითელ საფეხურებზე და ჩამბარდება უშიშრად, სამუდამოდ, მთელი სიკვდილის მანძილზე. დაე, აღსრულდეს მაყურებლის ნება! (იგი ადგა, ადგა დირექტორიც, ადვოკატმა, რომელიც წერას განაგრძობდა, მხოლოდ ოდნავ წამოიწია.) ასე. ახლა კი გთხოვთ, როდრიგ ივანოვიჩ, ოფიციალურად წარმადგინოთ და ჩემი წოდება დაასახელოთ.

დირექტორმა ფაციფუცით გაიკეთა სათვალე, ხელით რაღაც ქაღალდი გაასწორა და წამოიყივლა.

– აი, ეს... – მიმართა ცინცინატს, – მ-სიო პიერია... Brief[31]... სიკვდილით დასჯის ხელმძღვანელი... გმადლობთ, რომ პატივი დამდეთ, – როდრიგ ივანოვიჩმა რაღაც აურია და გაკვირვებული სახით ისევ სავარძელში ჩაეშვა.

– ეგ რაღაც ვერ გამოგივიდათ, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მ-სიო პიერმა, – არის რაღაც-რაღაც ოფიციალური ფორმალობა, რომლის დაცვაც საჭიროა. პედანტი სულაც არა ვარ, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან დროს... გულზე ხელს ტყუილად იდებთ, იაღლიში მოგივიდათ, მამილო. არა, არა, იჯექით, საკმარისია. ახლა გადავიდეთ... რომან ვისარიონოვიჩ, სად არის პროგრამა?

– თქვენ გადმოგეცით, – მკვირცხლად მიუგო ადვოკატმა, – თუმცა... – დასძინა და პორტფელში ჩაძვრა.

– ნუ წუხდებით, ვიპოვე, – უთხრა მ-სიო პიერმა, – ამგვარად... წარმოდგენა ზეგისთვის არის დანიშნული... საინტერესო მოედანზე. უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებიათ... საკვირველია! (ცხვირში დუდღუნებს და თავისთვის აგრძელებს კითხვას) სრულწლოვანები დაიშვებიან...

საცირკო წარმოდგენის ტალონებით დასწრება შეიძლება... ასე, ასე... სიკვდილის დასჯის ხელმძღვანელი – წითელი ტყავის სამოსში... ჰო, ეგ ვერ მოგართვით, გადაუმლაშებიათ, თავისი ჩვეულებისამებრ (მიმართავს ცინცინატს)... მაშასადამე, ზეგ. გასაგებია? ხვალ კი, ჩვენი მშვენიერი ადათისამებრ, მე და თქვენ ქალაქის მამებს მოვინახულებთ. მგონი, თქვენ სია უნდა გქონდეთ, როდრიგ ივანოვიჩ, ძვირფასო.

როდრიგ ივანოვიჩმა თვალები გადმოკარკლა, რატომღაც წამოდგა და დაბამბულ ტანსაცმელში გახვეული კორპუსის სხვადასხვა ნაწილებს ტყაპუნი აუყენა. სია, ბოლოს და ბოლოს, მოინახა.

– ას-ს-ე, – თქვა მ-სიო პიერმა, – დაურთეთ საქმეს, რომან ვისარიონოვიჩ. მგონი, მოვათავეთ. ახლა, კანონის მიხედვით, სიტყვა ეკუთვნის...

– ოჰ, არა, c’est vraiment superflu[32]... – სიტყვა გამოსტაცა როდრიგ ივანოვიჩმა, – ეგ კანონი ძალიან მოძველდა.

– კანონის თანახმად, – ცინცინატს მიმართა და მტკიცედ გაიმეორა მ-სიო პიერმა, – სიტყვას გაძლევთ.

– პატიოსანია! – ცოტა ნირწამხდარმა, ლოყების თახთახით თქვა დირექტორმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ადვოკატი გამალებული წერდა. მისი ფანქარი ისე სწრაფად დაქროდა ფურცელზე, რომ თვალი აგიჭრელდებოდათ.

– ერთ სრულ წუთს დაგელოდებით, – თქვა მ-სიო პიერმა და წინ, მაგიდაზე, სქელი საათი დაიდო.

– ადვოკატმა გულიანად ამოიოხრა და წვრილად ნაწერი ფურცლები შეაგროვა.

წუთი გავიდა.

– სხდომა დამთავრებულია, – თქვა მ-სიო პიერმა, – წავედით, ბატონებო. რომან ვისარიონოვიჩ, სანამ ჰეკტოგრაფირებას გაუკეთებდეთ, პროტოკოლი წამაკითხეთ. არა, მერე, ახლა თვალი დამეღალა.

– მართალი გითხრათ, ზოგჯერ გული მწყდება, რომ აღარ ვიყენებთ საიდ... – დაიხარა მ-სიო პიერის ყურთან დირექტორი კარში გასვლისას.

– რაზე ამბობთ, როდრიგ ივანოვიჩ? – ეჭვიანად დაინტერესდა ადვოკატი. დირექტორმა მასაც უჩურჩულა.

– დიახ, მართლაც, – დაეთანხმა ადვოკატი, – თუმცა, კანონს შეიძლება გვერდი ავუაროთ. ვთქვათ, რამდენჯერმე გავაჭიანუროთ...

– აბა, აბა, – თქვა მ-სიო პიერმა, – ენას კბილი დააჭირეთ, მასხარებო. მე ნიშანს არ ვადებ.

– არა, ჩვენ ისე, თეორიულად, – ღიმილით შესცინა დირექტორმა, – თორემ, აი, წინათ, როდესაც შეიძლებოდა...

კარი მიჯახუნდა და ხმები მიყრუვდა.

თუმცა, თითქმის მაშინვე, ცინცინატს კიდევ ერთი სტუმარი ეწვია – ბიბლიოთეკარი, რომელიც წიგნების წასაღებად მოსულიყო. გაფითრებული გრძელი სახე, მოტვლეპილ კეფას შემოხვეული შავი თმის მტვრიანი შარავანდი, მოლურჯო მაისური, აყლაყუდა სხეულის კანკალი, აკანჭურებული შარვლიდან გამოყოფილი გრძელი ფეხები – ეს ყველაფერი ისეთ უცნაურ, ავადმყოფურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს დაუშარტავთ და გაუბრტყელებიათო. ცინცინატს მაინც ეგონა, რომ წიგნების მტვერთან ერთად, რაღაც ძალიან ბუნდოვანი ადამიანური დასდებიაო.

– ალბათ გაიგებდით, რომ ზეგ გამანადგურებენ. წიგნებს აღარ გამოვიტან.

– აღარ გამოიტანთ, – კვერი დაუკრა ბიბლიოთეკარმა.

ცინცინატმა განაგრძო:

– მინდა რამდენიმე სარეველამორეული ჭეშმარიტება აღვასრულო. გცალიათ? იმის თქმა მინდა, რომ ახლა, როდესაც დანამდვილებით ვიცი... რა მშვენიერი იყო უცოდინრობა, რომელიც ასე მთრგუნავდა... წიგნებს აღარ...

– იქნებ რამე მითოლოგიური? – შესთავაზა ბიბლიოთეკარმა.

– არა, არ ღირს. კითხვის გუნებაზე არა ვარ.

– ზოგს გამოაქვს ხოლმე, – თქვა ბიბლიოთეკარმა.

– დიახ, ვიცი, მაგრამ არა, არა ღირს.

– უკანასკნელი ღამისთვის, – გაჭირვებით დააბოლოვა აზრი ბიბლიოთეკარმა.

– დღეს გაუგონრად ენაწყლიანი ხართ, – ჩაიცინა ცინცინატმა, – არა, წაიღეთ. Quercus-ს ვერ

მოვერიე! ჰო, მართლა, შეცდომით, აი, ეს ტომები... არაბულ ენაზე, მგონი... ვაი, რომ აღმოსავლური ენების შესწავლა ვერ მოვასწარი.

– სამწუხაროა, – თქვა ბიბლიოთეკარმა.

– არა უშავს, სული გამოასწორებს. დაიცათ, ჯერ ნუ წახვალთ. მართალია, ვიცი, რომ თქვენ ისე, მხოლოდ კაცის გარეკანი გაქვთ გადაკრული, მაგრამ მაინც... ცოტას ვიკმარებ... ზეგ...

მაგრამ ბიბლიოთეკარი ცახცახით გავიდა.

XVII

ადათი მოითხოვდა, რომ სიკვდილის დასჯის წინა დღეს, მისი პასიური და აქტიური მონაწილე ერთად, მოკლე გამოსათხოვარი ვიზიტით სწვეოდა ყველა მთავარ მოხელეს, მაგრამ რიტუალის დასაჩქარებლად გადაწყდა, ზემოხსენებული გვამნი თავს მოიყრიდნენ ქალაქის მმართველის თანაშემწის (თავად ქალაქის მმართველი – მისი ძმისწული, წასული იყო, მეგობრებს სტუმრობდა პრიტომსკში) ქალაქგარე სახლში და ცინცინატი და მ-სიო პიერი, უბრალოდ, ვახშმად შეუვლიდნენ.

ბნელი ღამე იდგა და ძლიერი თბილი ქარი უბერავდა, როდესაც ცინცინატი და მ-სიო პიერი, ერთნაირ ლაბადაში გახვეულები, ქვეითად, ალებარდიანი და ხელფარნიანი ექვსი ჯარისკაცით გარშემორტყმულები, ხიდის გავლით შევიდნენ მძინარე ქალაქში, უკან მოიტოვეს მთავარი ქუჩები, შრიალა ხეხილის ბაღები და კაჟიანი ბილიკით მთის ფერდს აუყვნენ.

(ჯერ კიდევ ხიდზე, ცინცინატმა ლაბადის კაპუშონიდან თავი გამოიხსნა და უკან მიიხედა: ლურჯი, რთული, მრავალკოშკიანი ციხესიმაგრის ვეება მასა ფერგამკრთალ ცაში ატყორცილიყო, სადაც გარგარისფერი მთვარე ღრუბელს გაეხაზა. ღამურებისგან შეწუხებული, ხიდზე ჩამოწოლილი ბნელი თვალებს აპაჭუნებდა და იჭყანებოდა.

– თქვენ დამპირდით... – იდაყვზე ხელი შეავლო და წასჩურჩულა მ-სიო პიერმა და ცინცინატმაც ისევ წამოიფარა კაპუშონი.

ეს ღამეული გასეირნება, რომელიც თითქოს დაყურსული უნდა ყოფილიყო სევდიანი და უდარდელი, მოღიღინე და მოჩურჩულე შთაბეჭდილებით, – რამეთუ აბა, რაღაა მოგონება, თუ არა მოგონებების სული? – საქმე საქმეზე რომ მიდგა, ძალიან ბუნდოვანი და უმნიშვნელო გამოდგა და ისე ჩაიქროლა, როგორც ხდება ხოლმე ძალზე ნაცნობ მიდამოში, როდესაც ბნელა და როდესაც ჭრელაჭრულა დღის წილადები ღამის მთელ რიცხვებს შეუცვლია.

ვიწრო და პირქუში ხეივნის ბოლოს, სადაც ღორღი ხრაშუნობდა და მაყვლის სურნელი იდგა, უცბად გამოჩნდა თეატრალურად განათებული სადარბაზო, მოჩუქურთმებული თეთრსვეტებიანი ფრონტონებითა და ხის ყუთებში ჩარგული დაფნის ხეებით. ვესტიბულში, სადაც მსახურები სამოთხის ჩიტებივით დაფრთხიალებდნენ და შავ-თეთრ ფილებზე ბუმბულს ფანტავდნენ, ცინცინატი და მ-სიო პიერი წამიერად შეყოვნდნენ და მრავალრიცხოვანი თავყრილობით აგუგუნებულ დარბაზში გადაინაცვლეს. ყველანი იქ იყვნენ:

დამახასიათებელი თმით გამორჩეული ქალაქის შადრევნების მმართველი; ტელეგრაფისტების შეფი, რომლის შავი ფრაკიც ბაჯაღლო ოქროს ორდენებით ანთებულიყო; მომარაგების უფროსი

– ვარდისფერი და ცხვირგაბუშტული; ლომების მომთვინიერებელი, რომელსაც იტალიური გვარი ჰქონდა; მოსამართლე – გამოყრუებული ბერიკაცი; მწვანე ლაქის ფეხსაცმლიანი ბარების მმართველი და კიდევ, მრავალი სხვა წარმოსადეგი, დიდებული, სახელოვანი, ჭაღაროსანი და გულისამრევსახიანი. მანდილოსნები არ იყვნენ, თუ სათვალავში არ ჩავაგდებდით სასწავლო ოლქის მზრუნველ ქალბატონს – ძალზე ხორცსავსე, მამაკაცურ თარგზე აჭრილ ნაცრისფერ ქურთუკში გამოწყობილ ხნიერ ქალს, რომელსაც დიდი, ბრტყელი სახე და მაგრად გადატკეცილი, ფოლადივით მბზინავი თმა ჰქონდა.

ვიღაცას საყოველთაო სიცილ-ხარხარში პარკეტზე ფეხი დაუცურდა; ჭაღს თავისი სანთლებიდან ერთი ჩამოუვარდა; ყველას დასანახად გამოდგმულ დიდ კუბოზე, ვიღაცას უკვე თაიგული დაედო. მ-სიო პიერი, ცინცინატთან ერთად, განზე გამდგარიყო და თავის აღსაზრდელს ამ მოვლენებზე მიუთითებდა.

მაგრამ აი, მასპინძელმა, შავგვრემანმა ბერიკაცმა, რომელსაც წვერი ესპანურ ყაიდაზე მოეშვა, ტაში შემოჰკრა: კარები გაიღო და ყველანი სასადილო ოთახში შევიდნენ. მ-სიო პიერი და ცინცინატი თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით გაწყობილი სუფრის თავში, გვერდიგვერდ დასვეს და ყველას – თავიდან თავდაჭერილი, თავაზიანობითა და კეთილმოსურნე ცნობისწადილით, ზოგს ფარული სიყვარულითაც კი, – თვალი გაურბოდა ამ ერთნაირად

ჰამლეტურად გამოწყობილი წყვილისკენ, მერე კი, როდესაც მ-სიო პიერს სახე ღიმილმა გაუნათა და ალაპარაკდა, სტუმრებმა სულ უფრო დაუფარავად მიაპყრეს თვალი მას და ცინცინატს, რომელიც ისე ბეჯითად და გულისყურიანად, თითქოს ამოცანის გადაჭრის გზას ეძებსო, თევზის დანას ხან სამარილეზე გააწონასწორებდა, ხან ჩანგლის ყელზე, ხან ბროლის ლარნაკზე მიაყუდებდა, რომელშიც თეთრი ვარდი იდო და მხოლოდ მის წინ დაედგათ.

მსახურები – ქალაქის ყველაზე მარჯვე ფრანტები, მისი ჟოლოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები – ცქვიტად დაატარებდნენ კერძებს (ზოგჯერ კერძიანად სუფრასაც კი გადაევლებოდნენ ხოლმე); ყველას ყურადღებას იპყრობდა თავაზიანი მზრუნველობა, როგორითაც ეპყრობოდა ცინცინატს მ-სიო პიერი, რომელიც სანამ მას გემრიელ ნაჭერს თეფშზე ზრუნვით დაუდებდა, სამუსაიფო ღიმილს წუთიერ სერიოზულობაზე გაცვლიდა ხოლმე, მერე კი ვარდისფერ, უთმო სახეზე ძველებური მხიარული ღიმილითა და მთელი სუფრის გასაგონად, ისევ განაგრძობდა ენაწყლიან ლაპარაკს – უცბად სიტყვას შუაზე გაწყვეტდა, ოდნავ ბეჭმოხრილი, სასოუსეს ან საპილპილეს დასწვდებოდა, კითხვის თვალით შეხედავდა ცინცინატს, რომელიც სიმართლე ითქვას, პირს არაფერს აკარებდა და დანას ისევ ისე, წყნარად და უხმოდ უნაცვლებდა ადგილს.

– თქვენმა შენიშვნამ, – მხიარულად გაეპასუხა მ-სიო პიერი ქალაქის მოძრაობის უფროსს,

რომელსაც სიტყვა ჩაეკერებინა და ახლა მომხიბლავი რეპლიკის მოლოდინში იყო, – თქვენმა შენიშვნამ ერთი ცნობილი ანეკდოტი გამახსენა სამედიცინო საიდუმლოებაზე.

– მოგვიყევით! არ ვიცით! მოგვიყევით! – შემოუძახეს ყველა მხრიდან.

– ბატონი ბრძანდებით! – თქვა მ-სიო პიერმა, – გინეკოლოგთან ...

– ბდიში, რომ გაჩერდი, – უთხრა ლომების მომთვინიერებელმა (ჭაღარაულვაშიანმა, ალისფერი ორდენის ბაბთით) – ოგონდა ბატონი ჯერა, რომ ის ანეკდოტ სულ მთელი კურებისთვის... – და თვალით ანიშნა ცინცინატზე.

– რას ბრძანებთ, – მკაცრად მიუგო მ-სიო პიერმა, – ჩემს თავს არასდროს მივცემდი იოტისოდენა უხამსობის ნებას, მისი თანდასწრებით... მაშასადამე, მიდის გინეკოლოგთან მოხუცი ქალბატონი (მ-სიო პიერმა ქვედა ტუჩი ცოტა წინ გამოსწია) და მეო, ეუბნება, საკმაოდ სერიოზული დაავადება მჭირს და მეშინია, რომ ამით გარდავიცვლებიო. სიმპტომები? ეკითხება ექიმი. თავი, ექიმო, თავი მირაცრაცებს... – და მ-სიო პიერი დედაბერივით აჩიფჩიფდა და აკანკალდა.

მთელი სუფრა ახარხარდა. სუფრის მეორე ბოლოს დაყრუებული მოსამართლე ისე იჯღანებოდა, თითქოს სიცილის შეკრულობა სჭირდა, ნაცრისფერ ყურს ეგოისტ მეზობელს პირში სჩრიდა, სახელოზე ეჭიდებოდა და ევედრებოდა, მითხარი, რა თქვა მ-სიო პიერმაო, რომელიც სხვათა შორის, ეჭვიანად ადევნებდა თვალს თავის ანეკდოტს და მხოლოდ მაშინ დაახამხამა თვალი, როდესაც ვიღაცამ მადლი მოისხა და იმ საწყალს ცნობისმოყვარეობა მოუკლა.

– თქვენი საოცარი აფორიზმი, რომ ცხოვრება სამედიცინო საიდუმლოებაა, – წამოიწყო შადრევნების მმართველმა, რომელიც ლაპარაკისას იმდენ დორბლს ყრიდა, რომ პირთან ცისარტყელა გადაეჭიმა, – შეიძლება ჩინებულად მივუსადაგოთ ამბავს, რომელიც ჩემი მდივნის ოჯახში მოხდა. წარმოიდგინეთ...

– აბა, ცინცინატ, გეშინია? – ღვინო დაუსხა და ხმადაბლა, თანაგრძნობით ჰკითხა ერთ-ერთმა ბრწყინვალე მსახურმა. ცინცინატმა აიხედა. მისი ოხუნჯი ქვისლი იყო, – გეშინია, არა? მიდი, დალიე, ვიდრე დაილეოდე...

– ეს რასა ჰგავს? – ცივად შეაწყვეტინა მ-სიო პიერმა ყბედს, რომელიც მაშინვე მოიხარა, მარჯვედ გაეცალა და უკვე შემდეგ სტუმარს უსხამდა ბოთლიდან ღვინოს.

– ბატონებო! – შესძახა მასპინძელმა, წამოიწია და გახამებულ გულისპირამდე ზეაწია ბაცი ყვითელი, ყინულივით ცივი სასმელით სავსე ორთომელი, – შევსვათ სადღეგრძელო...

– აკოცეთ! – დაიყვირა ვიღაცამ და სხვებმაც მხარი აუბეს.

– ბრუდენშრაფტი, გევედრებით... – მ-სიო პიერს ხმა შეეცვალა და ჩუმად, ხვეწნისგან დაპრანჭული სახით მიუბრუნდა ცინცინატს, – უარს ნუ მეტყვით, გევედრებით, მუდამ, მუდამ ასე ხდება ხოლმე...

ცინცინატი გულგრილად ეხებოდა თეთრი ვარდის მილივით დახვეულ, სველ ფურცლებს, რომელიც გადაყირავებული ლარნაკიდან უნებლიეთ გამოეძრო.

– ბოლოს და ბოლოს, უფლება მაქვს, მოვითხოვო, – ცხარედ აჩურჩულდა მ-სიო პიერი და უცბად, მკვახედ, ძალად გაიცინა, თავისი ორთომელიდან ცინცინატს კეფაზე ღვინო დააწვეთა და მერე თვითონაც შეისხურა.

– ბრავო, ბრავო! – ღრიალებდნენ სტუმრები; მეზობელი მეზობლისკენ იხედებოდა, პათეტური მიმიკით გამოხატავდა გაკვირვებასა და აღფრთოვანებას; ერთმანეთს უჭახუნებდნენ

აწკრიალებულ, უტეხ ორთომელებს; მაღალკიჩოიან ვერცხლის ხომალდზე, ლურჯად დამტვერილ ყურძნის მტევნებს შორის, ბავშვის თავისოდენა ვაშლები ღაღანებდა; სუფრა ალმასის მთის ფერდივით მაღლდებოდა და მოხატული ჭერის ბინდბუნდში მოგზაურობდა ცრემლებად დაღვრილი, მტევანმრავალი, გასხივოსნებული ჭაღი და საყუდარს ვერსად პოულობდა.

– გმადლობთ, გმადლობთ, – ამბობდა მ-სიო პიერი, რომელთანაც რიგრიგობით მიდიოდნენ და ულოცავდნენ – ზოგი ბანცალ-ბანცალით, ზოგიც სიმღერით. ქალაქის მეხანძრეთა მამამთავარი უწესოდ გამომტყვრალიყო და ორი მსახური ცდილობდა

ხმაურით ესარგებლა და დარბაზიდან გაეთრია, მაგრამ იგი ფრაკის კალთებს, როგორც ხვლიკი კუდს, ისე შეელია და დარბაზში დარჩა. მოლურჯო ლაქებით აჭრელებული და თვალაციმციმებული ღირსეული მზრუნველი ქალბატონი, მომარაგების ხელმძღვანელისგან რომ თავი დაეცვა, რაც კი შეეძლო, უხმოდ გადაწეულიყო უკან, ის კი, თითქოს გადაუწყვეტია, გახვრიტოს ან მოუღიტინოსო, სტაფილოსავით თითს უმიზნებდა და თან იმეორებდა: წიპ-წიპ-წიპ!

– ბატონებო, გავიდეთ ტერასაზე, – გამოაცხადა მასპინძელმა და მაშინ, მარფინკას ძმამ და განსვენებულ ექიმ ლურჯთვალას ვაჟმა ხის რგოლების ტკაცუნით ფარდა გადასწიეს: მოხატული ფარნების მოქანავე შუქზე გამოჩნდა ქვის მოედანი, მოაჯირის კეგლისმაგვარი პატარა რიკულებით შემოფარგლული და რიკულებშუა ღამის სქელი, შავი ლებანი.

მაძღარი, აკრუტუნებული სტუმრები დაბალ სავარძლებში ჩაესვენნენ. ზოგი მათგანი სვეტებთან დაყუდებულიყო, ზოგი მოაჯირთან. იქვე იდგა ცინცინატი, რომელიც ხელში სიგარას მუმიას ატრიალებდა, მის გვერდით კი მ-სიო პიერი – მისკენ არ იხედებოდა, მაგრამ განუწყვეტლივ ეხებოდა ხან ზურგით, ხან გვერდით, მსმენელების აღტაცებულ შეძახილებში ლაპარაკობდა.

– ფოტოგრაფია და თევზაობა, – ეს არის ჩემი მთავარი გატაცება. რაგინდ უცნაურად მოგეჩვენოთ, ჩემთვის სახელი და პატივი, სოფლის მყუდროებასთან შედარებით, არაფერია. აი, თქვენ უნდობლად გეღიმებათ, მოწყალეო ბატონო (გაკვრით მიმართა ერთ-ერთ სტუმარს, რომელიც უმალ განუდგა თავის ღიმილს), მაგრამ ვფიცავ – და მე ტყუილად არასდროს ვიფიცებ – რომ ეს ასეა. ბუნების სიყვარული მამამ გადმომცა, რომელსაც ჩემი არ იყოს, ტყუილის თქმა არ ეხერხებოდა. ბევრ თქვენგანს, რა თქმა უნდა, ახსოვს იგი და დამემოწმება, წერილობითაც კი, თუ ამის საჭიროება შეიქნებოდა.

მოაჯირთან მდგარი ცინცინატი დაბნეული მიშტერებოდა სიბნელეს და აი, თითქოს დაუკვეთაო, ბნელი მაცდურად გაფერმკრთალდა, რამეთუ უკვე კრიალა და შემაღლებული მთვარე კრაველის ღრუბლებიდან გამოცურდა, ბუჩქებს ლაქი სცხო და ტბორებში ბრიალა სხივებად აჭიკჭიკდა. ცინცინატს სული ისე შეუფრთხიალდა, რომ მიხვდა, იქითის ბაღების

შუაგულში იმყოფებოდა, იმ ტკბილად მოსაგონარ ბაღებში, რომლის კიდევ ნახვა მიუწვდომელ ოცნებად ესახებოდა; სასწრაფოდ დააკავშირა ერთი მეორესთან და მიხვდა, რომ მარფინკასთან ერთად ხშირად გაუვლია აქ, ამ სახლთან, რომელიც იმ დროს მთის ძირში მდგარ, ფოთლებში მოჭიატე, ფანჯრებაჭედილ თეთრ ვილად ესახებოდა... ახლა კი, როდესაც მოფათურე თვალით ჩხრეკდა მიდამოს, იგი წყვდიადის აპკიდან ათავისუფლებდა ნაცნობ მდელოებს ანდა პირიქით, ზედმეტად წაყრილ მთვარის მტვერს გადაწმენდდა, რათა ზუსტად ისეთი გაეხადა, როგორიც

ახსოვდა. იგი ღამის ჭვარტლით დაფარულ სურათს აღადგენდა და ხედავდა, როგორ ლაგდებოდა უწინდებურად ჭალები, ბილიკები, ნაკადულები... შორს, წვდიადის ლურჯად მბზინავ ნაკეცებში, გაქვავებულიყო ფოლადისფერ ცას მიბჯენილი, არხეინად გადაჭიმული მაცდური ბორცვები...

– მთვარე, აივანი, ქალი და კაცი, – ღიმილით უთხრა მ-სიო პიერმა ცინცინატს, რომელმაც შენიშნა, რომ ყველანი ალერსიანი, მომლოდინე თანაგრძნობით შემოსცქეროდნენ.

– ლანდშაფტით ტკბებით? – შემპარავად ჩაილაპარაკა ბაღების მმართველმა, რომელსაც ხელები უკან შემოეწყო, – თქვენ... – სიტყვა გაწყვიტა და თითქოს, ცოტა არ იყოს, შემცბარი მიუბრუნდა მ-სიო პიერს, – მაპატიეთ... ნებას მომცემთ? მე, მართალი გითხრათ, წარდგენილი არა ვყოფილვარ...

– ოჰ, რა ბრძანებაა, ჩემი ნებართვა არ გჭირდებათ, – თავაზიანად მიუგო მ-სიო პიერმა, ცინცინატს ხელი შეახო და ხმადაბლა უთხრა: – ამ ბატონს თქვენთან საუბარი სურს.

– ლანდშაფტით... ლანდშაფტით ტკბებით? – მუჭში ჩაახველა და გაიმეორა ბაღების მმართველმა, – მაგრამ ახლა ბევრი არაფერი ჩანს. მოიცადეთ და ზუსტად შუაღამისას, – ამას ჩვენი ინჟინერი დამპირდა... ნიკიტა ლუკიჩ! ჰა, ნიკიტა ლუკიჩ!

– მე ვემხრობი, – მკვირცხლად დაიბუბუნა ნიკიტა ლუკიჩმა, წინ წამოიწია, მოხერხებულად მხრებზე ხელები ჩამოადო ბაღების მმართველსა და მ-სიო პიერს, რომელთა შორისაც თავგამოყოფილი იდგა და ახალგაზრდულ, ჭაღარა ულვაშაწკეპილ და ხორცსავსე პირისახეს თავაზიანად, მხიარულად და კითხვით მიიქცევდა ხან ერთისკენ და ხან მეორისკენ.

– აი, იმას ვეუბნებოდი, ნიკიტა ლუკიჩ, რომ ზუსტად შუაღამისასო, დაგვპირდით, ამ დღის პატივსაცემად...

– მაშა, – გემრიელად მოუჭრა მთავარმა ინჟინერმა, – სიურპრიზი უეჭველად იქნება. მაგაზე ხათრიჯამი იყავით. ბიჭებო, ისე, რომელი საათია?

ნიკიტა ლუკიჩმა სხვების მხრები თავისი განიერი ხელისგულების დაწოლისგან გაათავისუფლა და ზრუნვამორეული სახით ოთახებისკენ გაემართა.

– მოკლედ, ასე რვა საათის შემდეგ, უკვე მოედანზე ვიქნებით, – თქვა მ-სიო პიერმა და თავისი საათი ისევ დახუფა. ბევრი ძილი აღარ მოგვიწევს. შენ არა გცივა, ჩემო? ბატონმა, სიურპრიზი იქნებაო. მართლაც რომ ძალიან გვანებივრებენ. ის წვრილი თევზი ვახშამზე შეუდარებელი იყო.

– ... თავი დამანებეთ, გეყოფათ, – გაისმა ქალის დაბალი ხმა. მომარაგების უფროსის გამობზეკილი თითისგან ძლეული მზრუნველი ქალი, თავისი გენერალური ზურგითა და ღვეზელივით მოხვეული შინიონით, პირდაპირ მ-სიო პიერისკენ იხევდა.

– წიპ, წიპ, წიპ, – მხიარულად წრიპინებდა მომარაგების უფროსი, – წიპ, წიპ, წიპ.

– ცოტა ფრთხილად, მადამ, – წამოიყიყინა მ-სიო პიერმა, – კოჟრები ნათხოვარი არა მაქვს.

– შეუდარებელი ქალია, – გამომეტყველების გარეშე, გაკვრით შენიშნა მომარაგების უფროსმა, მოცეკვავე ნაბიჯით შეუერთდა სვეტებთან შეჯგუფებულ მამაკაცებს და მისი ჩრდილი იმათსას შეერთო; სიო ქაღალდის ფარნებს არხევდა; სიბნელიდან ხან ხელი გამოიკვეთებოდა, რომელიც

ულვაშს დარბაისლურად იურვებდა, ხან ბებრულ ჩიფჩიფა პირთან მიტანილი ფინჯანი და წაშვერილი ტუჩი, რომელიც ცდილობდა, ფსკერზე დალექილ შაქარს მისწვდომოდა.

– სმენა იყოს და გაგონება! – დაიძახა უცბად მასპინძელმა და სტუმრებს გრიგალივით ჩაუქროლა.

ჯერ ბაღში, მერე კი უფრო შორს, ბილიკების გასწვრივ, მუხნარში, მინდვრებსა და მდელოებზე, ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად ინთებოდა ძოწისფერი, საფირონისა და ბეჟმედისფერი ცეცხლი და ფერადი მძივებით სოჭავდა ღამეს. სტუმრები ავიშვიშდნენ. მ-სიო პიერმა ჰაერი სტვენით ჩაისუნთქა და ცინცინატს ხელზე სტაცა ხელი. სინათლე სულ უფრო დიდ სივრცეს იპყრობდა: აგერ, მისწვდა შორეულ დაბლობს, გრძელი გულსაბნევივით გაიდო გაღმა, ფერდობებს შეუყვა, მიადგა გორებს, ჩაანათა ყველაზე იდუმალ ღრანტეებში, დაყნოსა და გადაიარა გორისთავები!

– უჰ, რა კარგია! – წაიჩურჩულა მ-სიო პიერმა და წამით ცინცინატს ლოყაზე ლოყით მიეხუტა.

სტუმრებმა ტაში დასცხეს. სამი წუთის მანძილზე იქაურობას ალბათ მილიონობით ფერადი ნათურა ანათებდა, რომლებიც ოსტატურად ჩაებნიათ ბალახებში, ჩამოეკიდათ ხის ტოტებზე და, საერთოდ, ისე განელაგებინათ, რომ მთელ ლანდშაფტზე გადაჭიმულიყო უზარმაზარი

ვენზელი – პ. და ც., რომელიც კაცმა რომ თქვას, არცთუ კარგად გამოსვლოდათ. მერე ყველაფერი ერთბაშად ჩაქრა და ტერასას წყვდიადი შემოადგა.

ინჟინერი ნიკიტა ლუკიჩი ისევ გამოჩნდა. შემოეხვივნენ, რათა ხელში აეტაცებინათ და აესროლათ, მაგრამ დრო იყო დამსახურებულ დასვენებაზეც ეფიქრათ. სანამ წავიდოდნენ, მასპინელმა მ-სიო პიერსა და ცინცინატს შესთავაზა მოაჯირთან სურათი გადაეღოთ. მართალია მ-სიო პიერიც გადასაღები პირი გახლდათ, მაგრამ ამ ოპერაციას თავად ხელმძღვანელობდა. სინათლემ იფეთქა და ცინცინატის თეთრი პროფილი და მის გვერდით უთვალებო სახე გაანათა. მასპინძელმა თავისი ხელით მიაწოდა ორივეს ლაბადა და გასაცილებლად გაჰყვა. პირქუში ჯარისკაცები ვესტიბულში ძილმორეული აბრახუნებდნენ ალებარდებს.

– ვერ აგიწერთ, რა დიდი პატივი დამდეთ, – გამომშვიდობებისას მიმართა მასპინძელმა ცინცინატს, – ხვალ დილას, უფრო სწორად, ამ დილას, ცხადია, იქ ვიქნები და არა მარტო როგორც ოფიციალური პირი, არამედ – კერძოც. ძმისწული მეუბნებოდა, ბევრ ხალხს ელოდებიანო.

– აბა, თქვენ იცით, – სამჯერ ამბორყო და შუალედში უთხრა მ-სიო პიერს.

ცინცინატი და მ-სიო პიერი ჯარისკაცების თანხლებით შევიდნენ ხეივანში.

– ისე, ცუდი კაცი არა ხარ, – უთხრა ცინცინატს მ-სიო პიერმა, როდესაც სახლს ცოტა დაშორდნენ, – მაგრამ რატომღაც მუდამ რაღაცნაირად... შენი მორცხვობა ხალისიან ადამიანებზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. შენი არ ვიცი, მაგრამ მე, – დასძინა მან, – თუმცა, ცხადია, აღტაცებული ვარ ილუმინაციითა და იმ ყველაფრით, გულს მძმარავს და დიდი ეჭვი მაქვს, ყველაფერი კარაქზე არ იყო დამზადებული.

დიდხანს მიდიოდნენ. ნისლი და დუმილი იდგა.

– კაკ-კუკ, კაკ-კუკ, – ყრუდ შემოესმათ საიდანღაც მარცხნიდან, როდესაც კრუტოიზე ეშვებოდნენ, – კაკ-კუკ, კაკ-კუკ.

– თაღლითები, – ჩაიბურტყუნა მ-სიო პიერმა, – არადა, იფიცებოდნენ, ყველაფერი მზადაო...

ბოლოს და ბოლოს, ხიდიც გადაიარეს და მთის ფერდს შეუყვნენ. მთვარე უკვე აეღოთ და ციხესიმაგრის სქელი კოშკები ღრუბლებს შერწყმოდა. ზემოთ, მესამე კარიბჭესთან, შლარფოკიანი და საღამურჩაჩიანი როდრიგ ივანოვიჩი ელოდებოდათ.

– აბა, როგორი იყო? – ჰკითხა მოუთმენლად.

– თქვენ გნატრობდით, – ცივად მიუგო მ-სიო პიერმა.

XVIII

„მივწექი, არ დამეძინა, მხოლოდ გავითოშე. უკვე ირიჟრაჟა (სწრაფად, გაურკვევლად, ბოლომოკვეცილად, გაქცეული კაცის ნაკლული ნაკვალევივით, წერდა ცინცინატი), ჰაერი გაცრიატდა და ისე გავითოშე, რომ განზოგადებულმა მოვლენამ – სიცივემ, ალბათ ჩემი სხეულის ფორმა მიიღო და აი, ახლა, ჩემს წასაყვანადაც მოვლენ. მრცხვენია, რომ მეშინია, – შიშით კი საშინლად მეშინია, – შიში წუთით არ მტოვებს, ღვარცოფად მოვარდნილი ღრიალით მიგლეჯს გულგვამს, ჩანჩქერზე გადებული ხიდივით მირყევს სხეულს და თუ ძალიან ხმამაღლა არ ვილაპარაკე, ამ დგანდგარში, ჩემს ხმას ვერ გავიგონებ. მრცხვენია, სულმა თავი შეირცხვინა, – არადა, ეს ხომ არ შეიძლება, არ შეიძლებოდა, შეიძლებოდა, – მხოლოდ რუსული ენის ქერქზე შეიძლებოდა გამრავლებული უღლების ასეთი სოკოვანი წარმონაქმნი, – ოჰ, როგორ მრცხვენია, რომ ყურადღებას ვაქცევ, რომ აი, ასეთი კნინები, ასეთი დანართები, ჩემი სულის კალთას ჩაბღაუჭებულა და მოძვრება, სველები, გამოსათხოვრად; მოძვრება რაღაც მოგონებები: მე, პატარა ბიჭს, ხელში წიგნი მიჭირავს და მზის გულზე ვზივარ, წყალთან, რომელიც შხუის და მთრთოლავ არილს სტყორცნის ძალიან, ძალიან ძველი ლექსების გამართულ სტრიქონებს. ოჰ, ამ მიწურულს, ხომ ვიცი, რომ საჭირო არ არის, ცრურწმენაა![33] ეს მოგონებები, შიში, ეს მოძალებული სლოკინი: – ცრურწმენაა! – როგორ ვიმედოვნებდი, რომ ყველაფერი დალაგდებოდა, ყველაფერი მარტივად და სუფთად იქნებოდა. აკი ვიცი, რომ

სიკვდილის შიში, მხოლოდ ისე, უვნებელი – იქნებ სულისთვის სარგოც კი – ელდაა, ახალშობილის ჩაბჟირებული ტირილია ანდა გაშმაგებული უარია, შეელიოს სათამაშოს – და რომ ოდესღაც, ქვაბულებში, უსასრულო წკაპუნსა და სტალაქტიტებში, ცხოვრობდნენ სიკვდილმხიარული ბრძენკაცები[34], – დიდი აბდაუბდები, მართალია, მაგრამ თავისებურად მაინც დასძლიეს, – და თუმცა ეს ყველაფერი ვიცი და კიდევ ვიცი ერთი მთავარი, უმთავრესი, რაც აქ არავინ იცის, – მაინც კი, შემომხედეთ თოჯინებო, როგორ ეშინია, როგორ ძრწის, ცახცახებს, გუგუნებს, ზრიალებს და თავქუდმოგლეჯილი გარბის ჩემში ყველაფერი, – ახლა მომაკითხავენ, მე კი მზად არა ვარ, მრცხვენია...“

ცინცინატი ადგა, გამოექანა და – თავით კედელს... – მაგრამ ნამდვილი ცინცინატი, ხალათიანი მისჯდომოდა მაგიდას, ფანქარს ღრღნიდა და კედელს შესცქეროდა – აი, მაგიდის ქვეშ ფეხი ოდნავ გააფხაკუნა, წერა განაგრძო, ცოტა კი მოუჩქარა:

„შეინახეთ ეს ფურცლები, – არ ვიცი, ვის ვთხოვ, მაგრამ: შეინახეთ ეს ფურცლები, – გარწმუნებთ, არის ასეთი კანონი, ეს კანონიერია, – ჩაიხედეთ და ნახავთ! – დაე, იდოს, ამით თქვენ რა დაგიშავდებათ? მე კი ძალიან, ძალიან გთხოვთ – უკანასკნელი სურვილია, ვალდებული ხართ, შემისრულოთ. მე მჭირდება, თუნდაც თეორიული ვარაუდი, რომ მკითხველი მეყოლება, თუ არადა, მაშინ მართლაც, დასახევია. აი, ეს უნდა მეთქვა. ახლა კი დროა, გუდანაბადი ავიკრა“.

ისევ შეჩერდა. საკანი უკვე სულ განათებულიყო და სინათლის სხივის მიხედვით ცინცინატმა იცოდა, რომ ახლა ექვსის ნახევარს ჩამოკრავდა. შორეულ გუგუნს დაელოდა და წერა განაგრძო, – ოღონდ უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ნაჩქარევად, თითქოს, პირველივე წამოძახილზე მთლიანად დახარჯულიყო.

„ჩემი სიტყვები ადგილიდან ფეხსაც არ იცვლის, – წერდა ცინცინატი, – მშურს პოეტების. ალბათ რა კარგია, გადაუქროლო ფურცელს და ფურცლიდან, სადაც მხოლოდ შენი ჩრდილიღა მირბის, ისკუპო და – პირდაპირ სილაჟვარდეში... ამაზრზენი ეგზეკუცია, ყველა მანიპულაცია, მანამდეც და მერეც. რა ცივი პირი აქვს, რა გლუვია ვეება ნაჯახი. ზუმფარას ქაღალდი. მგონია, რომ განშორების ტკივილი წითლად აკივლდება. დაწერილი აზრი ისე აღარ გამძიმებს, თუმცა, სხვანაირია – ზოგი კიბოს სიმსივნესავით არის: გამოხატავ, ამოიჭრი, ის კი თავიდან, წინანდელზე უფრო გაიზრდება. ძნელია წარმოიდგინო, რომ აი, ამ დილას, ერთი ან ორი საათის შემდეგ...“

მაგრამ ორი საათიც გავიდა და მეტიც. როდიონმა, ვითომც არაფერი, საუზმე შემოუტანა, საკანი მიალაგა, ფანქარს წვერი გაუთალა, გამოკვება ობობა და ტუალეტის ვედრო გაიტანა. ცინცინატს არაფერი უკითხავს, მაგრამ როდიონი რომ გავიდა და დრომ სრბოლა ჩვეული ჩაქჩაქით განაგრძო, მიხვდა, რომ ისევ მოატყუეს, რომ სული ტყუილუბრალოდ აიფორიაქა და ყველაფერი ძველებურად ბუნდოვანი, წებოვანი და უაზრო იყო.

საათმა, ის იყო, სამი თუ ოთხი ჩამორეკა (ჩათვლიმა და ძილ-ბურანში, არ დაუთვლია, რამდენჯერ დაიგუგუნა, მხოლოდ ბგერების ჯამი შეკრიბა), რომ კარი უცბად გაიღო და მარფინკა შემოვიდა. ლოყა შეფაკლოდა, შინიონიდან სავარცხელი ამოვარდნოდა, შავი ხავერდის კაბის მუქი გულისპირი უღელავდა. წელთან რაღაც ასჩაჩვოდა და გვერდმოქცეულს აჩენდა. წარამარა რაღაცას ისწორებდა, ქვემოთ ეწეოდა ანდა თეძოებს სწრაფად შეანძრევდა, თითქოს ქვემოთ რაღაც ეჩოთირებაო.

– ღიღილოები მოგიტანე, – უთხრა, მაგიდაზე თაიგული დააგდო და თითქმის მაშინვე კაბა მკვირცხლად აიკალთავა, შნოიანი სავსე ფეხი მაგიდაზე შემოდგა და თეთრი წინდა იქამდე აიწია, სადაც მოთიმთიმე ნაზ ქონზე რეზინის კვალი ეტყობოდა, – რომ იცოდე, რა ძნელი იყო ნებართვის მიღება! ცხადია, მომიწია ცოტა დათმობაზე წავსულიყავი, – მოკლედ, ჩვეულებრივი ამბავია. აბა, როგორ გიკითხო, ჩემო საწყალო, ცინცინატიკ?

– მართალი გითხრა, არ გელოდი, – თქვა ცინცინატმა, – სადმე დაჯექი.

– წუხელვე ვცდილობდი, – დღეს კი ჩემს თავს ვუთხარი, მოვკვდები და მაინც შევალ-მეთქი. იმ შენმა დირექტორმა მთელი საათი არ გამომიშვა, – სხვათა შორის, ძალიან

გაქო. ოჰ, რომ იცოდე, როგორ ვჩქარობდი, როგორ მეშინოდა, ვაითუ, ვერ მოვასწრო-მეთქი. დილას საინტერესო მოედანზე საშინელება ხდებოდა.

– რატომ გადადეს? – ჰკითხა ცინცინატმა.

– ამბობენ, ყველა დაიღლილი და გამოუძინებელი იყოო. იცი, ხალხი არ იშლებოდა. უნდა გეამაყებოდეს.

მარფინკას ლოყებზე უზადოდ გათლილი, მოგრძო ცრემლები ჩამოუგორდა, სახეს რბილად ჩამოუყვა და ნიკაპს შემოუარა – ერთმა გულისპირის ღრმულამდეც კი მიაღწია... თუმცა, მისი თვალები ისევ მრგვლად იმზირებოდა, თეთრად დაფორეჯებულფრჩხილებიანი მოკლე თითები გაეფარჩხა, თხელ ტუჩებს სწრაფ-სწრაფად ამოძრავებდა და თავისას მიერეკებოდა.

– ზოგი ირწმუნება, ახლა დიდი ხნით გადაიდებაო და ისედაც, დანამდვილებით ვერავისგან გაიგებ. ვერც კი წარმოიდგენ, რამდენი ჭორი დადის, რამდენი აბდაუბდა...

– შენ რაღა გატირებს? – ჩაიცინა ცინცინატმა.

– თვითონაც არ ვიცი, დავიქანცე... (ბოხი ხმით) ყველამ თავი მომაბეზრეთ. ცინცინატ, ცინცინატ, ეს რა ჩაიდინე!.. შენზე ისეთს ლაპარაკობენ, – საშინელებაა! ჰო, მართლა, ყური მიგდე, – უცბად გადაუხვია მარფინკამ, გაიღიმა და ენის წკლაპუნითა და კოხტაობით თქვა: ამას წინათ – როდის

იყო? ჰო, გუშინწინ, მოდის ჩემთან, ვითომც არაფერი, ერთი მადამიკო, მგონი, ექიმი თუ რაღაც ამგვარი, სრულიად უცნობი, საშინელი ვატერპრუფით და მეუბნება, ასე და ისეო... საქმე ის არის... ხომ იცითო... მე კიდევ ვეუბნები: – არა, ჯერ არაფერიც არ ვიცი-მეთქი. იმან კიდევ: – აჰ, არა, მე გიცნობთ, თქვენ მე არ მიცნობთ... ვეუბნები... (მარფინკა თანამოსაუბრის გამოჯავრებით, ფაცაფუცითა და გაუგებრად ლაპარაკობდა, მაგრამ გონივრულად ამუხრუჭებდა ძალიან გაჭრიალებულზე: მე კი ვეუბნები, – აქ უკვე, თავისი ნათქვამის გადმოცემისას, თავს თოვლივით მშვიდად წარმოადგენდა). მოკლედ, მარწმუნებდა, რომ დედაშენია, თუმცა, მე რომ მკითხო, ასაკითაც არ გამოდის, მაგრამ სულერთია, ამბობდა: ვკვდები, დევნის ისე მეშინიაო და თქვა, რომ უკვე დაკითხეს და ყველანაირი ზეწოლა იყო. მე რა შუაში ვარ-მეთქი, ვუთხარი და საერთოდ, ჩემი ნახვა რად გინდოდათ-მეთქი? იმან კიდევ – ასე და ისეო, ვიცი, რა საშინლად კეთილი ხართ და ყველაფერს იღონებთო... მე კიდევ: ვითომ, რატომ გგონიათ, რომ კეთილი ვარ-მეთქი? იმან – ესა და ისაო, ოჰ, დიახ, ოჰ, არაო. მოკლედ, მთხოვა, იქნებ ისეთი ქაღალდი მიმეცა, სადაც თავფეხიანად დავუმოწმებდი, რომ ჩვენთან ფეხი არასდროს მოუდგამს და შენ ერთხელაც არ მოუნახულებიხარ... რომ იცოდე, მარფინკას ეს ისე სასაცილოდ ეჩვენა, ისე

სასაცილოდ ეჩვენა! ვიფიქრე (გაჭიანურებული, დაბალი ხმით), ვიღაც არანორმალურია, გიჟია-მეთქი. ასე იყო თუ ისე, არაფერიც არ მიმიცია. ვიქტორმა და სხვებმაც თქვეს, რომ ეს ძალიან მაკომპრომეტირებელი იქნებოდა, თუკი დავუმოწმებდი, რომ შენ მას არ იცნობდი – გამოვიდოდა, რომ მე შენი ყველა ნაბიჯი ვიცოდი. მოკლედ, მგონი, ძალიან დამორცხვებული წავიდა.

– ჰო, მაგრამ ის მართლა დედაჩემია, – უთხრა ცინცინატმა.

– ჰო, შეიძლება, შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, ეგ მთავარი არ არის. შენ ის მითხარი, ცინ-ცინ, ასეთი მოწყენილი და ცხირჩამოშვებული რატომ ხარ? მეგონა, ჩემი ნახვა ძალიან გაგახარებდა, შენ კი...

მარფინკამ ჯერ ნარს შეხედა, მერე კარისკენ გაიხედა და ხმადაბლა უთხრა:

– აქაური წესები კი არ ვიცი, მაგრამ შენ თუ გინდა, ცინცინატიკ, მე თანახმა ვარ, ოღონდ ჩქარა.

– თავი დამანებე. რა სისულელეა! – თქვა ცინცინატმა.

– კი ბატონო, როგორც გენებოს. ვიფიქრე, ვასიამოვნებ-მეთქი, რადგან ეს ჩემი უკანასკნელი პაემანია და ასე შემდეგ. ოჰ, შენ თუ იცი, ვინ მთხოვა ცოლობა? აბა, გამოიცანი, ვინ? ვერასდროს გამოიცნობ. გახსოვს, ის გადახრჩუებული ბერიკაცი, ერთხანს ჩვენს მეზობლად რომ ცხოვრობდა? აი, ის, სულ ყალიონს რომ ახრჩოლებდა და გალავნის იქიდან მითვალთვალებდა, როდესაც ვაშლის ხეზე ავძვრებოდი ხოლმე. როგორ მოგწონს? რაც მთავარია, სრულიად სერიოზულად მთხოვა! ჰო, სულ მაგ ჭკუაზე ვარ – ფუი, საფრთხობელა! საერთოდ, ვგრძნობ,

რომ ერთი კარგი, კარგი დასვენება მჭირდება, – არაფერზე რომ არ ვიფიქრო, თვალები დავხუჭო, გემრიელად გავიშოტო და დავისვენო, დავისვენო, – ცხადია, სულ მარტომ ანდა ისეთ კაცთან, ვინც მართლა იზრუნებს ჩემზე და ყველაფერს გამიგებს, ყველაფერს...

მარფინკას ისევ აუბრჭყვიალდა მოკლე და ხეშეში წამწამები და ცრემლები გველებივით ჩამოუსრიალდა ვაშლივით დაბრაწულ ლოყებზე.

ცინცინატმა ერთი ცრემლი აიღო და გემო გაუსინჯა: არც მლაშე იყო და არც ტკბილი, – ოთახში დამდგარი წყლის წვეთი იყო და სხვა არაფერი. ცინცინატს ეს არ უქნია.

უცბად კარმა დაიწივლა, ერთი ხელის დადებაზე გაიღო და წითურმა თითმა მარფინკა მიიხმო. მარფინკა კართან სწრაფად მივიდა.

– რა გინდათ, ჯერ ხომ დრო არ გასულა, მე ერთ საათს შემპირდნენ, – სწრაფად აჩურჩულდა. იქიდან შეეპასუხნენ.

– არავითარ შემთხვევაში! – აღშფოთდა მარფინკა, – ასეც გადაეცით. პირობა ასეთი იყო, ახლახან დირექ...

სიტყვა გააწყვეტინეს. დაჟინებულ ბუტბუტს ყური მიუგდო, თვალები დახარა, წარბი შეიკრა და ფეხსაცმლის ცხვირით იატაკს ხაზავდა.

– ჰო, კარგი, – ცოტა უხეშად ჩაილაპარაკა და ქმრისკენ რაღაცნაირი უმანკო სიმკვირცხლით შემობრუნდა: – ხუთ წუთში მოვალ, ცინცინატიკ.

(სანამ მარფინკა დაბრუნდებოდა, ცინცინატი იმაზე ფიქრობდა, რომ მნიშვნელოვანი და გადაუდებელი სათქმელი მისთვის არათუ ჯერაც არ ეთქვა, არამედ იმ მნიშვნელოვანს ახლა ვეღარც კი გამოხატავდა... მიუხედავად ამისა, გული ეწურებოდა და კუთხეშიც ისევ ის მოგონება ატუზულიყო და წკმუტუნებდა.არადა, დრო იყო, დრო იყო, ყველა ამგვარ წუხილს გადაჩვეოდა).

მარფინკა მხოლოდ საათის სამი ჩარექის შემდეგ დაბრუნდა და რაღაცაზე ათვალწუნებით, ცხვირში იცინოდა; სკამზე ფეხი შემოდგა, რეზინი გაატკაცუნა, გაბრაზებულმა გაისწორა წელთან ნაკეცები და მაგიდას მიუჯდა – ზუსტად ისე, როგორც წეღან იჯდა.

– რა ძალა ადგა, – ჩაიცინა მარფინკამ და მაგიდაზე ლურჯი ყვავილები გადათვალა, – მითხარი რამე, ცინცინატიკ, ჩემო მამლაყინწა, აკი... იცი, თვითონ დავკრიფე. ყაყაჩო არ მიყვარს, მაგრამ

ესენი მშვენიერია. ჰოდა, ნუ მოძვრები, თუ არ შეგიძლია, – მოულოდნელად, სხვა კილოთი დასძინა და თვალი მოჭუტა, – არა, შენ არ გეუბნები (ამოიოხრა). მიდი, მითხარი რამე, მანუგეშე.

– ჩემი წერილი... – დაიწყო ცინცინატმა და ჩაახველა, – ჩემი წერილი ყურადღებით წაიკითხე? – ისე, როგორც საჭიროა?

– გთხოვ, – წამოიძახა მარფინკამ და საფეთქლებზე ხელი იტაცა, – ოღონდ წერილზე ნურაფერს მეტყვი!

– არა, გეტყვი, – მიუგო ცინცინატმა.

მარფინკა წამოხტა, კაბა სწრაფად გაისწორა და აბნეულ-დაბნეულად ალაპარაკდა, – ცოტა ენასაც უჩლექდა, როგორც იცოდა ხოლმე, როცა ბრაზობდა.

– საშინელი წერილია, რაღაც აბდაუბდაა. გეგონება, წინ ბოთლი გედგა და ისე წერდი. არ მინდოდა ის წერილი მეხსენებინა, მაგრამ თვითონ... ეგ ხომ, ვის ხელშიც გაიარა, ალბათ ყველამ წაიკითხა, გადაიწერა და თქვა: აჰა! მაშასადამე, ისიც თანამზრახველია, რაღაი ასეთი წერილი მიუწერიაო. შეიგნე, რომ არ მინდა ვიცოდე, რას შვრებოდი. როგორ ბედავ, რომ ასეთ წერილებს მიგზავნი და შენს დანაშაულს თავზე მახვევ...

– მე შენთვის ცუდი არაფერი მომიწერია, – უთხრა ცინცინატმა.

– ეგ შენ გგონია, – იმ წერილმა ყველას თავზარი დასცა, – ჰო, თავზარი დასცა! მე სულელს იქნებ კანონებისა არაფერი გამეგება, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ ყველა შენი სიტყვა მიუღებელია, დაუშვებელია... ოჰ, ცინცინატ, რა დღეში მაგდებ, – მეც და ბავშვებსაც, – ბავშვებზე იფიქრე... ყური დამიგდე, ერთი წუთით დამიგდე, – ისე გაცხარებული ლაპარაკობდა, რომ სიტყვებს ვეღარც კი გაარჩევდით, – უარყავი, ყველაფერი უარყავი. უთხარი, რომ უდანაშაულო ხარ, რომ უბრალოდ ყოყლოჩინობდი, – უთხარი იმათ, მოინანიე, გააკეთე ეს, – იქნებ ამით თავი ვერ გადაირჩინო, მაგრამ ჩემზე იფიქრე; ჩემკენ ხომ უკვე თითს იშვერენ: ანდე, მისი ქვრივიო, ანდე!

– დაიცა, მარფინკა! ვერაფერი გამიგია. რა მოვინანიო?

– ჰო, მიდი! ჩამითრიე, დამისვი ეშმაკური... მე რომ ეგ ვიცოდე, მაშინ ხომ შენი თანამზრახველი ვიქნებოდი. ეს ხომ აშკარაა. კმარა, კმარა. ამ ყველაფრისა საშინლად მეშინია. უკანასკნელად გეკითხები: ნუთუ არ გინდა, რომ ჩემი გულისთვის, ყველა ჩვენგანის გულისთვის...

– მშვიდობით, მარფინკა! – უთხრა ცინცინატმა.

მარფინკა დაჯდა, მარჯვენა ხელი ლოყაზე შემოიდო, მარცხენათი კი მაგიდაზე თავის სამყაროს ხაზავდა.

– რა ცუდია, რა საწყენია, – ჩაილაპარაკა, ღრმად, ძალიან ღრმად ამოიოხრა, მოიღუშა და ფრჩხილით მდინარე გაიყვანა, – მე მეგონა, სულ სხვანაირად შევხვდებოდით. მინდოდა შენთვის ყველაფერი მომეცა. ნეტა რა მრჯიდა! აბა, რა გაეწყობა (მდინარე ზღვას შეერთო, მაგიდის კიდედან). იცოდე, დამძიმებული გულით მივდივარ. ჰო, მაგრამ აქედან როგორ გავიდე? – და უცბად, გულუბრყვილოდ და მხიარულადაც კი წამოიძახა: – ახლა რა ვქნა? მე აკი ქვეყნის დრო გამოვითხოვე.

– ნუ ღელავ, – უთხრა ცინცინატმა, – ყველა ჩვენი სიტყვა... ახლავე გაგიღებენ.

არ შემცდარა.

– მსვიდობით, მსვიდობით, – ატიტინდა მარფინკა, – დაიცათ, ხელი გასწიეთ, მაცალეთ, ქმარს გამოვეთხოვო. მშვიდობით. თუ რამე გინდა, ხალათი და რა ვიცი, რაღაც... ჰო, ბავშვებმა მთხოვეს, მაგრად, მაგრად დაგვიკოცნეო. კიდევ რაღაც იყო... ჰო, კინაღამ დამავიწყდა: ის ჩამჩა, მე რომ გაჩუქე, მამაჩემმა წაიღო, თქვა, რომ შენ, თითქოს, მას...

– დაუჩქარეთ, ქალბატონო, – გააწყვეტინა როდიონმა და ფამილარული მუხლით უბიძგა კარისკენ.

XIX

მეორე დღეს, გაზეთები შემოუტანეს და ამან პატიმრობის პირველი დღეები გაახსენა. თვალში მაშინვე ფერადი სურათი მოხვდა: ლურჯი ცის ქვეშ გაწოლილი მოედანი, ზღვა ხალხისგან ისე აჭრელებული, რომ მხოლოდ მეწამული ქვაფენილის კიდეღა მოჩანდა. იმ სვეტში, სადაც სიკვდილის დასჯაზე ეწერა, სტრიქონების ნახევარი გადაშლილი იყო, მეორე ნახევრიდან კი ცინცინატმა მხოლოდ ის ამოკრიფა, რაც უკვე იცოდა მარფინკასგან, კერძოდ, რომ მაესტრო შეუძლოდ იყო და სანახაობა გადაიდო – შეიძლება, დიდი ხნით.

– რომ იცოდე, რა ძღვენი მომაქვს, – უთხრა როდიონმა, – ცინცინატს კი არა, ობობას.

როდიონს ორივე ხელით, ძალიან ფრთხილად, მაგრამ ზიზღით მოჰქონდა (სიფრთხილე კარნახობდა გულზე მიეკრა, ზიზღი – რაც შეიძლება, შორს დაეჭირა) პირსახოცში მოჭმუჭნილი რაღაც, რომელიც შიგ გამწარებული ფხაჭუნობდა:

– კოშკის სარკმელზე დავიჭირე. ნამდვილი ურჩხულია! დახე, ფხაკურობს, ლამის არის დამისხლტეს...

ის იყო დააპირა, სკამი მიეწია, – მუდამ ასე შვრებოდა, – ზედ შემდგარიყო და მკვიდრად ნაქსოვ აბლაბუდაზე მოსაკითხი მიერთმია ღორმუცელა მხეცისთვის, რომელსაც მსხვერპლის სუნი ეკრა და უკვე იფხორებოდა, რომ ფეხი აერია, დაკოჟრილი ტორებიდან პირსახოცის მთავარი ნაკეცი გამოეშალა და უმალ, ისე შეჰყვირა და აიყალყა, როგორც აიყალყებიან და შეჰყვირებენ ხოლმე, ვისაც არათუ ღამურა, ჩვეულებრივი თაგვიც კი თავზარსა სცემს და ეზიზღება. პირსახოციდან დიდი, თალხი და ულვაშა გამოღოღდა... როდიონმა დაიღრიალა და ადგილზე აცეკვდა, რადგან არც ხელიდან გასაშვებად ემეტებოდა და ვერც ხელის ხლება გაებედა. პირსახოცი ძირს დავარდა, ხოლო ტყვე თავისი ექვსივე წებოვანი ფეხით როდიონს სახელოს ყოშზე დაეკიდა.

ეს მხოლოდ ღამის პეპელა იყო, – მაგრამ როგორი! – კაცის ხელისგულისოდენა, მკვრივი, მუქი წაბლისფერი; თითქოს ალაგ-ალაგ მტვერწაყრილ, ჭაღარა სარჩულგამოდებულ ფრთებს შუაში მრგვალი, ფოლადის ელფერიანი თვალი ამშვენებდა. პეპელა ხან მიაკრავდა, ხან ააძრობდა სახელოს ყოშს ბუსუსიან სახსროვან ფეხებს, ნება-ნება არხევდა აკეცილი ფრთების ფირფიტებს, რომლის სარჩულის ფერფლისფერ კიდეებზე ისეთივე მკვეთრი ლაქები და ტალღისებრი ქარგა მოჩანდა და სახელოზე თითქოს ცეცებით მიცოცავდა. სულ მთლად ჭკუიდან გადასული როდიონი საკუთარ ხელებს იცილებდა, მომასოლე, მომასოლეო, მოთქვამდა და თვალებს კარკლავდა. იდაყვს რომ მიაღწია, პეპელამ უხმოდ შემოკრა ტაში და მერე, თითქოს მძიმე

ფრთებმა სხეულს დასძალაო, გადატრიალდა და სახელოზე ისევ მკვიდრად ჩაბღაუჭებული, იდაყვის სახსართან თავდაყირა დაეკიდა; ახლა უკვე შეიძლებოდა მისი ნაოჭიანი და ალანძული რუხი მუცლის, ციყვის ცხვირ-პირის, საფანტივით შავი ორი თვალისა და წვეტიანი ყურების მსგავსი საწერტელის შეთვალიერება.

– ოხ, მომასოლე! – შეევედრა გაგიჟებული როდიონი და მისი გაშმაგებული მოძრაობისგან დიდებული მწერი სახელოს მოსწყდა, მაგიდას მიეჯახა, შერჩა, მერე ღონივრად ათრთოლდა და უცბად კიდეს მოსცილდა. ჩემთვის თქვენი დღე ისე ბნელია, რულმორეული, სულ ტყუილად ამაფორიაქეთ. ფრენა – მძიმე და დაყვინთული – დიდხანს არ გაგრძელებულა. როდიონმა პირსახოცი აიღო, დამთხვეულივით იქნევდა და ცდილობდა ბრმა ფარვანა ჩამოეგდო, მაგრამ იგი ისე უცბად გაუჩინარდა, თითქოს ჰაერმა ჩაყლაპაო.

როდიონმა ეძება, ეძება და რომ ვერ იპოვა, საკნის შუაში დადგა, დოინჯი შემოიყარა და ცინცინატს მიუბრუნდა.

– სად ოხრობაშია, ჰა? მუდრეგი! – წამოიძახა, შთამბეჭდავი დუმილის შემდეგ გადააფურთხა, თავი გადააქნია, მერე ჯიბიდან სათადარიგო ბუზებით სავსე, ფხაკუნ-შრაშუნით გატიკნილი ასანთის კოლოფი ამოიღო და იმედგაცრუებული მხეციც იძულებული გახდა, ეს ეკმარა. ცინცინატმა მშვენივრად დაინახა, სადაც დაჯდა პეპელა.

როდესაც როდიონი, ბოლოს და ბოლოს, საკნიდან გავიდა – გზადაგზა გაგულისებული იძრობდა წვერ-ულვაშსა და აბუჩქულ თმას – ცინცინატი ნარიდან ადგა და მაგიდასთან გადაინაცვლა. ინანა, რომ ყველა წიგნი გაატანა და უსაქმურობისგან წერას მიჰყო ხელი.

„ყველაფერი დაემთხვა, – წერდა იგი, – ანუ ყველაფერი ცრუობდა – ყველაფერი ის თეატრალური, უბადრუკი, – ქარაფშუტა გოგოს დაპირება, დედის მოწყლიანებული თვალი, კაკუნი კედლის მიღმა, მეზობლის გულკეთილობა და ბოლოს, ბორცვები,

სასიკვდილო გამონაყარით დაფარული... ყველა და ყველაფერი შეითქვა და მომატყუა, – ყველამ და ყველაფერმა. ეს სააქაო ცხოვრების ჩიხია და ხსნის ძიება მის ვიწრო ფარგლებში არ ეგებოდა. უცნაურია, რომ ხსნას ვეძებდი. ზუსტად იმ კაცსა ვგავდი, სიზმარში რომ დაუკარგავს ნივთი, რომელიც ცხადში არასდროს ჰქონია და იმას მისტირის, ანდა იმედს გამოთქვამს, რომ ხვალ მის ადგილსამყოფელს სიზმარში ნახავს. ასე იქმნება მათემატიკა. მასაც აქვს თავისი მომაკვდინებელი ნაკლი. მე მას მივაგენი, მე ცხოვრებაში ხვრელს მივაგენი, იქ, სადაც ჩამოტყდა, სადაც ოდესღაც შედუღებული იყო სხვა რაღაცასთან, მართლა ცოცხალთან, ძალიან მნიშვნელოვანთან, დიდთან – რა უზარმაზარი მოცულობის ეპითეტები მჭირდება, რათა ბროლის აზრით გავავსო... სჯობს, არ დავამთავრო, თორემ ისევ დავიბნები. ამ ხვრელს უშველებელი სჭირს და სიდამპლე შეჰპარვია, – ოჰ, მგონი, მაინც ბოლომდე ყველაფერს ვიტყვი – სიზმარზე, შერწყმაზე, გახლეჩაზე, – არა, ისევ გამისხლტა, – ჩემი საუკეთესო სიტყვები

გაქცეულია და მათ ბუკითაც ვერ გამოვიხმობ, ხოლო რაც დამრჩა, ხეიბარია. ეჰ, რომ მცოდნოდა, აქ ამდენ ხანს შემოვრჩებოდი, მაშინ ხომ ანიდან დავიწყებდი და თანდათანობით, გადაბმულ შეხედულებათა სათაო გზით მივაღწევდი, დავაბოლოვებდი, სული სიტყვებით შეიმოსებოდა... ყველაფერი, რაც აქ დავწერე, ჩემი ღელვისგან მოგვრილი ქაფია მხოლოდ, ფუჭი სწრაფვაა, სწორედ იმიტომ, რომ ძალიან ვჩქარობდი. მაგრამ ახლა, როდესაც გამოვიწრთე, როდესაც ლამის აღარ მაშინებს...

აქ გვერდი გათავდა და ცინცინატს გაახსენდა, რომ ფურცლები აღარა ჰქონდა. თუმცა, ერთი ფურცელი მაინც მოიძებნა.

...სიკვდილი, – წინადადება განაგრძო და დაწერა ცინცინატმა, მაგრამ ეს სიტყვა მაშინვე გადახაზა; არა, უფრო სხვანაირად იყო დასაწერი, უფრო ზუსტად: იქნებ სიკვდილით დასჯა, ტკივილი, განშორება, რაღაც ამგვარი. ჩაფიქრებული ატრიალებდა ფანქრის ნამლევს, მაგიდის კიდეს კი, იმ ადგილას, სადაც ის ახლახან თრთოდა, ყავისფერი ღინღლი შერჩენოდა. მის გახსენებაზე, ცინცინატი მაგიდას მოსცილდა, თეთრი ფურცელი, ერთადერთი და ისიც გადახაზული სიტყვით, მიატოვა და ნართან ჩაიმუხლა (ვითომ ფეხსაცმლის ჩაკეცილ ქუსლს ისწორებდა), რომლის რკინის ფეხზეც, სულ ქვემოთ, იჯდა ის, ვეება ფარვანა, ჩინიანი ფრთები გაეშალა და საზეიმო ხელშეუხებლობით გათანგულს ეძინა. საცოდაობა იყო, რომ ხაოიან

ზურგზე ერთგან ღინღლი სულ გადაცლოდა და პატარა, თხილივით პრიალა მელოტი უჩანდა, მაგრამ უზარმაზარი, ჩაშავებული ფრთები, ფერფლისფერი კიდეებითა და მუდამ გახელილი თვალებით, ხელუხლებლი იყო. ოდნავ დახრილი ზედა ფრთები ქვემოთაზე დაესვენებინა და ეს დახრილობა ალბათ რულმორეული ნებელობის გამოხატულება იქნებოდა, რომ არა ყველა წინა მიჯნისა და ყველა განშტოებული

ხაზის შენივთული სწორხაზოვნება, სრული სიმეტრულობა – იმდენად წარმტაცი, რომ ცინცინატმა თავი ვერ შეიკავა და თითი გააყოლა ჯერ მარჯვენა ფრთის ჭაღარა კიდეს ფუძემდე, მერე მარცხენა კიდეს (მტკიცე სინაზე! უძრავი სინაზე!), მაგრამ პეპელას არ გაღვიძებია. ცინცინატი წელში გასწორდა, ჩუმი ოხვრით გაეცალა და ის იყო, დააპირა, ისევ მიჯდომოდა მაგიდას, რომ კლიტეში გასაღები გაჩხაკუნდა და კარი ხრაგუნით, ღრჭიალითა და ჭრიალით – საპატიმროს კონტრაპუნქტის სრული დაცვით, გაიღო. ჯერ თავი შემოყო, მერე კი მთლიანად შემოვიდა ვარდისფერი მ-სიო პიერი, მუხუდოსფერ სანადირო კოსტიუმში გამოწყობილი, ხოლო მის უკან კიდევ ორი კაცი, რომლებშიც თითქმის შეუძლებელი იყო გეცნოთ დირექტორი და ადვოკატი – ორივეს სახე გამტკნარებოდა, ორივეს ნაცრისფერი ხალათი ეცვა, ფეხი რაღაც ძველმანში წაედგა. საერთოდ, უგრიმოდ, უბამბოდ და უპარიკოდ იყვნენ, თვალი ეცრემლებოდათ, ძონძებში გაჩხიკული ხორცი მოუჩანდათ და აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ და ერთნაირ თავებს, ერთნაირად გაწლიკულ კისრებზე, ერთნაირად ატრიალებდნენ – გამელოტებულ, კორძიან შუბლთან ნაცრისფერი ლორწოვანი წერტილებით შემოვლებულ, ყურპანტურა თავებს.

ლამაზად ლოყაშეღებილმა მ-სიო პიერმა ლაქისყელიანი ფეხები შეატყუპა, თავი დახარა და სასაცილოდ დაიწრიპინა:

– ეკიპაჟი გელოდებათ, გთხოვთ!..

– რატომ? – მართლა ვერ მიხვდა უცბად ცინცინატი, იმდენად დარწმუნებული იყო, რომ უჭველად განთიადისას მოხდებოდა.

– რატომ, რატომ... – გამოაჯავრა მ-სიო პიერმა, – რატომ და, ჯახ-ჯუხისთვის.

– ჰო, მაგრამ ახლავე ხომ არა, – თქვა ცინცინატმა და თვითონაც უკვირდა, რომ ამას ამბობდა, – ჯერ კარგად არ მოვმზადებულვარ... (ნუთუ ეს შენ ხარ, ცინცინატ?)

– დიახ, სწორედაც, რომ ახლავე! რას ამბობ, მეგობარო, შენ ხომ ლამის სამი კვირა გქონდა, რომ მომზადებულიყავი. მგონი, საკმაო დროა. აი, ესენი ჩემი თანაშემწეები არიან: როდია და რომა, გთხოვთ, იცნობდეთ და სწყალობდეთ. მართალია, ორივე თვალად ჩიაა, მაგრამ სამაგიეროდ, ყოჩაღი ბიჭები არიან.

– მოხარული ვართ, – ჩაიბუბუნეს ყოჩაღმა ბიჭებმა.

– კინაღამ დამავიწყდა, – განაგრძო მ-სიო პიერმა, – შენ კანონით კიდევ გეკუთვნის... რომან, გეთაყვა, ერთი ეგ ჩამონათვალი მომაწოდე.

რომანმა გადამეტებული გულმოდგინებით ამოიღო უბიდან სამგლოვიარო არშიამოვლებული მუყაო; სანამ ის ამოიღებდა, როდრიგი ხელს მექანიკურად

იდებდა ფერდებზე, თითქოს უბეში მიძვრებოდა და თან ამხანაგს უაზრო თვალს არ აცილებდა.

– აი, აქ, საქმის გასაიოლებლად, – თქვა მ-სიო პიერმა, – უკანასკნელი სურვილების მენიუა. შეგიძლია ამოირჩიო ერთი და მხოლოდ ერთი. ხმამაღლა წავიკითხავ. ამგვარად: ჭიქა ღვინო, ან ხანმოკლე შესვლა ფეხსადგილში, ან ციხის კოლექციის განსაკუთრებული სახის ღია ბარათებზე თვალის სწრაფად გადავლება, ანდა... აქ რა ხდება... მიმართვის შედგენა დირექციის სახელზე, სადაც გამოხატული იქნება... გამოხატული იქნება მადლიერება ყურადღებიანი... ამაზე, ბოდიში მომითხოვია. როდრიგ, შე თაღლითო, ეს შენი ჩაწერილია! ნეტა, ვინ გთხოვა? ეს ოფიციალური საბუთია! ასეთი დამოკიდებულება ჩემდამი აღმაშფოთებელზე მეტია, – ჩემდამი, ვინც კანონისადმი ასე ზედმიწევნით ფაქიზია, ასე ძალიან ცდილობს...

გაგულისებულმა მ-სიო პიერმა მუყაო იატაკზე დაახეთქა, როდრიგმა უმალ აიღო, გაასწორა და ნირწამხდარი აბუტბუტდა:

– ნუ წუხხართ... მე არ მიქნია, ეს რომა ტაკიმასხარამ... მე წესები ვიცი. აქ ყველაფერი რიგზეა... მორიგი სურვილები... მაგრამ შეიძლება დაკვეთითაც...

– აღმაშფოთებელია! აუტანელია! – ყვიროდა მ-სიო პიერი და საკანში მიდი-მოდიოდა, – შეუძლოდ ვარ, მაგრამ მოვალეობას მაინც ვასრულებ. აყროლებული თევზით მიმასპინძლდებიან, მაჩეჩებენ ვიღაც კახპას, – უბრალოდ, უტიფრად მექცევიან, – მერე კი, ჩემგან უნაკლო სამუშაოს მოითხოვენ! ნურას უკაცრავად, საკმარისია! მოთმინების ფიალა ამევსო! უბრალოდ, უარს ვამბობ, თქვენ თვითონ შეასრულეთ, მოკვეთეთ, დაჩეხეთ, რაც გინდათ ქენით, გატეხეთ ჩემი ინსტრუმენტი...

– პუბლიკას თქვენზე აბოდებს, – ჩაილაპარაკა პირმოთნე რომანმა, – გევედრებით, დამშვიდდით, მაესტრო. თუკი რამე ისე არ იყო, ეს მხოლოდ მოუსაზრებლობის, სისულელის, მეტისმეტი ეჭვიანი სისულელის ბრალია და სხვა არაფერი! მოგვიტევეთ. დაე, ქალების ნებიერმა, ყველასთვის საყვარელმა, სახის მრისხანე გამომეტყველება ღიმილით შეცვალოს, რომელიც ჭკუიდან შლის...

– გეყოფა, გეყოფა, ყბედო, – ჩაიბუზღუნა გულმომლბალმა მ-სიო პიერმა, – ყოველ შემთხვევაში, მე უფრო ნამუსიანად ვიხდი ჩემს ვალს, ვიდრე ზოგ-ზოგი. კეთილი, მიპატიებია. მაგრამ ეს

წყეული ბოლო სურვილი მაინც გადასაჭრელია. აბა, რა აირჩიე? – ჰკითხა ცინცინატს (ნარზე წყნარად ჩამომჯდარიყო), – ჰა, ცოცხლად, ცოცხლად! მინდა, ბოლოს და ბოლოს, მოვათავო, ნერვულები კი, დაე, ნუ შეხედავენ.

– დასაწერი დამრჩა, – სანახევროდ კითხვის კილოთი წაიჩურჩულა ცინცინატმა, მაგრამ მერე შეიჭმუხნა, გონება დაძაბა და უცბად მიხვდა, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი უკვე დაეწერა.

– ვერ ვხვდები, რას ამბობს, – თქვა მ-სიო პიერმა, – იქნებ ვინმე მიხვდა, მაგრამ მე – ვერა.

ცინცინატმა თავი აიღო.

– აი, რა, – თქვა გარკვევით, – სამ წუთს ვითხოვ, – ამ ხნის მანძილზე წადით ანდა ჩუმად იყავით. დიახ, ანტრაქტის სამ წუთს ვითხოვ, ამის შემდეგ კი, რაც არის, არის, თქვენთან ერთად ბოლომდე ვითამაშებ ამ სულელურ პიესას.

– ორ-ნახევარზე მოვრიგდებით, – თქვა მ-სიო პიერმა და სქელი საათი ამოიღო, – ნახევარ წუთს ხომ დამითმობ, ძმაო? უარს ამბობ? მიდი, გამყვლიფე, თანახმა ვარ.

მ-სიო პიერი არხეინად მიეყრდნო კედელს; რომანმა და როდრიგმაც უმალ მიბაძეს, მაგრამ როდრიგს ფეხი გადაუბრუნდა, კინაღამ დაეცა და დაზაფრულმა შეხედა მაესტროს.

– ჩუ-ჩუ, ძაღლის არჩივო, – ჩაუსისინა მ-სიო პიერმა, – და ისედაც, რა ფეხი ფეხზე შემოგიდიათ? ხელი ჯიბიდან! მის ამარა (ღრენით დაჯდა მაგიდასთან)... შენთვის საქმე მაქვს, როდკა, შეგიძლია აქაურობა ნელ-ნელა მიალაგო; ოღონდ ძალიანაც ნუ იხმაურებ.

როდრიგს კარიდან ცოცხი შემოაწოდეს და ისიც საქმეს შეუდგა.

პირველ ყოვლისა, ცოცხის ბოლოთი სარკმლის ნიშადან ცხაური მთლიანად გამოაგდო; მოისმა თითქოს ქვესკნელიდან ამოსული, შორეული, სუსტი „ვაშა“, საკანში სუფთა ჰაერი შემოიჭრა, ფურცლები მაგიდიდან გადმოფრიალდა და როდრიგმა კუთხეში მიხვეტა. მერე ცოცხითვე ჩამოწმინდა ნაცრისფერი სქელი აბლაბუდა და მასთან ერთად ობობა, რომელსაც წინათ ასე ეხაფიფებოდა. რომას საქმე არაფერი ჰქონდა და ობობას მიხედა. იგი ტლანქად, მაგრამ საინტერესოდ იყო გაკეთებული და შედგებოდა პლუშის მრგვალი ტანისგან, ზამბარიანი მოფართხალე ფეხებისგან და ზურგის შუიდან გამომავალი გრძელი რეზინისგან, რომლითაც რომას დაეჭირა და ისეთნაირად ასწევ-დასწევდა, რომ ის ხან მოკლდებოდა, ხან გრძელდებოდა და ობობა ჰაერში ადი-ჩამოდიოდა. მ-სიო პიერმა ფაიფურის მზერით ცერად გახედა სათამაშოს

და რომანმა სასწრაფოდ იტუცა ჯიბეში. ამასობაში როდრიგი მაგიდას მისდგომოდა, უჯრას ეჯაჯგურებოდა და ცდილობდა, გამოეწია. მაგიდა შუაზე გაიპო და მაშინვე სკამმაც, რომელზეც მ-სიო პიერი იჯდა, საცოდავად დაიგმინა, რაღაცა შეირყა და მ-

სიო პიერს საათი კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ჭერიდან ნაფხვენი ჩამოცვივდა. კედელზე ბზარი გაიკლაკნა. უკვე უსარგებლო საკანი თვალდათვალ ინგრეოდა.

– ...ორმოცდათვრამეტი, ორმოცდაცხრამეტი, სამოცი, – დაითვალა მ-სიო პიერმა, – მორჩა. ადექი, თუ შეიძლება. გარეთ მშვენიერი ამინდია. უკეთესი რომ არ იქნება, ისე საამურად გავისეირნებთ. სხვა თვითონ აგვაჩქარებდა.

– კიდევ ერთი წამი. თავად მეცინება, რომ ხელები ასე სამარცხვინოდ მიკანკალებს, – არადა, ამის არც ალაგმვა შემიძლია და არც დამალვა, – დიახ, მიკანკალებს და მორჩა. ჩემს ნაწერებს მოსპობთ; ნაგავს გახვეტავთ; პეპელა, ამაღამ, ჩამოღებული ფანჯრიდან გაფრინდება და აღარაფერი დარჩება ჩემგან ამ კედლებში, რომლებიც უკვე ინგრევა კიდეც. მაგრამ ახლა ნეშტი და დავიწყება არ მენაღვლება და მხოლოდ ერთსა ვგრძნობ – შიშს, შიშს, სამარცხვინოს, ამაოს...

სინამდვილეში ცინცინატს არაფერი უთქვამს და ფეხსაცმელს უხმოდ იცვამდა. შუბლზე ამობერილ ძარღვზე ქერა კულულები ჩამოშლოდა; ხალათის თავისუფლად გადაწეული,

მოქარგული საყელო საოცრად ახალგაზრდულ იერსა სძენდა მის ყელსა და ალეწილ სახეს, მოცახცახე ქერა ულვაშს.

– გავეტევით თუ არა, ბოლოს და ბოლოს! – დასჭყივლა მ-სიო პიერმა.

ცინცინატი ცდილობდა არავის შეხებოდა და საკნიდან, რომელიც კაცმა რომ თქვას, აღარც კი იყო, ისე გამოვიდა, თითქოს მოყინულ დაღმართზე მიაბიჯებდა.

XX

ცინცინატი ქვის გადასასვლელებით წაიყვანეს. გაგიჟებული ექო ხან წინიდან გამოუხტებოდათ, ხან უკანიდან – მისი თავშესაფარი ინგრეოდა. წარამარა წყდებოდნენ ბნელეთის ოლქებს, რადგან ნათურები გადამწვარიყო. მ-სიო პიერი ფეხშეწყობილ სიარულს მოითხოვდა.

აი, რამდენიმე ჯარისკაციც შემოუერთდათ – რეგლამენტის თანახმად, ძაღლის ნიღბებით – და მაშინ როდრიგი და რომანი, პატრონის ნებართვით, დაწინაურდნენ – კმაყოფილი მიალაჯებდნენ, ხელებს საქმიანად მიაქნევდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, – და ყვირილით მიიმალნენ მოსახვევში.

ცინცინატს, რომელსაც ვაგლახ, სიარული უცბად დავიწყებოდა, მ-სიო პიერი და მწევრისდრუნჩიანი ჯარისკაცი აშველებდნენ ხელს. კიბეებზე ძალიან დიდხანს

მიცოცავდნენ, – ეტყობოდა ციხესიმაგრეს წვეთი მსუბუქად დასცემოდა, რადგან წესით და რიგით, ქვემოთ ჩამომავალი კიბე ზემოთ ადიოდა და პირიქით. ისევ გაიჭიმა დერეფნები, მაგრამ უფრო დასახლებული იერის მქონე, ანუ თვალნათლივ აჩვენებდა, – ხან ლინოლიუმით, ხან კრეტსაბმელით, ხან კი, კედელთან მიდგმული ბაულით, – რომ საცხოვრებელ ბინებს ეკვროდა. ერთ მოსახვევში კომბოსტოს სუნიც კი ეცათ. მერე მინის კარს ჩაუარეს, რომელსაც ეწერა:

„ანცელარია“ და სიბნელის ახალი ჟამის შემდეგ, უცბად შუადღის მზით ახმაურებულ ეზოში აღმოჩნდნენ.

მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე ცინცინატს მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა – რამენაირად მორეოდა მახრჩობელა, გულგვამის მფლეთელ შიშს, რომელსაც გაგონება არაფრის უნდოდა. ცინცინატს ესმოდა, რომ სწორედ ეს შიში ითრევდა საგანთა მცდარ ლოგიკაში, რომელიც მის ირგვლივ თანდათან გამომუშავებულიყო და საიდანაც თითქოს იმ დილას თავის დაღწევა მოახერხა. ფიქრიც კი, რომ აი, ეს ვარდისფერი, ჩიკორა მონადირე თავს მოაჭრიდა, უკვე მიუტევებელი სისუსტე იყო, რომელიც ცინცინატს მისთვის დამღუპველ წესრიგში ითრევდა. იგი ამ ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა, მაგრამ იმ კაცისა არ იყოს, თავს რომ ვერაფრით მორევია და ჰალუცინაციებს ეპასუხება, თუმცაღა, ჩინებულად იცის, რომ მთელი ეს მასკარადი მის ტვინში ხდება, ცინცინატიც ამაოდ ცდილობდა დაეჯაბნა შიში და თუმცა იცოდა, რომ სულაც ხამდა სიხარულით შეგებებოდა გამოღვიძებას, რომლის მოახლოებასაც გუმანით გრძნობდა ძლივს შესამჩნევი მოვლენების, გამორჩეულად ცხოვრების კუთვნილი კვალის, რაღაცნაირი საყოველთაო უმდგრადობისა და ყველაფერ თვალხილულში ჩაბუდებული მანკის მიხედვით, მაგრამ მზე ჯერაც ნამდვილსა ჰგავდა, სამყარო ჯერ ისევ იდგა და საგნები ჯერაც გარეგნულ წესრიგს მორჩილებდა.

მესამე ჭიშკართან ეკიპაჟი ელოდათ. ჯარისკაცები იქით აღარ გაჰყოლიან, კედელთან მიყრილ მორებზე ჩამოსხდნენ და ხამის ნიღბები ჩამოიხსნეს. ციხის მოსამსახურე პერსონალი და ყარაულების ოჯახობა დამფრთხალი ატუზულიყო ალაყაფის კართან – ფეხშიშველა ბავშვები გამოცვივდებოდნენ, ინსტრუმენტს მიაცქერდებოდნენ და უმალ უკანვე გარბოდნენ. თავსაფრიანი დედები შვილებს ტუქსავდნენ, მცხუნვარე მზე დაფენილ ნამჯას ავარაყებდა, იდგა გახურებული ჭინჭრის სუნი, ცოტა იქით კი თორმეტიოდე ბატის გუნდი თავდაჭერილად ყიყინებდა.

– აბა, წავედით, – მხიარულად თქვა მ-სიო პიერმა და თავისი მუხუდოსფერი, ხოხბის ფრთიანი ქუდი დაიხურა.

ძველ, გაქუცულ ეტლში, რომელიც აჭრიალდა და უცბად დაფერდდა, როდესაც მკვრივი მ-სიო პიერი საფეხურზე შედგა, კბილებდაკრეჭილი და ფერდებჩათეთქვილი ქურანა ჯაგლაგი შეებათ, რომელსაც ამოწეული თეძოს თავები დასეული ბუზებისგან შავად ულაპლაპებდა და ისეთი გაძვალტყავებული იყო,

გეგონებოდათ, ფერდებზე სალტე წყება-წყებად შემოუკრავთო. ჯაგლაგს ფაფარზე წითელი ბაბთა ეკეთა. მ-სიო პიერი ჩაიწია, რომ ცინცინატისთვის ადგილი დაეთმო და ჰკითხა, ხელს ხომ არ უშლიდა უზარმაზარი ბუდე, რომელიც მათ ფეხებთან დაედოთ.

– ეცადე, ფეხი არ დაადგა, ძმობილო, – დასძინა მან. კოფოზე როდრიგი და რომანი აძვრნენ. როდრიგმა, რომელიც მეეტლის მაგივრობასა სწევდა, შოლტი გაატკაცუნა, ცხენმა გაიწია, მაგრამ მაშინვე ვერ დაიძრა და უკანა ფეხებზე ჩაიკეცა. გაისმა მომსახურე პერსონალის უადგილო, ხმაშეუწყობელი ,,ვაშა". კოფოდან წამოწეულმა და წინ გადახრილმა როდრიგმა ცხენს შოლტი აწეულ დრუნჩზე გადააწნა და როცა ეტლი ცოფიანივით გაქანდა, ბიძგისგან ლამის კოფოზე გაწოლილმა, სადავეები ტპრუპუნით მოსწია.

– წყნარად, წყნარად, – ღიმილით უთხრა მ-სიო პიერმა და ზურგზე მოდურ თათმანში გამოკვალთული, პუტკუნა ხელი შეახო.

უფერული გზა უგემოვნო სილამაზით ეხვეოდა ციხესიმაგრის ლიბოს. დაღმართი ადგილ-ადგილ ძალიან ფერდდებოდა და მაშინ როდრიგი საჩქაროდ გადმოსწევდა ხოლმე აღრჭიალებული მუხრუჭის სახელურს. მ-სიო პიერს ხელები ბულდოგისთავიან ტროსტზე დაედო და მხიარულად ათვალიერებდა კლდეებს, მათ შორის მოქცეულ ამწვანებულ ფერდებს, სამყურასა და ვაზს, თეთრად ავარდნილ მტვრის ბუღსა და თანაც თვალით უალერსებდა ცინცინატს, რომელსაც ისევ ეშინოდა. კოფოზე მსხდომთა მოხრილი და გამხდარი ზურგები ზედმიწევნით ერთნაირი იყო. ფლოქვებს გზაზე თქარუნი და ტყაპუნი გაჰქონდა. კრაზანები სატელიტებივით ირეოდნენ. ეკიპაჟი ხან გამალებით მიმავალ მლოცველებს (მაგალითად ციხის

მზარეულს, ცოლითურთ) გაუსწრებდა, რომლებიც მტვრისა და მზისგან თავდასაცავად, სახეზე ხელაფარებული შედგებოდნენ და მერე ფეხს აუჩქარებდნენ ხოლმე. კიდევ ერთი მოსახვევიც და, გზა ხიდისკენ გაიჭიმა და საბოლოოდ დაეხსნა ნელა მოტრიალე ციხესიმაგრეს (უკვე ძალიან ცუდად იდგა, პერსპექტივა დარღვეულიყო, რაღაც ყანყალებდა...).

– ვწუხვარ, რომ ასე გავფიცხდი, – ალერსიანად ამბობდა მ-სიო პიერი, – არ გეწყინოს, წიპო. შენც ხომ იცი, რა გულსატკენია სხვისი უგერგილობა, როდესაც საქმეში მთელ სულსა და გულს აქსოვ.

ხიდი გადაირაკუნეს. ქალაქში სიკვდილის დასჯაზე ხმა, ის იყო, ვრცელდებოდა. წითელი და ლურჯი ბიჭები ეკიპაჟს უკან მოსდევდნენ. ვითომ შეშლილი ებრაელი ბერიკაცი, რომელიც მრავალი წელია, არარსებულ თევზს იჭერდა უწყლო მდინარეში,

საჩქაროდ აიბარგა, რომ საინტერესო მოედნისკენ მიმავალ მოქალაქეთა პირველსავე ჯგუფს შეერთებოდა.

– მაგრამ მოდით, ნუ გავიხსენებთ, – ამბობდა მ-სიო პიერი, – ჩემი გუნების ხალხი ფიცხია, მაგრამ წყენა სწრაფად გაუვლის ხოლმე. ჯობს, ყურადღება მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა საქციელზე გადავიტანოთ.

რამდენიმე თავდაუხურავი ქალიშვილი წიოკით დასეოდა რუხძუძუებიან მეყვავილე დედაკაცს და თუ რამ ყვავილი ჰქონდა, სულერთიანად ყიდულობდა. მათ შორის ყველაზე ცქვიტმა ისიც კი მოასწრო, რომ ეკიპაჟს თაიგული სტყორცნა, რომელმაც რომანს კინაღამ თავიდან კარტუზი გადაუგდო. მ-სიო პიერმა ქალიშვილს თითი დაუქნია.

ცხენი ამღვრეულ, დიდ თვალს აელმებდა ბრტყელი და ჭრელი ძაღლებისკენ, რომლებიც მის ფეხებთან ლამის მიწას გართხმოდნენ და დიდი ჭაპანწყვეტით მიიწევდა მაღლა, სადოვაიაზე; ცოტაც და, ბრბო ეტლს წამოეწეოდა, რომელსაც კიდევ ერთი თაიგული მოხვდა უკანიდან, მაგრამ ამ დროს მარჯვნივ, მატიუხინზე შეუხვიეს, ჩაუარეს ძველი ფაბრიკის უზარმაზარ ნანგრევებს, მერე ტელეგრაფნაიასაც, რომელსაც ჩართული აპარატურისგან უკვე წკრიალ-ზრიალი, ზუზუნ-დუდუნი და დუდღუნი გაჰქონდა. გზა იქით, უკვე მოუკირწყლავ, მოჩურჩულე მოსახვევში განაგრძეს, სკვერს ჩაუარეს და იქ, ეკიპაჟის დანახვაზე, ბაღის მერხიდან ორი პარტიკულარულსამოსიანი, წვეროსანი მამაკაცი წამოხტა, ხელების ქნევით უთითებდნენ ერთმანეთს ეკიპაჟზე – საშინლად აგზნებულები, ოთხკუთხა ბეჭებით... აგერ, დაიძრნენ, მუხლებს სწორი კუთხით სწევდნენ მაღლა, ღონივრად – იქით გაიქცნენ, საითკენაც ყველა გარბოდა. სკვერის გადაღმა, თეთრი და სქელი ქანდაკი ორად გაპობილიყო, – გაზეთები წერდნენ, მეხისგანო.

– ახლა შენს სახლს ჩავუვლით, – ძალიან ხმადაბლა უთხრა მ-სიო პიერმა.

რომანი კოფოზე აწრიალდა, შემობრუნდა და ცინცინატს შეხედა.

– ახლა თქვენს სახლს ჩავუვლით, – დაუყვირა და პატარა ბიჭივით სიხარულისგან აცქმუტებული უცბადვე მიტრიალდა.

ცინცინატს არ უნდოდა გაეხედა, მაგრამ მაინც გაიხედა. უნაყოფო ვაშლის ხის ტოტებში ჩამჯდარი მარფინკა ცხვირსახოცს უქნევდა, ხოლო მეზობელი ბაღჩიდან სახელოს უქნევდა მზესუმზირებში ჩადგმული, ჩაგლეჯილციილინდრიანი საფრთხობელა. სახლის კედელი, განსაკუთრებით იქ, სადაც ფოთლების ჩრდილი ადგებოდა, უცნაურად ატკეჩილიყო, სახურავის ნაწილი კი... ჩაიარეს.

– არა, მაინც რაღაცნაირი უგულო ხარ, – ამოიოხრა მ-სიო პიერმა და ტროსტის ბოლო მოუთმენლად წაჰკრა ზურგში მეეტლეს, რომელმაც წამოიწია და შოლტის გაშმაგებული ტყლაშუნით სასწაული მოახდინა: ჯაგლაგი გაჭენდა.

ახლა ბულვარზე მიდიოდნენ. ქალაქი სულ უფრო ღელავდა. სახლის ნაირფერ წინამოებს ნაჩქარევად რთავდნენ მოფრიალე და მოტკაცუნე პლაკატებით, რომლებზეც მისასალმებელი სიტყვები ეწერა. ერთი პატარა სახლი გამორჩეულად მოეკაზმათ: იქ სწრაფად გაიღო კარი და

ყმაწვილი გამოვიდა, – მას მთელი ოჯახი აცილებდა – რომელსაც სწორედ დღეს შუსრულებოდა დასწრების ასაკი; დედა ცრემლმორეული იცინოდა, ბებო აბგაში რაღაცას უდებდა, უმცროსი ძმა კომბალს უწვდიდა. ძველი ქვის ხიდები (ოდესღაც ეგზომ მხსნელი ქვეითებისთვის, ახლა კი მათ მხოლოდ სეირის მოყვარული დოყლაპიები და ქუჩის უფროსები იყენებდნენ) ფოტოგრაფებს ვეღარ იტევდა. მ-სიო პიერმა შლაპა ასწია. ფრანტები პრიალა „მაღვიძარებით“ ეტლს წინ უსწრებდნენ და შიგ მსხდომთ ათვალიერებდნენ. ყავახანიდან ვიღაც წითელშარვლიანი გამოვარდა, რომელსაც ხელში კანფეტებით სავსე სათლი ეჭირა, მაგრამ მიზანს ააცილა და ფერადი ქარბუქი თავხოტორა ჭაბუკს დაატყდა, რომელიც იქითა ტროტუარიდან ლანგარზე დადებული პურ-მარილით მორბოდა.

მძინარე კაპიტნის ქანდაკებიდან მხოლოდ ვარდებით გარშემორტყმული ფეხებიღა დარჩენილიყო, თემომდე. ეტყობა იმასაც მეხი დასცემოდა. სადღაც წინ სასულე ორკესტრი მარშ „სულიკოს“ უბერავდა. მთელ ცაზე თეთრი ღრუბლების ქულები ბიძგებად იძვროდა, – მგონი, მეორდება, მგონი, მხოლოდ სამი სახისაა, მგონი, ეს ყველაფერი, ბადისებურია და საეჭვოდ მომწვანო...

– აბა, აბა, გულის წასვლა და სისულელე არ დამანახო, – თქვა მ-სიო პიერმა, – კაცს არ ეკადრება.

აი, მოვედით კიდეც. მაყურებელი შედარებით ცოტა იყო, მაგრამ მისი ნაკადი განუწყვეტლივ მატულობდა. კვადრატული მოედნის ცენტრში, – არა, მთლად ცენტრში არა და საზიზღრობაც ეს იყო, – ეშაფოტის კაშკაშა მეწამული ფიცარნაგი აღემართათ. შორიახლო მოკრძალებით იდგა ძველი ელექტროძრავიანი საჯარო გზები. ტელეგრაფისტებისა და მეხანძრეების შერეული რაზმი წესრიგს იცავდა. სასულე ორკესტრი, ეტყობა, ეშხში შესულიყო, ცალფეხა ხეიბარი დირიჟორი ფიცხად იქნევდა ხელებს, მაგრამ ახლა ერთი ბგერაც კი არ ისმოდა.

მ-სიო პიერმა მსუქანი მხრები აიწურა, ეტლის საფეხური კოხტად ჩამოიარა და უმალ მიტრიალდა, რომ ცინცინატს მიხმარებოდა, მაგრამ ცინცინატი მეორე მხრიდან ჩამოვიდა. ხალხი შეჩოჩქოლდა.

როდრიგი და რომანი კოფოდან ჩამოხტნენ; სამივემ ცინცინატი შეავიწროვა.

ეშაფოტამდე ოციოდე ნაბიჯი იყო და ცინცინატი, რათა არავინ შეხებოდა, იძულებული გახდა, გაქცეულიყო. ბრბოში ძაღლი აყეფდა. წითელ საფეხურებს რომ მიაღწია, ცინცინატი შედგა. მ-სიო პიერმა იდაყვზე შეავლო ხელი.

– მე თვითონ, – თქვა ცინცინატმა.

იგი ფიცარნაგზე ავიდა, სადაც იდგა კიდეც ეშაფოტი, ანუ დამრეცი, გლუვი მუხის ჯირკი – იმსიგანე, რომ ხელგაშლილი თავისუფლად დაწვებოდი. მ-სიო პიერიც ავიდა ფიცარნაგზე. პუბლიკა ადუდუნდა.

სანამ სათლებს ეზიდებოდნენ და ნახერხს დაყრიდნენ, ცინცინატმა არ იცოდა, თავი სად წაეღო და ხის მოაჯირს მიეყრდნო, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მოაჯირი განუწყვეტლივ თრთოდა, ხოლო ვიღაც-ვიღაცები ქვემოდან, კანჭებზე ინტერესით ავლებდნენ ხელს; მოაჯირს მოშორდა, ცოტა აქოშინებულმა ტუჩი მოილოკა, გულხელი რაღაცნაირად მოუხერხებლად დაიკრიფა, თითქოს ამას პირველად შვრებოდა და იქაურობა მოათვალიერა. განათებას რაღაც დამართნოდა, – მზეს საქმე კარგად ვერ ჰქონდა და ცის ნაწილსაც აძაგძაგებდა. მოედანს გარს გაშეშებულ-გადაბრეცილი ჭადრები ერტყა, – ერთი მათგანი ძალიან ნელა...

აი, ბრბოს ისევ დრტვინვამ გადაუარა და როდრიგმა და რომანმა ერთმანეთის წამუჯლუგუნებით, ბორძიკითა და ოხვრა-ხვნეშით, კიბეზე მძიმე ბუდე ამოათრიეს და ფიცარნაგზე დაახეთქეს. მ-სიო პიერმა ქურთუკი გაიძრო და უსახელო მაისურის ამარა დარჩა. მის თეთრ, ორთავა კუნთზე ფირუზისფერი ქალი იყო გამოსახული, ხოლო სულ წინა რიგებში, ხალხში, რომელიც მიუხედავად მეხანძრეების შეგონებისა, ეშაფოტს აწყდებოდა, იდგა სწორედ ის ქალი – ცოცხალი და საღსალამათი, თავის ორ დასთან ერთად და იდგა კიდევ ანკესიანი

ბერიკაცი, გარუჯული მეყვავილე ქალი, კომბლიანი ყრმა, ცინცინატის ერთ-ერთი ქვისლი, ბიბლიოთეკარი, რომელიც გაზეთს კითხულობდა და აგრეთვე, ჯანიანი ნიკიტა ლუკიჩი და ცინცინატმა ის კაციც შენიშნა, რომელიც ყოველ დილას სკოლაში მიმავალს შემოხვდებოდა ხოლმე სკოლის ბაღში, მაგრამ მისი სახელი არ იცოდა. წინა რიგების მერე მოდიოდა შედარებით ცუდი რიგები – იმ მხრივ, რომ პირისახე და თვალები უფრო გაურკვევლად მოჩანდა, მათ უკან კი ძალიან ბუნდოვანი და ამ ბუნდოვანების გამო, ერთნაირი სახეების ფენა, ხოლო კიდევ უფრო შორს – უშორესები, რომლებიც სულაც ჰაიჰარად მიედღაბნათ მოედნის უკანა ფონზე. აი, კიდევ ერთი ჭადარი გადაწვა.

უეცრად ორკესტრი გაჩუმდა, – ანდა უფრო სწორად, ახლა, როცა გაჩუმდა, უცბად აღმოჩნდა, რომ თურმე აქამდე სულ უკრავდა. ერთ-ერთმა მუსიკოსმა, სქელმა,

მშვიდობიანმა კაცმა, თავისი საკრავი დაშალა და მისი მბზინავი სახსრებიდან ნერწყვი გამობერტყა. ორკესტრის უკან უღიმღამოდ ბიბინებდა ალეგორიული შორეთი: პორტი, კლდეები და ქაფის ჩანჩქერი.

ფიცარნაგზე სხარტად და ყოჩაღად შეხტა (ცინცინატი უნებლიეთ უკანაც კი მიაწყდა) ქალაქის მმართველის თანაშემწე (მჭევრი სიტყვის ოსტატი იყო), მაღლა აწეული ფეხი არხეინად შედგა ეშაფოტზე და ხმამაღლა გამოაცხადა:

– მოქალაქენო! პატარა შენიშვნა. ბოლო ხანს ჩვენს ქუჩებში ახალგაზრდა თაობის ზოგიერთი პირი ისე სწრაფად დააბიჯებს, რომ ჩვენ, ბერიკაცები, იძულებულნი ვართ, გზა დავუთმოთ და ფეხი გუბეში ჩავკრათ. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ ზეგ, პირველი ბულვარისა და ბრიგადირნაის კუთხეში, იხსნება ავეჯის გამოფენა და დიდი იმედი მაქვს, რომ იქ ყველა თქვენგანს ვიხილავ. კიდევ გაგახსენებთ, რომ ამ საღამოს ნაჩვენები იქნება საჭირბოროტო ოპერა-ფარსი „ყლურწე, სოკრატე!“[35], რომელიც უზარმაზარი წარმატებით სარგებლობს. მთხოვენ, აგრეთვე გაცნობოთ, რომ კიფერის საწყობში დიდი არჩევანია ქალის ტურნურებისა და შეთავაზება შეიძლება აღარც განმეორდეს. ახლა კი ადგილს ვუთმობ სხვა აღმასრულებელთ და ვიმედოვნებ, მოქალაქენო, რომ ყველანი ჯანმრთელად ხართ და არაფერს უჩივით.

ქალაქის მმართველის თანაშემწე წინანდებურად ცქვიტად გაძვრა მოაჯირის ხარიხებში და მოწონების დუდუნში ფიცარნაგიდან ჩახტა. მ-სიო პიერი, რომელსაც უკვე მიეფარებინა თეთრი ფეშტამალი (ქვემოდან ჩექმის ყელი უცნაურად მოჩანდა), გულმოდგინედ იმშრალებდა ხელს პირსახოცზე, მშვიდად და კეთილად იყურებოდა აქეთ-იქით და როგორც კი მმართველის თანაშემწემ ლაპარაკი დაამთავრა, პირსახოცი ასისტენტებს მიუგდო და ცინცინატისკენ გაემართა.

(ფოტოგრაფთა ოთხკუთხა, შავი დრუნჩები შეირხა და გაქვავდა.)

– არავითარი აღელვება და ჭირვეულობა არ იყოს, თუ შეიძლება, – ჩაილაპარაკა მ-სიო პიერმა, – პირველ ყოვლისა, ხალათი გავიხადოთ.

– თვითონ, – თქვა ცინცინატმა.

– ესეც ასე. გამოართვით ხალათი. ახლა გაჩვენებ, როგორ დაწვე.

მ-სიო პიერი ეშაფოტზე გაწვა. ბრბო შეჩქვიფდა.

– გასაგებია? – ჰკითხა მ-სიო პიერმა, წამოხტა და ფეშტამალი გაისწორა (უკან გახსნოდა და როდრიგი მიეხმარა), – ას-ს-ე. ვიწყებთ. შუქი ცოტა ზედმეტად კაშკაშებს... თუ შესაძლებელია... აი, ასე, გმადლობთ. კიდევ ერთი ბეწოთი, ალბათ... ჩინებულია! ახლა კი, გთხოვ, დაწვე.

– თვითონ, თვითონ, – თქვა ცინცინატმა და როგორც აჩვენეს, პირქვე გაწვა, მაგრამ მაშინვე კეფაზე ხელი დაიფარა.

– რა სულელია, – თქვა ზემოდან მ-სიო პიერმა, – აბა, ასე, როგორ გინდა, რომ... (ჰო, მომეცით. მერე კი, მაშინვე, სათლი მომაწოდეთ). და საერთოდ, რა საჭიროა კუნთების ასე დაძაბვა, –

არავითარი დაძაბულობა. მოდუნდი. სულ მოდუნდი. ხელები გასწიე, თუ შეიძლება... (მომეცით). თავისუფლად იყავი და ხმამაღლა დაითვალე.

– ათამდე, – უთხრა ცინცინატმა.

– ვერ გავიგე, ძმობილო? – თითქოს ჩაეკითხაო მ-სიო პიერი და ჩუმად, ლამის უკვე გმინვით დასძინა: – ცოტა დაიხიეთ, ბატონებო.

– ათამდე, – გაიმეორა ცინცინატმა და ხელები გაშალა.

– მე ჯერ არაფერს ვშვრები, – სხვისი ჩახრინწული ხმით თქვა მ-სიო პიერმა, ფიცრებზე კი უკვე ჩრდილმა გადაირბინა, როდესაც ცინცინატმა ხმამაღლა და გარკვევით დაიწყო დათვლა: ერთი ცინცინატი ითვლიდა, მეორე კი ყურს აღარ უგდებდა რიცხვების უმაქნის ზრიალს, რომელიც თანდათან შორდებოდა და ისე აშკარად, აქამდე რომ არასდროს განეცადა, თავიდან მტკივნეულადაც კი, მოულოდნელობისა გამო, მერე კი მთელი არსებით სიხარულით სავსემ გაიფიქრა: აქ რა მინდა? ასე რატომ ვწევარ? – და დაუსვა თუ არა თავს ეს მარტივი კითხვა, პასუხად წამოდგა და მიიხედ-მოიხედა.

ირგვლივ უცნაური დაბნეულობა სუფევდა. ყველა და ყველაფერი უცნაურად არეულიყო. ჯალათი ჯერაც ბზრიალებდა, მის წელში კი უკვე მოაჯირი იკვეთებოდა. კიბის საფეხურზე გაფითრებული ბიბლიოთეკარი მოკრუნჩხულიყო და არწყევდა. მაყურებელი სულმთლად გამჭვირვალე გამხდარიყო, აღარაფრად ვარგოდა და დაფეთებული გარბოდა. მოედანს სულ ბოლო, დახატული რიგებიღა შემორჩენოდა. ცინცინატი ნელა ჩამოვიდა ფიცარნაგიდან და ფხვიერ ნაგავზე გაიარა. მრავალჯერ დაპატარავებული რომანი, იგივე როდრიგი, წამოეწია:

– რას შვრებით! – ხტოდა და ხიხინებდა, – არ შეიძლება, არ შეიძლება! ეგ რა ნამუსია! ასე ვერ მოექცევით მას, ყველას... დაბრუნდით და დაწექით. აკი უკვე იწექით, ყველაფერი მზად იყო, ყველაფერი დასრულებული იყო!

ცინცინატმა იგი განზე გასწია და იმანაც უნიათოდ წამოიყვირა და უკვე თავის საშველად, სირბილით გაეცალა.

მოედნისგან ბევრი აღარაფერი დარჩენილიყო. მოწითალო მტვრის კორიანტელში გახვეული ფიცარნაგი კარგა ხანია დანგრეულიყო. სულ ბოლოს გაირბინა ქალმა, რომელსაც მხრებზე შავი შალი მოესხა და ხელისგულზე ჭუპრივით დაესვენებინა პატარა ჯალათი. წაქცეული ხეები ბრტყლად ელაგა, – ყოველგვარი რელიეფურობის გარეშე – ხოლო ჯერაც ფეხზე მდგარი –

ისინიც ბრტყელი, მაგრამ სიმრგვალის ილუზიის შესაქმნელად, შტამბის ცალ გვერდზე ჩამოყოლებული ჩრდილით, – ცის დაგლეჯილ ბადეს ტოტებით ებღაუჭებოდა. ყველაფერი იცარებოდა. ყველაფერი შვავდებოდა. ქარბორბალა იხვევდა და ატრიალებდა მტვერს, ჭინჭებს, შეღებილ ნაფოტებს, თაბაშირის ვარაყიან ნაფხვენებს, მუყაოს აგურებსა და აბრებს; მშრალი ყომრალი მოიგრაგნებოდა და ცინცინატი მტვრის კორიანტელში, ნივთების წვიმასა და აფრიალებული პირსახოცების ქარში იქითკენ გაემართა, სადაც ხმების მიხედვით, მისი მსგავსი არსებები იდგნენ.

1